

ISSN 0132-6023



# სიხე

1

გილოცავთ ახალ წელს! 1979



# ტსკი

260

გამომცემის მეოცე წელი



იანვარი

1979

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

---

საქართველოს აკადემიური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

# შ ი ნ ე ა რ ს ი

## პროზა, პოეზია

- 3. პანარჯობა, ახალე წილო
- 5. კოლაუ ნადირაძე — ლექსები
- 7. თამაზ ვილაძე — რელიეფური მხატვრობის გონივრული — პიესა
- 47. ნუგზარ წიკრიძე — ლექსები (ციკლიდან „გზებზე და განცდილი“)
- 51. ოთარ შალვაშვილი — ლექსები
- 56. გუგუშვილი — ალბათი
- 81. გიორგი გიგაური — კინემატიკა და მხატვრობა. ლირიული პოეზია
- 4. ანთონიძე შურაშვილი — ლექსები
- 86. პალატიკა — ლექსები
- 87. პათე დანელია — ლექსები

## მეგობრობის მემორიალები

- 89. ვახუშტი ვახუშტაძე — ვალსი გემბანზე. ლექსი. თარგმნილი ტაროელ ტანტურაძე
- 90. სერგი გოგიაძე — ლექსები. თარგმნილი გვირგვინი — ხაზიშვილი

## ახალი თარგმანები

- 91. შუბინი, ჯონ მილტონი, ჯონ დონი, კარსი ბიუი შელი, უილიამ უორდსუორთი, სამუელ ტილოტ კოლერიჯი, თომას პუდი, უილიამ ბატლერ იეტი. სი — ლექსები — თარგმნილი გიორგი ნიშინიძემ
- 96. გუგუშვილი — სოხუმი — ქართული პოეზიის კლასიკური ფლანგი
- 107. ლალი გულიანკაძე — ჩემი პირველი ინტერვიუ
- 116. გივი გოგიაძე — სიკეთის თანადგომა
- 118. თამაზ თანდრე — გიორგი ნიკოლაძე

## წიგნები

- 2. ნინო ჩიქოვანი, ვალერიან მახარაძე — რუსი და ქართული მუსიკის ურთიერთობის ისტორიკული

## ახალგაზრდა მწიგნობარი „ცისკარში“

- 129. ილია ანთონიძე — თარგმნილი 1188 წ. სიგელის წიგნი
- ხელოვნება
- 134. მარია ჩიქოვანი — ნინო ჯაფარიძე
- 136. ირინა მახარაძე — გივი პანკაშვილი
- 38. გივი ალხანიანი — ფორთა პარონი
- 139. ლევან გუგუშვილი — აკაკის რელიეფი
- 140. რამაზ გვარდნილი — „წიგნები მხატვრობის ფორმისა“

## სკორტი

- 142. თორდოტი ბანისხევალი და ერთი ნახევრად კვადრატული მართკუთხედი ანუ ლინიური ცამეტ დარბაზი
- 147. ნორდინი მირიანი — ბრძოლა. თარგმნილი გუგუშვილი
- 159. კულტურული ცხოვრების პრობლემა

## მთავარი რედაქტორი გუგუშვილი

სარედაქციო კოლეგია:  
 ვახუშტი ანთონიძე,  
 გუგუშვილი,  
 გივი გვარდნილი,  
 რამაზ გვარდნილი,  
 გიორგი გუგუშვილი,  
 ნოდარ გუგუშვილი,  
 ვახუშტი ვახუშტაძე,  
 ილია ანთონიძე,  
 თამაზ პანკაშვილი  
 (მთ. რედაქტორის  
 მოადგილე),  
 ნუგზარ შალვაშვილი,  
 ჯანსუფ ხაჩიძე,  
 გივი ანთონიძე,  
 ნუგზარ წიკრიძე,  
 თამაზ წიკრიძე,  
 ბარბელ ვახუშტი,  
 გიორგი ვახუშტი

# გამარჯობა, ახლო წელი!

შემოდგა ფეხი ახალმა წელმა!

გუგუნით წამოვიდა მრავალყამიერი და გვისურვა:

მრავალყამიერ სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენი ერისა, ვაზრდა- და გახარება, ზევი და ბარაქა, პური და ღვინო, ჯანი და ღონე...

მრავალი კარგი წიგნი, მრავალი კარგი სიმღერა, სიკეთის სიმრავლე...

ასე იყო ტრადიციულად, ასეა დღესაც: წელთა მიჯნაზე კაცი განვლილ გზას გონების თვლით გადახედავს, აწონ-დაწონის, კარგს თავის სახელს დაარქმევს, ცუდს — თავისას; კარგზე იტყვის — გვიმრავლოსო, ცუდზე — გვაშოროსო, ძველ წელიწადს გაჰყვესო და ახლის იმედით, ახლის რწმენით ვახედავს მომავალს.

ამ ახალი წლის მრავალყამიერში, ახლის მომრძანების სიხარულში, ჩვენც გადახედოთ გასულ წელს, ათას ცხრაას სამოცდაათერთამეტს, რომელიც ამიერიდან ისტორიის კუთვნილებათ.

რა მოგვიტანა იმ წელმა, რა შეგვძინა, რა საქმეებით წარსდგა ისტორიის წინაშე...

ისტორიული მოვლენა მოხდა რესპუბლიკის ცხოვრებაში: გაზაფხულზე რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია, რომელმაც ხმამაღლა გამოხატა მთელი ჩვენი ხალხის მტკიცე ნება: თავისი სიტყვა თქვას სოციალისტური სამშობლოს ახალ მშენებლობაში, ახალ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანოს ჩვენი ეკონომიკა, განავითაროს მეცნიერება და ეროვნული კულტურა.

შარშან ჩვენმა ქვეყანამ დიდი პურეულის ალოობა იზეიმა — რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის თვალუწვდენელ ველებზე მოწეულმა პურმა ქვეყნის უდიდესი ბედლები აავსო; მოსავლის აღების სიხარული გაიზიარეს ყველა რესპუბლიკის და ყველა ერის შვილებმა. მხვენელ-მთესველებმა სიამაყით მიახსენეს სამშობლოს ეს არნახული გამარჯვება. და სწორედ იმ დღეებში, როცა ჩვენი ქვეყანა პურის დიდ მოსავალს ზეიმობდა, საბჭოთა ადამიანები კითხულობდნენ პურის დიდ ბედელზე — ყამირზე და ყამირის პირველ ამთვისებლებზე დაწერილ ჩვენი პარტიისა და მთავრობის მეთაურის თხზულებას.

„ტყუილად კი არ ამბობენ, თუ პური არის — მრავალყამიერიც იქნებაო. პური ყოველთვის იყო უმნიშვნელოვანესი სურსათი, ყოველთა ღირებულებათა საწყაო. და დიად მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა ახლანდელ საუკუნეშიც იგი ხალხთა ცხოვრების საფუძველთა საფუძველია. ადამიანი გაიჭრა კოსმოსში, იმორჩილებს მდინარეებს, ზღვებსა და ოკეანეებს, დედამიწის წიაღიდან ამოაქვს ნავთობი და გაზი, დაეუფლა ღამის ენერჯის, პური კი ისევ პურობს.“ — ასე იწყება ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის „ყამირი“, — საბჭოთა ადამიანის გმირობის ეპოპეა, გაგრძელება „მცირე მიწისა“ და „ალორძინებისა“.

ეს წელიწადი ჩვენი ახალგაზრდობის წელიწადიც იყო, ახალგაზრდობამ ლენინური კომკავშირის 60 წლისთავი იზეიმა. სამოქალაქო ისტორიული გზა წარმოსდგა ჩვენი წინაშე, როგორც გმირული ცხოვრების, შრომისა და ბრძოლის სამოცი ფურცელი. ეს ფურცლები აღსავსეა ამაღლეგებელი, რომანტიკული ეპიზოდებით, სამშობლოსათვის თავდადებით, რწმენის სიმტკიცით, სინნულეთა ძლევის პათოსით, ოქტომბრის მონაპოვრისადმი ერთგულებით. სა-



მოცი წელი დიდი მატინაა, რომელშიც ნათლად გამოიკვეთა სახე ჩვენსა და ვაზრობისა, მშენებელი, შემოქმედი ახალგაზრდობისა.

ახალგაზრდობას ბევრით სწავლისა და გამრჩე შრომის წელიწადი ჰქონდა. უმაღლესი სასწავლებლების აუდიტორიებსა და კაბინეტ-ლაბორატორიებს მოჰყვა „შრომის სემესტრი“. ახალგაზრდული მარჯვენა შეეშველა ჩვენს მშენებლებს, მეცნახეებსა და მეჩაიებს. ახალგაზრდულმა ხმა დაარღვია ჩვენი ტაძრების და ციხე-კოშკების მღვდმარება. მზრუნველმა ხელმა ახალი სიტოცხლე დაუბრუნა წარსულის ძეგლებს, ჩამოაშორა საუკუნეთა მტვერი, მოუშუშა დრო და ეამისაგან მიყენებული ჭრილობა.

გასული წელიწადი ჩვენი ხალხის მუხლჩაუხრელი შრომის წელიწადი იყო: ადამიანის გამრჩე ხელით იქმნებოდა სახალხო დოვლათი, შენდებოდა ფაბრიკა-ქარხნები. უდიდესი ენგურბესის მძლავრმა ტურბინებმა პირველი სინათლე მისცეს ქვეყანას, პირველად შევიდა ავტომანქანა მთათუშეთის სოფელ თამლოში. ვხამ გადააბა კავკასიონის უმაღლესი ქედი და საქართველოს კიდევ ერთ, ჯან-ლონით საგვე და მდიდარ კუთხეს მიაღწია. პირველად შეადეს სკოლის კარი მოსწავლეებმა მრავალ ახალ სკოლაში. „მრავალქამიერი“ დაიბნა ახალ ოჯახებში. ერს შეემატა მრავალი შვილი.

გასული წელი საქართველოში დიდი რთვლობის წელიწადი იყო. ამდენი ყურძენი და ამდენი მაჭარა კახეთის ზერებიდან და ვენახებიდან არასდროს არ წამოსულა. რთვლობის სიხარული ვერ დაიტეხს ჩვენმა სოფლებმა, ეს სიხარული გადმოედო დედაქალაქის ქუჩებს, ახალი მაჭრის, ბადაგისა და ჩურჩხელის სურნელით აივსო დედაქალაქი...

მრავალი ნანატრი გამარჯვება იხეიმა ჩვენმა რესპუბლიკამ შარშან, და შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ შარშან ამ გამარჯვებათა ორგანიზატორის — საქართველოს სსრ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჩვენი პარტიის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატად იქნა არჩეული.

იწერებოდა ახალი ლექსები, მოთხრობები და რომანები. ქართველ მწერალთა წიგნებს კითხულობდნენ ჩვენი დიდი ქვეყნის ყველაზე უშორეს კუთხეებში და მის საზღვრებს გარეთაც. ქართველი მუსიკოსები გამოდიოდნენ მსოფლიოს უდიდეს საკონცერტო დარბაზებში, ქართულ სპექტაკლებს და კინოფილმებს ტანს უკრავდნენ მსოფლიოს თეატრალურ და კინოფესტივალებზე. ქართველ მხატვართა ნამუშევრებს ნახულობდნენ რესპუბლიკური, საკავშირო და საზღვარგარეთის სამხატვრო გამოფენების დამთვალიერებლები. ყოველივე ეს ქართველ მწერალს და ხელოვანს შთააგონებდა საკუთარი შემოქმედებისადმი მომთხოვნელობას, მხატვრული კრიტერიუმების ამოღებას, პასუხისმგებლობას მთელი ეროვნული კულტურის წინაშე.

1978 დიდი ეროვნული ზეიმის წელიწადი იყო. ვიხეიმეთ 1500 წლისთავი ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული მხატვრული ძეგლისა.

გასული წელიწადი ჯანსაღი წელიწადი იყო: ქართული სპორტის ისტორიაში ნათელი ფურცლები ჩაიწერა. ქართველი ფეხბურთელები მთელს ჩვენს ქვეყანაში გამარჯვებულნი გამოვიდნენ. ჰადრაკის სამყაროს მოევილინა მეორე ქართველი დედოფალი.

ახალი წლის მიჯნაზე სწორედ ჩვენი ხალხის შრომითა და შემოქმედებითი ნიჭით აგებულ სოფლებსა და ქალაქებს ვხედავთ. ამ ჯანსაღ სოფლებში, ძველთაძველ თუ ახალ ქალაქებში დღეს გუგუხებს მძლავრი სახალწლო მრავალქამიერი, როგორც დასტური ხალხის ძალისა და შეუქმსერელი სულისა.

გამარჯობა, ახლო წელი!  
 კეთილი იყოს შენი მობრძანება!  
 ეს ტრადიციული სახალწლო სიტყვებია...  
 ამ სიტყვებში იმედი და რწმენა იგულისხმება, იმედი და რწმენა მშვიდობიანი მომავლისა.



**შაჰოღაოვის დღე თბილისში**

ჟამს შემოდგომის მე მიყვარს შენი  
 გასწივოსნება უღრუბლო ცისა!  
 ბაღები, წყნარი ფოთლების ცვენით,  
 შორცხვი ღიმილით,  
 და, თითქოს, წყენით  
 გამოთხოვება დაკლებულ დღისა!

მე მსიბლავს შენი მყუდრო ქუჩების  
 სიმშვიდე,  
 სევდა და  
 მდუმარება!  
 ბუნება ტკნობას არ ეურჩების —  
 უცხოა მისთვის  
 წვა, მწუხარება!

მე მისმობს მაშინ მტკვრის არემარე,  
 გადაფენილი  
 მთაწმინდის ლანდით:  
 აქ ბარათაშვილს სტანჯავდა მთვარე,  
 აქ გორგასალის  
 ანრდილი დადის!

უეცრივ, ქარის გამოქროლება,  
 ჩივილით შიშველ,  
 გაძარცვულ ხეთა...  
 სადღაც წარსულის განმეორება,  
 სადღაც სურნელი  
 ბავშვობის დღეთა!!

ანჩისხატის და სიონის ასლოს  
 ხეტიალი და  
 თან ჩაფიქრება!  
 აბოს წამების აქ კუთხე მახსოვს,  
 აქ ძველ თბილისის  
 მახსოვს მშვენება!

ცოცხლდება სულ სხვა დღეთა კრებული: —  
 ვიწრო ქუჩებში  
 აქლემთა წყება,  
 მტკვარზე ტივები აღამბრებული,  
 ქართულ მოლხენით  
 დამშვენებული,  
 დუდუკის ხნებით ამღერებული —  
 რაც წაუღია დღეს დაეწყება!

მივდივარ რაღაც გულსევდიანი,  
რომ ქაშუეთში,  
დღის განვლის ადრე,  
დავხედო საფლავს ორბელიანის  
და მის წინაშე  
თავდახრით დავდგე!

ირგვლივ კი ახალ ცხოვრების ძალით  
მთელი ქალაქის  
ახმაურება!

ბრძოლის, შენების ბრწყინვალე კვალი!  
გმირული შრომით —  
კაცის თუ ქალის —  
ზეშთაგონების გამოვლინება!

უამს შემოდგომის მე მიყვარს შენი  
გასხივოსნება  
ულრუბლო ცისა!  
ბაღები, წყნარი ფოთლების ცვენით,  
მორცხვი ალერსით,  
და, თითქოს, წყენით,  
დამშვიდობება დაკლებულ დღისა!

### ზამთრის მწუხარი

ამ ზამთრის მწუხრის ცა ღრუბლიანი  
სევდით დაჰყურებს გაძარცვულ მიწას.  
მარტო ვარ, ჩემთვის, ფიქრნაღვლიანი —  
ძველი ძალ-ღონე გულს ვეღარ იცავს.

დაიწყო უკვე ნელინელ თოვა.  
თოვლი დაფარავს დღეს ყოველ საგანს.  
სითეთრეს თოვლის სიამე მოაქვს.  
მცივა, პირამდე ვიხურავ საბანს!..

გავთბები ალბათ! უჩუმრად მოდის,  
რისი არსებაც არც კი მჯეროდა!  
სპეტაკი თოვლი მინელებს ლოდინს.  
ვინ არის, ხელს რომ მიქნევს ჩუროდან?!

ეს თამაშია თოვლის ფანტელის,  
თუ, მართლაც, მიხმობს, მდარაჯობს ვინმე?!  
იწვის და დნება ჩემი სანთელი...  
გვიანი მწუხარი აწევება მინებს.

შრიალი თოვლის. მე მიყვარს თოვა!  
თოვლი დაფარავს დღეს ყოველ საგანს.  
არავის ველი, არც არვინ მოვა!..  
მცივა, პირამდე ვიხურავ საბანს!

ამ ზამთრის მწუხრის ცა ღრუბლიანი  
თოვლით ეფრქვევა სევდიან მიწას...  
ვარ ჩემთვის, ჩუმი, ფიქრნაღვლიანი —  
ძველი ძალ-ღონე გულს ვეღარ მიცავს!





## როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის სამნაწილიანი დრამა

### მოკმედი პირნი:

1. მთქმელი — ახალგაზრდა კაცი
2. ანო — 22 წ.
3. მეგი — 22 წ.
4. უჩა გამრეკელი — 54 წ.
5. ნათო — უჩას მეუღლე — 50 წ.
6. პეტრუდა — 50 წ.
7. ოფელია — 45 წ.
8. ზურიკო — 25 წ.
9. ილიკო — 58 წ.
10. ელო — 50 წ.
11. კლავდიუსი — 56 წ.
12. მამლეტი — 45 წ.
13. ანოს დედა — შუახნის ქალი
14. ექთანი — ახალგაზრდა ქალი
15. გოგობის ქორო

სეტკალის ყველა მონაწილე სცენარზე. კუთხეში დგანან მთქმელი და გოგონა.

მთქმელი — აბა, შენ იცი!

გოგო — კარგი, კარგი, ნუ გეშინია.

მთქმელი — მთავარია, შენ არ შეგეშინდეს. რომ შემჯამე, ნიჭიერი ვარო,  
დაამტკიცე კიდევ. ტექსტი ხომ ისწავლე?

გოგო — რაღა დროსია!

აჩვენებს რვეულს

მთქმელი — ნუ აფრიალებ ასე, მომეცი!

გოგო — მქონდეს, უფრო თამამად ვიქნები.

მთქმელი — არ შემარცხვინო, იცოდე!

გოგო — ფეხებით, ფეხებით აბრაზუნებდნენ!

მთქმელი — არ მისმენ?

გოგო — (ლიმილით) დაწყება მიჭირს.

მთქმელი — მერეა ძნელი. თუმცა, ვნახოთ... წადი ახლა და როცა განიშნებ, მა-  
შინ შემოდი.

გოგო გადის



**მთქმელი** — (დ ა რ ბ ა ზ ს მ ი მ ა რ ი თ ა ე ს) მსახიობებმა გადავწყვიტეთ, რომ ვინც  
 მოვადგინოთ სპექტაკლი, რომელსაც საფუძვლად ჩვენს თეატრს მონაწილეობის  
 რი ნამდვილი ამბავი უდევს: ზუსტად ერთი წლის წინ დამწყები მსახიობი  
 გოგონა, რომელსაც ოფელიას როლი უნდა შეესრულებინა, პრემიერაზე  
 არ გამოცხადდა. გოგონას ანო ერქვა. ანო არა მარტო პრემიერაზე არ  
 გამოცხადდა, საერთოდ, სულ დაგვეკარგა. უგზო-უკვლოდ გაქრა. ჩვენ კი  
 დანაშაულის მტანჯველი გრძნობა დაგვიტოვა, რომელიც, რასაკვირველია,  
 ყველას ერთნაირად არ აწუხებს, მაგრამ ყველას ერთნაირად სურს ერთხელ  
 და სამუდამოდ მოიშოროს იგი.

ჩემი სცენარის მიხედვით, სპექტაკლის ყველა მონაწილე თავიდანვე  
 სცენაზეა. მათ სპექტაკლის მსვლელობის დროს თვითონ მოუწევთ დეკო-  
 რაციების აგება, თუ შეიძლება ასე ითქვას — უნდა ააწყონ თვითმფრინავი  
 ჰაერში!

რასაკვირველია, მიხედვით, რომ იმ ამბის ნამდვილი პერსონაჟები  
 სპექტაკლში არ მონაწილეობენ.

ერთადერთი, ვინც ჩვენი დასის წევრი არ არის, გოგონაა, ახლა რომ  
 ველაპარაკებოდი. მეოთხე წელია, თეატრალურ ინსტიტუტში აბარებს გა-  
 მოცდებს, მაგრამ ამაოდ. დიდი ხანია ვიცნობ, თუმცა სულ ცოტა ხნის წინ  
 შევამჩნიე, რომ ძალიან ჰგავს ანოს...

**უჩა** — (ს ა ა თ ზ ე ი ხ ე დ ე ბ ა) დავიწყობ, რატომ არ ვიწყებთ?

**მთქმელი** — ახლავე, ბატონო უჩა!

**დარბაზს**

— ეს ჩვენი თეატრის მთავარი რეჟისორი გახლავთ, უჩა გამრეკელი, „ჰამ-  
 ლეტის“ დამდგმელი, ანოს აღმოჩენილი...

**უჩა** — ვანა ვინმე გვაკლია?

**მთქმელი** — ყველანი ვართ, ოღონდ მოჩვენებას ველოდები!

**მეგი** — (გ ა მ ო ც ო ც ლ დ ე ბ ა) მოჩვენება მინდა-ა-ა!

**ელო** — მეგი, როგორ იქცევი?

**მეგი** — მოჩვენება მაჩვენეთ. მოჩვენება!

**უჩა** — რაც მალე დავამთავრებთ ამ კომედიას, უკეთესია! რაღა დაგიმალოთ და  
 ძალიან დავიძალე...

**ცოლს**

— შენც ხომ დაიძალე, ნატო?

**ნატო თანხმობის ნიშნად უღიმის**

— აი ჩემი მეუღლეც დაიძალა.

**მთქმელი** — საჭიროა მხოლოდ რამდენიმე დეტალის გახსენება. ხომ შევთანხმ-  
 დით?

**უჩა** — მერე რაღას უცდით? მოდი, დავანებოთ თავი მოჩვენებებს, კუდიანებს,  
 მკითხავეებს და საქმეს შევუდგეთ.

**მთქმელი** — კი ბატონო, კი ბატონო... ახლავე.

**ეძახის**

— ანო! ანო!

**ყველანი** — (გ ა კ ვ ი რ ვ ე ბ უ ლ ე ბ ი) ანო?

**მთქმელი** — (ე ძ ა ხ ი ს) ანო!

**ანო** — (ე უ ლ ი ს ე ბ ი დ ა ნ) ახლავე, ახლავე, მოგზარბივარ!

**სცენაზე შემოვარდება ანოს როლის შემსრულებელი გოგო, ყველანი გაკვირვებით შესც-  
 კერიან**

ანო — (მთქმელს ჩუჩულოთ) მაპატიე (იღიმება) შეშისაგან დაგურუვდი.

მეგი — კი მაგრამ... დაიცადეთ, დაიცადეთ! ეს რომ ანო არ არის?

მთქმელი — დიახ, ეს მოჩვენება გახლავთ!

მეგი — თმა კი მართლაც ანოსავეთ შეუკრეჭია! მაგრამ ანოს უფრო უხდებოდა, არა, ზურაა?

ანო — (მეგის) შენ, ეი!

მეგი — რა ვნებათ, პატივცემულო მოჩვენება?

ანო — დაინახავ, რაც მნებავს!

მთქმელი — (უყვირის) გაჩუმდი! ორივენი გაჩუმდით!

ცოტა ხნის მერე მშვიდად

— მიბასუხე, მართო ცხოვრობ?

ანო — (როგორც იქნა, მოწყვეტა თვალი მეგის) აუცილებლად უნდა ვიბასუხოთ?

მთქმელი — აბა, რისთვის შევიკრიბეთ აქ?

გოგოების ქორო — დიახ, ანო მართო ცხოვრობდა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რასაც თქვენ ვულისხმობთ „მართო ცხოვრებაში“. ანოს ბინა ჩვენი ბუნავი იყო, ჩვენი „თავისუფლების კუნძული“. რომელიმე ჩვენთაგანს რაიმე თუ ულხინდა, იქ ვზეიმობდით, შეგროვებული ფულით ვიყიდდით ერთ ბოთლ შამპანურს, ნახევარი გახსნისას გვეღვრებოდა... ასევე საერთო იყო რომელიმე ჩვენთაგანის უბედურებაც. ვინმე თუ ორიანს მიიღებდა, ან რომელიმე სახელმძღვანელო და ჩვენისთანა უჭკუო გოგოებისთვის ყოვლად მიუღწეველ კაცს შეიყვარებდა, ერთად, ხმამაღლა, მოთქმით, გემრიელად ვტიროდით.

მეგი — ორიანს ვულისთვის ტიროდით?

ანო — (მთქმელს) უთხარიტ რა, დაგვაცადოს!

მთქმელი — (მეგის) გვაცალეთ, თუ შეიძლება!

ანოს

— მაინცდამაინც, შენ რატომ მოგიკაყუნეს?

ანო — მაგას რა გამოცნობა უნდა?

მეგი — მართლაც, რა გამოცნობა უნდა მაგას?

მთქმელი — (მკაცრად) ქალბატონო მეგი... (ანოს) მაინც, მაინც?

ანო — მე ხომ პირველ სართულზე ვცხოვრობ!

მთქმელი — მერე?

ანო — მერე? (რადაცას იხსენებს, ღიმით) მერე შემეშინდა.

მთქმელი — რისი?

ანო — როგორ თუ რისი?

მეგი — ანო უფრო ჰკვიანი იყო, თუმცა მოჩვენების კვალობაზე არც ეს არის უჭკუო.

ანო — (მთქმელს) მე წავალ!

მთქმელი — (გაბრაზდებდა) რაო? წავალო? რომ მეხვეწებოდი, სცენაზე გამოყვანეო, დაგავიწყდა? აი შენი სცენა!

მშვიდად

— ნუ აქცევ ყურადღებას. შენ ის მითხარი, რისი შეგეშინდა?

ანო — (რვეულში იხედვება) თქვენ რა იცით, რა არის მართო ცხოვრება. შუა ოთახში ვიდგები და ვკანკალებდი. ფეხებით, ფეხებით აბრაზუნებდნენ.

მე კარი გავაღე...

მთქმელი — აკი შემეშინდაო?



**ანო** — თვითონაც არ ვიცი, რატომ გავაღე კარი. ორნი იყვნენ დაჭრილნი...  
 შემოათრიეს, საწოლზე დააწვინეს, სასწრაფო დახმარებას დაუბრუნებენ,  
 მთხოვეს, კი არ მთხოვეს, მიყვირეს. მეც დავრტყე. თვითონ რატომ არ და-  
 რეკეს, არ ვიცი. მაშინვე წავიდნენ... არა, მთვრალეები არ ყოფილან... მე-  
 ტრი არაფერი უთქვამთ... ერთი ტიროდა... წავიდნენ, გაიქცნენ... შეიძლება,  
 თვითონ დაჭრეს, ანდა შეეშინდათ, ჩვენ არ დავგაბარალონო...

**მთქმელი** — შეიძლება, შენთვისაც დაგებრალეხინათ.

**ანო** — აბა კი! რასა ბრძანებ!

**შეცვლილი ხმით**

— ექიმებმა მითხრეს, კარი რომ არ გაგლო, მოკვდებოდაო. სხვანაირად რო-  
 გორ უნდა მოგქცეულიყავი?..

**უჩა** — მე ჯერჯერობით ვერ გავაჭკვიე, რა როლს ასრულებს ეს უცნობი გო-  
 გონა?

**მთქმელი** — ეს გოგონა შეეცდება გააკეთოს ის, რასაც გააკეთებდა ანო. ისინი  
 ტოლები არიან, დაახლოებით ერთნაირად აზროვნებენ, ერთნაირად ცხოვ-  
 რობენ...

**მეგი** — მოჩვენებაც მარტო ცხოვრობს?

**მთქმელი** — დიახ, ეს გოგონაც ანოსავით მარტო ცხოვრობს.

**უჩა** — ნამდვილი ანო აქამდე ვერ იპოვეთ?

**მთქმელი** — ბატონო უჩა, თქვენ თუ გაუღებდით კარს, თუ შეიფარებდით და-  
 კრილ ადამიანს შუაღამისას?

**უჩა** — მე?

**ცოლს გადახედვს**

(ღ ი მ ი ლ ი თ) როგორ მოვიქცეოდით, ნატო?

**მთქმელს**

— დაბეჭდვებით ვერ გეტყვით, მაგრამ ალბათ ვერ გავუღებდი. მარტო მე კი  
 არა, უმრავლესობა ასე მოიქცეოდა. საავადმყოფოში კი წავიყვანდით,  
 საკაცესაც ჩვენ თვითონ ვათრევდით, დავიქანცებოდით, გავიხიბოთქებო-  
 დით, ზედ გადავყვებოდით, თავზე შემოვყვებოდით, მაგრამ შინ კი არ  
 შევუშვებდით. სინდისის წინაშე თავს იმით ვავიშარბოდით, საავადმ-  
 ყოფოში უკეთესად მიხედავენო. ასეა!.. ამის მიზეზი კი თქვენ ჩემზე უკე-  
 თესად იცით, ეს ვახლავთ შიში. ვისაც გვეშინია, ერთმანეთის გვესმის, მა-  
 გრამ არ გვესმის ამ გოგონასი, რომელიც სხვანაირად მოიქცა.

**ანო მონუსხულივით შესცქერის უჩას**

**მთქმელი** — (ა ნ თ ს) გამოფხიზლდი, შენი რიგია!

**ანო** — უეცარავად... (რ ვ ე უ ლ შ ი ი ხ ე დ ე ბ ა) როგორ დავიბენი.. აი ვი-  
 პოვე (უ ჩ ა ს) გახსოვთ, როგორ მიყვირეთ?

**უჩა** — გიყვირეთ? არ მახსოვს...

**ანო** — ასე მგონია, ასი წლის წინ იყო. ინსტიტუტი ახალი დამთავრებულ  
 მქონდა, სწორედ უშტატო მსახიობის ბოშური ცხოვრების დაწყებას ვაპი-  
 რებდი, თქვენ რომ დამძახეთ. გიყვირთ გამოვვარდი. კიბეზე საბოების ბრა-  
 ხაბრუხით ამოვიბრინე. რა მატარებელივით დადიხარ, დებილო, მეტყო-  
 და ხოლმე ჩემი პედაგოგი ჰამლეტი. მაშინ მივხვდი, რომ სიმართლეს მეუ-  
 ბნებოდა. კაბინეტის კარი შემოვალე. მობრძანდითო, მითხარით. მეც შემო-  
 ვბრძანდი. ვერ ვიტან, მეზიზღება, ცუდად ვხდები, როცა შენობით ელაბა-  
 რაკებთან უცნობ ადამიანს. დაბრძანდითო, მითხარით და დავბრძანდი. რა  
 გნებავთო, მკითხეთ და მხრები ავიჩიჩე, ვითომ მე კი არა, თქვენ რა გნე-

ბავთ-მეთქი. ცოტა ხანს დაკვირვებით მიყურებდით, ფანჯარაში გავიხედე, ვითომ სრულებითაც არ ვგძნობდი თავს უხერხულად, ასე რომ მიყურებდით. ოფელია თუ გაგიგონიათო? — მკითხეთ. მთელი ტანით ვიგრძენი, რომ არ დამცინოდით, მართლა გაინტერესებდათ, ვიცოდი თუ არა, ვინ იყო ოფელია. დიახ, გამიგია-მეთქი. გინდათ, ოფელიას როლი ითამაშოთ? თქვენმა სიტყვამ თითქოს ფეხქვეშ მიწა გამომაცალა, ნერწყვი ძლივს ჩავყლაპე და ვითხარით, თქვენ რა იცით, რომ მე ოფელიას როლის თამაში მინდა-მეთქი? ყველას უნდაო, ვაგეცინათ თქვენ. შეიძლება, ვიპასუხეთ რატომღაც გაღიზიანებულმა, — მაგრამ აი მე კი ამ როლს არ ვითამაშებდი-მეთქი. რატომო? — ეტყობა ჩემი ნათქვამი მოულოდნელი იყო თქვენთვის. იმიტომ რომ მეშინია-მეთქი. ახლოს მოხვედით, ნიკაბი თითით ამიწიეთ და თვალბში ჩამხედეთ უცებ გული ყელში ამომივცდა. რატომღაც ტირილი მომინდა, ძლივს შევიკავე თავი. ხელი გამიშვით, თქვენს სკამთან დაბრუნდით, დაჯექით, სიგარეტს მოუკიდეთ და როდის-როდის გავიგონე ისევ თქვენი ხმა, მაინც რისი გეშინიათო? კინაღამ ვიყვირე: მე რა ვიცი, რისი მეშინია, რატომ ეშინიათ მიწისძვრის, ხანძრის, ქარიშხლის? აი, ასევე, ამიტომ, ამის... კიდევ კარგი, ეს სისულელე ხმამალა არ ვთქვი. იმასაც ხომ არ გეტყოდით, რომ მე მეშინია ყველაფრის, რაზედაც ვიცნებობ. დღ-ხანს ვისხედით ჩუშად. მეგრ მითხარით, თქვენზე რამე მომიყვებითო. მე კი ენა ჩამივარდა. ჯერ დამილით შემომცქეროდით, მეგრ რომ არ იქნა და ხმა აღარ ამოვიღე, ეტყობა, მოთმინება დაკარგეთ და მიყვირეთ. (ღ ი მ ი ლ ი თ) სხვათა შორის, თქვენობით მიყვირეთ! (გ ა ნ ა გ რ ძ ო ბ ს მ ო ყ ო ლ ა ს) მაშინ კი შემეშინდა, თუ რა იყო, პირი რომ გავაღე, აღარ გავჩუმებულვარ. ყველაფერი მოგიყვით, რაც ვიცოდი, თუ არ ვიცოდი. ტყუილი და მართალი. ისიც კი ვითხარით, როგორ მივიღია შინ ომში დაღუპული ბიძის სურათი, ისიც დავუმატე, დედა ყოველთვე ოცდაათ მანეთს მიგზავნის და რა კარგია, მარტო რომ ვცხოვრობ მეთქი... მეგრ თქვენ რეპეტიციასე წამიყვანეთ....

დღავდიუსი — (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს), „როგორ იმყოფები, საყვარელო ძმისწულო ჩვენო?“

მამლეტი — (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს), „ძალიან კარგად ვახლავართ“.

მთქმელი — (ტ ა შ ს შ ე მ ო ჰ კ რ ა ვ ს) კარვით, კარვით, გვეყოფა, „მამლეტი“ ჩვენ უკვე ვითამაშეთ და წარმატებითაც. სჯობს, ჩვენს მკვდარს მივხედოთ.

უჩა — მკვდარს?

მთქმელი — მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ყველა წვრილმანი. ნელ-ნელა სიმართლესაც მივადგებით. პაწაწინა ქვებით დიდი სახლი შენდება ანო, განაგრძე!

ანო უჩახ შესცქერის, არ ეხმის

მეგი — ეი, მოჩვენებავე, შენ გეუბნება!

ანო — (გ ა მ ო ე რ კ ვ ე ვ ა) ახლავე, ახლავე... სულ ამერიკა ყველაფერი...

რეფულს ფურცლავს

მთქმელი — (უ ყ ვ ი რ ი ს) აკი ზეპირად ვიციო?

ანო — (უ მ წ ე ო ღ ი მ ი ლ ი თ) დამავიწყდა.

უჩა — (ან ო ს თ ა ნ მ ი ვ ა) თქვენ ანოს იცნობდით?... ნამდვილ ანოს?

ანო — არა, არ ვიცნობდი.

უჩა — (ღ ი მ ი ლ ი თ) ის თუ იცით, ანოს რომ გავხარო?

ანო — არა, არც ეგ ვიცი.

გოგოების ქორო — ჩვენ რომ ვეტყოდით, ბებერია შენი უჩაო, ყურებზე ხელებს აიფარებდა და იდგა, ასე, გაღიმებული...

ანოს

— გოგო, იმას ხომ ცოლი ჰყავს?

ანო — (ყურებზე ხელე ბარებულო) არაფერი მესმის, არაფერი მესმის...

გოგოების ქორო —

ო, ზურიკო სულ სხვა ბიჭი იყო:

ლამაზი,

წესიერი,

განათლებული...

მანქანაში, უკანა ფანჯარასთან.

წიგნები ეწყო...

ანო — და პატარა ცოცხი!..

ზურიკოს მანქანაში

ზურიკო — გავიგე, თეატრში მიუწვევიხართ.

ანო — ხო.

ზურიკო — ალბათ პროგრამების გამყიდველად, არა?

ანო — არა.

ზურიკო — აჰ, უკაცრავად. არ მითხრა, ოფელიას როლი მომცესო!

ანო — მოდი, თბილისის ზღვაზე წავიდეთ.

ზურიკო — კი ბატონო, მაგრამ ამ სიცოცხლეში ზღვაზე რა გავაკეთოთ?

ანო — ჯერ მივიდეთ, მოვიფიქრებთ რამეს.

ზურიკო — მაინც ასეთი დიდი როლი რატომ მოგცეს, როგორ განდეს ამოდენა საქმე?

ანო — დამიბარეს და მითხრეს, იმ როლიდან წითელი კაბა უნდა გამოჭრა და კრელი მაქმანიანი ნიფხავიო.

ზურიკო — აი ხომ ხედავ, არც შენი როლი გიყვარს.

ანო — სხვა რა ან ვინ არ მიყვარს? სხვათა შორის, მაგ სიტყვაზე, ჩემო ზურიკო, ალერგია მემართება, სიცილი ამიტყდება ხოლმე, ვიციანი და ვიციანი...

ზურიკო — გრცხვენია და იმიტომ.

ანო — ვკვდები სიცილით. მრცხვენია? რატომ უნდა მრცხვენოდეს?

ზურიკო — სიყვარული ხომ ახლა ქაჯობად ითვლება.

ანო — არაფერიც! სიყვარული ჩემთვის თეთრი ეტლივითაა, ოქროსფერი ღერბითა და პარიკიანი მეეტლეებით.

ზურიკო — ამიტომაც გეუბნები, გრცხვენია-მეთქი. სიყვარული ახლა მოდაში არ არის!

ანო — ზურიკო, ზურიკო, რა ბებერივით ლაპარაკობ!

ზურიკო — იმიტომ, რომ სიმართლეს გეუბნები?

ანო — როცა უყვართ, ამდენს არ ლაპარაკობენ! გააჩერე მანქანა!

ზურიკო — აკი ზღვაზე წავიდეთო?

ანო — გადავიფიქრე. ისე შენ იმ ეტლის კოფოზეც არ დავსვამდი.

ზურიკო — (სიცილით) მაინც ხომ გაგაბრაზე?!  
ანო — უკაცრავად შენთან! ჩემი გაბრაზება ასე ადვილი არ არის. ახლა შინ წამიყვანე, თუ არ გცალია, ფეხით წავალ...

ზურაბო — ფეხით რატომ უნდა წახვიდე? მეც გზა იქითა მაქვს, ბარემ მი-  
გეყვან.

გოგოები — ანოს სიხარულისგან თავბრუს ეხვეოდა. იმ წუთას ყველა უყვარდა-  
ხუმრობა ხომ არ იყო, თეატრში დაუძახეს, ოფელას როლი მისცეს! იმ  
სალამოს ანოსთან შევიკრიბეთ, ვიყიდეთ შამპანური და დავლიეთ! ნახევარ-  
რი ისევ დაგვეღვარა...

**ანო ქიქით ხელში წინ გამოდის**

ანო — რა კარგია, როცა ვილაცა დაგინახავს, შეგამჩნევს, კარგია, როცა ვინმეს  
სჭირდება. რა კარგია, როცა იცი, რომ ვილაცა ფიქრობს შენზე, ვილაცას  
ახსოვხარ. აი როგორ ყოფილა ეს ქვეყანა აწყობილი: თუკი ერთი ლექსი  
მანინც იცი ზეპირად, ვილაცას უსათუოდ, უსათუოდ, უსათუოდ, როდისმე  
როდისმე, როდისმე მანინც დასჭირდება...

გოგოები — და ჩვენ ანო დაგვეკარგა, ველარ ვხვდებოდით, ველარ ვხვდავ-  
დით, მისი ხმა აღარ გვესმოდა. ანო მთლიანად თეატრში გადაბარგდა და  
ყველაფერი თან წაიღო: სიხარული, მწუხარება, სიმღერა, ცეკვა... მისთვის  
აღარ არსებობდა ამხანაგი, ტელეფონი, ფირფიტები, კინო... შინ გვიან  
ბრუნდებოდა, დაქანცული, მთელი შთაბეჭდილებებით გაბრუნბუ-  
ლი, აღგზნებული... სიბნელეში თვალახელილი იწვა და ფიქრობდა...

ანო — ვიწეკი და ვფიქრობდი, როდის გათენდებოდა. სიხმარშიც ისევ თეატ-  
ში ვიყავი. ისევ რეპეტიციაზე, ისევ თქვენთან... იქ სადაც თქვენ იყავით,  
ბედნიერად ვგრძნობდი თავს. როგორც კი წახვიდოდით, ქვეყანაც ცარიელ-  
დებოდა. თქვენს თანამგზავრად ვიქეცი, უფრო სწორად — თქვენს ჩრდი-  
ლად. დაგყვებოდით უკან, დაგვევდით მთელ ქალაქში, გიცდიდით ქუჩა-  
ში, საათობით ვიჯექი კიბის საფეხურზე იმ სადარბაზოში, სადაც თქვენ კვი-  
რასი ორჯერ დადიოდით. მე ვიცოდი, ვინც ცხოვრობდა იქ, ჩვენი და-  
სის მსახიობი ქალი, ამიტომაც ჩემი გული სავე იყო ბობოქარი, გადარე-  
ული ფიქრებითა თუ განზრახვებით. მეგონა, ექვსის ფოლადის კლანჭებით  
სული მეფლობებო. ერთი-ორჯერ კართანაც მოვედი, არ ვიცი, რა კეთილ-  
მა ძალამ შეაჩერა ჩემი ხელი, რომელიც უკვე ზარის დასარეკად მქონდა  
გაწვდილი... თქვენ რომ გაველოთ კარი, ან თუნდაც იმას, ვინც თითქოს  
თქვენი მეუღლის მეგობარი იყო, რა უნდა მეტქვა, რატომ მოვედი-მეთქი?...  
ქუჩაში უკან როცა მოგვევდით, თქვენს გარდა, სხვას არაფერს ვხვდავდი.  
თვალმოუშორებლად გიყურებდით, თითქოს მობარებული ბავშვი ყოფილი-  
ყავით. მართლაც, საფრთხის საოცარი გრძნობა მქონდა, თითქოს თვალს  
თუ მოგაშორებდით, რაღაც დაგემართებოდათ, ან მანქანა დაგეჯახებოდათ,  
ან აფური ჩამოვარდებოდა ზემოდან, ანდა ვილაცეები მოგიტაცებდნენ...  
ამავე დროს ეს საფრთხის გრძნობა ჩემთვის ნაცნობი იყო. ათი წლის წინ,  
ჯერ კიდევ ბავშვი, აი ასევე შეშინებული, გულამოვარდნილი დავდევი,  
არ ვმორიდებოდი ერთ ჩემ მუზონბელ მსუქან, ლოყაწითელ ბიჭს, რომლი-  
სთვისაც მზრუნველ დედას შავი თმა თითქოს სასახავით შუაზე გაეყო და  
ბრიოლინით გადაველისა. იმ ბიჭს, როგორც პატარა მუსიკოსს — მუსიკო-  
სი მართლა იყო, ვიოლინოზე უკრავდა — თეთრ პერანგზე შავი ბაბთა ეკე-  
თა და ის შავი პეპელასავით ბაბთა ქუჩაზე მშლიდა, მაგრამ აღტაცებასთან  
ერთად მწვავე, უსახვრო სიბრაულულითაც მავსებდა. დიახ, მე ის ბიჭი  
კი არ მიყვარდა, მებრალებოდა, თუმცა მას ჩემი შესაბრალი არაფერი სჭი-  
რდა, მაგრამ ღმერთს, ეტყობა, ჩემთან დაკავშირებით თავიდანვე რაღაც  
შეეშალა — სიყვარულის ნაცვლად სიბრაულულის უნარი მიწყალობა და ამი-

ტომაც ყველას აოცებდა ჩემი სიყვარულ-სიბრალოლე, აოცებდა კი არა, აშინებდა. ერთ დღეს იმ ბიჭის დეიდები მოვიდნენ დედაჩემთან, მაშინ ჯერ კიდევ დედასთან ერთად ვცხოვრობდი, უთხრეს, ქალბატონო, იქნებ როგორმე დაგვანებოს თქვენმა ქალიშვილმა თავი, იქნებ როგორმე დააბათ შინ, უსათუოდ მილიციას ხომ არ გამოვუძახებთო. რასაკვირველია, დედამ ვერ დამაბა, ერთხელ მისი მუსიკის მასწავლებლის სადარბაზოში, სადაც, ისევე, როგორც თქვენს მოლოდინში, კიბეზე ვიყავი ჩამომჯდარი, ბულდოგი მომიქსიეს... დიახ, მუსიკის მასწავლებელმა მომიქსია ბულდოგი.

თქვენ მეტად ერთფეროვანი მარშრუტი გქონდათ: სახლი, თეატრი, და ხო, იმ მსახიობი ქალის სახლიც. იმ მსახიობი ქალის სახელი არავისთვის მოთქვამს, ჩემი მეგობრებისთვისაც კი, თუმცა მით უმეტეს მათ არ ვეტყობდი, რადგან ყველაზე მეტად მათი შემრცხვებოდა, თითქოს თქვენ მე მლაღატობდით... აი, როგორი სულელი ვიყავი! მაგრამ მე ერთხელ თქვენმა მეუღლემ შემადრწუნა. ერთ დღით როცა ჩვეულებისამებრ თქვენი ტელეფონის ნომერი ავკრიფე და თქვენი ხმის მოსასმენად მოვემზადე, ეს იყო ჩემი დილის ულუფა: ორი სიტყვა: გისმენთ, ალო, რადგან მერე ტელეფონის მილს ახეტებდით, თქვენს ნაცვლად თქვენმა მეუღლემ მიპასუხა, გისმენთ. მე მილი რატომღაც ვერ დავკიდე, შეიძლება მოულოდნელობისაგან ვავშრი უცებ, ცოტა ხნის დუმილის მერე თქვენმა მეუღლემ თქვა, თქვენ გინდათ მითხრათ, უფრო სწორად, მიმასწავლოთ, თუ სად არის ახლა ჩემი მეუღლე, არა? მე ყურმილი დავკიდე და შემეშინდა... არა, თქვენი მეუღლის გულთმისნობამ კი არ შემეშინა, არამედ მისმა ხმამ, თითქოს ავტომატის ფირზე იყო ჩაწერილი, თითქოს ვეკითხებოდი, რომელი საათია-მეთქი და ის მპასუხობდა, ცხრის ნახევარიაო. ხო, იმას ვამბობდი, ერთფეროვანი მარშრუტი გქონდათ-მეთქი, იმდენად ერთფეროვანი, ზოგჯერ ვბრაზდებოდი, ნუთუ სხვა არაფერი აინტერესებს-მეთქი. ერთხელ კი მოულოდნელად კიროვის ბაღში შეხვედით. მაშინ გადავწყვიტე, დაგნახებოდით, ვავიქეცი, შორიდან მოვუარე და ხეივანში ვითომ შემთხვევით შეგვეფეთეთ.

უჩა — (ანოს მიმართავს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება არჩება, თითქოს ხმამაღლა თცნებობდეს) დიდი ხანია აქ არ ვყოფილვარ. არადა, ეს ჩემი ბავშვობის ბაღია. მე ხომ ამ უბანში ვავიზარდე... სულ მინდოდა აქ მოსვლა და ვერ კი ვახერხებდი. ხვალ, ხვალ, ხვალ-მეთქი და ასე ვავიდა წლები. ხვალ წავალ, ხვალ ვნახავ, ხვალ წავიკითხავ, ხვალ ვუპასუხებ, ხვალ ვიტყვი... მაგრამ ის „ხვალე“ არ იქნა და აღარ დადგა...

ნატო, პეტრულა და ოფელია  
პეტრულა — ნატო, აი მე და შენ ერთად ვსწავლობდით. აბა თუ გაიხსენებ, რამდენჯერ ვყოფილვართ ბაღში ჩვენზე გაცილებით უფროს მამაკაცთან ერთად? ვერ გაიხსენებ. მე ვანა ამას რაიმე მნიშვნელობას ვანიჭებ, მაგრამ მაინც... სრულიად შეიცვალა ყველაფერი. დემერთო, რა თავხედები არიან ეს ბავშვები!

ოფელია — რა ბედნიერი ხართ, ქალბატონო ნატო, ასეთი ქმარი რომ გყავთ. ჩემმა ქმარმა ტელევიზორისა და ლოგინის მეტი არაფერი იცის. როგორი ყურადღებინია ბატონი უჩა, დიდთან დიდია და პატარასთან პატარა...

ნატო — (ღიმილით) რა სისულელეა, რა სისულელეა, რა სისულელეა...



უჩა და ანო

უჩა — ანო, მე მინდა რაღაც ვითხარათ, კარგა ხანია ვაპირებ...

ანო — შე მივხვდი, რისი თქმაც გინდოდათ, მივხვდი, რომ თავიდან ფეხებამდე გაყიდული ვიყავი, თქვენ ან შემამჩნიეთ, უჩან რომ დაგყვებოდით, ანდა ვილაკამ ვითხარათ. ო, მოქმელი, იცოცხლე, ბევრია, ალბათ იმასაც მიხვდით, რომ შემთხვევით არ ვიყავი ბაღში, თუმცა ამას რა მიხვედრა უნდოდა! მაშინ მეგონა, რომ ყველაფერს შემუმჩნევლად ვაკეთებდი, უჩინმაჩინის ქული მეხურა და ისე დაგყვებოდით ქალაქში... როგორც... ნუ გაგვიცინებთ, პირადი მცველი! არ გამტყუნებთ, მაგრამ თქვენი საყვედურის მოსმენა მე არ შემეძლო, გული გამისკდებოდა. ალბათ, ასევე საშინელი იქნებოდა ამის თქმა თქვენთვისაც, შეგეტყუოთ კიდევ, ხმა გაგებზარათ, გაგიტყდათ, სახე ჩამოგიგრძელდათ, უცებ დაბერდით. ამიტომაც, დავასწარით და ვითხარათ: გინდათ... გინდათ ცირკში წავიდეთ-მეთქი. „ღმერთო, — ფიქრობდი გულში, — ნუ იფიქრებს, რომ მე უზრდელი და უმჯეო გოგო ვარ. ღმერთო, ნუ აფიქრებინებს ასე“. თქვენ ხმა აღარ ამოგიღიათ...

გოგოები — ანომ თქვა, არსად იმდენი კეთილი ადამიანი არ შემხვედრია, რამდენიც თეატრში...

გოგოები — შინ მობრუნებული ანო დიდხანს იდგა ბიძის სურათთან. თუ რაიმე მნიშვნელოვანი შეემთხვეოდა, ბიძას უსათუოდ მოუყვებოდა ხოლმე.

ანო — აი ის თეატრი, ბაწაწინა ოქროსღერბიანი ეტლი თითქოს მინის ყუთში ძაფით ჰკიდია, მეც ბაწაწინა ვარ, მეც იმ ბაწაწინა ეტლში ვზივარ, ჩემს ირგვლივ კი უსაზღვრო სივრცეა გადაშლილი, მაგრამ ვიცი, რომ მინის კედლებს ვერაფრით ვერ გავარღვევ. ეტლი კი ჰკიდია ჰაერში და ქანაობს, თავისთვის ქანაობს...

გოგოები — მერე დაწვა, შუქი ჩააქრო... ზურციკომ რომ დაურეკა, უკვე ეძინა... ხარის ხმამ გამოაღვიძა, ტელეფონი საწოლთან ედო, ხელის ფათურით მოძებნა ბნელში ყურმილი...

ანო — გისმენთ...

ზურციკო — ყველაფერს დავანებებ თავს, მიმიფურთხებია ასპირანტურისთვის, ყველაფერისთვის... წავიდეთ სადმე, გადავიკარგოთ...

ანო — ზურციკო ხარ?

ზურციკო — ხო, სხვა ვინ უნდა ვიყო?

ანო — მთვრალი ზურციკო...

ზურციკო — მომიმინე...

ანო — უსათუოდ უნდა გადავიკარგოთ? აუცილებელია? რა კარგ სიზმარს ვხედავდი, რომ იცოდე!

ზურციკო — აბა რა ვქნათ, მითხარი?

ანო — მარტო სიმთვრალის დროს რატომ ვახსენებდი, ზურციკო?

ზურციკო — მე სულ მახსოვხარ... მართლა მიყვარხარ!

ანო — რა სისულელეა! ზურციკო, იცოდე ამ გაღვიძებისთვის როდისმე უსათუოდ დაგსჯი. დაიხსომე! მეც უღროუღროდ გესტუმრები შინ... ირეკება ზარი, კარს აღებ და — ანო!

გულიანად იცინის

ზურციკო — შემომიშვი შენთან, ანო, აქვე ვარ, შენს სახლთან! ერთი წუთით.

ანო — აკი მიყვარხარო?

ზურციკო — მიყვარხარ, შენი გულისთვის ყველაფერს გადავკეთებ.

ანო — სხვათა შორის, მე ახლა მიმინავს, ზურციკო.

... (თიხრის ხმა) — ზურციკო

ზურციკო — მინდა, რომ ბედნიერი იყო. გაიღვიძე!

ანო — უკვე გავიღვიძე. კარგი ახლა, ზურციკო, გვეყოფა. ნახვამდის.

ზურციკო — ანო, მიყვარხარ, გესმის!

ანო — ხო, მესმის...

კიდეებს ყურმილს,

ტელეფონი მაშინვე რეკავს

ანო — (იღებს ყურმილს) რატომ ცელქობ, ზურციკო?

ზურციკო — შენ მე მართლ სიმთვრალეში არ მახსოვხარ!

ანო — (სიცოცხლით) აჰა, გულზე მოგხვდა, გეცნო? კი არ გიყვარვარ, ბრაზობ!

ზურციკო — რატომ ვბრაზობ?

ანო — გეტყვი, თუ თავს დამანებებ.

ზურციკო — ხო, დავანებებ.

ანო — გეტყვი და მაშინვე დაგვიღებ ყურმილს... გახსოვს, ნუციკოსთან რომ ვცეკვავდით, იქ გავიცანით ერთმანეთი...

ზურციკო — როგორ არა, მახსოვს.

ანო — ის თუ გახსოვს, მეორე ოთახში რომ გამიყვანე?

ზურციკო — მახსოვს.

ანო — კარი რომ ჩაექეტე?

ზურციკო — ხო...

ანო — და რომ არაფერი გამოგივიდა, მერე გადაირიე... და ამიტომაც ბრაზობ, შენს თავზეც და ჩემზეც... ხომ მართალი ვარ?

ზურციკო — არა, ანო...

ანო — ნახვამდის.

ზურციკო — დაიცადე...

ანო კიდეებს ყურმილს;

ტელეფონი მაშინვე რეკავს;

ანო იღებს ყურმილს

ანო — (გაბრაზებულად) ხომ გითხარი, გვეყოფა-მეთქი!

ჰერტრუდა — ეს მე ვარ, ანო, ჰერტრუდა დეიდა...

ანო — აჰ, უკაცრავად...

ჰერტრუდა — მოგაბეზრეს თავი ალბათ, გირეკავენ და გირეკავენ, კარგია, კარგია, რა ჯობია მაგას... შაბათზე, ასე გვიან რომ გირეკავ...

ანო — ქალბატონო ჰერტრუდა, მე არ დამვიწყებია...

ჰერტრუდა — გამამწარა ამ ძირმეგარამ.

ანო — ხომ გითხარით, ჩვენი სახლის უკან საესეა მინდორი მრავალქართლეთი, ხვალ დილით მოგკრიფავ და მოგიტანთ.

ჰერტრუდა — დიდი მადლობა, ანო, ვიცოდი, რომ არ დაგავიწყდებოდა...

სალამოს თეატრში ხომ არ გამოგივლია?

ანო — არა.

ჰერტრუდა — შემთხვევით ბატონი უჩასთვის ხომ არ მოგიკრავს თვალი?

ანო — კი, როგორ არა, ბატონი უჩა ენახე...

ჰერტრუდა — სად?

ანო — ბატონი უჩა შემხვდა ბაღში.

ჰერტრუდა — ბაღში?

ანო — კიროვის ბაღში...

ჰერტრუდა — უჩას ბაღში რა უნდოდა?

ანო — არ ვიცი.

ბერტრუდა — ნატომ სამჯერ დამირეკა...

ანო — ალბათ სეირნობდა...

ბერტრუდა — რა თქვი?

ანო — აბა, ბაღში სხვა რა ენდომებოდა?

ბერტრუდა — ხო-ო... აბა, ანო, მადლობთ, გენაცვალე. ნახვამდის. მრავალ-  
ძარღვა არ დაგავიწყდეს.

ანო — ნახვამდის... არ დამავიწყდება...

დებს უფრშილს;

ცოტა ხანს უძრავად დგას, მერე ბიძის სურათთან მიდის

— მუსიკის მასწავლებელმა ბულდოგი მომიქსია, თუ ეს უკვე გითხარი?  
...ყველას ათასი დეილა თუ მამიდა ჰყავს... ვიტრინაში გამოდგმულ ტორტი-  
ვით, ხელს ვერ შეახებ, ნამცეცს ვერ მოაკლებ...

დიმილით

— ვიტრინაში გამოდგმულ ტორტივით...

იღამიანს ჰგონია, ვისაც უნდა, თავის თავს იმას გაუნაწილებს: აი შენ კრე-  
მიანი ნაჭერი, აი შენ შოკოლადიანი ლუქმა... უკაცრავად, ვერ მოგართ-  
ვით! ვიტრინაში გამოდგმულ ტორტივით, გამოდგმულ ტორტივით ვიტრი-  
ნაში, ტორტივით ვიტრინაში გამოდგმულ... უჩას ბაღში რა უნდოდა? რა  
უნდოდა უჩას ბაღში? ბაღში რა უნდოდა უჩას? ვიტრინაში გამოდგმულ  
ტორტივით...

სახეზე ხედებს აიფარებს, კარგა ხანს დგას ასე, მერე ხედებს ჩამოიღებს, მოქმელს გაუ-  
ღიშებს

— დავიღალე!

მოქმელი — კარგი, ცოტა დაისვენე!

ანო — როგორი იყო?

მოქმელი — ჯერჯერობით, არა უშავს...

კლავდიუსი — ყოჩაღ, ყოჩაღ, აჰა, დაიჭი!

გადაუღებს კანფეტს, ანო მერეში დაიჭერს, დაჭდება, უფრო სწორად — გადაეხვენება  
სკამზე, დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი, კანფეტს ფცქვინს.

ანო — (ღ ი მ ი ლ ი თ, თ ა ვ ი ს თ ვ ი ს) მე ხომ ვიცი, დღეიდან ანო შემერქ-  
მევა...

ურა და ნატო

ნატო მანქანაზე ბეჭდავს, უჩა მის გვერდით ზის.

ურა — (პ ა უ ზ ი ს მ ე რ ე) რამდენჯერ გითხარი, გვიანობამდე ნუ პიცილი-  
მეთქი.

ნატო — მე შენ არ გიციდი. ვმუშაობ.

ურა — ააა, მე მეგონა...

ნატო — არა, მე ყოველთვის ასე გვიანობამდე ვმუშაობ. წვიმს?

ურა — იწვიმოს, რა მოხდა?

ნატო — რატომ ბრაზობ? შენ ხომ წვიმა გიყვარს.

ურა — დავიღალე.

ნატო — ჰირდაპირ მითხარი, რა გინდა, რატომ ჩამომიჭექი აქ. ხომ ხედავ, ან  
მცალია.

ურა — შენ ჩემთვის არასოდეს გცალია.

ნატო — ოპო? როდის მერე შეამჩნიე ეს?

ურა — რას აკეთებ?

მაგიდიდან იღებს ჰააღლს

— ჩვენი ჰამლეტისა არ იყოს, უსათვალოდ ვერც მე ვხედავ... როდის მიყ-  
ვარდა წვიმა?

ნატო — დიგვიწყდა... მე კი მახსოვს...

უჩა — მთელი დღე ასე მუშაობ, მოწაფეები, ბეჭდვა... მთელი დღე მარტო ხარ.

ნატო — არაფერი მიჭირს. მე მიყვარს მუშაობა. მომეცი სიგარეტი.

უჩა აწვდის სიგარეტს, ცეცხლს უკიდებს.

— რას ვაკეთებ და დიკენსს ვთარგმნი. ამას უკვე მერამდენედ მეკითხები და მეც მერამდენედ ვბასუხობ...

უჩა — შენ სულ დიკენსს თარგმნი...

ნატო — ხო, მე სულ დიკენსს ვთარგმნი.

უჩა — ამიტომაცა ხარ ასეთი მშვიდი.

ნატო — შენ რომ სიმშვიდე გგონია, მოთმინება.

უჩა — (ცოტახნისმერე) კიდევ დარეკეს?

ნატო — განუწყვეტლოვ რეკავენ.

უჩა — რა გვინდაო, რატომ არ გაცლით ცხოვრებასო?

ნატო — იცი, ჩვენი ცხოვრება საინტერესოა... სხვებისთვის.

უჩა — სხვებისთვის? ჩვენთვის? ჩვენთვის რატომ არ არის საინტერესო?

ნატო — (ღიმილით) ყველა ცდილობს, მისი ცხოვრება სხვებისთვის იყოს საინტერესო. რეკონ, რამდენიც უნდათ. რა შევდება ამით, ან რა იცვლება. აი მე ზეგ ორმოცდაათი წლისა ვხდები. (ღიმილით) მიწოდდა, შენთვის დამეძალა. დავბერდი. შენ კი ჯერ ეთამაშები სიბერეს. (ღიმილით აჭაკრებს) უსათვალოდ ვეღარ ვხედავ! დილით გაზეთები რომ ამოტანე, სათვალე არც კი ვაგხსენებია, საერთოდ, სად დევს შენი სათვალე, თუ მეტყვი?

უჩა — (ღიმილით) არ უნდა დიგვიწყდეს, რომ მე შენზე უფროსი ვარ.

ნატო — ერთად მაინც არ ვბერდებით. იცი, რა ბედნიერებაა, როცა ცოლქმარი ერთად ბერდება?... ჩვენ ერთად მარტო ჯოხობანას ვთამაშობთ.

უჩა — ეგ რაღაა?

ნატო — დიდი არაფერია: ვაცი ჯოხს აგდებს, მადლს კი იმ ჯოხი უკან მოაქვს. კაცი თამაშობს, ძაღლი კი დაკარგულს, გადაგდებულს აბრუნებს. ეს არის და ეს.

უჩა — (ღიმილით) ნატო, ნატო, მთელი ჩვენი ცხოვრება ქარაგმებით ველებარაკებოდით ერთმანეთს...

ნატო — იმიტომ რომ რაღაცას ველოდებოდით.

უჩა — რას?

ნატო — ამქვეყნად ჩიტით დაწყებული და პატარა თევზით ვთავებულები, ყველა რაღაცას ელოდება. ოღონდ ლოდინი და მოთმინება სხვა და სხვა რამ არის, დაიხსოვო.

უჩა — გინდა ვითხრა, რას ველოდებოდით?

ნატო — აღარ არის საჭირო, უკვე გვიანია.

უჩა — ველოდებოდით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენც ჩვენი საკუთარი ოჯახი გვექნებოდა, ადამიანებით ვიცხოვრებდით...

ნატო — ნუთუ შენც ამას ელოდებოდი?

უჩა — მართალი ხარ, ყველა რაღაცას ელოდება.

ნატო — ამიტომაც ვინახავდი, ვაგროვებდი, ვაბრუნებდი ყველაფერს. რასაც შენ თვითმცოდნე მანქანასავით დაუნდობლად და ერთბაშად იშორებდი... ვინახავდი შენს სიტყვას, ღიმილს, ტყვილისგან გაჩენილ ნაოჭს, შენს სათუთუნეს, სათვალეს, რვეულს... უამრავ უაზრო, გამოუსადეგარ ნივთს, რომელიც შენ, ვინ იცის საიდან არ მოგქონდა... ვაბრუნებდი, როგორც და-

ღლი გადავდებულ ჯოხს, მოვარბენინებდი, სიხარულით. ლაქუციო, კუღის ქნევით...

უჩა — ნატო, ნატო, მთელი ცხოვრება მსახიობებივით ველაპარაკებოდი ერთმანეთს, წინასწარ დასწავლილი სიტყვებით...

ნატო — მე იმ სიტყვებს სიმარტოვეში ვსწავლობდი, ამიტომაც დიდი დრო მქონდა, ამერჩია, ამეწონა, შემემოწმებინა და ის დამეტოვებინა...

უჩა — (ღ ი მ ი ლ ი თ) რომელსაც მეტი ეკალი ექნებოდა, არა?

ნატო — თუნდაც!... რა უცნაურია, ჩვენ რამდენი ხანია, ასე ტკბილად არ გვილაპარაკია...

უჩა — ჩვენ ახლა სახლობანას ვთამაშობთ, ნატო. ჩვენ ხშირად რომ გვეთამაშა სახლობანა, ორივესთვის კარგი იქნებოდა...

ნატო — (ღ ი მ ი ლ ი თ) მაინცდამაინც ახლა, როდესაც დავებრდი, მაშინ დაეფიყეთ სახლობანას თამაში? სხვათა შორის, ჩემთვის ეს თამაში არავის უსწავლებია.

უჩა — ეს ისეთი თამაშია, თვითონ უნდა ისწავლო. მე, პირადად, სახლობანას რამდენიმე თამაში ვიცო, უფრო სწორედ — რამდენიმე თამაშზე მოიცნებია...

ნატო — მაგალითად, რომელზე?

უჩა — გაზქურაზე ვდებთ ტაფას, ტაფაზე კარაქის მოზრდილ გუნდას, ჯამში ჩავჭვრით პამიდორსა და ხახვს, ავურევთ ერთმანეთში და მერე მოვშუშავთ კარაქში, ავიღებთ რამდენიმე კვერცხს, რაოდენობა დამოკიდებულია ჩვენს მდაზე, კარგად გავთქვეფთ და ზემოდან მოვასხამთ მოშუშულ პამიდორსა და ხახვს... ტაფას ვდებთ მაგიდის შუაგულში, ცალ ხელში ჩანგალი, ცალში — შავი პურის დიდი ნატეხი გვიჭირავს, უკაცრავად, უკაცრავად, პილბილი დამავიწყდა. პამიდორში შემწვარ კვერცხს მოვაყრით შავ პილბილს მუჭით, მერე რა, რომ მე ნაღვლის ბუშტის ანთება მაქვს, გაუმარჯოს სახლობანას! ვაღებ მაცივარს და მომაქვს ორი ბოთლი გაყინული ჩეხური ლუდი... როგორი თამაშია!

ნატო — ძალიან კარგი! დანარჩენი თამაშებიც ასეთი გემრიელია?

უჩა — მეორე ნაკლებად გემრიელია, მაგრამ სულისთვის არის მეტად სასარგებლო. ამ სახლობანას ქვია: მკითხაობა ყავის ფინჯანზე. ჩვენ ახლახან დავღიეთ შავი ყავა, რომელიც შენ მოადუღე. ვიცო, ვიცო, რომ ყავის მოდუღება არ გეხერხება, ეს ხომ თამაშია! და ორივე ჩავტკერით ჩვენ ჩვენს ფინჯნებს, ყავის ნალექის საიდუმლო ხაზებსა და გამოსახულებებს. მთელი კაცობრიობა ახლა ყავის ფინჯანს ჩასცქერის, იქ უნდა დაინახოს ხვალის დღე. ერთმანეთს ვუსინჯავთ ფინჯნებს, უხმოდ ვაქნევთ თავს, მოწონების ან გაკვირვების ნიშნად. რა საოცრად გავს ჩვენი ფინჯნები ერთმანეთს! ღმერთო, რა ტკბილად, ნაძვის ხის სათამაშო ციყვებივით უზრუნველად ვებრდებით! ...მაგრამ ყველას, რასაკვირველია, მაინც მესამე თამაში ჯობს, ეს გახლავთ ტყემლობანა! მე და შენ დილაუთუნია ბაზარში მივდივართ. შენ საქესთან ზიხარ, როგორც ყოველთვის, მე კი შენს გვერდით. სიგარეტს ვაბოლებ. ეს დილის პირველი უტკბილესი და უნეტარესი სიგარეტიცა. შენ გულიანად ავინებ ინსპექტორებსა და გამვლელებს, მე კი, სკამზე არხეინად გადაწოლილი, ვფიქრობ ტყემალზე! შენ დიდი გაცირვებით პოულობ მანქანის გასაჩერებელ ადგილს, მერე ბაზარში შევდივართ, შენ წინ მიდიხარ, მე უკან მოგყვები ვედროვით, ჩვენ უნდა ვიყიდოთ ორი ვედრო, ტყვიასავით კრიალა და მკვრივი ტყემალი. მართლაც, დი-

დი ვაჭრობისა და ჩხუბის შემდეგ ვყიდულობთ ტყემალს, საჭირო შეწავნი-  
ლსა და წიწკას და გახარებულნი მოვეშურებით შინისაკენ, ერთი სული  
გვაქვს, როდის ავიფარებთ წინსაფრებს, როდის დავტრიალდებით გაჭქუ-  
რასთან, როდის გამალოკინებ კოვზს, აბა გასინჯე, ხომ ისეთია, როგორიც  
შენ გიყვარსო. აი ასე იხარშება ტყემალი, ეს საოცრებათა საოცრება საწე-  
ბელი, რომელიც აწებებს, დულაბზე უფრო კრავს და ამაგრებს ოჯახის კე-  
ღლებს...

ნატო — რა ადვილი თამაშები ყოფილა, ეს ჩვენ, მართლაც, შეგვეძლო რომ  
გვეთამაშა. რა გვიშლიდა ხელს?

უჩა — არაფერი...

ნატო — ან რას ველოდებოდით. ან ახლა რას ველოდებით?

უჩა — მე, პირადად, ველოდები პრემიერას, რომელიც ზეგ იქნება... და ისიც  
ვიცი, შენ რასაც ელოდები.

ნატო — მეც პრემიერას ველოდები.

უჩა — შენ ელოდები ჩემი სპექტაკლის ჩაგარდნას და ასე რამდენი წელიწადია,  
ელოდები, ითმენ, ითმენ, ელოდები. მაგრამ არ გიმართლდება, არა! (ს ი  
ც ი ლ ი თ) ხომ მართალს ვამბობ, ნატო?

ნატო — (ს ი ც ი ლ ი თ) კი, მართალს ამბობ.

უჩა — (ს ი ც ი ლ ი თ) კი მაგრამ, რატომ? გამაგებინე!

ნატო — (ს ი ც ი ლ ი თ) არ ვიცი, ღმერთმანი, არ ვიცი. მე მხოლოდ ველოდები.  
იცი ჩემი უსამაგლესი და ამავე დროს, შენი სიგარეტისა არ იყოს, უნეტარე-  
სი და უტკბილესი ოცნება რომელია? რომ ჩვენ სულ ერთად ვიყოთ, სია-  
მის ტყუაბივივით.

უჩა — (შ ე წ უ ხ ე ბ უ ლ ი ლ ი მ ი ლ ი თ) ნატო?

ნატო — (ლ ი მ ი ლ ი თ) ვერ ვიტან, როცა შინიდან გადისხარ!

პაუზა

— (ლ ი მ ი ლ ი თ) შეგეშინდა?

უჩა — ხო.

ნატო — მეც...

უჩა — დღეს ნერვები ავიშალეს. ალბათ ანო ჰყავთ ახლა ამოჩემებული. მე და  
ანო დღეს ბაღში ვიყავით ერთად.

ნატო — ვიცი.

უჩა — დარწმუნებული ვარ. გეცოდინებოდა. ისიც ელოდება... პრემიერას. და  
რადგან ელოდება, სასწაული მოხდება. დამიჯერეთ, მეც ვიცი რაღაცა, ნა-  
ხე, თუ მთელი ქალაქი არ აალაპარაკოს...

ნატო — შენ ყოველ შემთხვევაში, მეორე ოფელია მზად გყავდეს.

უჩა — რატომ?

ნატო — მე გამიფრთხილებიხარ!

უჩა — (მ უ ქ ა რ ი თ) ნატო, შენ თუ რამეს აპირებ...

ნატო — შემეძლო, არ გამეფრთხილებინე...

უჩა — (ლ ი მ ი ლ ი თ) შენი ოცწლიანი ბრძოლა ჩემს წინააღმდეგ, ჭერჭეროვით,  
ჩემს სასარგებლოდ მიმდინარეობს...

ნატო — ვითომ?

უჩა — ხოლო, რაც შეეხება ანოს...

ნატო — მე ისე ვთქვი, მაგათი ნდობა არ შეიძლება.

უჩა — არა, ანოს ნდობა შეიძლება. ნატო, შენ არასოდეს ხმა არ ამოგიღია...

ნატო — ხო, არასოდეს ხმა არ ამომიღია.

უჩა — თუმცა, ყველაფერი იცოდი. ჩვენს ოჯახს ხომ ათასი კეთილისმუსრველი ჰყავს, ყველაფერს ჩაგიჭიკჭიკებენ ხოლმე...

ნატო — ხო, მე არასოდეს არაფერი მითქვამს, თუმცა ყველაფერი ვიცოდი.

უჩა — იმიტომ რომ სულ ერთი იყო, იმიტომ რომ...

შეოფნდება

ნატო — თქვი, რატომ გაჩუმდი.

უჩა — იმიტომ რომ ყინულისა ხარ.

ნატო — არა, იმიტომ, რომ მეშინოდა.

უჩა — რისი?

ნატო — არა, შენი გაუთავებელი რომანების მე არ მეშინოდა, ეს ის გატაცებები იყო, რომლებსაც ქალს არ უნდა ეშინოდეს.

უჩა — (ი რ თ ი უ ლ ა დ) უყურე შენ, საინტერესო!

ნატო — მე ყველაფერი ვიცოდი, მე ისიც ვიცი, სად და ვისთან დადიხარ შენ კვირაში ორჯერ და ის ქალი ჩემი ყველაზე ახლობელი მეგობარია, მაგრამ ამისაც არ მეშინია.

უჩა — მაშ, რისი გეშინია, ნატო?

ნატო — თუ ვერ ხვდები, არ გეტყვი.

უჩა — არა, შენ მართლაც, არაფრისა არ გეშინია. არც შეიძლება რომ გეშინოდეს. შენთვის ხომ სულ ერთია, შენთვის ხომ მე არც ვარსებობ, მოდის ვლაცა კაცი ძალიან გვიან, ზოგჯერ დილითაც კი, ზოგჯერ გაუხდელი წვება, ანდა პირდაპირ სკამზე ჩამოძვარს ეძინება, ზოგჯერ კი ისეთი დაღლილია, რომ სახლთან მოსული მანქანიდან ვერ გადმოდის და მანქანაშივე იძინებს, შენ ფანჯრიდან უყურებ, როგორ ძინავს საჭეზე სახედადებულ კაცს....

ნატო — არა...

უჩა — მერე ფარდას მშვიდად ასწორებ, ლოგინში წვები და შუქს აქრობ.

ნატო — არა...

უჩა — ის კაცი დილით სააბაზანოში პირს იპარსავს, შენ ზოგჯერ გაღვიძებს სიპარსის ზუზუნს. ხვდები, რომ უკვე გათენებულა, რომ ის კაცი მალე დატოვებს შენს ბინას და შენც მარტო დარჩები შენს საყვარელ დივენსთან ერთად... ზოგჯერ იმ კაცს მოშვიდება ხოლმე დილით, უცნაური ჩვეულება აქვს: დილით ყავისა ან ჩაის დალევა მოუნდება! აი, ასეთი თავხედი! რასაკვირველია, არც ჩაია ადუღებული და კარადაშიც ერთი ნამცეცი პური არ არის...

ნატო — გაჩუმდი!

უჩა — ბინიდან გასვლის წინ ის კაცი ცოტა ხანს წინკარში დგას, ფეხს ითრევს, იქნებ ერთი სიტყვა მაინც უთხრა, თუნდაც ჰკითხო, თუ რა რიცხვია დღეს. იმ გულუბრყვილო კაცმა არ იცის, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა რიცხვია დღეს. გულგრილობას კალენდარი არა აქვს...

ნატო — (ძ ა ლ ი ა ნ ჩ უ მ ა დ) როგორ არა გრცხვენია...

უჩა ხვარძელში ჭდება, სიგარეტს უკიდებს

პაუზა

უჩა — ძალიან მშია...

ნატო — რომ არაფერი გვაქვს!..

უჩა — არა უშავს... გავძლებ...

ნატო — თუმცა, როგორ არა. დაიცადე!

კარადიდან იღებს ქალაქში შეხვეულ ბუტირბროდს, უჩას აწვდის

უჩა — რა არის ეს?



ნატო — ეს ანგელოსის ლუკმაა. ჩემს მოწაფეს დარჩა ბუტერბროდი, სხვა მასწავლებელთან მიდის და, ამიტომ, ზოგჯერ აქ საუბრობს ხოლმე...

ურა ჭაღალდს აცლის ბუტერბროდს

ურა — ოპო, კარაქიანი პური და ძეხვი. მართლაც, ანგელოსი ყოფილა!

შუაზე ყოფს, ნატოს უწვდის  
მაღიანად შეეცევიან

ურა — მაინც სხვა გემო აქვს სახლში საჭმელს...

ნატო — ნუ გეშინია, ზეგ ყველაფერი კარგად იქნება...

ურა — მადლობთ, ნატო. ამ გემრიელი ვახშმისათვისაც დიდი მადლობელი ვარ..

2.

მთქმელი — ზეგინდელი დღეც მოვიდა. მაგრამ ისეთი რამ მოხდა, რასაც არავინ ელოდა. პრემიერაზე ანო არ გამოცხადდა! უჩა გამრეკელი დიდხანს არ იწყება და სპექტაკლს, ხუთი წუთიც დავიცადოთო. ამ ხუთ-ხუთ წუთობით ნახევარი საათი გავიდა.

რამდენჯერმე ტაში დაუკრეს. მეტი ცდა აღარ შეიძლებოდა. უჩამ ოფელიას, იქვე რომ იდგა და თვალეში შესციციუნებდა, ანიშნა, შენ ითამაშებო და სპექტაკლიც დაიწყო. იმ დღეს ოფელია ღვთაებრივი იყო. სპექტაკლი კი დღესასწაულად იქცა...

გოგოები — ის დღე უცნაური იყო ანოსთვის. თავიდანვეც უცნაურად დაიწყო. ჯერ კიდევ ეძინა, ქალბატონმა ნატომ რომ დაურეკა, შენი ნახვა მიინდა და თუ შეიძლება, ათ საათზე ჩემთან მოდიო. ზუსტად ათზე ანო უკვე იქ იყო...

მთქმელი — ( ა ნ ო ს ) რაღას უცდი?

ანო — არა, მე ეს ადგილი არ მომწონს.

მთქმელი — რას ქვია, არ მოგწონს?

ანო — არ მომწონს და რა გქნას! მე პირადად...

მთქმელი — ( მ ო თ მ ი ნ ე ბ ა დ ა კ ა რ გ უ ლ ი ) შენ ის გააკეთე, რასაც გეუბნებიან!

ანო — ( შე შ ი ნ ე ბ უ ლ ი ) კი, ბატონო, კი, ბატონო! ( რ ე ვ უ ლ შ ი ი ხ ბ ე დ ე ბ ა , ც ო ტ ა ხ ნ ის მ ე რ ე შე ც ვ ლ ი ლ ი ხ მ ი თ ) კარი ქალბატონმა ნატომ გამოიღო.

ნატო — შემოდი. აი როგორი ყოფილხარ შენ, ანო. როგორი კარგი გოგო. გამარჯობა.

ანო — გამარჯობათ.

აქეთ-იქით იხედება

ნატო — არა, უჩა შინ არ არის. აი მანდ დაჯექი.

აჩვენებს, სადც უნდა დაჯდეს. ანო სკამის კიდეზე ჩამოჯდება, თავს აშკარად ძალიან უხერხულად გრძნობს. ნატო ამას მიხვდება

ნატო — ( ლ ი მ ი ლ ი თ ) დიდხანს არ გაგაჩერებ. ხომ თერთმეტ საათზე უნდა შეიკრიბოთ?

ანო — დიახ.

ნატო — სხვათა შორის, ბავშვობაში მეც მსახიობობაზე ვოცნებობდი. თექვსმეტი წლისას კი უკვე გადაწყვეტილი მქონდა, მსახიობი გამოვსულეყავი, მაგრამ მამაჩემმა არ დამართო ნება...

ანო ოთახს ათვალიერებს, უხერხულობის პირველმა გრძნობამ გაუარა, ახლა ცდილობს, თავი დამოუკიდებლად დაიპიროს, დაუპირისპირდეს ამ თვითდაჭერებულ დამაშ ქალს,





ანო — (მანქანაზე აჩვენებს თვალით) თქვენ თვითონ ბეჭდავთ?  
ნატო ცოტა ხანს უხმოდ უყურებს ანოს, არ ესიამოვნა, ლაპარაკი რომ შეაწყვეტინეს,  
მერე ვითომც არაფერიო, განაგრძობს

ნატო — ნება კი იმიტომ არ დამართო, რომ მამიდაჩემიც მსახიობი იყო და უბედურად დაამთავრა თავისი ცხოვრება. ამბობდნენ, ცოლ-შვილიანი კაცი შეუყვარდა და ამიტომ მოიკლა თავიო. ბავშვი იყო, ოცდაორი წლის... ამ ასაკში გოგოები თავქარიანები არიან. კი არ უყვართ, ჰგონიათ, რომ უყვართ...

პაუზა

— დიახ, ეს მანქანა ჩემია, მე თვითონ ვბეჭდავ. აი ეს წიგნებიც, რომლებსაც ახლა ასე გულდასმით ათვალიერებ, ჩემია...

ანო — რამდენი წიგნია? როდის დაწერეთ ამდენი წიგნი?

ნატო — მე წიგნებს არ ვწერ, მხოლოდ ვთარგმნი.

ანო — ვიცი, ვიცი.

ნატო — ეს ინგლისური წიგნებია, იქით კი ფრანგული.

ანო — ეს მხარე ალბათ სულ გერმანულ წიგნებს უჭირავს, არა?

ნატო — გერმანული არ ვიცი, სამწუხაროდ...

ანო — ეს სურათებიც თქვენია, რასაკვირველია!

ნატო — ეს სურათებიც ჩემია.

ანო — ეს თქვენი ტრანზისტორია...

ნატო — დიახ.

ანო — ეს კი თქვენი მაგნიტოფონი.

ნატო — შენ თუ გიყვარს წიგნები, ანთ?

ანო — არა, მე წიგნები არ მიყვარს.

ნატო — რას მეუბნები?

ანო — მეც მივიკრის, მაგრამ რას ვიზამ. მე არც მანქანაზე ბეჭდვა ვიცი, არც უცხო ენა. (ღიმილით) თუმცა, თეატრში ეს არ მჭირდება.

ნატო — უჩას წყალობით თეატრში მე მაინც მოგხვდი. ეტყობა, ასე მეწერა... დღეს თქვენთან დიდი ამბავი ხდება, პრემიერაა. ალბათ რა მნიშვნელოვანია შენთვის ეს დღე, ანო...

ანო — დიახ, ეს დღე ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თქვენთვის რომელი დღე იყო მნიშვნელოვანი, ქალბატონო ნატო?

ნატო — (ვითომ ანოს შეკითხვა არ გაუგია, განაგრძობს) იმიტომაც დაგიძახე სწორედ. უჩა ძალიან ღელავს. ალბათ შფატყობდი.

ანო — არაფერი შემიტყვია.

ნატო — მალავს. არ უნდა მღელვარება გადმოგდოს. მე კი ყველაფერს მიყვება. თუ როგორ წვალობთ რეპეტიციებზე...

ანო — ვწვალობთ?

ნატო — თურმე უჩას სული ამოართვეს თეატრში, ანო ოფელიას არ გავსო. (ღიმილით) თითქოს რომელიმეს თვალთ ენახოს ოფელია! მაგრამ უჩას სჯერა შენი, სულ მეუბნება, აი ნახავ, თუ ის გოგო სცენაზე ნორმალური არ იყოსო...

ანო — ნორმალური?

ნატო — ის ისეთი სიჯიუტით ებრძვის თავის ნაკლს, როგორც ბულდოზერი მიწასო...

ანო — (იმეორებს) ბულდოზერი მიწას!

ნათო — თურმე შენ ხმა არ გიგარგა, მაგრამ ახლა ველარავინ შეგატყობს  
ყოჩაღ, ანო...

ანო — კიდევ რას გიყვებთ?

ნათო — როგორ წითლდები, როცა რაიმე შენიშენას მოგცემს...

ანო — ამასაც გიყვებთ?

ნათო — როგორ დასეირნობთ ბაღში, როგორ გაცილებს შინ, რაზე ლაპარაკობთ... და როცა მარტო მიდის სადღაც, როგორ გრძნობს, რომ უკან მიპყვები, როგორც, — როგორც მამას გამორტყებული ბავშვი...  
იციან

ანო — კი მაგრამ, ის ხომ მოკვდა?

ნათო — (შეკრთება) ვინ? ვინ მოკვდა?

ანო — მანიდათქვენი.

ნათო — ხო, მოკვდა... რატომ შეკითხები?

ანო — განა შეიძლება თავქარიანი იყოს, ვინც მოკვდა?  
ნათო პასუხს არ სცემს. ცოტა ხნის შემდეგ განაგრძობს მშვიდად.

ნათო — რაც თავი მახსოვს, მას მერე, რაც უჩას ცოლი გავხდი, სულ ასეა, ასე წვლობს, იბრძვის. რამდენი ახალბედა მსახიობი გამოუყვანია, რამდენი დაუყენებია გზაზე. გოგონებთან გაცილებით უფრო ძნელია მუშაობა, ვიდრე ბიჭებთან, ამბობს უჩა, მათთან განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მეთოდია საჭირო. გოგოს მოსწონს ყურადღება და გარდა ამისა (იციან ის), მისთვის აუცილებელია, კმ, რა სულელები არიან... როლზე მუშაობის დროს ვინმე უყვარდეს, უფრო სწორად, ეგონოს, რომ უყვარს...

ანო — ახლა კი დაეუსტვენ!

ნათო — (მშვიდად) კი, გენაცვალე, დაუსტვინე.

ანო — (გამოერკვევა) უკაცრავად...

ნათო — მე აღრეც უნდა დამეძახა შენთვის, მაგრამ ვერ მოვიცალე.

ანო — (ბრაზიანად) კი მაგრამ, რატომ გიყვებთ, რატომ?

ნათო — ჯერ შენ ბავშვი ხარ, ანო!

ანო — თქვენ თუ იცით, ჩვენ ცირკში რომ გვინდოდა წასვლა?

ნათო — (ღიმილით) უჩას ცირკი უყვარს.

ანო — (ჩანთიდან იღებს სარკეს, იხედება) იცით, მე მგონი, მართლა არ ვგავარ თველიას...

ნათო — (ხმა აუთრთოლდება) ანო...

ანო — (სარკეს ჩანთაში ჩააბრუნებს) გისმენთ.

ნათო — (ათრთოლებული ხმით) მე შეიძლება ახლა შენოდენა შეილი მყოლოდა...

ეს არის ნორმალური, უმწიო ქალის ნათქვამი. როგორც ჩანს, ნათომ ერთი წუთით წონასწორობა დაკარგა

— ხალხს მე ბედნიერი ქალი ვგონივარ, უჩა თეატრში სხვაა, სახლში სულ სხვა. ძალიან განიცდის უშვილობას, ამიტომაც ტრიალებს სულ ახალგაზრდებში. მე კი შენოდენა შეილი უნდა მყავდეს ახლა, წესით... (ღიმილით) ჯერ შენ ლალი ხარ... თავისუფალი... მე ხშირად მიფიქრია, როგორი იქნებოდა ჩემი შეილი, რომ... მე ახლა შენთან როგორც ჩემს შეილთან ისე ვლაპარაკობ...

ანო წამოდგება, შეწუხებულია

ანო — ქალბატონო ნათო...

ნათო — (ისევ მტკიცე, ძველი ხმით) მოკლედ, ჩემო ძვირფასო, იცოდ, მე და უჩა ძალიან ვდვლავთ. შენც უნდა გავვიმართლო. ხომ, ანო, ხომ

გაგვიმართლებ?

მხრებზე ზღვებს დააწყოხს, თვალეზში შესცქერის, ანო გვერდზე იხედება

ანო — დიახ, უსათუოდ, დიახ...

ნატო — თვალეზში შემომხედე!

ანო — დიახ... დიახ...

ნატო — (ღ ი მ ი ლ ი თ) ოღონდ, არ წამოგცდეს, ჩემთან რომ იყავი...

მთქმელი — თერთმეტ საათზე ყველანი თეატრში შევიკრიბეთ. არავინ გვაკლდა. ან ვინ დააკლდებოდა. უჩა გამრეკელი ცოტა ხანს გველაპარაკა, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, ამ ხნის განმელობაში თავი არ დაგვიზოგავს, ახლა იღბალზეა დამოკიდებული ჩვენი პრემიერის ბედით. ძალიან მშვიდად ეჭირა თავი, ერთი-ორჯერ გაიცინა კიდეც. ჯერჯერობით, არც ჩვენ ვლელავდით, მთავარი მღელვარება დაიწყებოდა მერე, საღამოს, დაახლოებით რვის ნახევარზე.

როცა დავიშალეთ, უჩა გამრეკელმა ანოს თხოვა, დარჩიო.

უჩა — მე გავიგე, ამ დილით ჩემთან ყოფილხართ?..

ანო — (შ ე კ რ თ ე ბ ა) თქვენთან ვყოფილვარ?

უჩა — დიახ, ჩემთან ყოფილხართ შინ...

ანო — არა, არა...

უჩა — რა გინდოდათ?

ანო — არა-მეთქი.

უჩა — მითხარით, გისმენთ!

ანო — მე თქვენთან არ ვყოფილვარ...

უჩა — ანო, ტუული რა საკადრისია? ისე არ მოხვიდოდით, ალბათ რამე საქმე გქონდათ, ნამდვილად ვიცი, რომ ჩემთან იყავით, ასე რომ... რა გატირებთ? რა ამბავია ეს, რა ხდება? ანო, მე თქვენ გაფრთხილებთ, ეს სისულელე ერთხელ და სამუდამოდ ამოიგდეთ თავიდან. თქვენ გგონიათ, მე არ ვიცი, როგორ დამყვებით უჩან, როგორ მდარაჯობთ სადარბაზოებთან. კიბეზე ზიხართ და მელოდებით. რისთვის, რა განდათ?

ანო — რატომ დადიხართ იქ, რატომ?

უჩა — ეს თქვენი საქმე არ არის, ბოლოს და ბოლოს, ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს. რას ჰგავს ეს? აი ამ უაზრობამ, აკვიატებულმა სისულელემ — იქამდე მიგიყვანათ, ჯამუშობაც კი დაიწყეთ, რაც არ უნდა იყოს, მამალ გერგებით!

ანო — არა, არა!

უჩა — მე ვანა არ ვიცი, ვინ რეკავს ჩვენთან განუწყვეტლივ, ღღეს კი ტელეფონი აღარ იკმარეთ და თქვენი ფეხით მოხვედით სტუმრად... ეს კი საძაგლობაა.

ანო — (უ ყ ვ ი რ ი ს) არა-მეთქი, გეუბნებით!

უჩა — ანო, თქვენთვის არავის უთქვამს, ცოტათი თავხედი რომ ხართ?

ანო — თქვენ როგორ იფიქრეთ, რომ მე...

უჩა — კარგით, დავამთავროთ ამაზე ლაპარაკი. ჩვენ ახლა ამის დრო გვაქვს ოღონდ დაიხსომეთ, რაც გითხარით!

ანო — თქვენ როგორ იფიქრეთ, რომ მე მამბულარა ვარ?

უჩა — თქვენმა თავქარიანობამ მიგიყვანათ აქამდე...

ანო — თავქარიანობამ? როგორი ნაცნობი სიტყვაა!

უჩა — ...და საქმარისია, წერტილი უნდა დაესვას. არ უნდა დაუკვირდეთ, რას აკეთებთ? რა გვაქვს მე და თქვენ საერთო, გარდა აი ამ საქმისა, რასაც

თეატრში ვეწევით.

ანო — (ზიზლით) თქვენ... თქვენ იცით, როგორ ლაპარაკობთ?

უჩა — მაინც როგორ?

ანო — როგორც უკბილო დედაბერი!

უჩა სილას შემოჰკრავს

ანო — (ზიზლით) მე თქვენ მძულხაბათ! მძულხაბათ! მძულხაბათ!

ნატო და ელო

დასაწყისში და მერც უნდა იქმნებოდეს შთაბეჭდილება, რომ ეს ორი ქალი ერთმანეთს ტელეფონით ელაპარაკება

ნატო — პრემიერა ჩემი დაბადების დღეს დაემთხვა. პრემიერის მერც ყველანი ჩვენსა წამოვიდნენ, გამომეცხადნენ შამპანურის ბოთლებითა და ყვავილებით დატვირთულები. უჩამ მაკოცა და ყურში ჩამჩურჩულა, მეც მოგიტანე ყვავილებით. ვიცი, სახეზე გაწერია-მეთქი. სახეზე კი ის ეწერა, რომ დამარცხებული უფრო იყო, ვიდრე გამარჯვებული. მე ამის მიზეზი ვიცი, ცოტა ხნის მერც ჰერტრუდამაც მითხრა, პრემიერაზე ანო არ გამოცხადდაო. უჩამ ჩვენი ოფელია გამოიყვანა და იმანაც ისე ითამაშა, ხალხი გადარიაო. ცოტა ტუტუცი კია, მაგრამ ძალიან ნიჭიერი გოგოა ეს ოფელია. ყველას ეხვეოდა, კოცნიდა, მღეროდა, სვამდა, მოკლედ, ბედნიერი იყო. ჰამლტმა და კლავდიუსმა არაყი მომთხოვეს, გამოუქსწორებელი ლოთები არიან. მე მჭონდა მათთვის გადანახული ერთი ბოთლი არაყი...

ელო — ჩვენც გვყავდა სტუმარი, არაყს ხომ არ გამოვუტანდი, ჩაით გავემასპინძლდი, მოულოდნელად ანო დაგვადგა თავზე...

ნატო — ვინ?

ელო — ანო. რატომ გაგივირდა?

ნატო — არა, ისე...მაშ, ანო თქვენთან იყო?

ელო — ხო, ჩვენთან იყო.

ანოს მიუბრუნდება

— ანო, ჩაის დაგიმატებთ.

ანო — არა, გმადლობთ.

ელო — ეს ტორტი უსათუოდ უნდა გასინჯოთ, მეგვი გამოაცხო.

ილიკო — არა მართლა? მართლა მეგვი გამოაცხო?

ელო — რა დაგემართა, ილიკო?

ილიკო — ვაფიცებთ ყველას და ყველაფერს, ეს ტორტი მართლა მეგვის გამოცხვარია?

ელო — (ანოს) გადაიღეთ, გადაიღეთ.

ანო — გმადლობთ.

იღებს ტორტის ნაჭერს

ილიკო — არა, არ შეეკვამ.

ელო — რატომ?

ილიკო — არ დამცადოს.

მეგი — მამიკო, მშველად მიირთვი. მე რომ ამისთანა ტორტის გამოცხოება მცოდნოდა...

ელო — (ლიზლით) რას იზამდი, გენაცვალე?

მეგი — სხვათა შორის, მეონი, გუშინდელია ეს ტორტი.

ელო — გუშინდელი კი არა... ჰამე თუ ჰამ.

მეგი — ანო, ვარდის მურაბა გადაიღეთ.

ანო — გმადლობთ.

მეგი — თქვენ ვარდის მურაბა გიჰამიათ?

ანო — არა.

მეგი — ხოდა, ეს არის ვარდის მურაბა.

ანო — ო, უსათუოდ გავსინჯავ.

მეგი — მალე ალბათ ჩემგანაც გააკეთებენ მურაბას.

ელო — (ღ ი მ ი ლ ი თ) მე რომ ამისთანა ტორტის გამოცხობა მცოდნოდა, რას ვიზამდიო?

მეგი — რას ვიზამდი და გავიდოდი კონდიტრთა კონკურსში, ტურისტული მატარებლის საგზურით დამაჯილდოებდნენ, მოვივლიდი ქვეყანას, მერე შორაპნის სადგურში ჩამოვიდოდი...

ზურიკო — მაინცდამაინც შორაპნის სადგურში ჩამოხვიდოდი, არა?

მეგი — მამიკო, ზურამ, ეტყობა, არ იცის, რომ ჩვენ წარმოშობით შორაპნიდანა ვართ. და რომ იქ დღესაც ფანჯარასთან ზის და გვიცდის ჩვენი ასი წლის ბებია ეკვირინე...

ელო — (თ ა ვ ს გ ა დ ა ა ქ ნ ე ვ ს, ს ა ყ ვ ე დ უ რ ი თ) მეგი, მეგი, ბებიაშენი რა ხანია მოკვდა.

ილიკო — თქვას, ადამიანო, რა მოხდა, ახსენოს ბავშვმა ბებია!

მეგი — არა, არ მომკვდარა, ფანჯარასთან ზის და გვიცდის, იმიტომ რომ დავეპირდით ჩამოვალთო და არ კი ჩავედით.

ელო — როდის დავპირდით?

ილიკო — კი დავპირდით. საკოდავი დედაჩემი, ვერ ავუსრულე ბოლო ნატვრა.

ელო — ილიკო?

მეგი — (ფ ი ნ ჯ ა ნ ზ ე ა კ ა კ უ ნ ე ბ ს დ ა ნ ი თ, თ ა ნ ი ძ ა ხ ი ს) ბებია ეკვირინე, ბებია ეკვირინე!

ელო — რა დაგემართა, მეგი, სტუმრის მაინც მოგერილოს! ადექი, ფინჯნები გაიტანე...

მეგი — აჰ, აჰ, გავტეხავ ნამდვილად. რა ვქნა, ენას ვერ ვაჩერებ. ანო, შენ იცი ენის გაჩერება?

ანო — არა, მეც ასე მემართება ხოლმე.

მეგი — აი ხომ ხედავთ, ანომ ოფელია ვარდის მურაბაში გაცვალა და მაინც ასე ემართება.

ნატო — ელო, შენ სიბერისა გეშინია?

ელო — რა დროს ჩვენი სიბერეა, გოგო?

ნატო — აი, მე კი მეშინია. ჯერ კიდევ მაშინ მეშინოდა, როცა ბავშვი ვიყავი.

ელო — შენ ყოველთვის უცნაური იყავი. შენ მართო ერთი რამის გეშინოდა (ღ ი მ ი ლ ი თ) გინდა გითხრა—უჩა როგორმე არ დაგეკარგა.

ნატო — (ღ ი მ ი ლ ი თ) ხო, ამისიც მეშინოდა.

კეთაზე ხელგშემოწყობილი, თვალდახუჭული ხმამაღლა ოცნებობს

— მე მინდოდა მუდამ მასთან ერთად ვყოფილიყავი. ყველგან. ჩვენ ხომ ყოველთვის ერთად ვიყავით... ბოლოს მაინც ჩემთან ბრუნდებოდა, სადაც არ უნდა წასულიყო.

სიცილით

— არა! ყველაზე უფრო მიყვარდა, როცა მთვრალი ბრუნდებოდა შინ. მე ვითომ მეძინა, გატრუნული ვიწევი, ბედნიერებისაგან სუნთქვაშეკრული. მესმოდა, როგორ აჯახუნებდა კარს, როგორ იხდიდა ტანსაცმელს ხვნეშით, თავბრუს მახვევდა ალკოჰოლის მძაფრი სუნი, რომლითაც უცებ ივსებოდა, იყლინებოდა მთელი ჩვენი ბინა. უსათუოდ რაღაცას მოიტან-



და ხოლმე: კრამიტის ნატეხს, დაჟანგულ ვედროს, ჩიტის ბუდეს, რა ვიცი, რას არა. ამბობდა, ბავშვობას მაგონებსო. როცა გამოფხიზლდებოდა, აღარც ახსოვდა, რატომ მოიტანა, რად ჭირდებოდა ეს ყოვლად უფარგისი ნივთები. მე მაინც ვინახავდი. მე ყველაფერს, რაც მასთან არის დაკავშირებული, მისი ხელი შეხებია, ან როდისმე რამეში დასჭირებია, ვინახავ... სურათის ჩარჩო, ფეხმოტეხილი სათამაშო ცხენი, დაღწილი ჯიბის ფანარი... სანამ დაიძინებდა, ჩურჩულებდა: აი ვიპოვე... მახსოვს, მახსოვს... ვხედავო... როცა გაიღვიძებდა, აღარაფერი ახსოვდა, ან რა უნდა ხსომებოდა. რცხვე-ნოდა კიდევ, ასეთი უცნაური ჩვეულება რომ ჰქონდა...

მეგი — გეკითხებით: რატომ, რატომ, რატომ არ დადიან ჩვენი ბავშვები სოფელში?

გპასუხოთ: იმიტომ რომ ბავშვების მშობლებს არ უყვართ თავიანთი მშობლები.

ელეო — (ს ი ც ი ლ ი თ) გადამრევს ეს ბავშვი!

ანოხ

— მგონი, დედათქვენი სოფელში ცხოვრობს, არა?

ანო — დიახ, დედა სოფელში ცხოვრობს.

ელეო — მართო? საწყალი...

ანო — არა, დედაჩემი მეორედ გათხოვდა და ახლა ჩემს მამინაცვალთან ერთად სოფელში ცხოვრობს.

ზურციკო — (ს ა ყ ვ ე ლ უ რ ი თ) დედა?!

ელეო — რა იყო, ზურციკო? ვლაპარაკობთ.

ანო — დედას თრი გერი ჰყავს, მამინაცვალიც მასწავლებელია. დედას ძალიან ვენატრები. სულ მწერს, ჩამოდის, ჩამოდის, მაგრამ ვერ მოვიცალე. (ღ ი მ ი ლ ი თ) თუმცა რას ვაკეთებ... აი, ავღვები და, მართლაც ჩავალ დედასთან...

ილიკო — ესეა, მოხუცები არავის უყვარს. მეც ერთ-ორ მრავალსერიან ფილმს კიდევ ვნახავ ტელევიზორში და დაგიკრავთ კიდევ თავს, დროა უკვე... კინალამ გადავირიე, მეგამ ტორტი გამოაცხოო. ანო, თქვენ თუ იცით ტორტის გამოცნობა?

ანო — არა. არასოდეს არ მიცდია.

ელეო — ოჯახი რომ ექნება, გამოაცხოვს.

ანო — ოჯახი როცა მექნება... არც მაშინ გამოვაცხოვ.

ჟველანი ანოხ შეხედავენ

ანო — მაგრამ მეტს ვიყიდი ხოლმე, თუკი ჩემს ქმარსაც ეყვარება ტკბილეულობა.

ბაუზა

ილიკო — (მ ე გ ი ს) ეკვირინე, წყალი მომიტანე, შენს გაზრდას!

მეგი — ახლავე, მამიკო!

კართან შეჩერდება, ანოხ დაუძანებს

— ანო, მოდი აქ!

ანო მეგისთან მივა

მეგი — შენ ზურციკო არ გიყვარს?

ანო — არა.

მეგი — მაშ, რატომ მოხვედი აქ?

ანო — ტორტის საჭმელად.

მეგი — მოგეწონა?

ანო — კა.

**მეტი** — აი მე კი — არა!

ანო მაგიალასთან ბრუნდება

**ანო** — (ღ ი მ ი ლ ი თ) იცით, დღეს არაფერი მიჭამია და ახლა სული მოვითქვი ცოტათი.

**ილიკო** — მომეცით თქვენი თეფში, კიდევ გადმოგიღებთ.

**ანო** — არა, ვმადლობთ, მეტი არ მინდა. არ შემიძლია!

**ზურიკო** — ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს დენთის კასრზე ვიჯექი, რომელიც საცაა უნდა აფეთქებულიყო. ანოს სტუმრობა ჩემთვის მოულოდნელი იყო. თუმცა ერთხელ კი დამემუქრა, იცოდე, გესტუმრები და ნახავ შენს დღესო. იმიტომაც ვიჯექი ახლა ასე დაძაბული. მაგრამ ჯერჯერობით, არა უშავდა, უფრო მეტსაც ვიტყვი, მიკვირდა კიდევ ანოს ასეთი გადამეტებული სიმშვიდე. დაქანცული ჩანდა, გაუწუწული ჩიტივით იჯდა მობუზული და განუწყვეტლივ იღიმებოდა. ვიცოდი, რომ დღეს საპარტი-ერო საექტაკალში ოფელია უნდა ეთამაშა, ის კი ჩემთან მოვიდა. გულში მესიამოვნა, თუმცა შეეწუხდი კი — დიდი მსხვერპლი უსიამოვნო გრძნობას იწვევს. ამ ამბავმა არა მარტო შემაწუხა, შემაერთო კიდევ, ამდენ ხანს იქით ვეხვეწებოდი, ახლა თვითონ გადმოვიდა შეტევაზე. ეს კი არავის არ მოსწონს, მე რატომ უნდა მომწონებოდა? მოკლედ, წყნარად იჯდა, და თუ სიმაართლე გინდათ, მეგის გვერდით მეცხრამეტე საუკუნის დარბაისელ ქალივით გამოიყურებოდა. ისე, კაცმა რომ თქვას, ჯინსის დახეული შარგლითა და შიშველი ფეხებით ჩვენთან არ უნდა მოსულიყო. ჩვენ ისეთი ხალხი არა ვართ, ამას რომ რამე მნიშვნელობას ვაძლევდეთ, მაგრამ რაღაც წესი, თუნდაც წესის მეთაველი მაინც უნდა დაიცვას ადამიანი. ისე რა გამოვა? ამავე დროს მაინც გაურკვეველი, ყრუ შიში არ მშორდებოდა, ანო არ იყო ისეთი გოგო, თავის თავი სინზე დადებული მოერთმია ჩემთვის. იყო წუთი, როცა ექვმა გამკრა, იქნებ ვილაცის ჯიბრით მოვიდა-მეთქი აჰ, მაგრამ ის ექვი სასწრაფოდ მივაფუჩეჩე, სასწრაფოდ სადღაც შორს გადავმალე ჩემივე გულის სიღრმეში, რადგან ჩემს თავმოყვარვობას საშიშლად ლახავდა...

მააჩემს ანო თავიდანვე მოეწონა. მეგის რას გაუგებს კაცი. დედაჩემი კი თავიდან მტრულად განეწყო, სხვანაირად არც მოველოდი. ვიცოდი, დედას ანო არ მოეწონებოდა. შორიდან დედას უკვე ნანახი ჰყავდა ანო, თეატრთან ენახა. ანტილოპას ჰგავსო, მითხრა. ჯერ მესიამოვნა, მართლაც აქვს ანოს რაღაც ისეთი, როგორ ვითხრათ, ბუნებრივი თავისუფლება. ეს მოძრაობებშიც ეტყობა, სიცილშიც. ხო, ჯერ მესიამოვნა, მაგრამ მერე შევკრთი, იმიტომ რომ დედა მართალი იყო, ანო ანტილოპას ჰგავდა, ანტილოპა კი აფრიკაშია კარგი, ანდა ჰემინგუეის მოთხრობაში, სახლში ანტილოპა ჩემმა მტერმა შემოიყვანოს. ახლა ის ანტილოპა თავისი ფეხით შემობაკუნდა ჩვენს სახლში. ნეტა, ანტილოპა ბალახსა ჰვამს თუ ფოთოლს (ღ ი მ ი ლ ი თ) მთავარია, მე არ შემიჭამოს. მე ჩემი თეთრი დერბაზი ეტლი, თავისი პარიკიანი მეეტლეებით გამზადებული მყავს. დედაჩემმა ცხენები თუ არ დაგვიფრთხო...

**ნატო** — წუხელ დამეისზმრა, ვითომ აეროვაგზლის წინ ვისხედით მე და უჩა. ეტყობა, სადღაც მიდიოდა და ვაცილებდი. ჩვენს ფეხებთან ბავშვი დახობავდა მიწაზე.

**უჩა** — (ღ ი მ ი ლ ი თ) მერე, წავედი?

**ნატო** — (პ ა უ ზ ი ს შე მ დ ე გ) ხო, წახვედი (ღ ი მ ი ლ ი თ) გაფრინდი!

უჩა — ბავშვი, ბავშვს რა ღაემართა?

ნატო — ჭერ ძუძუს ვაწოვებდი, მერე აეროდრომის საბარგო საკანში ჩავაბარე, იქ თაროზე შესვეს, რადგან ბავშვი კი არა, თოჯინა ყოფილა...

უჩა — რამდენჯერ გითხარი, ნატო, დაანებე მაგ ფიქრებს თავი-მეთქი. მას მერე ოცდასამი წელი გავიდა.

ნატო — მოდი, ავიყვანოთ ვინმე, ვიშვილოთ.

უჩა — რა თქვი? ეს რაღაც ახალია!

ნატო — (ხ ი ც ი ლ ი თ) გეხუმრები, გეხუმრები...

ელო — სიმაართლე გითხრათ, მე უფრო უარესს ველოდი. მე ერთხელ მყავდა ის ნანახი, შორიდან. მეგიმ დამანახვა. აი ის არის ანო, ის ლამაზი გოგოთ. ამით ხო სულ სხვა წარმოდგენა აქვთ სილამაზეზე. ჩემი ქალიშვილიც თავს განგებ იმახინჯებს, დარწმუნებულია, რომ ასე უკეთესია. ახლოდან ანო უფრო კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, წყნარია, მშვიდი. ლამაზი სახის ნაკვებიც არა აქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, თვალები აქვს უცნაური, უსათუოდ ყურადღებას მიაქცევ. ჩემზედაც ამბობდნენ, უცნაური თვალები აქვსო. ჰიპოვით ჩაცმული გვესტუმრა, გული სიბრაზისგან გამებერა, მაგრამ რამის თქმას როგორ გავბედავდი. მაგათ ეგ კარგი ტონი გონიათ, რა ვუყო, რაც უნდა ეცვას, ოღონდ ადამიანი იყოს კარგი. რაც მეუჭეება. ჩემმა ჰეკვიანმა შვილმა მაინცდამაინც ეს ამოარჩია. თუმცა ყველანი ერთნაირები არიან, სხვაც მაგასავით იწებოდა ჩაცმული და თმდაუფარცხნელი. ეტყობა, ჭიუტია. ვნახოთ, სანამდის ვაპყვება ეს სიჯიუტე... ალბათ თეატრს თავი დაანება, რადგან პრემიერის დღეს ჩვენ გვესტუმრა. მე მგონი, გამოაბრძანეს. განა შეიძლება მაგან ოფელიას როლი შეასრულოს?... თეატრიდან გამოაბრძანეს და ახლა ჩვენთან მოვიდა. რატომაც არა, შემობრძანდება ქალბატონივით და ჩვენც ყველამ ქედი უნდა მოუხსაროთ. აი რა მიყო ჩემმა შვილმა. მე უფრო ჰეკვიანი მეგონა ზურგიკო... ფინჯნები სამზარეულოში გავიკრანე, გამომყვა, მოგეხმარებითო... მინდოდა, ცალკე დავლაპარაკებოდი, ამიტომაც დავეთანხმე...

ანოს

— ჩემი შვილები ხელით შესანახები არიან. ახრადაც არ მოუვათ, დედას თუ მოხმარება სჭირდება.

ანო — მევი კარგი გოგოა.

ელო — გოგომ ოჯახის საქმე უნდა იცოდეს, ჭიუტი არ უნდა იყოს...

ანო — მე საოჯახო საქმე არ ვიცი...

ელო — ისწავლით.

ანო — არა მგონია.

ელო — მეც არ მეგონა, მაგრამ, როცა ვამიჭირდა, როცა ოჯახმა მომთხოვა, ვისწავლე. ამოდენა სახლს მარტო მე ვუვლი, თუმცა არც ისე გვიჭირს. იყოს, იყოს, მე თვითონ დავრეცხავ, რა მეჩქარება. ...აქ რასაც ხედავთ, ჩემი ხელითაა შეკაწიფებული, ჩემი შრომით, სიყვარულით, მონდომებით... თუ სიყვარული არ არის, ოჯახიც არ არსებობს. ოჯახი მარტო ნივთები არ არის! არც კედლებია და არც ჭერი. ოჯახი ის სიტბოა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ყველას. მართალი ვარ, თუ არა?

ანო — არ ვიცი.

ელო — რა თქვი?

ანო — მე ეს არ გამომიცდია.

ელო — მოესწრები.



ანო — არა, არ მოვესწრები.

ელო — (გ ა კ ვ ი რ ვ ე ბ უ ლ ი) რატომ, რატომ არ მოვესწრები?

ანო — იმიტომ რომ მე მარტო მიყვარს ცხოვრება.

ელო — მეც ბევრი რამე მიყვარდა, მაგრამ ოჯახმა დამავიწყა.

ანო — იცით, მე გათხოვებას არ ვაპირებ... მინდა საიდუმლო გაგანდოთ: არავე-  
თარ შემთხვევაში არ გავთხოვდები.

ელო — (ძ ა ლ ი ა ნ დ ა ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ უ ლ ი) არ გათხოვდებით? რატომ,  
რა მიზეზით?

ანო — ეს ძნელი ასახსნელია. შეიძლება გიყვიც გეგონოთ. მაგრამ მე ამქვეყნად  
სამი რამე მიყვირს მხოლოდ: როგორ გამოდის ტელეფონში ადამიანის ხმა,  
როგორ არ ეჯახებიან ერთმანეთს შემხვედრი მატარებლები და როგორ  
ცხოვრობს ცოლ-ქმარი მთელი სიცოცხლე ერთად...

ელო — (ი ც ი ნ ი ს) ო, ანო, ანო, როგორი ხუმარა ყოფილხარ!

ანო — არა, არ ვხუმრობ. მე მიყვარს ნაირფეროვნება. მოულოდნელობა... სა-  
ერთოდ, სიჭრელე. დიახ, მიყვარს კინოში სიარული, ნაყინი, მიყვარს ცეკვა.  
თქვენ თუ ცეკვავთ? კინოში თუ დადიხართ?

ელო — როგორ არა. სწორედ ჩვენს სახლშია კინოთეატრი.

ანო — ეგ ხომ იგივეა, რომ ტელევიზორს უყურო, მე მიყვარს, როცა კინოს  
სანახავად შორს მიდიხარ. მაგალითად, ვაკიდან ავჭალაში ან საბურთალო-  
დან ნავთლულში. კიდევ ერთ საიდუმლოს გეტყვი. მე ძალიან მიყვარს ბა-  
ვშეები.

ელო — ეს კარგია, ბავშვები მეც მიყვარს.

ანო — იცით, მე მალე შვილი მეყოლება

ელო — რა თქვი?

ანო — ზურგიომ კი ეს არ იცის.

ელო — კი მაგრამ, ვისგან გეყოლებათ შვილი?

ანო — ნუ მკითხავთ სახელს. ის ჭადარა, ჭკვიანი და კეთილშობილი ადაშიანია.  
მართალია, ჩემზე ვაცილებით უფროსია, მაგრამ განა ამას რაიმე მნიშვნე-  
ლობა აქვს? ჩვენ ხომ მაინც დიდხანს არ ვიქნებით ერთად. მერე კი, როცა  
ჩემი შვილი წამოიზრდება, მე მას მამის საფლავზე წავეყვან და ვეტყვი, აი,  
დედიკო, აქ განისვენებს მამაშენი, რომელიც მე ერთ დროს თავზე მეტად  
მიყვარდა...

ელო — ღმერთო ჩემო, რას ლაპარაკობთ, ანო?

ანო — ასე რომ ჭალბატონო ელო, ძალიან გული კი მწყდება, მაგრამ საოჯახო  
საქმეს ეტყობა მე ვერ ვისწავლი... მე ძალიან მიყვარს კინო და ბავშვები  
და რა ვიცი ხვალ კიდევ რა შემიყვარდება...

ელო — ანო, ანო, შენ ხუმრობ ნამდვილად... მაშ შვილი გეყოლება?

ანო — უსათუოდ მოვიყვან და გაჩვენებთ ჩემს შვილს... მალე!

ელო — მამა ვინ არისო, რა თქვი?

ანო — მე მას სიბერეში მეორე ახალგაზრდობა დაევბრუნე, არ მეგონა თუ  
შვილი კიდევ მეყოლებოდაო თქვა და ხელზე მაკოცა. წარმოგიდგენიათ,  
ხელზე მაკოცა, როგორც ჭალბატონს.

ელო — ჭადარა, ჭკვიანი და კეთილშობილი...

ფიქრობს, თითქოს იხსენებს, ვინ უნდა იყოს ასეთი კაციო

ანო — დიახ, კეთილშობილი, ჭკვიანი და ჭადარა...

ნატო — ვერ უყურობ ჩვენს ანოს?

ელო — მაინც ვინ უნდა იყოს ეს კაცი? ვის შეიძლება იცნობდეს ანო ჰალბახს, ჰკვიანს და კეთილშობილს?..

ნატო — (ს ი ც ი ლ ი თ) არ ვიცი, არ ვიცი... მე კი გავუწყებო ყველას, თქვენ აქ ქეიფობთ, ანოს კი ვინ იცის რა დაემართათ... სიცილით მოკვდნენ მისი ყოფილი პედაგოგები კლავდიუსი და ჰამლეტი...

ჰამლეტი — (ს ი ც ი ლ ი თ) რაო, ანოს რამე ხომ არ დაემართათ?  
იციანს დიდხანს, გულიანად  
— მოვკვდი, აღარ შემიძლია. ანოს რამე ხომ არ დაემართათ... როგორ შეიძლებაოდა, ანოს რამე დამართნოდა! გესმის კლავდიუსს, ანოს რამე ხომ არ მოუვიდაო. ჰალბახტონ ნატოს ეპატიება, ანოს არ იცნობს, თანაც კეთილია, მაგრამ ასეთი გულუბრყვილო თუ იყო, არ ვიცოდი. ანოს რამე ხომ არ დაემართათ! მე ანოს პედაგოგი ვიყავი. შუა ლექციის დროს აღგებოდა, იტყოდა, სწავლა მეყოფათ და წავიდოდა. ერთხელ ხვლიკი მოიყვანა და კლავდიუსს, რომელიც ჩემსავით მისი პედაგოგი გახლდათ, პალტოს ჯიბეში ჩაუსვა.

კლავდიუსი — მე თუ მკითხავთ, თქვენი ანო ტიპური ხულიანია.  
ელო — მე კი სიმართლე გითხრა, ცოტა ამოვისუნთქე. ოთახში შემოვბრუნდით, ჩემი ქმარ-შვილი ტელევიზორს უყურებდა. ყინულზე ფიგურულ სრიალს ვაღმნოსცემდნენ. მე და ანოც ჩამოვსხედით...

ილიკო — გულახდილად რომ ვთქვა, ყინულზე სრიალს როცა ვუყურებ, მარტო იმას ველოდები, როდის წაიქცევა ვინმე. თუმცა უკვე შეგეჩვიე, პირველად კი ვყვიროდი, მოდი, წაიქცა, მოდი ყველანი-მეთქი. თითქოს სასწაული ხდებოდა. იი, ასეთი უსინდისოები ვართ ადამიანები.

მეგი — დედიკო ტირის.  
ილიკო — რას ვამბობ, ელო, ასეთს?.. უყურე ამას, მართლა არ ტირის!

ელო — ვინ გითხრათ, რომ ვტირი? (ც რ ე მ ლ ს ი წ მ ე ნ დ ს, დ ი მ ი ლ ი თ)  
ანო, იცი, მეც მსახიობი ვიყავი. ინსტიტუტის დრამწრეში ლუიზას ვთამაშობდი.

შვილებს  
— მამათქვენს სწორედ იქ მოვეწონე. მერე, რამდენიმე წლის მერე ქუჩაში შემთხვევით შევხვდით და მიცნო... ასე დაიწყო ჩვენი ამბავი.

ილიკო — მერე ამიტომ ტირი, ჰალო?  
ელო — ისე კარგად ვცეკვავდი, ვმღეროდი კიდეც. ანო, გინდათ რამე გიმღერათ?

მღერის  
სალამი ჩიტუნებო,  
ჰიმნო გაზაფხულისა...  
ყველანი აუყვებთან

ნატო — სტუმრები გვიან წავიდნენ. ჰერტრუდა დარჩა, ბინის დალაგებაში მოგებმარებო. მარტო ცხოვრობს, არავინა ჰყავს უფროსი და მოსაბრძებელი. დასავით მიყვარს, ერთად გავიზარდეთ...

ჰერტრუდა — ჩვენი ჰკვიანი ჰამლეტი დღეს სიყვარულს მეფიცებოდა, ცოლს გავუშვებ და შენ შეგიერთავო. ნუ გეშინია, ჯერ ცხოვრება წინ არის. ახლა ახალგაზრდა ბებიების დროა. ხომ უყურებ ოფელიას, სამი წლით არის მარტო ჩვენზე უმცროსი, წიწკვივით კი უპირავს თავი. ო, რა მტაცებელი ცხოველია. რომ იცოდე. ისე, მე რომ მკითხო, არავინა, შეყვარებად რომ ღირდეს. (ს ი ც ი ლ ი თ) თანაც კი არ ვბერდები, თითქოს ვმეგვლდები. ნახე, როგორ გამცივდა თმა (პ ა რ ი კ ს ი ხ დ ი ს) ნახე.

ნატო — ნუ გეშინია, დიდი არაფერი!

პეტრუდა — (პ ა რ ი კ ს ი ხ უ რ ა ე ს) რადგან შენ ამბობ, დიდი არაფერიაო, ეტყობა, მთლად გამცვივდა თმა, ამის გარდა, ქრონიკული კატარი მაქვს, გამაწაბა. ესეც დიდი არაფერი. რა გითხრა კიდევ, რით ვაგახარო? კბილების პროტეზი ხომ გაჩვენე?.. ვერ წარმოიდგენ, როგორ დავიდალე. სიამოვნებით დავწვებოდი და დავიძინებდი მთელი კვირა, მთელი თვე, მთელი წელიწადი... ჩემი და სოხუშში ცხოვრობს, ამქვეყნად ერთადერთი მახლობელი ადამიანი, ოცი წელია, არ მინახავს, ვერ მოვიცალე. ესეც დიდი არაფერი! არა უშავს, მაინც ვიბრძვი (ღ ი მ ი ლ ი თ) არ მინდა, შენისთანა ვაგხდე.

ნატო — (ღ ი მ ი ლ ი თ) მე როგორი ვარ?

პეტრუდა — დღეს შენთან ანო იყო?

ნატო — ანო? ანო რა შუაშია?

პეტრუდა — მერე?

ნატო — არაფერი. უბრალოდ გამეცნო. კარგი გოგოა. მაისური და დაგლევილი ჭინსები ეცვა.

პეტრუდა — ასეთი შოდაა ახლა, რას იზამ!

ნატო — შიშველი ფეხები საბოგებში წაეყო. ამ ყინვაში. ესეც მოდაა? მე ფილტვების ანთება დამემართებოდა ნამდვილად.

პეტრუდა — ეგენი სხვა გიშისანი არიან.

ნატო — სკამის კიდეზე ჩამომისკუბდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და ორფუთიან საბოს თითის წვერზე ათამაშებდა.

პეტრუდა — (ს ი ც ი ლ ი თ) ხომ არ უსტვენდა? მაგათ სტვენაც უყვართ.

ნატო — (ბ რ ა ზ ი ა ნ ა დ) კი, უსტვენდა!

პეტრუდა — კარგი ერთი, რას არ მოიგონებ!

ნატო — ვინ დავიფიცო... უჩას გეფიცები! უსტვენდა და თან ოთახს ათვალერებდა. როცა ოთახის დათვალერება დაამთავრა, მკითხა, ეს ყველაფერი თქვენიაო? მანქანაზეც თვითონ ბეჭდავთო? მე მამიდაჩემის ამბავი მოვუყვი...  
პეტრუდა — ამიტომ დაუძახე მაინცადამაინც პრემიერის წინ?

ნატო — პატარა მხეცუნა!

პეტრუდა — იყო! იყო პატარა მხეცუნა!

ნატო — მე და უჩას შენი იმედი გვაქვს-მეთქი.

პეტრუდა — (ი ც ი ნ ი ს) ოხ, ნატო, ნატო, გველივით ბრძენი და დაუნდობელი ხარ.

ნატო — მერე ჩემი ტრანზისტორი აიღო, ეს თქვენი ტრანზისტორიაო? არც ერთ სიტყვას არ ვამატებ. დიახ, ეს ჩემი ტრანზისტორია-მეთქი. ტომრიდან, ახლა ყველას ჩანთის მაგივრად რომ უჭირავს, დაკმუქნული სიგარეტი ამოიღო, საეულდაგულოდ გაასწორა, მოუკიდა, გააბოლა და მკითხა, ეგ თქვენი მაგნიტოფონიაო? შუსტად ისე მელაპარაკებოდა, როგორც მე ველაპარაკები მოწაფეებს, ოღონდ ახლა ის იყო მასწავლებელი, მე კი — მოწაფე...  
პეტრუდა — და თან უსტვენდა, არა?

ნატო — ეს იყო და ეს, მეტი არაფერი.

პეტრუდა — მეტი არაფერი თუ დიდი არაფერი?

ნატო — (ს ი ც ი ლ ი თ) მაშ, არ გინდა ჩემნაირი იყო, არა? კი მაგრამ, მაინც რატომ?



**ჰერტრუდა —** გენუმრები...

**ნატო —** (მკაცრად), მე ვიცი, როდის მეხუმრებიან და როდის — როდის?

**ჰერტრუდა —** (მეწუხებულად) ნატო?

**ნატო —** არავის უნდა ჩემნაირი იყოს, ყველა გამირბის... ეს სახლი ყინულისაა, მეც ყინულისა ვარ. იცი რატომ, იმიტომ, რომ მეშინია. არა, ერთხელ შეშინდა და იმიტომ. შენ იცი, ამ ოცი წლის წინ მე როგორი არჩევანი გავაკეთე, ჩემი სხეულიდან ჩემივე ნებით ამოვაჭრეინე ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი შვილი. ან მე, ან ის, აი ასე იდგა საკითხი. მე ჩემი თავი ვაჩრჩიე, მე მინდოდა მეცოცხლა, იმიტომ რომ მიყვარდა, იმიტომ რომ ბედნიერი ვიყავი, მაშინ დაუფიქრებლად შევწირავდი ყველაფერს რამდენიმე გიჟურსა და ტუბილ წუთს. ღმერთო ჩემო, ეს წუთი მარადიული მეგონა... მე რომ მტოდნოდა, რომ მარტო მომიწევდა ამ ოცი წლის გავლა, რასაკვირველია, მაშინ სხევანი არჩევანს გავაკეთებდი. მაგრამ ყველა შემთხვევაში მაინც დამნაშავე ვარ და აკი დამსაჯა კიდევ ღმერთმა. ყველაზე საშინელი რამ — სიმარტოვე მომისაჯა. მე კი მარტოობის მეშინია, უფრო ვიდრე სიკვდილის და ამიტომაცაა, რომ ყველაფერზე ვთანხმდები, ყველაფერზე თვალს ვხუჭავ, ოღონდ ჩემს გვერდით ხმის გამცემი ცოცხალი არსება იმყოფებოდეს. დე, ვაჟულდე მას, სიძულელი ხომ უკვე იმას ნიშნავს, რომ მარტო არა ვარ! მე დღემდე ვერ მაპატიო ჩემმა ქმარმა ასეთი არჩევანი, მე მას თავზე მეტად ვუყვარდი და სწორედ ამიტომ ვერ მაპატიო. არც უნდა ეპატიებია. ასე ნელ-ნელა საშინელ არსებად გადავიქციე, რომელიც საკუთარი ხორციით, ფიქრითა და ოცნებით იკვებება... იქამდე მივიღი, რომ უჩხას წარმატების მეშინია. მეგონია, როცა იმარჯვებს, მშორდება.

**ჰერტრუდა —** დამშვიდდი, ნატო!

**ნატო —** ცხოვრებაში ერთხელ ყველას წინაშე დგება არჩევანი. იმარჯვებს და დიდხანს ცხოვრობს ის, ვინც საკუთარ თავს სწირავს სხვისი გულისთვის. ეს უცნაური პარადოქსი ცხოვრებისა მე თავიდან ვერ გავიგე. ახლა მისი დიადი აზრი თანდათან მესმის, მაგრამ უკვე გვიანია... უჩა ძილში ხრიკებს ხოლმე, თითქოს ვიღაც ყელში უჭერდეს, აღრჩობდეს, მე ვიცი, რატომაც ემართება ეს, კოშმარულ სიზმრებს ხედავს, თითქოს ის და მისი, არა, ჩვენი შვილი, — გადატრუსული მინდვრების თავზე დაფრინავენ... და ვერაფრით ვერ ეშვებიან მიწაზე. ანდა უდაბნოში თითქოს აქლემზე სხედან და ის აქლემი კი თურმე ქვისაა, გერსად ვერ მიდის... და როცა იღვიძებს, ჩემი დანახვა არ უნდა...

მე ეგოიზმის მსხვერპლი ვარ. გაუბედურებული, მარტო დარჩენილი, გასრესილი. ეგოიზმი სულის კიბო ყოფილა, რომელიც მარტო მე კი არა, სხვასაც ანადგურებს. ყველაფერს ერთი საფეხურით დაბლა სწევს, ამცირებს, აკნინებს სიყვარულს, კეთილშობილებას, მეგობრობას, ყველაფერს, რასაც კი ცოტაოდენი სიფბო და გავება მაინც სჭირდება. აი მე საკუთარი თავის გადარჩენისთვის ყოველ წამს მზადა ვარ ახალი და ახალი დანაშაული ჩავდივით. განა ამ დილით საცოდავ ანოსთან არ გავიმეორებ ის, რაც ოცი წლის წინ ჩავიღინე? აი ანოც გაქრა... დავმშვიდდი. კი მაგრამ, რად მინდა ეს სიმშვიდე, რად?

**ჰერტრუდა —** რა დავემართა, ნატო, გეყოფა!

**ნატო —** ეგოიზმის ბრალდა ისიც, თვალს რომ ვიბრმავებ, თითქოს არ ვიციოდე. ჩემი ქმარი ჩემს უახლოეს მეგობართან კვირაში ორჯერ რომ დადის...

**ჰერტრუდა —** რას ამბობ, ტყუილია!

**ნატო** — გაჩუმდი! ეს მე დიდი ხანია ვიცი. აი სადამდე შეიძლება დაეშვას ადამიანი. მეშინია! გესმის! სიმარტოვის მეშინია ასე შიშში უნდა გავატარო მთელი სიცოცხლე...

**ჰერტრუდა** — (და ბ ნ ე უ ლ ი) მე არ მეგონა... სულ მინდოდა...

**ნატო** — არა, არ იყო საჭირო ამის თქმა.

**ჰერტრუდა** — თავიდან... როგორ გითხრა... შემეცოდა... სამზარეულოში დავსვი და რძიანი ყავა დავალევი. თან კარაქთან პურს ატანდა. თითქოს უსახლკარო იყო... ბავშვი...

**ნატო** — ხო, უსახლკარო იყო... შენ კი ამით ისარგებლე.

**ჰერტრუდა** — შენ გგონია, ვუყვარდი ან ვუყვარვარ?

**ნატო** — არა, არ გგონია!

**ჰერტრუდა** — საათობით იჯდა ტელევიზორთან. ერთხელ ფლოსტები მოიტანა... იმ ფლოსტებით დადიოდა ოთახში, წინ და უკან, წინ და უკან, განუწყვეტილად, პატიმარვით. თანდათან შევეჩვიე...

**ნატო** — დადიოდა და შენც შესცქეროდი არა?

**ჰერტრუდა** — ზოგჯერ ჭადრაკს ვეთამაშებოდი ხოლმე.

**ნატო** — (ძ ა ლ ი ა ნ გ ა უ კ ვ ი რ დ ე ბ ა) რა-ას?

**ჰერტრუდა** — ჭადრაკს. ზოგჯერ დილამდე ვეთამაშებოდი ხოლმე ჭადრაკს...

**ნატო** — (ი ც ი ნ ი ს) დილამდე ჭადრაკს ეთამაშებოდი?!

**ჰერტრუდა** — (ი ც ი ნ ი ს) ხო, დილამდე ვეთამაშებოდი ჭადრაკს...

**ნატო** — (ი ც ი ნ ი ს) — დილამდე ჭადრაკს ეთამაშებოდი?!

**ჰერტრუდა** — (ი ც ი ნ ი ს) ხო, დილამდე ვეთამაშებოდი ჭადრაკს.

**ნატო** — (ი ც ი ნ ი ს) აღარ შემიძლია! მაშ, დილამდე ჭადრაკს ეთამაშებოდი?

**ჰერტრუდა** — (ი ც ი ნ ი ს) ხო, დილამდე ჭადრაკს ეთამაშებოდი.

**ნატო** — (ი ც ი ნ ი ს) გეყოფა, გეყოფა, აღარ შემიძლია. მაშ, ჭადრაკს დილამდე ეთამაშებოდი...

**ჰერტრუდა** — (ი ც ი ნ ი ს) ხო, დილამდე ეთამაშებოდი ჭადრაკს...

ეს არის ორი ქალის ისტერიული სიცილი

3.

**გოგონები** — იმ დამით ზურციკომ ანო შინ მანქანით გააცილა, ანოს სახლთან რომ მივიდნენ, კიდევ დიდხანს ისხდნენ მანქანაში, რალაცაზე ლაპარაკობდნენ, მერე მანქანიდან ვადმოვიდნენ.

...ახლა სადარბაზოსთან შეჩერდნენ...

**ანო** — რაღას უცდი, რატომ არ მიდიხარ?

**ზურციკო** — რა ვიცი...

**ანო** — გიფხრა, რატომაც არ მიდიხარ?

**ზურციკო** — მიფხარი.

**ანო** — ჩემთან გინდა შემოსვლა. იმ დღეს სახლში რომ მივარდებოდი. გახსოვს...

**ზურციკო** — მაშატიე, მთვრალი ვიყავი.

**ანო** — ახლაც გინდა შემოსვლა, მაგრამ მთვრალი არა ხარ და ვერ ამბობ. ხომ მართალია?

**ზურციკო** — (თ უ შ ი ც ა ა ნ ო ს პ ი რ დ ა პ ი რ ნ ა თ ქ ე ა მ მ ა ს ი ტ ყ ვ ა მ შე ა კ რ დ ო, მ ა ი ნ ც ი ხ ტ ი ბ ა რ ს ა რ ი ტ ე ხ ს) რატომაც არა?

**ანო** — რა თქმა უნდა! სხვაზე ნაკლები რითი ხარ? რატომ არ უნდა გინდოდეს?

**ზურციკო** — მართლაც, რატომ არ უნდა მინდოდეს?

ანო — მითუმეტეს, ყველას უნდა...

ზურციკო — მაინც ვის გულისხმობ?

ანო — (ხელით დიდ წრეს შემოხაზავს პაეტონი) ყველას!

ზურციკო — (იძვობს) ყველას...

ანო — შენ რა, გწყინს?

ზურციკო — რატომ უნდა მწყინდეს?

ანო — ხოდა, დაიხსომე (უმარცვლავს) ყველას!

ზურციკო — წავედი, ნახვამდის!

ანო — ხო, წადი, ოღონდ დაიხსომე: ყ-ვე-ლ-ა-ს!

ზურციკო — კარგად იყავი...

პაუზა

მთქმელი — (ანოს) ამოიღე ხმა, რატომ გაჩუმდი?

ანო — ზურციკო... თუ გინდა, შევედეთ ჩემთან... ჩაის დაგაღვინებ (ცოცხლად) ხო, ჩაი დავლიოთ.

ზურციკო — გვიანია...

ანო — შენი ნებაა...

მიუბრუნდება მთქმელს

— მე, პირადად, ასე გვიან ბიჭს ჩემთან არ შემოვუშვებდი.

მთქმელი — არა, ეს გოგო ნამდვილად გადამრევს! შენ ვინ გეკითხება, როგორ მოიქცეოდი. გააგრძელე, ბევრს ნუ ლაპარაკობ!

ანო — კი, ბატონო...

ზურციკოს

— ოღონდ, ვარდის მურაბა არა მაქვს.

ისინი ახლა ვითომ ანოს პინაში შემოდინან

ანო — ხომ მოვედი მაინც შენთან? რა იფიქრე, რომ დამინახე? გავიხარდა?

ზურციკო — ისე რა...

ანო — შეგეშინდა ალბათ.

ზურციკო — რატომ უნდა შემშინებოდა?

ანო — იმიტომ რომ მე დაგემუქრე, მოვალ-მეთქი და მოვედი.

ზურციკო — დიდი ამბავი, თუ მოხვედი... პალტო სად დავკიდო?

ანო — იცი, მე წაითხული მაქვს მამაშენის წიგნი. მაგრამ ვერ გავხედე მეთქვა. შენ და მეგი კი ერთმანეთს არ გავხართ. ის უფრო ჰკვიანია...

ზურციკო — მეტიჩარაა.

ანო — ოფელია ვარდის მურაბაში გაცვალაო... ეგ პალტო იატაკზე დააგდე. ახალი მოწმენდილი მაქვს. ჩამოსაყიდი ვერ გავაყეთებინე, ვერც ვიყიდე. ფული რომ მექნება, უსათუოდ ვიყიდი. მიყვარს, როცა ბინა ბინასა ჰკავს. აი მაგალითად თქვენი ბინა: პალტოს დასაყიდიც არის თავის ადგილას, სარკიც... მეც ტელევიზორში ფიგურულ სრიალს რომ ვუყურებ, სულ იმას ვე-დი, ვინმე თუ წაიქცევა... წაიქცა, ვყვირი, წაიქცა და ვკოტრილობ იატაკზე სიხარულსაგან, აი როგორი ბოროტი ვარ, შენ კი არ შეგეშინდა. ძალიან გული დამწყდა, რომ არ შეგეშინდა... სკამი სამზარეულოშია, თუ გინდა, გამოიტანე. ჩაი, უნდა გამოგიტყდე, არა მაქვს.

ზურციკო — მე ჩაი არც მინდოდა.

ანო — ძალიანაც კარგი, მაგას რა სჯობია. მამაშენი, ეტყობა, კეთილია... იცი, როგორ მიყვარს კეთილ ადამიანებთან ახლოს ყოფნა, თითქოს რადიატორთან ვზივარ, გარეთ ვიყურები, წვიმს და მე კი კარგ გუნებაზე ვარ... არა, მშვიდადა ვარ...

ზურციკო — (ღიმილით) რა შუაშია რადიატორი და მამაჩემი?..

ანო — დმერთმანი, არ ვიცი. თავში სულელური აზრები მომდის. ცოტას თუ დაიციდი, მალე გამივლის და ადამიანურად დაგელაპარაკები. გინდა, ადამიანურად რომ დაგელაპარაკო, გიყვარს ადამიანური ლაპარაკი, მოგისმენია ადამიანური ლაპარაკი?..

ზურიკო — ანო, მე შენ მართლა მიყვარხარ...

ანო — (ღ ი მ ი ლ ი თ) აკი, ჩაი არ მინდაო?

ზურიკო — ნუ იცინი. მე არ გეზუმრები...

ანო — თუმცა მალე გაზაფხულიც მოვა...

ზურიკო — გაზაფხული?

ანო — ხოდა საკიდიც საჭირო აღარ იქნება...

ზურიკო — აჰა, დავაგდე ეს პალტო! მართალი ხარ, მალე საკიდი საჭირო აღარ იქნება...

პაუზა

— ეს ვისი სურათია?

ანო — ეს ჩემი სურათია.

ზურიკო — აღრე ბიჭი იყავი?

ანო — ეს ბიჭაჩემის სურათია.

ზურიკო — პირველად ვნახე, ბიძის სურათი ეკიდოთ შინ.

ანო — მამა რომ მომიკვდა, მისი სურათი მთერალმა ნათესავმა წაიღო და დაკარგა. მეტი სურათი არ გქონდა...

საწოლზე ჩამოწლება

— კიდევ გიყვარვარ თუ გადაიფიქრე?

ზურიკო — ერთი სურათი გქონდათ?

ანო — არ გიყვარს, პრემიერაზე რომ არ წავედი დღეს?

ზურიკო — მიხარია, რომ არ წახვედი. მეტი არაფერი მაინტერესებს.

ანო — მაღლობელი ვარ, რომ არ მკითხე, რომ არ გაინტერესებს.

ზურიკო — რა გატირებს?

ანო — ვინ მოგახსენა რომ ვტირი? (ს ი ც ი ლ ი თ) ეგლა მაკლია!

„აბა, სად არის ჩემი ეტლი“...

ეს ჩემი რთლიდანაა...

ზურიკო — ვხედვები. ვერ ვიტან ოფელიას.

ანო — მაღლობთ, ზურიკო...

პაუზა

— ზურიკო...

ზურიკო — ბატონო?

ანო — რატომ დამდგომიხარ თავს, რა გინდა?

ზურიკო — (ძ ლ ი ვ ს ა მ ო ლ ე რ ღ ა ვ ს) არაფერი...

ანო — თუ არაფერი არ გინდა, მაშინ ის მაინც მითხარი, როდისმე შენთვის ყველაფერი სულ ერთი თუ ყოფილა?

ზურიკო — (ხ მ ა გ ა ბ ზ ა რ უ ლ ი) ანო...

ანო — არ მიყვარს თავზე რომ მადგას ვინმე. დაჯექი, რას უდგებარ!

ზურიკო — სად დავჯდე?

ანო — მოდი, აქ დაჯექი.

ხელით აჩვენებს, აი აქ, ჩემს გვერდით დაჯექიო

ზურიკო — ვიდგები.

ანო — მოდი, ნუ გეშინია.

ზურიკო — რისი უნდა მეშინოდეს?

ანოს გვერდით წდება

წნო — მე არ მეგონა, რომ ეს ასე მოხდებოდა...  
მეგონა, ჭკუას დავკარგავდი ბედნიერებისაგან.  
მე კი ახლა ყველა და ყველაფერი მძულს...

ზურბო — რა თქვი?

ანო — შეგეშინდა?

ზურბო — შეგეშინდა?

ანო — ნუ გეშინია.

ზურბო — არაფრისაც არ მეშინია.

ანო — ხოდა, ნუ გეშინია.

შუქი ჭრება  
სიბნელეში ისმის როგორ აკაუნებენ ფანჯარაზე, მერე კარზე მოაბრახუნებენ ფეხებით,  
შუქი ინთება  
შუა ოთახში დგას პერანგისამარა ანო

ხმა — თუ შეიძლება, გააღეთ, გააღეთ. კაცი კვდება. გააღეთ!

ანო ზურბოს უყურებს, რომელიც საწოლზე ზის და განჭარბებული იცვამს, თან ანოს ხელით ანიშნებს, არ გააღო

კარზე აბრახუნებენ.

ანო კარისკენ მიდის, ზურბოს სამზარეულოსკენ უთითებს, იქ დაიმალო. ზურბო სამზარეულოში გარბის

ანო კარს აღებს

შუქი ჭრება

მთქმელი — (ს ი ნ ა თ ლ ი ს წ რ ე შ ი) დანარჩენი თქვენც იცით, შემოვიდნენ, დაჭრილი ამხანაგი შემოიყვანეს, ანოს სთხოვეს, სასწრაფო დახმარებას დაურეკეთ და გაიქცნენ... ერთი ტიროდა. ეს იყო და ეს...

შუქი ინთება

ზურბო სამზარეულოდან გამოდის.

ზურბო — (ჩ უ რ ჩ უ ლ ი თ) ანო!

ანო — (შ ე შ ი ნ ე ბ უ ლ ი, ა ქ ა მ დ ე თ ვ ა ლ ს ვ ე რ ა შ ო რ ე ბ დ ა დაჭრილს) ჰა?

ზურბო — (ჩ უ რ ჩ უ ლ ი თ) მე წავალ... მე უნდა წავიდე... გესმის?

ანო — ხო... ხო...

ზურბო — ...ასე უკეთესი იქნება... შენთვისაც... სასწრაფოც სადაცაა მოვა...

ანო — ხო... ხო... (უ ც ე ბ გ ა მ ო ე რ კ ვ ე ვ ა) რა თქვი? მიდიხარ? აბა, არ წახვიდე!

ზურბო — სასწრაფოს გავხედავ... ასე ჯობია, დამიჯერე... შენთვის უკეთესია...

ანო — მეშინია, ზურბო, მეშინია...

კივას

— მეშინია!

ზურბო გარბის

ელო და ზურბო

ელო — მეშინიაო! უყურეთ მაგ უსინდისოს მაგას! თქვენ უნდა გენახთ, ზურბოს რა სახე ელო. არ მეძინა, მის დაბრუნებას ველოდებოდი. კარი ფრთხილად შემოაღო. მე დერეფანში გამოვედი. დელო, — დაიძახა და მუხლებზე მომეხვია...

ზურბოს

— რა იყო, შვილო, რა მოგივიდა?

ზურბო — დედა, მწველე, დედიკო!

ელო — მე ვიცოდი, რაღაც რომ დაგემართებოდა.

ზურბო — დავიღუპე!



ელმო — არ მტყუცი, რა დაგემართა!

ზურა — დედა მიშველე!

ელმო — რა გაყვირებს ამ შუალამისას, ხალხის მაინც არ გერიდება?!

ანოს ბინა

სასოწარკვეთილი ანო ფანჯარასთან დგას

ექთანი — ო, რას არ ლაპარაკობს ხალხი, რას არ ლაპარაკობს! ხალხს გააჩუმებ? ან ეტყუცი ასე არ არისო? ყველაფერი უნდა გითხრა, რატომ უნდა დავი-  
მალო, არ ჯობია იცოდე? ამბობენ, თითქოს შენ და ეს ბიჭი... ხომ გესმის?  
შენი მეზობლები ამბობენ, ყოველდღე დადიოდაო, პირზე ხელს ხომ ვერ  
აფარებ? მილიციის ძალით გავასახლებთ ამ სახლიდანო, ამის საყვარლე-  
ბმა ასე თუ ხოცეს ერთმანეთი, არავის დაგვედგომებო აქაო. ანდა ჩვენმა  
შვილებმა რა მაგალითი უნდა გადაიღონ... ამას წინათ ტელევიზორში აჩ-  
ვენეს, ლდინთი, მზისით ქალი გაძარცვეს და არავინ მიეშველა. მე რა  
ვუყო, მე ხომ მილიცია არა ვარ? ცოდნა, მაშ არ არის ცოდო? მაგრამ  
სხვის გულსთვის თავს ვერ დავიღუპავ და არც სხვა არავინ გამოიდებს  
თავს არავისთვის, თუკი არ იცნობს. ამასაც ამბობენ, თუკი არ იცნობდა,  
კარს როგორ გაუღებდაო, მოდი, ახლა კარტი ვითამაშოთ.

ანო — არა... არ მცალია.

ექთანი — რა ცალები გკილია ასეთი?

ისმის დაჭრილის კენესა

— დედა... დედა... დედიკო...

ექთანი — (ღ ე მ ი ლ ი თ) გესმის? შენ გეძახის, დედიკოო. ნათლიაჩემიც ცოლს  
დედიკოს ეძახის... ო, შე ეშმაკო (ან ო ს ლ ი მ ი ლ ი თ თ ი თ ს უ ქ ე ნ ე ვ ა)  
დედიკოო. სად მიდიხარ, დედიკო? ბაზარში, მალე მოდი, დედიკო... მალე  
მოვალ, მამიკო... ნათლიაჩემს სამი შვილი ჰყავს. დიდი ამბით აქ დარაჯად  
დამაყენეს, ვინ შემოგივირდებათ? ამასაც არაფერი უქირს, გადარჩა... კარ-  
გი დედიკო ჰყავდა და იმიტომ... აი ახლა მე ჩემს მამიკოსთან გადავირბენ,  
აგე, იმ მშენებლობაზე მუშაობს და შენ შენს მამიკოს იქამდე ყური უტღვე,  
მალე მოვალ (ს ი ც ი ლ ი თ) ისეთი მამიკო მყავს, სულ კირში ამომთხუპ-  
ნის ხოლმე...

კიდევ კარგი, თეთრი ხალათი მაცვია...

ვარზის

ელმო, ზურა და მეგი

ზურა — მამა წავიდა?

ელმო — ნუ გეშინია, ყველაფერს გააკეთებს.

ზურა — არ ვიცი, შეიძლება ჩემი მანქანის ნომერი ჩაიწერა ვიღაცამ, ისე  
არავის დაუწახივარ. ასე რომ ჩემი იქ ყოფნის ამბავი მარტო ანომ იცის...

ელმო — ისე იყავი ატეხილი, უსათუოდ რაღაც უნდა მომხდარიყო. როცა გეუბ-  
ნები, მაშინ ჩემი არ გჯერა, ახლა კი... მიშველე... როცა გვიან არის,  
მაშინ ვახსენდებათ მშობლები. მშობლები იმიტომ გინდათ, რომ გიშველონ,  
მეტე არაფერი. მე შენ თავიდანვე გითხარი, ეგ გოგო არ მომწონს-მეთქი.  
ორსულადა ვარო, მითხრა, ორსული ქალი გვცვარებია და არ იცოდო...

ზურა — ეგ ტყუილია!

ელმო — შენ რა იცი?

ზურა — ანო ჩემი ცოლია!

ელმო — როდის აქეთ?

ზურა — წუხანდლიდან.



ელო — (დაკვირვებით უყურებს, პაუზის შემდეგ) შენ იცო  
 ლი თუა... თუ შენი ცოლია, რატომ იქ არა ხარ?  
 ზურიკო — დედა...  
 ელო — დაგისწამებია რაღაცა...  
 ზურიკო — როგორ თუ დაგისწამებია?  
 ელო — წადი აბა და განაცხადე, ანო ჩემი ცოლია, მე წუხელ იქ ვიყავო.  
 ზურიკო — ვინ დამიჯერებს, რომ მე უდანაშაულო ვარ, ის ბიჭი, შეიძლება მო-  
 კვდა კიდევ.  
 ელო — არავინ, არავინ არ დაგიჯერებს.  
 ზურიკო — ისე რატომაც არა, წავიდოდი, განვაცხადებდი, ანოსთანაც მივი-  
 დოდი, მაგრამ ვინ დამიჯერებს?  
 ელო — მე, მაგალითად, მჯერა, რომ შენ კაცს არ მოკლავდი.  
 ზურიკო — შენ დედა ხარ...  
 მეგი — რა იცი, იქნებ სხვამაც დაგიჯეროს. სცადე?  
 ზურიკო — დედა, ახლა მეგი დაიწყებს თავისებურად, მე კი ნერვები მაქვს  
 აშლილი.  
 მეგი — არაფერსაც არ დაიწყებს. მარტო ის შინტერესებს, მანქანა რომ დაგე-  
 ჯახებინა ვინმესთვის და არავის არ დაენახე, გაიქცეოდი?  
 ზურიკო — დედა, უთხარი, გაჩუმდეს!  
 მეგი — (მაგნიტოფონს ჩართავს) აი გავჩუმდი.  
 ზურიკო — ისე მართალი ხარ, დედიკო, შენ. ყველაფერი ჩემი ბრალია, მოვი-  
 და, დედაჩემს უთხრა, ორსულადა ვარო, მე კი თავი გამაცილებინა. ჩემთ-  
 ვის ყველაფერი სულ ერთიაო... (ამ ფრაზას მოეჭიდება, რო-  
 გორც მორევზე გადმოშვებრილ ტოტს) ხო, ასე თქვა:  
 ყველაფერი სულ ერთიაო.  
 ელო — რაო?  
 ზურიკო — ყველაფერი სულ ერთიაო (მეგის) გააჩუმე ეგ მაგნიტოფონი!  
 მეგი ხმას უმატებს  
 ზურიკო — ყველაფერი მძულს და ყველაფერი სულ ერთიაო. ხო, ასე თქვა.  
 მეგის უფერის  
 — გააჩუმე-მეთქი!  
 დედას  
 — მაინც, მაინც რა უნდა უთხრას მამამ?  
 ელო — არ მესმის?  
 ზურიკო — მამამ რა უნდა უთხრას-მეთქი, რისთვის წავიდა? (მეგის მისა-  
 მართით) გაჩუმდი!  
 მეგი — (ყვირის) ყველაფერი სულ ერთიაო!  
 ელო — ხელი უნდა თხოვოს.  
 ზურიკო — რა?  
 ელო — ხელი უნდა თხოვოს შვილისთვის. მეგი, დაუწიე ცოტათი ხმას, ყელი  
 ჩამება!  
 მეგი — (ყვირის) სულ ერთიაო! სულ ერთიაო! სულ ერთიაო!  
 ზურიკო — იქნებ ჯობდა, მე წავსულიყავი.  
 ელო — რა თქვი?  
 ზურიკო — (ყვირის) იქნებ, მე წავსულიყავი ანოსთან-მეთქი  
 ელო — (უყვირის) ანო თავისი ფეხით მოგივია ახლა აქ!  
 ილიკო და ანო  
 ანო — რომ იცოდეთ, როგორ ვნანობ, კარი ღრმ გავალე. ერთმა ისიც ძითხრა,

გითომ შენ რა წითელი კოჭი იყავი, კარბი რომ გაუღეო. ფეხებით, ფეხებით აბრაახუნებდნენ. გავუღე და აი რა დღეში ჩავვარდი. ჩემს მეზობლებს მილიციაში განცხადება შეუტანიათ, ჩემი გასახლება უნდათ თურმე. (ლილიო) ყოველდამე მაგასთან საყვარლები დადიანო. ეს კი სულ კენესის და კენესის (ლილიო) დედიკოს მეძახის. არა, რა თქმა უნდა, მე არ მეძახის, საერთოდ, მე არც კი მიცნობს, მაგრამ ასე მგონია, სწორედ მე მეძახის და მინდა დავუყვირო, ვინ არის შენი დედიკო, შე ცინგლიანობეთქი. შეიძლება სიგარეტი მოვწიო?

ილიკო — მოწიეთ, მოწიეთ. პატარა ამბავი გადაგხდათ თავს?!

ანო — სიგარეტი რომ არა მაქვს?

ილიკო — მე კი არ ვეწევი... სამწუხაროდ.

ანო — არა უშვავს, კიდევ მოვითმენ. გინდათ სიმართლე გითხრათ? მე მეგონა, რომ ზურიკო აღარ გამოჩნდებოდა.

ილიკო — (ლილიონა რევი საყვედური) ანო!

ანო — შეეშინდა... არა, რა თქმა უნდა, მეც შეეშინდა, ყველას შეეშინდებოდა... იცით, მე ზურიკოსთან დამნაშავე ვარ, როგორ უნდა შევხედო თვალებში, არ ვიცი, ამ დღეში რომ ჩავაგდე. თქვენც შეგაწუხეთ. იცით, წუხელ თქვენთან რომ ვიყავი, რას ვფიქრობდი? ზურიკო რომ ცოტათი მამას ჰგავდეს, ჩამდენად კარგი ბიჭი იქნებოდა-მეთქი...

ილიკო — (ლილიო) მადლობელი ვარ, ჩემო ანო, მაგრამ იცოდეთ, ზურიკოც კარგი ბიჭია.

ანო — მე, საერთოდ, გუშინ სხვანაირად ვფიქრობდი, დღეს კი სულ სხვანაირად ვფიქრობ, თითქოს გუშინ სხვა ანო ვიყავი, მე რომ ახლა სხვა ანო არ ვიყო, შეიძლებოდა მეფიქრა, რომ თქვენ ზურიკომ გამოგზავნათ, დასაზვერად, ამბის გასაგებად და... ჩემს მოსათაფლავად.

ილიკო — (ლილიო) მოსათაფლავად... კი მაგრამ, რატომ, დააშავა რამე?

ანო — მე რომ გუშინდელი ანო ვიყო, ვიფიქრებდი, რომ თქვენ, ასეთი კარგი კაცი, რომლის წიგნიც სულ ტირილით წავიკითხე, იმიტომ მობრძანდით ჩემთან, რომ ზურიკოს სახელი არ ვახსენო, თითქოს ის წუხელ აქ არც კი ყოფილა... მართლაც, რომ დაუფიქრდე, რატომ უნდა ვახსენო ზურიკოს სახელი? ჭერ ერთი, ჩემი რეპუტაციისათვის, უი, არც კი მეგონა, ეს სიტყვა თუ ვიცოდი! — არ იქნება ეს კარგი. მეორეც, საერთოდ, ვის რა სარგებლობას მოუტანს, ზურიკოს კი აშკარად საქმეს გაუფუჭებს. ვინ დაუჯერებს, ბიჭებს რომ არ იცნობდა, იფიქრებენ, ზურიკომ ის ბიჭი ჩემი გულისთვის დაქრა...

ილიკო — ანო, თქვენ ისე ლაპარაკობთ, მართლა ხომ არ დააშავა რამე ზურიკომ?

ანო — ზურიკომ რა გითხრათ? დავაშავეო?

ილიკო — ზურიკოს თქვენ უყვარხართ, ანო!

ანო — (ლილიო) რა იცით, რომ მე თქვენობით ლაპარაკი მიყვარს?

მკაცრად

— პირდაპირ მითხარით, რა გინდათ, გისმენთ! ნახეთ, ნახეთ, როგორ მიკანკალეხს ხელები!

ილიკო — დამშვიდდით, ყველაფერი გაივლის. ხოლო ზურიკოს თუ მართლა არაფერი დაუშავებია, მაშინ მეც მომიხმინოს ცოტა ხანს გუშინდელმა ანომ, რომელმაც ჩვენთან ხანმოკლე სტუმრობისას მოასწრო და თავი შემაყვარა, თავისი გულწრფელობით, სამართლიანობით. ეს კი იმდენად



იშვიათი ნიღია დღეს, რომ მე მართლაც მოხიბლული დაგჩიო. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა? არც ისეთი გამოუყვანი მდგომარეობაა, როგორც ზოგს შეიძლება მოეჩვენოს. ზურციოს თქვენ უყვარხართ, იმ ეს არის მთავარი!

ანო — (დ ი მ ი ლ ი თ ი მ ე ო რ ე ბ ს) ზურციოს მე ვუყვარვარ... მაგრამ თქვენ ხომ იცრთ, რომ მე ფეხშიძიმედა ვარ, სხვისგან...

ილიკო — (დ ი მ ი ლ ი თ) სხვათა შორის, ეს სრულებითაც არ ჩქნება პირველი შემთხვევა. მე, პირადად, როგორც მწერალს, შემიძლია ასეთი სიყვარულის არა მხოლოდ გაგება, არამედ გამართლებაც. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ცივილიზირებული ხალხი ვართ.

ანო — გულწრფელად რომ გითხრათ, მე უფრო გამიხარდებოდა, ჩემს დასაგმობად რომ მოსულიყავით და არა ჩემს მოსასყიდლად. მე არსხვას ველოდი თქვენგან და არა პატიებას... თქვენ კი თანახმა ხართ ოჯახში შეიყვანოთ სხვისგან დარსულელებული ქალი, იმიტომ კი არა, რომ გიყვართ იგი, არამედ იმიტომ, რომ შეგეშინდათ. ისე სიმაართლე თუ გინდათ, ბატონო მწერალო, მე ფეხშიძიმობა მოვიგონე ჩემი სისულელით... და კიდევ — თქვენი შვილი აქ არ ყოფილა, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ. აქ თქვენს შვილს რა უნდოდა? განა შეიძლებოდა ზურციო აქ ყოფილიყო?

ილიკო — ანო...

რადაცის თქმა უნდა, მაგრამ ვერ ამბობს

ანო — ოღონდ თქვენ არ მოსულიყავით დღეს აქ... ოღონდ თქვენ არ მოსულიყავით დღეს აქ...

ილიკო მიდის

ანო ბიძის სურათის წინ ჩერდება

ანო — აი, ესეც ჩემი თეთრი ეტლი, თავისი ოქროსფერი ლერბითა და პანკიონი მეეტლეებით. (ტ ი რ ი ს) კი მაგრამ, რატომ? რატომ? აი, ხომ ხედავ, რა დამეშინა? მაგრამ, მომისმინე, მე მაინც ბრმა სიყვარული მიჩნევნია თვალახელილ სიძულველს...

ანო და დედამისი

ანოს დედას საყვლოზე მიწვევით მოვლენილი ძველი პალტო აცვია, ფეხების შლია და ახურავს. გაქუცული, ძველიძველი. ეტყობა, ძალიან დაღლილია, ანდა მწუხარებას დაუბრუნებია. ზის, ხელები მუხლებს შორის მოუქცევია, დაპარაკის დროს აქეთ-იქით ირწევა

დედა — (თ ა ნ დ ა თ ა ნ ო ბ ი თ უ წ ე ვ ს ხ მ ა ს) ცუდ ამბავს მაშინვე გაიგებ. გული მეუბნებოდა, უსათუოდ ცუდ ამბავს გაიგებო. იმ დილით თვალის მითამაშებდა. ვთქვებ კიდევ, აი ნახავთ, თუ ცუდი ამბავი არ გავრავთთ-მე-თქი.

ანო — მაშინვე დებეშა გამოვიგზავნე...

დედა — ორი დებეშა მივიღე ზედიზედ. ერთი შენი, მეორენ მოკეთე აწერდი ხელს. ვინა გვყავს ნეტავ ასეთი მოკეთე? დებეშები დილით მომიტანა ფოსტალიონმა. სკოლის ეზოში ვიდექი, სხვა მასწავლებლებთან ერთად. პირველი შესვენება იყო... შენი ქალიშვილის ბინაში კაცი მოკლესო.

ანო — მე ეგ არ მომიწერია!

დედა — იცო, რა არის დებეშა სოფელში? მაგას რადიოში გამოცხადება ჯობია... ასე გადამიხადე სამაგიერო ხომ? იმიტომ დავთმე ყველაფერი? იმიტომ გადავბარე სოფელში? თუ მე არ შემეძლო ქალაქში ცხოვრება? წავედი, ჩავძერი, ჩავიძალე იმ სოროში, იმიტომ, რომ შენთვის ხელი იმ შემეშალა. ჩემმა ქმარმა მითხრა, ავდგეთ და სოფელში გადავსახლდეთო. თვითონ ანგელოსია და სხვა ანგელოსი. ჰგონია, სამი წელია, შენგან წა-

რილი არ მიმიღია. თუმცა, სულ დამავიწყდა, ბატონო! შენ ხომ დედა არ გიყვარს. მე კი ვზივარ და ვტირი. დამნაშავე ვარ-მეთქი, მეორედ არ უნდა გავთხოვილიყავი-მეთქი. შენთან რომ დავრჩენილიყავი, ხომ ცოცხლად შემეპაძლი! კიდევ კარგი, თავს დროზე ვუშველე, გავასწარი. შენ არავინ არ გიყვარს, მე ხომ არ გიყვარვარ და არა, არც მამა გიყვარდა. მამაშენი. მობარშული კარტოფილივითა მაქვს დამსკდარი ხელები: ყოველთვე ფული რომ მოგდის, მაშინ რატომ არ ფიქრობ, ვისი შრომით არის ეს ფული ნაშოვნია... ყოველ ჩვიდმეტ რიცხვში შენს მამინაცვალს თავისი ხელით მაქვს ფოსტაში ფული და გაგზავნის. თავზე ლაფი დაგვასხი, მთელი სოფლის თვალწინ ტალახში ამოგვთხვარე: ასჯერ გამაგონეს, თურმე ვინც კი მიუჯაკუნებდა, ყველას კარს უღებდაო. კი, ბატონო, გავჩუმდები. დავმუწავ ამ მიწით ამოსასვებ პირს, შენ კი ვინც ფანჯარაზე მოგიკაუნოს...

ანო — გაიგეთ, გაიგეთ, გაიგეთ, შემოცვივდნენ და შემოიყვანეს. სხვა არაფერი ვიცი, არაფერი დამიშავებია!

დედა — მუცელში უნდა გამწყალეობდი, ამ დროს თუ მოვესწრებოდი.

ანო — წამიყვანე აქედან, მომამორე აქაურობას, დედა, დედიკო, წამიყვანე, გენაცვალე...

დედა — იმ დღეს უნდა მომეკალი, პაპიროსი რომ გიპოვე ჩანთაში... აი მაშინ უნდა მომეკალი, უკეთესი იქნებოდა ყველასთვის...

ანო ცდილობს მრგვლით, მკერდში ჩაეკრას, დედა უხეშად იშორებს

დედა — (წამოღებდა. უყვირებდა) მომშორდი!

ანო არ ეშვება

— მომშორდი-მეთქი, არ მომეკარო!

ანო — (ქვითინით) წამიყვანე აქედან!

დედა — (ანოს თმას ჩაბღუჯავს, თავს გადაუწევს, ზემოდან დასცქერიდა) ახლა წაგიყვანო?

ურტყამს გამეტებით

— ახლა წაგიყვანო? აი, წაგიყვანე!

ურტყამს

— წაგიყვანე!

ურტყამს

ანო — ხო, მცემე, მცემე...

დედა ხელს გაუშვებს, ანო მივარდება, ხელებზე კოცნის

— ოღონდ წამიყვანე... ოღონდ წამიყვანე... ოღონდ წამიყვანე!

დედა — ის კაცი სახლში არ შემოუშვი, სხვა მამა არ მინდაო, ძალღივით დაუწყე კბენა, ისიც წავიდა, გაგერიდა... ახლა წაგიყვანო? სულ აიღე ნამუსზე ხელი, აღარაფრის გრცხვენია? მომშორდი-მეთქი!

ანოს, რომელიც მუხლებზე ეხვევა, ფეხს წაჰკრავს.

მიდის, კართან ერთი წამით ჩერდება

დედა — პატარა აღარა ხარ, თუ წამოსვლა გინდა, გზას შენით გააგნებ.

მიდის

I გოგო — ჯერ მე დამირეკა. მე კი ავად ვიყავი. სწორედ იმ დღით სიცხე მომცა.

II გოგო — მეც მე დამირეკა. მე კი სწორედ მაშინ მამიდასთან წამიყვანეს საავადმყოფოში. მთელი დღე იქ ვიყავი. ოპერაცია გვიან დამთავრდა...

III გოგო — მე კი ჩათვლა მქონდა დარჩენილი და მთელი დღე მაყურყუტა ლექტორმა. გვიანობამდე არ მოვიდა...

გოგოები — რეკვას რომ მორჩა, კარადიდან ჩანთა ვადმოიღო და თავისი ნივთების ჩალაგება დაიწყო. ამ დროს, ექთანაც დაბრუნდა.

ექთანი — შენ რა, სადმე მიღიხარ?

ანო არ პასუხობს

ექთანი — როგორა გყავს მამიკო? სად მიღიხარ-მეთქი?

ანო — არსად.

ექთანი — ჩემმა მამიკომ მოგიკითხა. იცი რა კარგი ამხანაგები ჰყავს, თუ გინდა გააცნობ. (ს ი ც ი ლ ი თ) ერთად ამოვისვაროთ კირში. ჩვენ ალბათ ხვალ დაგტოვებთ, გაგანათვისუფლებთ. შენ მაინც რა გრჯიდა, რატომ უღებდი კარს, კისერიც უმტვრევიათ, შენ გამოსწორებ ქვეყანას? შენი ძმია თუ შეყვარებული? ახლა ყველა ეგეთია, ყველას ხომ ვერ მოუვლი? მაშინ, მართლაც, ყველას უნდა გაუღო კარი და შენც ისეთი გახდები...  
ომნაირი...

ანო — ხო.

ექთანი — ახლა კი თუ არსად არ მიღიხარ, კარტი მეთამაშე.

ანო — კარტი?

ექთანი — ხო.

ანო — რატომ?

ექთანი — ისე, მეთამაშე.

ანო — რომ არ ვიცი?

ექთანი — კარგი ერთი, ბრიყვობანა არ იცი? წამო, სამზარეულოში მაგიდასთან დავსხდეთ და აგისხნი.

სამზარეულოში მაგიდასთან სხდებიან

ექთანი ხალათის წიბიდან კარტს იღებს

— ეს ბიჭი სამ-ოთხ დღეში ფეხზე დადგება...

ანო — როდის?

ექთანი — როდინობის კვირაში.

ანო — რა-ა?

ექთანი — სამ-ოთხ დღეში-მეთქი.

ანო — სამ-ოთხ დღეში?

ექთანი — შენ რა, დაყრუვდი? დარიგდება ექვს-ექვსი კარტი, ვდებთ კოზინს, იცი ალბათ...

ანო — კი ვიცი...

ექთანი — თუ იცი, აბა დაარიგე!

ანო — მე ერთი სათხოვარი მაქვს...

ექთანი — ბრძანე. ორ-ორი დაარიგე, ჩქარა იქნება.

ანო — რალაცა უნდა გაგატანო თეატრში.

ექთანი — მაინც რა?

ანო — სურათი.

ექთანი — ოჰო? შენი სურათი?

ანო — დავიწერ, ვისაც უნდა მიუტანო. ეტყვი, ამ სურათმა ყველაფერი იცის-თქო.

ექთანი — (ი მ ე ო რ ე ბ ს) „ამ სურათმა ყველაფერი იცის“... რომ მკითხოს, ვინ გამომიგზავნაო?

ანო — გამოტრიალდი და წამოდი...

ექთანი — თუმცა, სურათს რომ დახედავს, ხომ მიხვდება!

ანო — ხო, მიხვდება...

ექთანი — შენ თუ მამიკოს მიხვდავ, მე სეირნობა არ მეზარება...

ანო — თუ გინდა, ჩემს საბოგებს გაჩუქებ.

ექთანი — შენი საბოგები მე დიდი მექნება.

ანო — არ გექნება დიდი.

ექთანი — აბა ვნახოთ.

ანო საბოგებს იხდის, ექთანი იზომავს

— კარგადა მაქვს. თუ გინდა, მაჩუქე...

ანო — ოღონდ, არაფერი უთხრა...

ექთანი — ამ სურათმა ყველაფერი იცის-მეთქი... და გამოეტრიალდები. შენ რომ სხვა ფეხსაცმელი არა გაქვს.

ანო — მე არ მჭირდება.

ექთანი — ჩანთას რომ ალაგებდი, ვიფიქრე მიღის-მეთქი.

ანო — არსადაც არ მივდივარ...

ექთანი — აბა აიღე შენი კარტი...

კოჭის ძაფი გაქვს?

ანო — უჯრაშია.

ექთანი უჩრიდან იღებს კოჭს, ასანთით თავს უწვავს

ექთანი — ბრიყვი გაიმურება! საავადმყოფოში სულ ამას ვთამაშობთ. უნდა ნახო, სულ დამურული მყავს ხალხი. იმ დღეს ერთი მართლა ბრიყვი ტუალეტში შესულა, კარი ჩაუკეტია. გაიჭრა! ქამრისგან ყულფი გაუკეთებია. ესეც გაიჭრა! ერთი ბოლო კარის სახელურზე გამოუბამს და ზედ, მოკლედ, ბრიყვულად ...მე კი კარტს ვთამაშობდი. მითხრეს, შენ იმ დროს კარტს რატომ თამაშობდიო? აიყვანე! რა დროს-მეთქი, პატივცემულო? — ვკითხე. აი იმ დროსო. მე რა ვიცოდი, ის კაცი ბრიყვი თუ იყო-მეთქი. აბა, მოიტა შენი ლამაზი შუბლი. ეს ერთი! ბრიყვი ხარ, პატივცემულო!

კოჭით შუბლს უმურავს

— თანაც, ერთ თვეში მიანიც მოკვდებოდა, კიბო ჰქონდა... ადგა და ტუალეტის კარზე დაეკიდა... სურათმა ყველაფერი იცის-მეთქი, ვებტყვი, ო, შე ეშმაკო, შენა...

უჩა, ნატო და პერტრუდა

უჩას ანოს ბიძის სურათი უჭირავს. სკამზე დადებს, ნატოს წინ დაიხოქებს და თავს კალთაში ჩაუდებს. ნატო თმაზე გადაუხვამს ხელს. პერტრუდა აიღებს სურათს, ნატოს თვალებით ეკითხება, ვინ არისო. ნატო მხრებს იჩეჩავს, არ ვიციო. ორივე — ნატოცა და პერტრუდაც ფიქრობს, რომ ეს სურათი უჩამ სადღაც იპოვნა და ჩვეულებისამებრ, შინ წამოიღო. ოღონდ უჩა ასლა მთვრალი არ არის. თითქოს ძალიან დაღლილია, მოტეხილი. პერტრუდას სურათი უჭირავს და ოთახში ტრიალებს, თამაშობს, ანცობს, ერთობა, თითქოს კედლებზე სურათის დასაკიდ ადგილს ეძებს, თითქოს მართლა აპირებს სურათის დაკიდებას... ნატოს თვალებით ეკითხება, სად გირჩევნია, სურათი რომ ჩამოკვიდოო. ნატო ხელს ვახსავსავებს, ვაგიჟდი, მოაშორე აქედანო. პერტრუდა ფანჯარასთან მიდის, ადებს, თან ნატოს შესტკერის, გადავაგდო თუ არაო. ნატოც უყურებს პერტრუდას, ოღონდ ეტყუო, სულ სხვა რაღაცაზე ფიქრობს. უჩას თავზე ხელს უხვამს, ეფერება.

ანო

ანო ცოტა ხანს გაუნძრევლად ზის, მერე დგება, მაგიდის უჩრიდან იღებს თოკს, ადის მაგიდაზე, თოკს უკეთებს ყულფს. ყველა, ვინც კი სტენაზეა, გაკვირვებული შესტკერის. ანო ყულფს აკეთებს აუჩქარებლად, სტენაზე დამაბული სიჩუმი.

მთქმელი — (გ ა მ ო ე რ კ ვ ე ვ ა, ა ნ ო ს ე ძ ა ხ ი ს) შენ ეი, მოიხედე აქეთ.

ანოს არ ესმის

მთქმელი — შენ გეუბნებიან, დამთხვეულო!

ანო გაოგებს, გაუღიანებს

მთქმელი — (ა ნ ლ ო ს მ ი ე ვ ა, თ ო კ ს გ ა მ ო გ ლ ე ჟ ს ხ ე ლ ი დ ა ნ) ძალიან შეტოპე აი! ეს რომ ტექსტში არ წერია? ჩამოდი ახლავე!

მაგიდიდან ჩამოსვლაში შველის

უჩა — (ს ი ც ი ლ ი თ) კომედია ტრაგედიალ გადაგვიქცია!  
ანო — (ძ ა ლ ი ა ნ შ ე წ უ ხ ე ბ უ ლ ი და დ ა რ ც ხ ვ ე ნ ი ლ ი) მართლაც  
დამთხვეული ვარ. მოკლედ არა ვარ სცენაზე გამოსაშვები... როლში შე-  
ვედი!

ლიმილით

— ხომ არ გამიფუჭებია რამე?

მთქმელი — არა უშავს. კარგი გოგო ხარ. აი შენ ვაშლი!

ანო — (ვ ა შ ლ ს გ ა მ ო ა რ თ მ ე ვ ს) მართლა მოგეწონა? არ მატყუებ?

სკამზე გადაწება, კმაყოფილი, ბედნიერი, რომ მინდობილი საქმე დაამთავრა, თანაც შე-  
ქვხ კიდევ. ვაშლს მაღიანად ჩაკბენს

კლავდიუსი — ესეც თქვენი ანო!

ჰამლეტი — ტყუილად დაგვაკარგვინეს დრო.

ოფელია — მე ვიცოდი, ყველაფერი კარგად რომ დამთავრდებოდა.

ნატო — უსათუოდ უნდა ვიშვილო ვინმე...

უჩა — დავიშალოთ, დროა,

ჰამლეტი — შენ მანქანა გყავს?

უჩა — არა, აი კლავდიუსსა ჰყავს მანქანა.

ჰამლეტი — ყველა მიინც ვერ ჩავსხდებით.

ოფელია — მე სხვაგან მივდივარ...

ჰერტრუდა — მე კი აქვე ვცხოვრობ.

ილიკო — მანქანა ზურტიოსაც ჰყავს, ჩვენ ზურტიო წაგვიყვანს.

მთქმელი — ამ გოგოს მე გავაცილებ.

ხელს გადახვევს ანოს როლის შემსრულებელს

კლავდიუსი — წავიდეთ, რამდენიც ჩავეტყვი, ჩავსხდეთ...

ნატო — უსათუოდ უნდა ვიშვილო ვინმე...

უჩა — კარგი, გვეყოფა, წავიდეთ!

მეგი — (ყ ვ ი რ ი ს) დაიცადეთ, დაიცადეთ!

ჰერტრუდა — ხომ ყველაფერი გაირკვა, რაღა ვინდა!

ელო — გაიტლიკება ახლა თავისებურად.

მეგის

— რა იყო? რაშია საქმე?

ოფელია — თითო მეტიჩარა არ გამომგველევას!

მეგი — დაიცადეთ-მეთქი!

ახტება მაგილაზე, რომელზედაც ცოტა ხნის წინ ანო იდგა

მეგი — (უ შ წ ე ო ლ ი მ ი ლ ი თ) კი მაგრამ... კი მაგრამ... კი მაგრამ...

რადაციის თქმა უნდა და ვერ ამბობს, გაოცებულად და შემკრთალიც ერთხა და იმა-  
ვე დროს, ვიღაცა მეგისკენ ხელს გაიშვერს, ვიღაცა ჩაიფხუკუნებს, იმას სხვაც აწყვე-  
ბა, მალე ყველა სიცილს დაიწვებს, სიცილი ხარხარში გადაიზრდება, მუცლებზე ხელით  
უჭირავთ, ერთმანეთს აწყდებიან. მაგილაზე კი დამფრთხალი და გაოცებული მეგი დგას.





## ლექსების ციკლიდან „გზები და ბანცდლილი“

(იბალიერი-იუბილუაბური დღიშრის ფარცლუბი)

### შხხედრა

თთვლიან მწვერვალს  
ფირუზის ტერი  
უფარა —  
მზეში ნათლით მბრწყინავი,  
ადრიატიკის  
მოლურჯო ფერით  
განათებული  
შემხვდა მილანი!  
ასდა ოცნება  
ჩემი კუთვნილი,  
სულში ჩაწული  
ღერწმის ღეროთი,

შეხვედრა ჩვენი  
იყო გულთბილი,  
რადგან შეხვედრას  
დიდხანს ველოდი!  
სივრცეს დამუხტულს  
მარადი ვნებით  
შემორჩენოდა  
ძველი მარაგი;  
და გარდასული  
მუსიკის ხმებით  
თითქოს გრგვინავდა  
მთელი ქალაქი!

მილანი

### ბანცნობა

დიდხანს ვიყავი შენი შეხვედრის  
გაცნობისა და გაგების მდომი,  
აი, როგორი ყოფილხარ თურმე  
დასაბამიდან ცნობილი რომი!  
საკუნებებს განძივით იტევ  
და მკერდზე მათი ნახმლევიც გაზის,  
შენში შორიდან ვანსახიერებ  
ჩემს სახელოვან ვერისს თუ ფაზისს!  
თქვენს გამძლეობას სუროს სიმწვანედ  
გადახლართვია ფესვებით ვაზი,  
თუმცა მათსავით შენ არ იცოდი  
ერთზე მომხდური ათი და ასი!  
სულ შენდებოდი,  
სულ მშვენდებოდი,  
ვერავინ შეძლო ხელყოფა შენი  
და თაობათა უტეხი სული  
დღეს ფასადების სიუხვით გშვენის!  
ბოლოს ვირწმუნე, შენს სიდიადეს  
გვერდს რომ ვერასდროს ვერვინ აუვლის,

მოვედი,  
გნახე,  
ლამაზი,  
თბილი,  
მარადიული  
და უცნაური!  
სული დამპყრობთა და კეისართა  
შემოგრჩენია დამლად ბოლომდის,  
როგორ თავსდება შენში გვერდიგვერდ  
ალაგ კეთილი,  
ალაგ ბოროტი!  
გულდიაც ხარ და გაუგებარიც,  
ხან თავმდაბალი,  
ხანაც გოროზი,  
ალარ გცილდება სისხლის შეფეები  
მხეცურად მოკლულ ალდო მორთისი!  
მძაფრ ეპოქათა დელეგამოვლილს  
ბევრი სირთულეც უნდა გეტვირთა,  
ჩაფიქრებული გიხილე თითქოს



ძალზე დახლართულ გზაჯვარედინთან.  
კვლავ ვიმეორებ,  
დიდხანს ვიყავი

შენი ნახვის და გაცნობის მდომი  
აი, როგორი ყოფილხარ თურმე  
დასაბამიდან ცნობილი რომი!

რომი

**ლა ხაპლა**

ნაოცნებარ და  
ზღაპრულ ლა სკალას  
ვბოთლობ ავსილს უკვდავ ჰანგებით,  
აღფრთოვანებას  
ასე აშკარას  
ყველა ნაბიჯზე როდი ვაგნებდი!

აქ სულიერი სიმაღლე მეფობს  
და მიაჭვთ ქარებს  
ხმები ვედრების,

გარდავიღო დღეთა მარადის ექოს  
იმეორებენ ძველი კედლები!

გარიღებული  
ცვალებად დრო-ჟამს  
საუკუნეებს შემბია ერთი  
და ყვავილებით ავსებულ  
ლოქას  
კვლავ ეჩვენება  
მოსუცი ვერდი!

თილანი

**პიეტი**

მე არაფერი არ მინდა მეტი,  
თლონდაც მარტო მახეტიალეთ,  
რომ უსმაროდ,  
ყოველგვარი ახსნის გარეშე  
თავად შევიგრძნო  
საოცარი ეს სილამაზე!  
შემოვიარო მყუდრო,  
გრილი შესახვევები,  
სადაც ზღვა —  
კაცის ერთგულ ძაღლივით  
ლოკავს და ლოკავს სახლების მუხლებს,  
უკვე რამდენი საუკუნეა!  
წყლით სავსე ქუჩებს,  
შესახვევებს,  
ჩიხებს,  
მოედნებს  
მოადგაფუნებს ასობით ნავი,  
ნაპირი ღელავს ფაციფუცით  
და მონდომებით,  
რათა მრავალი კუთხით მოსულ ადამიანებს,  
ალბათ ისედაც თავბრუდახვეულოთ,  
უცებ ანახონ, კინოფილმივით,

მარადიული წყლის სამეფოს  
საკვირველება.  
კარებთან,  
ჩრდილში თოკით მიბმულ ფინიასავით,  
მშვიდად ირწყვია პატარა ნავი;  
მერე პატრონი ხავსმოდებულს  
გაადებს კარებს,  
ჩაჯდება ნავში,  
ჩვეულებრივ მოუსვამს ნიჩაბს  
და ისე წავა  
მარილის თუ პურის საყიდლად,  
რომ არც შესედავს ამ სილამაზეს,  
რომელიც ჩემში  
ჟრუანტელის მსგავსად გადმოდის  
და კიდევ ერთხელ ცხადად მარწმუნებს:  
რა უსაზღვროა,  
რა მძაფრი და დაუსრეტელი  
ადამიანის ვნება,  
სწრაფვა,  
არ დაოკება  
და მიღწევათა შესაძლებლობა!

ვენიცია

წყალია ისე საოცრად მწვანე,  
ვით ტუხურაში,  
დედა — მოკასთან,  
და გამახსენდა  
ცხოვრება მწარე  
ქედმოუდრეკელ ჩემთა მოყვასთა!  
იტალიაშიც დარდი გადმომყვა  
თუმც დღე თბილია,  
მშვიდი,  
უჭარო,  
ციხე-კოშკებით ქედზე გადმომდგარს  
ნატვრისთვალევით ვპოვებ ჯუნგანოს!  
ალბათ ჩვენსავით თქვენაც გიჭირდათ,  
მკერდს წინაპართა ფერფლი გეყარათ,  
მკლავიც გიჭირდათ,  
თვალაც გიჭირდათ,  
შემოგინახავთ ასე ქვეყანა!  
ძველი ტკივილი ვედარ ხორცდება,  
ვრჩებით მარადის ბედის ურჩები,  
და ახლაც სულში დგანან ბორცვებად  
სამშობლოს მცველი ციხე-ბურჯები!  
პატარა იყო ჩემი მამული,  
ათს გასაჭირი ედგა ათასის,  
სისხლით დათხვრილი მზე მეწამული  
გზას გაგდა ნათლის ბნელში გადასვლის!  
მოწა, მრავალჯერ ქცეული ნაცრად,  
გვაგვებს ტკივილით იმა დღეების,  
მშვიდობიანი სახლების ნაცვლად  
ჩნდებოდნენ ციხე-სიმაგრეები!  
დრო იდგა უნდო,

მიმიე,  
მღელვარი,  
შანთით დადაღულ მტკივან ტერფებით,  
არ დაგვრჩენია კლდე და მწვერვალი,  
რომ ბუნებრივი ქონდეს ელფერი!  
ყველგან გოდოლი,  
ხვრელი,  
საფარი,  
გარემო, —  
სივრცით მტერთა სამზერი,  
ფუძეს ჩააკედნენ მამა-პაპანი  
გმირული სულით ჩვენი გამზრდენი!  
ის სული დღემდე ჩვენში სადგურობს,  
რასაც ვერასდროს ვერვინ უგანოს,  
ციხე-კოშკებით მთაზე დადგმულო,  
ნაცნობი ფიქრით მავსებ, ჯუნგანო!  
შორით გიპოვე და მოგაგენი,  
ნაიარვეი მყისვე გახსენი,  
რას ჩურჩულეებენ შენი ბაგენი,  
რა იდუმალის რჩები ამხსნელი,  
შავი წარსული შენით გაცხადდა,  
რაც ერგო დიდგორს,  
კრწანისს,  
იყალითოს,  
შუადღის მზე კი უფრო გაცხარდა,  
რომ ყველა წყლული ამოგვიშანთოს!  
რომ ვუგალობდეთ, ურსაც ვუგალობთ,  
წინაპრებივით ბედის ურჩები  
და შემახვედრა თითქოს ჯუნგანომ  
ჩემი მამულის ციხე-ბურჯები!

სპოლეტო

### სპოლეტო

დიდი ქალაქის ნისლიან ქუჩებს  
გარიდებული ალექსანდრ ბლოკი,  
აქ დადიოდა, სადაც გაბმულა  
ვიწრო ქუჩების გრეხილი თოკი.  
რუხი სახლების ლაბირინთები  
მთასვლელებივით მისდევდნენ ფერდობს,  
აქ დადიოდა  
ალექსანდრ ბლოკი,  
ეს იყო ადრე,  
ეს იყო ერთ დროს...

წარმოსახვებით სავსეა დამე,  
გარდავლენილი დარდიც მომიედო,  
ასე მგონია  
დავაგვიანე,  
დავაგვიანე  
მოსვლა სპოლეტოს!  
ამოდის მთვარე და იტალიას  
აშუქებს მკრთალი ციმციმი სანთლის  
იქნება ახლა ყოფნა-არყოფნის  
დაწეწილ წუთებს ვიდგა არ თვლის.



იქნებ პოეტის უკვდავი სული  
 მარადისობის მიმზერს საფარით,  
 ის არის ხეთა ჩუმი შრიალი,  
 ან ყინულივით წყაროს ჩქაფანი.  
 ქედზე უქველეს ციხე-სიმაგრეს  
 შეკედლებიან ლანდები შავი,

იქნებ ის არის ჩრდილი გამქრალთა,  
 თუ დამშვიდება იწყება თავის?  
 წარმოსახვებით ავსილ დამეში  
 გარდავლენილი დარდიც მომედო,  
 მაინც მგონია დავაგვიანე,  
 დავაგვიანე მისვლა სპოლეტოს!

ხათლეთი

**დილა ქალაქში**

დილაადრიან  
 მოღუშულ ქალაქს,  
 გადაეწნება ქარების თოკი,  
 მე თითქოს გულის სიდრმეში ვმალავ,  
 რასაც სხვაგვარად გამიგებს ზოგი!  
 ახლა სიასხლეც მადიზიანებს,  
 ვით ხარს ხმაურით სავსე კორიდა,  
 და დაუვიწყარ დღეებს მზიანებს  
 ძლივსდა ვიგონებ, ძალზე შორიდან!  
 განმარტოებით ფიქრის უნარი,  
 იმედის დარად დამყვება კვლავაც

და დატბორილი ველზე დუნაი  
 თევზივით ყლაპავს ვეება სავას!  
 მე კი ფიქრების ჭრელ-ჭრელი ფერი  
 ვაფენ აუმხდარ უამრავ სურვილს,  
 ხეობას ქარი მოყვება სველი  
 და მერე ქუჩებს სიცივედ უვლის,  
 დიდი ზამთრისთვის მოღუშულ ქალაქს  
 ქარი უმზადებს  
 სუსხსა და ყინვებს,  
 მე ისევ გულის სიდრმეში ვმალავ,  
 რასაც სხვაგვარად გამიგებს ვინმე!

ბელგრადი

**კონიტი, ქარი და სიზარტოვე**

იქნებ უბრალოდ მეფობდა შავი,  
 ან ხაზს უსვამდი შენს მწუხარებას,  
 და ვით წამება საკუთარ თავის —  
 შემოუტეოს ქალაქს ქარებმა.  
 ცვალებადობამ ფიქრი არია,  
 მრავლდება დარდი  
 ცხადიც,  
 ფარულიც,  
 ქალაქის ღამეს, ცივს და ქარიანს,  
 ედება შენი ხმა გაბზარული!  
 ალბათ სათქმელი შენი გეგულების,  
 რაც გივსებს სულის უხილავ ბზარებს,  
 დღეს გამასხენდა, არო სეკულირ,  
 როგორ მიჰქონდათ ბელგრადი ქარებს!  
 ზოგჯერ ვფიქრობდი ცა ჩამოშვავდა,  
 ქალაქს ეფარა ღრუბლის ფენები,  
 და გამჭოლავი ქარი კოშავა  
 ქუჩებს უვლიდა შმაგი ზენებით!  
 ვეღარ მალავდი ტკივილებს შენსას,  
 თავს გარიყულად გრძნობდი ქალაქში,

ხელს ჩაიქნევდი:  
 ჯობია შევსვა, —  
 რათა გეპოვა შეება არაყში-  
 ახმალურებას სასმელის მერე  
 თითქოს პროტესტის ქონდა იერი,  
 ნიღაბთა გამას აცლიდი ფერებს  
 და ძმა ზღებოდა გადამთიელი!  
 არ გეშინოდა ძლიერთა კასტის,  
 რაღაცა გქონდა თავად მეფური,  
 და მივსვდი,  
 თუკი საწუთრო გაცდის,  
 გზა გელოდება წინ შენებური!  
 ალბათ სათქმელიც შენი გეგულების,  
 რაც ჯერ სულიდან ხალხში ვერ გადის,  
 და მასხენდება,  
 არო სეკულირ,  
 მწუხრი,  
 კოშავა,  
 შენ და ბელგრადი!

ბელგრადი

### გაზაფხულის პირველი დღის განწყობილება

შემოვლებია ხოდაბუნებს  
მწვანე გვირისტი  
და კვირტებს ბერავს მარტი — ქალთა  
პანეგირისტი...

ბეჭდის თვალისით მოლესილი  
დღეს ცაც ხვითთა...

შორით ხე მოჩანს ოლესავით,  
ეს ცაცხვი თუა?

ტიუ-ტიუო, — კვდება ჩიტი  
ესე ტიუთი...  
გულთამხილაგო, დამიხატე  
ეს ეტიუდი!..

### დავიწყების სადღეგრძელო

სიხარულს რომ სინანული ახლავს,  
ძველია და, გული მაინც გწყდება,  
მე არ ვიცი, რას ვიხსენებ ახლა,  
ის კი ვიცი, — რაღაც მავიწყდება!..

როგორ მოვხსნა ჩემს მტკივნეულ მხარეს  
ეს ციცი და შეშხარავი სიტყვა!..  
მე არ ვიცი, ხვალ ვის შევიყვარებ,  
ის კი ვიცი, — დღეს არავინ მიყვარს!..

როცა მძაფრი შთაგონება გმოსავს  
და აწვალბე ფარატინა ქაღალდს,  
უმნიშვნელო გახსენების დროსაც  
უმთავრესი გვავიწყდება რაღაც!..

არ მინდა და არც მოვიტხოვ ფარსაც,  
რაკი დღეის მეურვენი დღეს ვართ;  
უმნიშვნელო გახსენების ფასად  
უმთავრესი დავიწყების შევსავთ!..

### შენ იხარე, ხალხო ჩემო

ნება-ნება  
იფერფლებს  
ახალი წლის წინა ღამე  
და დოქებიც სახვალიოდ  
ახალ მახალს გვინახავენ!..

ქართველს ველით  
უფრო მრავალს  
და ჩვენს რთველში ღმერთსაც ჩაერევთ;  
კვლავ მოვირგებთ ჯადო-ჯავარს,  
არ დაუღვეთ მტერს საჯაგრელს!

ველით მრავალს,  
უფრო მრავალს  
აღსრულებას ფიქრის, ნატვრის;  
ნათელს ველით,  
იცი, რაეარს? —  
მერცხალი რომ ცას აათლის!..

ჯილაგს ველით  
უფრო გამძლეს,  
ამიტომაც ვუხმობთ ახალს;  
ჩვენს სააკუნეს  
და ჩვენს საქვლეს, —  
საქართველოს, —  
უფრო მაღალს!..

უფრო მრავალს,  
უფრო მრავალს,  
ველით ზვარს და  
ველით ყანას,  
ახალ-ახალ დაბა-ქალაქს,  
ტკბილსახილველ მარან-ღარანს!..

შენ იხარე, ხალხო ჩემო,  
მეც შენს მკვლელ ვრჩები მარად,  
ოღონდ ბედიც წამეშველოს, —  
საცნაურ ვაჟო შენი ძალა!..

უკუდავების თამადა ხარ,  
გმართებს — ეშხი მოჰფინო ცას;  
მრავალ ახალს,  
მრავალ ახალს,  
მრავალ ახალს  
მოგილოცავ!..

ნება-ნება  
იფერფლება  
ახალი წლის წინა ღამე  
და დოქებზეც სახვალიოდ  
ახალ მახალს გვინახავენ!..

### ჩვენც ენგურივით სიმღერა გვმართებს

როგორც ნათელი აზრის გაჩენა,  
მიაწყდა ელვა მთათა დარაბებს;  
რა შესძლებია კაცის მარჯვენას —  
ამაყი მთებიც დაპატარავდნენ...

არ გამოდგება ოცნება აფრად  
(მარტო ოცნებით ვით იცხოვრებდი?),  
აი, ენგურის უკუდავი სწრაფვა —  
შუქად აქციოს ზვირთიც ყოველი!

აქ საქმე მართლა ყელამდინ არი  
და უფრო მაღლა — შრომის ღირსება;  
ერთი ჩვევა აქვთ ერს და მდინარეს —  
არტახს ვერც ერთი ვერ ეთვისება!..

თრობად მიწვევენ ეს მთა-გორები  
და ეს ბუნებაც მებრძვის სინორჩით...  
როგორ მჭირდები, დღეს, შთაგონებაგ,  
რომ გამიცოცხლდე ლეჟისის სტრიქონში!..

ტალღამ ბეჭებზე დასცა უკუნი,  
ნახეთ, გმირები რანი არიან,  
ენგური უკვე ამ ხაუკუნის  
ბორკილყაროლი ამირანია!..

მოყვრულად ხვდება მდელიო და კორდი  
ბარში გრიალით დაშვებულ მართვეს;  
ენგური მოდის!  
ენგური მოდის!  
ჩვენც ენგურივით სიმღერა გვმართებს!

### კვლავაც ანთია ამ ჩვენს მკაფულში

ვაზი ქართული!  
ვაზი ქართული! —  
შენ დამილოცე  
ცაო, ნათელო.  
შუქმსხმოიარე  
მზით გათაფლული  
რთველში ჩაფლულა  
მთლად საქართველო!

ვაზი ქართული!  
ვაზი ქართული  
დრომ დასაღუბად  
ვერ გაიმეტა;  
არსად გამქცევი,  
მაინც დაბმული —  
კვლავაც ანთია  
ჩვენდა იმედად!

ღვიძავს ზარზა და  
ღვიძავს ფრიალოს,  
ღვიძავს სოფლებს და  
ღვიძავს ქალაქებს  
მიწა რთვლიანობს,  
მიწა რთვლიანობს,  
მიწავ, დოულათი  
გადმოალაგე!

ახლა შეგვხედოს  
მტერმა, რანი ვართ,  
იგრძნოს სიმღერის  
სუნთქვა გაბმული;  
ყრმას რომ უმღერდა  
დგდა ნანინას,  
ვაზიც უსმენდა  
სულგანაბული.

ვაზი ქართული!  
ვაზი ქართული —  
ერის ღირსება  
სახელგანთქმული,  
ჩვენთვის ნიადაგ  
თავი დადგმული,  
მტრისთვის ნიადაგ  
სარწმუნოარტული..

ყველა მდინარე  
აპა, დაიძრა  
და ალტაცებაც  
ყელამდინ არი;  
ფერი ვიშრისა,  
ფერი ქარვისა —  
ქვეყნის მარანში  
შე-რა-მდინარი!..

ვაზი ქართული!  
ვაზი ქართული!  
ათინათური  
და პირვანდელი,  
ჩვენთვის ნიადაგ  
თასი დადგმული,  
მტრისთვის ნიადაგ  
სარწმუნოარტული, —

ვაზი კი არა,  
ანდამატია,  
მამა-პაპათა  
სინდის-ნამუსი;  
ასჯერ ნასეტყვი,  
ასჯერ ნამუსრი,  
კვლავაც ანთია  
ამ ჩვენს მამულში!

**მევაზე ლოცვად კი არ იროქებას**

კურთხეულ იყოს,  
კურთხეულ იყოს  
ეგ დათაფლული  
მზისგან მტვენები,  
ბავშვივით  
ხელში ატატებული,  
ბავშვივით  
თვალყურ მისადვენები!..

მოაქვთ და მიაქვთ,  
მიაქვთ და მოაქვთ  
საესე გოდრები  
და კალათები;  
აქ სულ სხვაგვარი  
დგას შემოდგომა,  
ფიქრიც ანათებს  
სხვაგვარ ნათებით.

კურთხეულ იყოს  
მოსასწაულე  
ქართული რთველი  
და საქართველო;  
დულს პოეზია  
ჩვენი ვაზისა  
სულის შემძვრელიც,  
და გასართველოც!...

კურთხეულ იყოს,  
გარიტრაჟული  
შემონათება  
პირველ მტვენების,  
ასე ხედებიან  
პირველ სიყვარულს  
პირველ კოცნისთვის  
ღამისმთველები!..

შეხედეთ ვაზის  
სინაზეს ქალურს,  
მხარეს, დაბანგულს  
მაჭრის დეღეთი;  
მარტო ვენახის  
ფალანგებს ძალუძს,  
დაიპყროს მთელი  
ქართლის ხმელეთი!..

კურთხეულ იყოს  
ეს შემოტევა,  
ეს დალოცვილი  
ჟამი იდიდოს;  
მევაზე ლოცვად  
კი არ იროქებს, —  
გიდელი უნდა  
წამოიკიდოს!

ემორესკა

ისეთ გუნებაზე ვარ,  
ცა გამეცეს იჯრითა,  
თითქოს სულ არ მიჭირდეს,  
არც არასდროს მიჭირდა,  
თითქოს მაკლავზე მეწვინოს  
მოგებული ბრიჯითა  
ჯინა ლოლო...  
ჯინა ლოლო...  
ჯინა ლოლობრიჯიდა.

### ადამიანებს ჰგვანან ლექსები

ადამიანებს ჰგვანან ლექსები  
დაფნის გვირგვინით და ეშაფოტით;  
ზოგი მტკიცეა, როგორც ქვიტკირი,  
ზოგიც — ფარფატა, როგორც ნაფოტი.

ადამიანებს ჰგვანან ლექსები  
სიხარულის და სევდის უნარით,  
ზოგს უკურნავი ჰქვია ჭრილობა,  
ზოგს კიდევ — ჩვენი სულის მკურნალი.

ადამიანებს ჰგვანან ლექსები,  
(მათ წარუშლელი კვალი დატოვებს!)  
იგი დროც იყო, როცა ხტრიქონი  
შიშის ზარს სცემდა იმპერატორებს!.

ადამიანებს ჰგვანან ლექსები  
თავისი ბედით და უბედობრით;

ზოგს იმთავითვე ჰკლავს უნდობლობა,  
ზოგსაც — გაჩენის დღიდან ვენდობით.

ადამიანებს ჰგვანან ლექსები,  
თვითონ ცხოვრებამ ეს დაადგინა;  
ზოგი საბრალოდ ეთრევა გზაზე,  
ზოგიც დაათრევს ქვეყნის სატყირვარს!..

ადამიანებს ჰგვანან ლექსები,  
უფრო სარწმუნო რა უნდა გითხრა? —  
ხარის ქედევით გახეხილია  
გულიდან გულში ნაგდები სიტყვა!..

და ვეხვეწები არსთა გამრიგეს,  
ვისაც ყარიბთა ნუსხა ბარდება, —  
მაქციოს ისეთ ადამიანად,  
ლექსს რომ სახელი გაუვარდება!..

### შრამენტიპი შვერდოროიდა

ქარი,  
რომელიც  
ტყეებს მიჰკაფავს,  
მოიცვა სევდამ,  
მწუსრის ზარმაცა...  
მოგონებებმა  
ბუხარს მიგვაბა,  
შემოდგომის ცამ  
გაგვაზარმაცა...



...და ვტოვებთ, ვტოვებთ,  
ყველაფერს ვტოვებთ,  
სასოწარკვეთას,  
ნუკვას,  
იმედებს..

რომ გამოვცადოთ  
ცის სიახლოვე,  
მიწაზე ბოლო  
სუნთქვას ვიმეტებთ!

აუსრულებელ ოცნებებს ვტოვებთ,  
გაცრიაგებულ  
ლექსების რვეულს...  
ვტოვებთ ცხოვრების  
ანსა და ჰოეს  
და სხეულს,  
ვაი! —  
საყვარლის სხეულს!..

შინ შემოპარულ  
ალუბლის რტოვებს  
და ზედ შერჩეულ  
ჩიორას ფალცეტს..

ჯერ დაუწერელ  
სტრიქონებს ვტოვებთ,  
რომელთაც მერე  
ვერავინ დასწერს!..

მხოლოდ სიყვარულს  
არ ვტოვებთ, არა,  
მკედარსაც არ ძალუძს,  
რომ შეეღოს,  
რამეთუ მისით  
საზრდოობს მარად  
მზის და სინათლის  
ღმერთი ჰელიოს!..

იგი თან მიგვაჭებს  
ზეციურ საგზლად  
და ღირსი განლავეთ —  
სიკვდილშიც ვენდოთ;  
რადგან სიყვარულს  
არა აქვს სხვა გზა,  
ამიერიდან  
ვარსკვლავად ენთოს!..



**გურამ დოჩინაშვილი**

**აღმართი**

გურამ დოჩინაშვილის რომანის „სამოსელი პირველი“ ოთხი ნაწილი ორ წიგნად გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა“. ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ რომანის პოლო, V ნაწილს.

**გზარი**

დოჩინაშვილი დომენიკო და მოხუცი სანტოსი მდინარის ნაპირთან თიხასა ზელდნენ. სიამოვნებდა დომენიკოს დამყოლი თიხა, ხელის მტევენები ეგრილებოდა, მალიმალ ახედავდა კანულისის ცას — კი, ლურჯი იყო, მუქად მჭკვირვალვდა. დახარბული ნამდვილ, საღ ჰაერს, თავს უკან გადააგდებდა დროდადრო მგზავრი, ფართოდ თვალგაღებული, ცასაც ისუნთქავდა თითქოს. ცას რა, — კრიალებდა... მერე, მზის გულზე რომ დასცხებოდა, უხვ მდინარეში ტანსაცმლიანად, წელამდე შედიოდა მგზავრი, მუახე სიგრილისგან ზედ ყელთან ამოეწყო და ეზღუდებოდა სუნთქვა, გაყუჩებული ეჩვეოდა ცივ, ჭიუტ ტალღებს, მერე თანდათან რბილდებოდა წყალი, საამოდ თბებოდა და, მთელი სხეულიც სრულ შევბას რომ მოსთხოვდა, ერთბაშად ვალღებოდა, თავით გადაეშვებოდა. მზეზე ბრწყინებდნენ დაფეთებული მხეფები, მდინარეს ცუროვით მიუყვებოდა დომენიკო, ხალისიანად ქუყმპალობდა; სამუწეოვანი ქალაქით დაღლილს, დაძაბულს, თავმოძულვებულს, აქ, ამ ზვირთებში, თიხის ქალაქთან, ცელქობა სურდა... მდინა-

რისკენ ზურგით იჭდა მოხუცი სანტოსი, თიხას უმოწყალოდ ქვლტდა, როგორც ყოველთვის, თავისას ფიქრობდა, ვერა და ვერ გამოეგონებინა მასიმოს ღირსი, ყველაზე მეტად საზარელი სიკვდილი; მოქუფრულიყო, თეთრი, უხეში წარბები თვალვებზე ჩამოსწოლოდა... მდინარიდან გაღიმებული ამოდიოდა სიგრილითა და შევებით პირთამდე სავსე დომენიკო, მზეზე დგებოდა, შრებოდა მზეზე, ჭერ სიფრიფანა ნისლი ასდიოდა, მერე ღრუბელში ჩამდგარიყო თითქოს — როგორ ღონიერად ორთქლდებოდა მდინარის წყალი... ცვარშერჩენილს და ჭერაც გაუმშრალს, კანულისის ქუჩებში ხეტიალი მოსწონდა, კანულოსელოთა ხილვა. თითქმის სუყველას მშვიდი, მართალი სახე ჰქონდა, უნებურად თვალს თუ გაუსწორებდნენ ერთმანეთს, სიამოვნებდათ, თან უილაჯოდ იღიმებოდნენ... სისხამ დილით უხაროდა თავისი ახალი, ნეღლი ქოხიდან გამობიჭბა დომენიკოს, გზად თანაქალაქელებს ესალმებოდა, ყოველივეთი იხიბლებოდა — სხვა წყალი იყო აქ, კანულოსში, სხვა გემო ჰქონდა, სულ სხვა პაერთი სუნთქავდა მგზავრი, სხვა-



ნაირ სახლებს შვებით უმზერდა, სხვაგვარ მიწაზე ბედნიერი დააბიჯებდა და უცნაური რამ დაემართა, ადამიანი შეუყვარდა — უცნაურობა სჭირდა! ინოსენსიოს შესტკეპროდა, ვთქვა-თ... შეშას აპობდა მწყემსი, აუჩქარებლად ირჩებოდა — დიდ კუნძს მოსწორებულ ადგილზე დადებდა, ნაჯახს შემართავდა, ღონივრად დაიქნევდა, მერე, ისევ მელა ასწევდა კუნძაკოლილ ნაჯახს, შეისუნთქებდა და დიდ მორზე ყუით დაანარტყებდა, ორად ცალკედებოდა კუნძი, აი, ამა საქმეში ხომ ისეთი დიდი არაფერი, ერია, არა? — მაინც როგორი მაღლიერი, რა სიყვარულით უჭვრიტინებდა დომენიკო...

ადამიანი — ქალი თუ კაცი, ჩვილი, მოხუცი — ადამიანი, როგორც ასეთი, ნებისმიერი ამ ქალაქისა, ყველა უყვარდა... ან, ვთქვათ, სენობით ღოგისას შორიდან უთვალთვალვებდა, გვიანი ღამით როგორ ჯდებოდა გამორჩეულ ხესთან, როგორ მომართავდა შეიღისი-მა საკრავს, და როგორი შეყოვნებული სიღინჯით კენკავდნენ მშველსი თითები ნაღვლიან მარცვლებს; ან გრეგორიო პაჩეკო ვათენებისას დიდ, გუგუნა დოღს როგორ აახმიანებდა, თიხის სახლებიდან გამოდიოდა ხალხი და უხვვითობდა ხეში შემალული დომენიკო შინიდან გამოსულ, ძილისგან ჭერაც საბოლოოდ თავდაუღწეველ, ოდნავ დაუდევრად მიმომავალ კანუღოსელებს რა სიყვარულით, როგორი ღხენით დასტკეპროდა, ეწიწკნებოდა თითქოს სხეული, ოჰო, კაქტუსი... შუაგულ სულში, სიყვარულის მჩხვლეტავ მცენარეს გაედგა ფესვი... ასეთი ოთხი დღე ჰქონდა მხოლოდ, პირველ ხანებში დაბნეული აკვირდებოდა ყველას, ყველაფერს, მერე მოვიდა ეს ოთხი უცნაური, ამაღზევებელი დღე, სულ ოთხად ოთხი, ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი, და მაგრამ, მაინც, ზოგისას — მთელ სიცოცხლეს სჯობდა... და საკვირველი მაინც ის იყო, ამ სიყვარული-სა რომ ერიდებოდა, ერტყვინებოდა, როგორც შეეძლო, ისე ნიღბავდა... პა-

წია, უცოდველი ქურდი, დომენიკო — სამუშაოს რომ მოამთავრებდა, თიხის გუნდას გულისპირში მალულად ჩაივლებდა და ვითომც არხეინად, ჯიბეებში ხელჩაწყობილი, ხმადაბალი ღიღინით შედიოდა ქალაში, იქ კი, სადმე მყუდროში, დიდი ხის ჩრდილში შეიყუებოდა და თავკომბლა ადამიანს გამოუცდელი ხელით ძერწავდა, ცხვირს უწვეტებდა, ჩხირით თვალებს ამოულარმავებდა, ირიბად გადაუხაზავდა პირს, ხელ-ფეხს შეაბამდა, და იმ უმწეო ნაჩალიჩარს მერე, რომ გამოერკვეოდა და უცხო, ბურუსმოსილი ქვეყნიდან ქვემოთ, მიწაზე დაეშვებოდა, გულდაწყვეტილი დასტკეპროდა — აჰ, არა, არა, სად ესა და ეჰ, სად ნამდვილი ადამიანი, მას რომ უყვარა: ადამიანი მაინც სხვა იყო, სულ ძალიან სხვა — ნაღდი, ცოცხალი, და თუმცა ძალიან სურდა, სტლიერი რამ, მრავალთვისება, მისთვის ჭერ უცხო ადამიანი მიემატებინა ამა ქვეყნად, მხოლოდ თავისი მაცხბარი გონებით ჩაფიქრებული და საკუთარი, დაუღლეი ხელით შექმნილი, ვრცელ, ტვეად ქვეყანაზე საიმედოდ დაესახლებინა, ამ აჩემებას მხოლოდ სურვილით ვერ გასწვდებოდა, რაღაც სხვა ზერხი, რაღაცის ცოდნა, სხვა რამ უნარი იყო საჭირო... გრძელ გზაზე იდგა, ამა საქმეში ჭერ თითო ბავშვი, ვერ გადაედგა ფეხი... თიხა შრებოდა, იზარებოდა, მომცრო ნაპრალეზბაჩენილი, ხელებგაჩახული, მიწაზე ეგღო... ვერ ეღეოდა მაინც ნახელავს, თავის გრილ ქოხში ფრთხილად მიჰქონდა და მიფარებულში, ცოცხის ქვეშ დებდა.

და უჩვეულო განცდის მოსურნემ, ვეღარ დაიძინა მეოთხე ღამით, წამდაუწყუმ გვერდს იცვლიდა, თივაზე წრიალებდა, რაღაცა სურდა.. ოთხკედელ-შუა ვეღარ გაძლო და მდინარისაკენ ფეხაქრეფით დაუყვა ბილიკს, მთვარის ნათელი სქლად ეფინა გზაზე, მერე

გურამ დოჩანავილი  
აღმარში



მცირე აღმართში, მდინარის სათავისაკენ გაეშურა, კარგა მანძილი აიარა, რომ მიიხედა, აღარ მოჩანდა კანუდოსი. ტანთ გაიხადა, ცალი ხელით მაღლა ეჭრა დახვეული ტანსაცმელი, მდინარე ისე გადასცურა. ვაღმა ნაპირზე შემცივნებული ავიდა, აძიკიკებდა მგზავრს, მაგრამ ძლიერი იყო ის უცნაული „ვითომი“, ზემოთისდროინდელი თამაში... ოდნავ რომ შეშრა, ტანსაცმელი სწრაფად ჩაიკვა, მერე მოდუნდა, მიწაზე გაწვა, ძლივს წამოიწია ვითომ, ფეხბრტყვით მივიდა წყალთან, ძალისძალათი ბორძიკობდა, რა ახირება იყო მაინც... ტანსაცმლიანად შევიდა მდინარეში. კანუდოსისკენ მიცურავდა დომენიკო, ვითომ დაღლილს და დაოსებულს, ზღაზუნით მიაქანებდა დამძიმებულ წყალი, ფეხს ვერ ახელდა ქანცაწყვეტილი, ვითომ... მდინარეში სახეჩარგული, ხანდახან უღონოდ ასწევდა თავს, და მონაცრისფროდ ჩათვლემილი კანუდოსიკი რომ დაინახა, ვითომ გამხნევდა და, მართლა გამხნევდა — მაინც რა კარგი ქალაქი იყო... მოიკატუნა ისევ თავი, მდინარის ნაპირს არაქათამოცილი, სუსტად მიეხალა თითქოს, თიხაზე გაცოცდა, ძლივს მიფრთხავდა მგზავრი — ვითომ ბრუნდება, ბრუნდება დიდი ვანშორების შემდეგ... აჰა, ის სახლიც, მთვარის მქრქალ შუქზე გახევებული, ყუჩად მდგარი და მომლოდინე, როგორ უცდიან! არ იციან კი, ის, დომენიკო, შინ რომ ბრუნდება... წამოიწია, როგორ არ სურდა გარდაცვალება სახლთან, კერასთან ასე ახლოს, ხელისგულებით დაყვრდნო თიხას, სველი თითებით აატლახა, და წამოდგომას შეეცადა, აი, თუ ადგა, თუ აიტანა როგორმე მაღლა დამძიმებული ისე სხეული, ვითომ... სული ეცლება, სულსა დაფავს... გაწამებული, მაინც დგება და ტორტმანებს; რომ არ წაიქცეს, საცოდავად იძაბება და უცებ ისე ძალიან სწრაფად გაიმართა, კინაღამ შეხტა — დიდ, ჩამუქებულ ხესთან ზე მორეირა იდგა, გულზე ხელმეგადაქ-

დობილი, დაკვირვებით შესცქეროდა ატინგიცებულს, იცნო, თავი ჩასცქეროდა დომენიკომ, ისე გაწითლდა, სახე აეწვა, თითებს იგრისხავდა, ხელისგულეებზე აიკორკოშა თიხა, არც გაუგია, ისე მოიცილა. სახლისკენ მთლად წამხდარი გაეშურა, ნირშეცვილი, ფრთხილად მიწვა, სირცხვილისაგან თავზე გადაიფარა თივა. გახევებული იდგა ისევ ხესთან ზე მორეირა, ოდნავ, სულ მცირედ გაიკვირვა მგზავრის ახირება, იმისთვის ძაან კი არ ეცალა, რადგან თავისი ვებერთელა რამ სადარდებელი აწუხებდა, თავისა სჭირდა...

— ვითომ ეგრე აჯობებს? — შეეპყებულყო დიდი მარშალი.

— კი, როგორ არა, მე მგონი, დიხა, გრანდისსიმოპალე, — ალაღმართალი ღმილით შეაქქერდა ფუნჯის დიდოსტატი გრეგ რიკო, კამორელი ხელოვანი, — უფრო მე მგონი უნდა დავეუტოვოთ, დიდო მარშალი, რადგან გარკვეული პროპორციით შემოიზღუდება სახე, თვით სახეს კი სამავალითოდ გადაუუსწორებთ, რაკურსობრივად, ეს უფრო დიდ ეფექტს მოგვეცემს. ერთი თვალის ფოსოში, მაგალითად, ხელის შუათითი ჩაეჩართო, გრანდისსიმოპალე, მეორეში კი—ფეხის ცერი, და ეს გარემოება თვალსაჩინო დისპროპორციას შეიტანს. გვერდითა ხელუხლები პროპორცია კი, ამ შემთხვევაში უფრების სახით, უფრო ხაზს გაუსვამს სახის შიდა შეუსაბამობას, ტუჩების მოჭრა-ლიკვიდაციაც სასურველია, კბილების გაშიშვლება სასურველ ეფექტს გამოიღებს ნატურალურად, გრანდისსიმოპალე, რადგან გარკვეულ ასოციაციას იწვევს.

„ნიჭიერია, ვირიშვილი,“ — გაიფიქრა მარშალმა ბეტანკურმა.

— თუ მამატებით, დიდო მარშალი, ერთი შენიშვნაც უნდა გამოვთქვა, თუ ნებას მომცემთ. ვთქვა?

— მიდი!

— თავი ბოლომდე არ უნდა მოგეკრევენებინათ... წკიპზე დაკიდებული უფრო წარუშლელ შთაბეჭდილებას



ლაიმსახურებდა. თუმცა, შეგვიძლია ან-  
 ლაც მივაკეროთ ოდნავ და ნაწლავე-  
 ბით მაგრად რომ გადაახვევინოთ და  
 მიამაგრებინოთ ამ ადგილას ტორსთან,  
 აჯობებს ნამდვილად, გრანდისსიმოპალ-  
 ლე.

— კარგი.

გვამს ვერ იტანდა გრეგ რიკიო, აზი-  
 ზი გული ჰქონდა, მაკეტზე მუშაობ-  
 დნენ.

— და კიდევ ერთი რამ, გრანდისსი-  
 მოპალლე — მე მგონი, ჩემი აზრით,  
 იმ შეჩვენებულ კაატინგაზე ტომარაში  
 გამოხეული უნდა გადავადგოთ, რად-  
 ვან თუ სხეულს შორიდანვე დინახა-  
 ვენ, სანამ მიუახლოვდებიან, გრანდის-  
 სიმოპალლე, თანდათან შეაჩვენენ  
 თვალს და მოულოდნელობის ელემე-  
 ნტი დაიკარგება, ეს კი ცუდია, — თან  
 მაკეტზე მუშაობდა წაქუშული გრეგ  
 რიკიო, თანაც თავზიანად ლაპარაკო-  
 ბდა, ორ საქმეს ერთდროულად აუღიო-  
 და, მალაღნიჭიერად ითვლებოდა. —  
 ხოლო როცა ტომარას შემოაღლიან და  
 უეცრად დაინახავენ, ელდა ეცემათ და  
 სასურველ ნაყოფსაც გამოიღებს ეს  
 უქანასული გარემოება. აი, ეს ჭაზიც  
 უნდა გადავავაროთ... აიი, ასე. იქაც,  
 ი, აი...

გამართულიყო გრეგ რიკიო, წელს  
 ასვენებდა, ნამუშევარს კმაყოფილი  
 დააქტერდა: — რა უწნო ყოფილა,  
 არა, გრანდისსიმოპალლე?

მოხუცი სანტოსი კაატინგასთან წა-  
 აწყდა ტომარას, გულგასივებულმა ნა-  
 ხა, შიგ რაც იყო და რადგან ისედაც არ  
 იცნობდა მანუელის, ვერაფერს მიხვ-  
 დებოდა, ტომარაში ჩატანებული ორ-  
 კუთხა, ვაკეიროთა ქუდი რომ არა,  
 ფრთხილად დაიღო მხრებზე ტვირთი,  
 მოშხამული გაუყვა გზას, კანტდოსში  
 აიტანა. მთელი ქალაქი შემოიკრიბა  
 სანტოსთან, ვაირინდნენ, კარგს არა-  
 ფერს უქადადო სანტოსის კიდევ მეტად  
 მოქუფრული სახე; იმან კი მიწაზე  
 ფრთხილად ჩამოდო ტვირთი, ტომარა

გაფხრიწა, შემოაცალა და განზე გაიხე-  
 და. უჩვეულოდ მძიმე სიჩუმე ჩამოწვა  
 კანუდოსში, დედებს ამოეფარნენ. ბავ-  
 შები, ბალღამაღვირილი მამაკაცები  
 ძლიერ დამწუხრდნენ, ანტიკვიარი სუ-  
 ლი ეფლითებოდათ, და სიბრაღულით  
 დასცქეროდნენ მწყემსს — ვინ რა  
 იცოდა, მანუელო თუ როგორ მოკვდა...  
 მთელი კანუდოსი ცხედართან უზარმა-  
 ზარ წრედ იდგა, ერთადერთი ზე კლა-  
 ვინდებურად ვერ ბედავდა დღისით გა-  
 მოსვლას, მაგრამ იმ უჩვეულო სიჩუ-  
 მემ ყველაფერს მიახვედრა, ნაცრისფე-  
 რი დაედო. წრე გააჩრდია მოხუცმა სა-  
 ნტოსმა, ხალხს ვაეროდა, წერაქვი, ბა-  
 რი, ნიჩაბი მოიძია. სუნთქვაშეკრული,  
 მთლად ვახვეებული იდგა მანუელა,  
 ოღონდ მოკვნიტილი ტუჩიდან სისხლი  
 სდიოდა. კვილით არავის შეუცხადე-  
 ბია, არც არავინ ატირებულა. ტირი-  
 ლით მერე, გვიანი დამით მოიხეს გუ-  
 ლი, განმარტოვდნენ და ისე; მთელ კა-  
 ნუდოსში მოგუდული, უცნობი თანხ-  
 მოენები ისმოდა. ახლა კი მღუმარედ  
 დასცქეროდნენ მხოლოდ, და ვერ გა-  
 მართლდა მარშალ ბეტანკურის ჩანაფი-  
 ქრი — შეძრწუნებასთან ერთად, მეო-  
 რეს მხრივ, საოცარია, მაგრამ, მუდამ  
 ბრძოლისა და სიკვდილის მომლოდი-  
 ნეთ, თვალმოშხამულგებს, სამაგიეროდ  
 ერთი ამბავი გულზე მოეშვათ. აი რო-  
 ხასი, თუნდაც... ასე ფიქრობდა: „მე  
 რა, მე გინდაც მოვკვდე, მერე რა...  
 აგერ, ასეთი მანუელოც კი რა ცუდად  
 მოუკლავთ. იმასთან შედარებით მე  
 ვინა ვარ, რო...“ „თანაც, ბრძოლაში,  
 — თითქოს იმის ფიქრს ვინაგრძობდა  
 ინოსენსიო, — სიკვდილი ალბათ რა-  
 მდენად უფრო ადვილია... ყოფას გი-  
 ტირებთ!“ მეტისმეტობით, ვერ გამო-  
 ზომა მარშალმა ედმონდო ბეტანკურმა  
 განზრახვა, კამორულმა გამოცდილებამ  
 უკარნახა ამგვარი საქციელი, მაგრამ  
 სხვა წყობის, სულ სხვანაირ ხალხს რომ  
 გადააწყდა, ეს არ იცოდა, ვერ წარმოე-  
 დგინა — არ გაუმართლდა. შიშის ნა-  
 ვრავი დონაწაწვილი  
 აღმართი

სახიჯ გულში არავის გაუვლია, დამწუხრებით კი, დიდად დამწუხრდნენ. შემოჯარულთაგან ყველაზე მეტად მაინც ყოაო იტანჯებოდა — ხმას არა სცემდა მხიარულ სიძეს, რალაცნაირად ლამაზს. მოხდენილს. აქამდე ერთთავად პირს არიდებდა და ახლა კი, უმოწყალოდ დასახიჩრებულს, თვალს ვერა სწყვეტდა... ევლარ მოითმინა, მიუახლოვდა, დალონებულნი დააქცერდა, გადაქნია თავი, მერე ოდნე მოიხარა, ბარძაყზე ლონიერად დაირტყა ხელი, და უცნაური წაძღვრებით თქვა: „ეპ, მანუელო კოსტა, მანუელო...“ — და წრიდან თავჩაქინდრული გავიდა. მერე სენობიო ლოსა მივიდა ცხედართან, იმანაც ბარძაყზე დაირტყა ხელი, იმანაც კუშტად წაუძღვრა: „მანუელო კოსტა, მანუელო...“ და, რიგრიგობით ყოველი მამაკაცი ასე გამოეთხოვა დაფლეთილ ცხედარს, თივაში პირქვე ჩამხობილი ზე მორიერას გარდა. და როცა ყველა გამოიკრბა, გაუბზარავმა მენდეს მასიელმა თვალის ფოსოები დინჯად ამოუცარიელა მანუელოს გვამს, გადახვეული ნაწლავები შემოაკალა, ასე თუ ისე, მოაწესრიგა ცოტა, გულზე დაადო ვაკეიროთა ქუდი, მოხუც სანტოსს კი კარგა ხნის გათხრილი ჰქონდა სამარე. ფრთხილად ჩააწვინეს შიგ მანუელო, და თითო-ორილა მუჭა მიწით საფლავი ამოავსეს, და ასე, მუჭა-მუჭად, მსუბუქი იყო კანუდოსის ასეთი სიღრმიდან პირველად ამოთხრილი მიწა.

ეპ, მანუელო კოსტა, მანუელო...

გენერალი ხორხე კი, საგანგებოდ გაწვრთნილი კორპუსით, კაატინგას მისადგომებთან, მიფარებულში, კუნაპეტ დამეს უცდიდა. „აპ, ეს როსკიბი, — მთვარეს გულისხმობდა გაბრაზებული გენერალი, — როგორ ანათებს, აღარ მოშორდება?!“ — ეჩქარებოდა გენერალ ხორხეს იმა მანევრის განხორციელება, დიდი მარშალის პირადი დაელოვებ რომ შეიმუშავა. კორპუსელთათვის ესე მანევრი არავინ იცოდა,

არც რიგითებმა, არც ოფიცრობმა და, როგორც იქნა, და კუნაპეტის დაქვემდებარებაში ჩამოწვა, გენერალმა ხორხეს ყველაზე მარჯვე მსროლელი და რვა ძალიან ჯანიანი რიგითი შეარჩია, საიდუმლოდ შემოიკრბა და ხმადაბლა ასე დაარიგა: „ყური დამიგდეთ, ლეიბების და ერთმანეთის დიდ კედელზე გადასროლაში ტყუილად არ გავარჯიშებდით. კაატინგასთან მიცოცდებით და დაბრედილი, საფლავიდან წამომდგარი ნათესავებიც რომ შემოგხედდნენ გზაში, ხმა არავინ გაიღოთ. იქ, შესაძლოა, იმ გათახსირებულებს გუშაგები ედგნენ და ჯერ მიაყურადეთ, და ჩქამსაც თუ ვერ გაიგონებთ, ჯერ რამდენიმე აი, ეს ფუმფულა ლეიბი გადაისროლეთ კაატინგაზე, იქითა მხარეს ერთიმეორეზე რომ დაცვივდნენ, ისე, შემდეგ კი რიგრიგობით გადაისროლეთ თითო კორპუსელი, და თოფიც ზედ გქონდეთ, — თავს აქეთ-იქით აბრუნებდა გენერალი ლორხე, ხან ჯანიანებს მიმართავდა, ხან — გადასაგდებებს, — თორემ ცალკე რომ გადაუგდოთ თოფი, შესაძლოა, თავში მოახვედროთ და ეს არ ივარგებს — ძალიან საჭირონი ხართ დედა-კამორასთვის ახლა... არა გიშავთ რა, ლეიბზე რბილად დაეცემით, და მაინც, შემთხვევით ხელს ან ფეხს თუ მოიტეხთ, რომ არ შეჰყვიროთ, გადასასროლებმა პირში თეთრი გორგალი ჩაიჩარეთ და იმის ნიშნად, რომ ყველაფერი რიგზეა, გორგალი უკან გადმოისროლეთ, შემდეგ კი ლეიბიდან გადახიხით და იქვე გაიტრუნეთ — სხვა დასაღიბებელს გაუნთავისუფლეთ ადგილი. მუდამ განსოვდეთ, რომ გუშაგების შორიახლოს არსებობა დასაშვებია და ჩქამიც არ უნდა გაიღოთ, გესმით? და იმ ერთ პატარა მონაკვეთში უხმაუროდ გადალახულმა ზღუდემ თუ გავვიმართლა, ძალიან კარგი იქნება, მერე რა გვიჭირს — ყველანი იქით რომ აღმოჩნდებით, რვა გადამსროლელის გარდა, თავი დაადეთ და იმ წყეულ, გაუფორმებელ ქალაქამდე ძალიან ფრთხილად, სწრა-

ფად, და უხმაუროდ იპრეთ, გათენებამდე გარს შემოერტყით, კარგად ჩასაფრდით ხეებზე და შემადლებულზე, და როგორც კი ვინმე შინიდან გამოვა, მიხანში კარგად ამოიღეთ, არ გესწავლებათ ეგ და აბა, თქვენ იცით, იმ შეჩვენებულებს როგორ წარმატებით დასცხებთ — პოზიცია და მოულოდნელობის ელემენტი თქვენს მხარეზე იქნება, ზედმიწევნით უნდა გამოიყენოთ, მგვობრებო! არადა, კბილებში გადაგჭრით. იმ მუდრეუ ქალაქში ხუთთოდ შინიდან გამოსულ ერთეულს რომ მიასაღებთ, ცხვირის გამოყოფასაც ვეღარ გაბედავენ სხვები და ამასობაში ჩვენ ერთდროულად ოც-ოც კაცს გადმოვისვრით თითო ჭერზე, ვარეწრები თქვენი წყალობით მიჭაჭყულნი იქნებიან სიბრტეში და რაღა შეგვაფერხებს, ორ-სამ საათში მთელი კორპუსი თქვენს პოზიციასთან მოგროვდება, კალორიულ პროვიანტსაც ამოგიტანთ და მერე მძლავრი იერიშით იმ მურდულ ქალაქს მსწრაფლ ავიღებთ. ჩვენს ამოსვლამდე შეგიძლიათ დანებება შესთავაზოთ, ხმამაღლა გასძახეთ, რომ შეიწყალებთ, სიცოცხლის შენარჩუნება აღუთქვით და თუ ხელებაწყულნი გამოვლენ, დედაკაცებსა და ბავშვებს მართლა ნურაფერს დაუშავებთ — ევაგუნსოებს უნდა ჩაუფვდეთ. ლამაზი ქალი თუ გამოერევთ, უნდა ცალკე გადაინახოთ — მერე განაწილდებიან, როგორც საჭირია. აბა პათ, წადით, დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი!..“

და თუმცა რჩელმა კორპუსელებმა პირნათლად შეასრულეს დავალების საწყისი ნაწილი, ამა მანევრიდან დიდი ვერაფერი გამოვიდა, რადგან კაატინგას იქით მოქუფრული პრუდენსიო იდგა, მაჩეტეთი ხელში. პირველ კამორელს ჭერ დააცადა, თუ რას იხამდა; კატისთვალემა, ყოველივეს არჩევდა ბნელში, იმან კი გორგალი პირიდან რომ გამოიღო და უკან გადაისროლა, მაშინვე ტუჩ-ცხვირზე ააფარა ხელი და მიაკლა, მერევე გადმოფრენილ კორპუ-

სელს კი, ჰაერშივე მაჩეტეგამოსმულს, თავად ამოაცალა გახვეებული, დაღრქენილი პირიდან გორგალი; ორი თითი ზიზღიანად გადაისროლა კაატინგაზე და მაშინვე მესამეც გასმარტალდა-ჰაერში... მერე და მერე, ძალიან თუ დაიღლებოდა, გორგალის დაბრუნებას აგვიანებდა პრუდენსიო, მცირე ხნით გაიშობებოდა, ისვენებდა — საათივით ააწყო საქმე... და კაატინგასთან, გადაღმა, რვა გამამსროლელია რომ დარჩა, დავალების უხმაუროდ, წარმატებული აღსრულების შესატყობინებლად გენერალ ხორხესთან გაგზავნეს შედარებით მსუბუქი ჯანიანი, მერე თანდათან ირიერაჟა და, დაბურულ კაატინგაში შორიდან წვალეზით რომ გააძვრინეს მზერა, გაიჭყიტეს და რა დაინახეს, ელდა ეცათ — ასიოდვე კორპუსელი, სულ სავანგებოდ გაწვრთნილ-გამოკვებილი მსროლელები, იქითყენ, მიღმა, ყელგამიდადრულნი ერთმანეთზე ეყარნენ... და მშვენიერ გუნება-განწყობაზე დამდგარი, ყოჩაღად მოახლოებული გენერალი ხორხე სანამ ამ მეტად უსიამო ამბავს შეიტყობდა, კაატინგადან გამოსროლილი ერთადერთი ტყვია მხარში ეძგერა. კორპუსელებმა კაატინგასკენ ზალპი დასცხეს და უკუიქცნენ, ისევ მახლობელ ტყეს შეაფარეს თავი, კამორასაცენ ფიცხლად გაქანდა სამი მალემსბროლი, მოგვიანებით კი იმათ ნაკვალევზე მომცრო ურიკაც წაჩაქჩაქდა, მხარგადახვეულ გენერალ ხორხეთი.

დილადრიან უკმაყოფილოდ წამოჭდა ისევ თივაში სახეჩარგული ზე, ოთახში უხერხულად შემოძურწულ სტუმრებს ამრეზილმა გახედა — ინოსენსიო და როხასი იყვნენ. „რა კარგია, რომ მოხვედით, — გეხარდა მარიამს, თავმიბრუნებულ ზეს მალულად შეავლო თვალი, — აგერ, დასხედით, ახლავე ავადუღებ რძეს.“

გურამ დოჩანაშვილი  
ალმარში

იატაკზე უმძრავად იჯდა მოღუშე-  
ლი მწყემსი, განზე ჩიუტად იყურებო-  
და: ძალიან დაბალ სამფეხა სკამზე უშ-  
ნოდ წამოკიმულიყო ინოსენსიო, რო-  
ხასი მობუზული იდგა, აღარ იცოდა,  
სად წაეღო ხელები, ფეხსაც მაღიმალ  
ინაცვლებდა. „პოო...“ — ძალიან სუ-  
ლელურად წამოიწყო ინოსენსიომ და  
თავადვე სხეებზე ადრე მიხვდა ამას,  
პირი მოკუმა. უნამუსოდ დადუმებუ-  
ლიყო ზეც, უცხვირპირო, გაბეზრებუ-  
ლი მასპინძელი — თავისი დარდი  
ქეონდა, აღარავისი დანახვა სურდა. მ-  
რიაში ეზოში ფიჩხს აყრიდა ცეცხლს,  
ფარფატით მაღლდებოდა კვამლი,  
დროდადრო ნიავით იფლითებოდა.  
ოთახში ძალიან უხერხულად გაყუჩე-  
ბულიყენენ, სამიოდ გრძელი წუთი  
რომ გავიდა, უცებ ინოსენსიომ მოი-  
ფიქრა, თქვა: „გამარჯობა, ზე“. „გა-  
მარჯობა...“ — თავი არ მოუბრუნებია  
ზეს. „გამარჯობა“, — თქვა პატარა  
ხნის შემდეგ როხასმაც. „ხომ არ გამო-  
ხვალ გარეთ, — შემპარავდ წამოიწყო  
ინოსენსიომ, — ჩვენთან ერთად სამუ-  
შაოზე თუ წამოხ...“ „არა,“ — გააწყ-  
ვეტინა ზემ. დუმდინენ. მერე ინოსენ-  
სიომ მუხლზე რაღაც ლაქა ვახარებუ-  
ლმა აღმოიჩინა, უხახუნა და უხახუნა  
ხელისგული, შარვალი ძალიან ვაცრიცა  
და მუხლიც კინაღამ გადაიყვლიდა. მე-  
რე დუმილმა საბოლოოდ გააღიზიანა,  
წამოდგა: „აბა, კარგად იყავი, ზე.“  
„კარგად იყავი...“ „კარგად იყავი, ზე...“  
— ძლივს ამოღერდა როხასმაც და  
გავიდინენ. „სად გეჩქარებათ, — შეწუ-  
ხდა მარიაში, — აგერ, უკვე აღულდა  
რძე.“ „მადლობთ, არ გვინდა, წელან  
დავლიეთ.“ — თავაზიანად მიუგო ინო-  
სენსიომ, მოგვიანებით კი ვაბრაზებუ-  
ლმა გაიფიქრა: „რძე არა, ისა...“ სა-  
ხლს როგორც ვაცდა, თუმცა მისივე  
წადილით იყო, ზეს რომ ეწვივნენ, რო-  
ხასს ამ ჩაშლილ სტუმრობაზე კრინ-  
ტიც არ დასცდენია — უბრალოდ, ხა-  
თრი ვერ გაუტუნხა და ამიტომ წაჰყვა,  
ინოსენსიომ, ამ საქმის ერთპიროვნულ-  
მა მოთავემ, მანაც უშარა, ასე უსაყვე-

დურა თანამგზავრს: „რა იყო, რას ამ-  
ტებე, ვერ დაგდებოდი შინ...“ მგზავრს  
როხასს სიტყვა არ შეუბრტყნის, სიტყ-  
ქმელი იყო. მხრები უილაჯოდ აიჩეჩა.  
ისევ თივაში ჩაერგო თავი ზეს, და-  
მდუღრული სული ეწვოდა... მხარი  
რომ აუტრა!

განრისხებული დასცქეროდა პრუ-  
დენსიო გვამებს; გენერალიც რომ ჩა-  
აეცა, მანაც ვერ მოიოხა გული, რაღაც  
კიდევ სურდა, ვერ მიმხვდარყო, რა...  
ტყვიებმა ახლოს ჩაუზუზუნეს, წარბიც  
არ შეუხრია. სიხნულეში აღსრულე-  
ბულ, ჩქარიჩქარ მკვლელობებს ვერ  
ჩაატანა გემო, მეტი რამ მოუნდა,  
სხვა... და ნაჯიჯნი მანუელო კოსტა  
თვალნათლივ რომ წარმოუდგა, ძმებიც  
გახსენდა, იქ, სერტანაში, წვრილ და-  
ნებქვეშ მამინ ალბათ მორჩილად  
მდგარნი, და გონება აერია, ჩამოებინდა  
— „თქვენი ჯილაგნი... ყველაფრის ღი-  
რსი!...“ — გამწარებულმა გაიფიქრა და  
იქვე მიგდებულ კამორელს ფეხებში  
სწვდა, კაატინგასკენ წახოხილა, და-  
მძიმებული ცხეღარი იყო, სილაზე კე-  
ფით აშკარა ნაკვალევს ტოვებდა.  
მოიქნა და შიგ კაატინგაში შეავდო.  
მაშინვე შემოეგრია გვამს მოშივებუ-  
ლი ბუჩქი, უამრავგან ჩაესო ბასრი,  
აურაცხელი კლანჭით, სწრაფად შეი-  
წოვა, შესანსლა, ხარბად ათრთოლდა,  
შორითა ბუჩქებიც, მადაატეხილნი,  
ქრუოლადავლილნი, წვრილ, დაგრებილ  
ბრჭყალებს კამორელებსკენ მოუთმე-  
ნლად იწვდიდნენ. საზარელი რამ სანა-  
ხავი იყო, და სულ მცირე ხნით შეყო-  
ვნდა პრუდენსიო, ხელები ჩამოეყარა,  
გულმა რეჩხი უყო, შეფიქრიანდა, და  
სინანულისდამაგვარი რაღაც რომ შე-  
მოაწვა, ისევ გაიხსენა მანუელო და  
ძმები, ერთბაშად ვაცეცხლდა საკუთარ  
თავზე, სხვა გვამებს გადახედა და იმ  
ძვლებგამოხრული კამორელის ხვედრი  
— „ამათაც რატომ არა?“ — გაიფიქრა  
და ახლა მეორეს სწვდა ფეხში, მოლო-  
დინით ცახცახდავლილი კაატინგა შო-





რადანვე დაამედა: „ყოველ ფეხს გაგიძობ... ყველას შეგზნებდა, ნუ გეშინიათ, — ჩურჩულებდა ველურ სიხარულატანილი პრუდენსიო, — ჰა შენ... ჰა, შენაც...“ — კატინგაში ახალ-ახალ გვაძებს ღონივრად ისროდა. მთელ სიმაღლეზე წამომართულიყო ჯერაც დაუნაყრებელი, მომლოდინე, სასტიკი ბუჩქნარი, ყოველი კლანჭით თავის წილს უტდიდა, და რომ მიიღებდა, მაშინვე დაბლა ჩივრითებოდა, გრძელ, ღვარჯნილ ღეროებს ყელში მარწუხებდალ ასობდა ცხედარს, კანს აფხოვნიდა თავზე, ლოყებს უძიძვნიდა, გულ-ღვიძლისაკენ ჯიუტად, ფლეთვით მიძვრებოდა, ჯერაც მოთხო ხორცსა და სისხლს მაღიანად, ხარბად იწოვდა, და პრუდენსიოც გამაღებული აწვდიდა ახალ-ახალ ძღვენს, მიცვალებული კამორტლებით გაიყვინთა მთელი კატინგა, წვრილი, მოქნილი ღეროები დაუსქელდა, ერთმანეთს რბილად ჩაეხლართა, მიწენეს; გადამძიმებული ბუჩქები ფესვიან-კლანჭებიანად ძალიან დაძინენ, მერე და მერე ეზარებოდათ თითქოს სისხლის გამოწოვა; ბლანტედ უცაცუნებდნენ ჯერ კიდევ გამოსადეგ ნარჩენებს თვლემამორეულ ბრჭყალებს, ძალიან ზანტად იმშუშნებოდნენ წითლად ფერმიცემულნი, იქ კი, კანულდოსში, მენდეს მასიელმა ყელზე იატაცა ხელი, სულმთლად გადაფითრდა, ღონემიხილი ჩაჭდა, ხელისგულებით დაეყრდნო თიხის იატაკს. „რა დაგემართათ, კონსელიერიო. — შეუფოთდა ქოაო აბადო, — ჩქარა გრეგორიო, წყალი!“ „არა, არ მინდა, — ჩაქინდრული თავი გაიქნია მენდეს მასიელმა, — ყველანი აქ არიან? კანულდოსში...“ „მგონი ყველანი, კონსელიერიო“. „გუშინ, საღამო ხანს, პრუდენსიო სადღაც წავიდა, — თქვა გრეგორიომ, — კატინგასკენ, მგონი...“ „კი, პრუდენსიო თუ დამპართებდა ამას, — დანადვლიანდა მენდეს მასიელი, მერე წამოწევა უშედეგოდ სცადა, — გარეთ გამოიყვანეთ. სწრაფად შეკრიბეთ ხალხი...“

მძლავრად, ღონივრად აგუგუნდა გრეგორიო პაჩეკოს დოლი, კონსელიერიოს ფრთხილად ამოუდეს ილღებში ხელი, მხარში შეუდგნენ. ჰალიდან მოიბრინა დომენიკომ, ხალხს შეერია — მთელი კანულდოსი მენდეს მასიელის წინაშე მოგროვოლიყო, შეშფოთებულნი მისჩერებოდნენ. მიუტჩებულოყო დოლი. „ძმებო, გამხნევედით! — ძლივას წარმოსთქვა მენდეს მასიელმა, თავი აღაღო, — შიშს ნუ აპყვებით, გამაგრდით, ძმებო, — კატინგა, ჩვენი იმედი, გაბზარულია...“

გადაგვარებულ ბუჩქნარს შეძრწუნებული დასცქეროდა პრუდენსიო, სადღა იყო ძველი, სასტიკი, მრისხანედ შემართული კატინგა, — გამძლარი და დასივებული, მიწაზე უღონოდ თვლემდა, სულს ლაფავდა თუ რა, წამოწევის არაქათი აღარა ჰქონდა. ამოდ დააყარა შემორჩენილი გვამები პრუდენსიომ — ზიზღით მიხობხავდა ღმრისგან შორს, განზე, სისხლმოყვრებული კატინგა.

ზურგი შეიქცია ხელქვეითთათვის ჯერაც ამოდ სისხლმოწყურებულ მარშალ ბეტანკურს, ფრჩხილებს იცენეტდა, მისით წაქეზებული პოლკოვნიკი სეზარ კი თავჩაქინდრულ, საკაცეზე უღონოდ წამოძვარა გენერალ ხორხეს თავს დასდგომოდა და, როგორც შეეძლო, აბურთაებდა: „ასეა, ასე, ჩემო გენერალო, იმდენს სხვა ვერავინ დავიშავებს, რასაც შენი საკუთარი გასივებული, ტუტუცი თავი, — მორიგი ახსნა-განმარტება წარუდგინა და, გაბრაზდა, — შე ჩერჩეტო, შენ, საუკეთესო მიზნოსნები ასე ბრიყვულად მაინც როგორ დააბრედ... — მარშლისა მოერიდა, — როგორ დაასოცინე, გეკითხები, ელემენტარული ხერხი ველარ გამოიყენე, შე ტუტუციების ყურუმსალო, შენ? დაგემწყვდია ვინმე ორი დღით სიბნელეში, გამოგყვანა ღამით და მაშინ კატინგას მიღმა ყველაფერს წმინდად დაინახავდა“.

გუგუნი დონანანოვილი  
ალმარტი

— ყური დამიგდეთ, ძმებო, — კანულოსელებს მოღლილი თვალი მიაკყო მენდეს მასიელმა, — ბევრს ვერას გეტყვით, ლაპარაკი მიჭირს... ისე კი, ვიცხოვრეთ რამდენიმე ხანი... ახლა ერთ-ერთი გზა უნდა ამოიჩინოთ — მტრებს ან აქ, ჩვენს ქალაქში უნდა დაეხვდეთ და თავი შეეკალათ, ანდა ოჯახებიანად უნდა დაიქაჩსოთ მდინარის გაღმა, ტყეში, და ნამდვილ ნადირობას გამართავენ თქვენზე. რომელი გეგობთ, ძმებო?..

— ქალაქის დაცვა გვირჩევენია, კონსელერიო! — წამოძახა უცებ როხასმა, გაწითლდა.

და დონ დიეგოც მაშინვე წამოეშეგლა:

— რაღა თქმა უნდა, სხვაგვარად ალბათ ტყეში გამოიჭერენ თანდათან ყველას, კონსელიერო, და ყოველ მათგანს გემოზე აწამებენ, ისე კი, ბრძოლაში, მანუელოზე ადვილი სიკვდილი ელით. ქალაქის დაცვა ურჩევენიათ, კონსელიერიო, რაღა თქმა უნდა.

არ მოეწონა უთაო აბადოს, თავის თავს რომ არ ათვლიდა კანულოსელებში დონ დიეგო, მენდეს მასიელს დიდმნიშვნელოვნად გადახედა, მაგრამ იმას ყურადღება არ მიუქცევია, ხალხს წყნარად უთხრა:

— სამი ნაბიჯით განზე ვადექით, ვისაც ასე ესურთ!

დიდიან-პატარიანად სამი ნაბიჯით გადაინაცვლა ხალხმა. დომენიკოც მიჰყვა... და ყველამ უკან, სახლებსაკენ მიიბრუნდა — პირველი მწყემსი, ზე მოდიოდა. მძიმედ მოახლოვდა, ხალხს არ შერევია, შორიახლოს დადგა.

ენანებოდა მოტეხილი დიდი მწყემსი მენდეს მასიელს, თავი ასწია, შეათვალღიერა. რაღაც მოიფიქრა და ტანჯულ სახეზეც კი შეეტყო, რომ ეამა; ისევ ხალხზე გადაიტანა მოღლილი მზერა.

— დროს ნუ დავკარგავთ. ბოლოს მაინც დავმარცხდებით, ბევრი არიან, და ქალებს და ბავშვებს ნუ ჩავუგდებთ ხელში. დიდი ხეების კრას შეუდექით, ტივები შევკრათ, და რომ

დაბნელდება, მდინარით ქვემოთკენ ვუყვით გზას. გათენებისას საღებავს დახვალთ, და რომ ვერ მოგვასოცხეთ, ვებს ნაპირზე ნუ დატოვებთ, ისევ ქვემოთ დააცურეთ, იქ კარგა ფართო ოქნება მდინარე, ზღვამდე ჩაიტანს. ტყეს შეერიეთ. რაც შეიძლება, ღრმად... გეძებონ მერე. ნაჯახს რომელი ხმარობთ კარგად, გამოდით.

ყველამ გადმოიგდა თითო ნაბიჯი.

— არა, ასე არ გამოდგება, — ძლივს ჩაედინა კონსელიეროს, — მხოლოდ ათი კაცია საჭირო... დანარჩენებს სხვა საქმე გელით.

— ხეებს მე მოვჭრი... — კუშტად წარუდგა მოხუცი სანტოსი, — ოღონდ ფეხებში ნურაფინ მომედება... დამხმარე არა მჭირდება. დანარჩენებმა მოჭრილ ხეებს ტოტები დაასხიბონ, გამოაჩინონ და ტივებად შეკრან.

— აუნვალ კია მარტო? — დააცქერდა მენდეს მასიელი, — იმოდენა ხალხის სამყოფი ტივები...

— დარდი ნუ გექნებათ, კონსელიერიო.

— კარგი. გრეგორიო, ნაჯახის ხმამ შორს რომ არ გააღწიოს, ახლოს დაუდექ და შენი დოლი ააგუგუნე. თორემ მაშინვე მიხვდებიან, და გადაკეტავენ სადმე მდინარეს.

ჰალისკენ გაეშურა მოხუცი სანტოსი, გზაშივე ღესავდა ნაჯახს. გრეგორიოც, დოლიანა, გაჰყვა.

— დანარჩენები, მამაკაცები, კატი-ნგასკენ წახვალთ. ცოტა ხანს ალბათ ვერ შემობედავენ, მაგრამ მაინც უნდა იჩქაროთ. შორიშორს ჩასაფრდით ბორცვებზე. შენ აქ დარჩი, ზე. შენ და ბრუნდი და კარგად იფიქრე. არავინ გემდურის, იცოდე, არავის სწყდება შენს გადარჩენაზე გული, და რახან ასეთი ეშვიანი ხარ, გამოსავალი დამშვიდებისა შენვე უნდა იპოვნო. მუდამ არ სეგობს.

ნაჯახის ღონიერი ხმა გაისმა კანულოსში და მაშინვე აგუგუნდა დოლი.

— ახლა კი, ძმებო, — ხალხი მოათვალღიერა მენდეს მასიელმა, — ვიდ-




სოფლის მოგვლის სოფელი

წარსულის სურათი





ქალი მოტივი



ილუზიონისტი



ქალნუვილის  
კორტრეტი

გაგა

პასაჟილი

საქართველო  
სამხრეთი



პიონი



ნატარკორტი  
ფემოლოგის  
ფოტოლიბით



სახილველი

საქართველოს  
სამხრეთ-აღმოსავლეთი  
საზღვაო სავაჭრო  
საზღვაო სავაჭრო  
საზღვაო სავაჭრო




ლიტონი



უკავილავი  
სარავილავი



იასავანი



რემდე წახვალთ, ერთს კიდევ ვეტყვით. ნუ გგონიათ, რომ ცუდ და უბედურ დროს დაიბადეთ. იქნება მართლა კარგი რამ იყო ის ოქროს ხანა, ზღაპარ-ზღაპარ რომ გესმენია ხოლმე, მაგრამ მტერს, ძმებო, სულ მოღზე წოლა, სალამურის დაკვრა და წყაროს ჩუხჩუხი. და რომ იცოდეთ, უბედნიერეს დროებში ხართ გაჩენილი ყველანი, ძმებო, — სიბინძურეში, ამაღლების საშუალება უფრო არსებობს, და თქვენ მოგეცათ. წადით ახლა და, თქვენ იცით, როგორ იბრძოლებთ, თუ არ გამოჩნდებიან, სალამო ხანს შემოიარეთ, ერთმანეთს უნდა დავემშვიდობოთ.

ქალაში მძიმე მსუილით გადაწვა პირველი ხე.

— ჩვენ გავიმარჯვებთ, კონსულეირო, აი, ნახავთ, თუ არა! — წამოიძახა აღელვებულმა ყოაო აბადომ, — თითო ჩვენგანი აუარება იმათს ვუდრივართ, და აი, ნახავთ, თუ არ გავიმარჯვებთ, მზე მაღლა იქნება. თოფებიც გვაქვს და ტყვია-წამალიც, ყველაფერი, აუცილებლად გავიმარჯვებთ, კონსულეირო!

მაგრამ აქ მენდეს მასიელმა ყოვლად გაუგებარი რამ ჩაილაპარაკა:

— ღმერთმა დაგვიფაროს...

— კარგი ამბავი, დიდი მარშალო, კეთილი ამბავი, ჩიტი-გვრიტი, — სახე უციმციმებდა ოთახში სირბილით შემობრუნებულ პოლკოვნიკ სეზარს, — ამასთან ვითხრათ?

— არა, მოაშორე.

და ვაჯორლი გენერალი ცოცხლად რომ გაიყვანეს, პოლკოვნიკმა ბედნიერად შეაღმილა:

— კაატინგა გადაწულა, გრანდის-სიმოჰალლე, და გზა ხსნილია!

— რაო? რას ამბობ...?

— ახლახან მოიჭრა მაცნე, გრანდ...

— ძალიან კარგი... ძალიან კარგი, ჩემო პოლკოვნიკო, — სიხარულით დაბურძგლა მარშალ ბეტანკურს, ბოლოა დასცა და გააქრიალა, ხელებს იფშენეტდა, — როგორ მომხდარა?

— ჩვენი ძვირფასი გარდაცვლილების

ნეშტს იქიდან აყრიდა თურმე ვილაკ-ვინმე, — მხიარულად უხსნიდა პოლკოვნიკი, — და კაატინგა თანდათანობით, დამძიმებული, დანაყრებული, ქვევით იწვედა და ახლა ისეა მოდუნებული თურმე, ვად-გამოდი ვისაც გინდა, რამდენიც გინდა...

— აიმ ვილაკას ნეტავი არ გამოედგენენ?

— პირიქით, გრანდისსიმოჰალლე, თვითონ გიყვივით გამოქცეულა აქეთ და ძალიანაც ყვიროდა თურმე, ჯერ ეგონათ, რომ ჩვენი ორიენტაციისა იყო და ამიტომ მოიგონა კაატინგაში გამოსასვლელი ხერხი, მაგრამ პირველსავე კორპუსელს ყელში კბილებით ჩაფრენია და ვერასდღებით ვერ აუღლევიათ, დიდხანს ურტყეს კონდახები თურმე.

— მოკლეს?

— კი... დიახ!

შენაღვლიანდა მარშალი ბეტანკური, იშვიათად თუ განაწყენებულა საკუთარ თავზე — „როგორ ვერ მოვიფიქრე კაატინგაში ხალხის ჩაყრა... რა ადვილად გადასავლელი ყოფილა და, თავს როგორ ვიტყვი“. და აჩქარებით რაიმე კიდევ რომ არ შეშლოდა, ძლიერ ჩაფიქრდა, გაიარ-გამოიარა. პოლკოვნიკს შეაქტერდა მერე:

— აქ, კამორაში, ან გზად, ეგ ამბავი ვინმესთან ხომ არ დასცდენია...

— არა, გრანდისსიმოჰალლე.

— ეგ მაცნე ახლავე დაამწყვდიე. კორპუსისაყენ კი ვინმე გაგზავნე და ჩემი სახელით უბრაძოს, ფეხი არ მოიცვალან. დიდი ზარალი მოგვაყენეს იმ ოხრებმა და გათახსირებულებმა, ჩემო პოლკოვნიკო, დიდი ზარალი, — დაფიქრებული მიმოდოდა მარშალი ბეტანკური, — და მთელი ამ ხათახალიდან რაიმე ხეირიც უნდა ვნახოთ. ამიტომ ახლავე, სანამ დღეა, შინსყენ ღია საკაცით წაიყვანეთ გენერალი ზორხე, და იმის დაქრას მთელი ქალაქი რომ შეიტყობს, ეგონებათ, რომ ცუდად

**გურამ დონაძის მიერ**  
აღმართი



გვაქვს საქმე, და ვისაც გულში ჩვენზე რაიმე ცუდი უძევს, დრო დაგვიდგაო, ეგონებათ და აყრანტალდებიან. მთელი შენი გადაცმული ოფიცირიონი ქალაქში დაქსაქსე, ასი ყური დ თვალი გამოიბან, და ჩემით უქმყოფილოთა სიები დილითვე მომართვი. იმ დაბაა თუ რაღაც ჯანდაბას მიწასთან რომ ვავასწორებთ, მერე საეკვო ელემენტებისაგან უნდა განიწმინდოს დიადი კამორა. ვასაგებია?

— ჩემგან შექება როგორ გეკუთვნით, როგორ გაკადროთ, დიდო მარშალო, — გული ისე აუჩქროლდა პოლკოვნიკს, მაინცდამაინც ვერ დალაგა წინადადება, — მაგრამ გენიოსი ხართ და, რა გქნა, როგორ შევიკავო ამ გამოთქმისაგან თავი, გრანდისიმოპალლე.

— და კეტანომაც ასე იყვიროს — საღამოს ამდენი და ამდენი საათია და ყველაფერი არც თუ ისე გენიალურადაა.

— რომ ვერ გაბედოს?...  
— რილასთვის მყავხარ.  
— აუცილებლად ეგრე იყვირებს, გრანდისიმოპალლე.

— ერთი ვცადე და მაინცდამაინც ვერ გამიმართლდა, დიდო მარშალო...

— სხვა... თუ მიიღე რაიმე ზომები.  
— ღაირცხვინა პოლკოვნიკმა სეზარმა.  
— რა სცადე... გისმენ.

— მეც მოვიწოდებ უქმყოფილოთა მიგნება, სასიამოვნო სიურპრიზს ვიმზადებდით, გრანდისიმოპალლე, და რადგან ჩემს გადაცმულებს, უმრავლესობას, პარიკიან-ულვაშიან-სათვალიან-დაც სცნობენ, ახალი კადრი გამოვიყენე — ლამაზ-გენერალს ქალურად ჩავაცვი, მატყლი ჩავუღე მკერდში, სხვაგან არ დასჭირდა და ღამის სასადილოში შევუშვი... ძალიან შევეცდი.

— რატომ.  
— მეტისმეტობით, ისე ძალიან შევალამაზე, ისეთი დავასწავლე გამომწვევი სიარული, პირის კანიც ისეთი ნაზი აქვს, გრანდისიმოპალლე, ისეთნაირად ჩავაცვი კოხტად... გადავამლაშე — მოგეხსენებათ, დიდო მარშალო, ლამაზ

ქალბებთან პოლიტიკაზე არ საუბრობენ...  
— აბა?!

— სულ ერთიანად დაბწყენილია. —  
სახე შექმუხნა დიდმა მარშალმა, მაგრამ გართულ პოლკოვნიკს არ შეუძინევია. ესეც არ ესიამოვნა მარშალ ბეტანკურს, უხეშად უთხრა:

— მაშ, ესე იგი, ჩემი დავალება გაიგე, არა?

— კი, როგორ არა, — მხიარულად მიუგო პოლკოვნიკმა სეზარმა, — ვინც თქვენზე ცუდი რამა თქვას, გული გაუპოს დანამა, არა?

— ძალიან გათამამდი შენ, ფედერიკო, — სუსხიანად მიაჩერდა დიდი მარშალი, — უსაქმურობამ იცის ეგ. და, სხვათა შორის, კაატინგას ვადასხნაში არაერთი წვლილი არ გიძევს.

— კი... — ძალიან შეტბა ვალადებულ პოლკოვნიკი, თავი ჩალუნა, — დიას, როგორ არა, სწორი ბრძანდებით, გრანდ...

— იმ კორპუსს შენვე უმეთაურებ. წადი.

შე ჩასულიც არ იყო, მდინარესთან მიჩოჩილღებულ აუარება მორი ტივებად რომ შეკრეს, ხელისგული ვადაისვა გახვითქულ შუბლზე მოხუცმა სანტოსმა, მერეღა დადუმდა გრეგორიო პაჩეკოს დოლი. ჭირკვზე ჩამოჯდა დაქანცული დომენიკო, ყურებში ისევე გუგუნი ედგა, ხელ-ფეხი, ბეჭები, წელიც ძალიან სტეხდა და მაინც, მწარედ სიამოვნებდა; თავი ვადასწია, ტკივილით ვაიზმორა და, როგორც კი თვალი გაახილა, შეკრთა, წამოდგა — თოფხაბლუჯული ვაკეიროები დინჯად ბრუნდებოდნენ კანდოსში, ჟოაო კი ჯგუფს გამოეყო და ვაცხარებულმა მიიბრინა მენდეს მასიელთან, აღშფოთებისგან სიტყვა უწყდებოდა, სუნთქვა ეკვროდა:

— აკი ვამბობდი, კონსელეირო, ნუ მივიღებთ-მეთქი... ძალიან, რადგან... როგორ!.. ისეთი დაპრანჭულ-გამოპრანჭული... ისღა ვაკლდა სწორედ. ოობ, მაგისი...

— რა დააშავა, — წყნარად იკითხა კონსელები, დაბრუნებულებს რომ გადაავლო თვალი — ღონ დიეგო აკლდათ.

— რა და... ჯერ ის იყო და, მასხარაბა მომინდომა... მხოლოდ ის მყავდა არასამედი, და ამიტომაც ჩემთან ახლოს ჩავსაფრე... — კატიცინასთან, სადარაჯოდ. პატარა ხანი რომ გავიდა, სსსუო, დამისისინა და რომ შევხედე, ისეთი შეშფოთებული ჩანდა, ფუჰ, ვიგინდარა, მეც შევშფოთდი, ალბათ კამორლები თუ შენიშნა-მეთქი და რა არი-მეთქი, ხელით რომ დავეკითხე, აქ მოდიო, მანიშნა... ძალიან ფრთხილად, სულ ხოხვა-ხოხვით მოგუწონდი და ქეიფში როგორ ბრძანდებით, ყოაო, მკითხა! კატიცინასთან კი არა-ეინ ჩანდა... ახ, ის მასხარა, ვიგინდარა ის! ძალზედ გავბრაზდი, კონსელები, გვეცალე, აღარ ვიყურებოდი იმისკენ, დასანახად მეზარებოდა, მერე კი, წამოსვლის დრო რომ დავვიდგა, მოვიკითხეთ და... სადღა იყო! მოღალატე, ლაჩარი, გამყიდველი, მშინარა!.. რად გინდოდა, ა, კონსელები, ისეთი უცხო, ისეთი გადაბრაზებული...

— კარგი, დაწყნარდი, ყოაო, — მშვიდად ახედა მენდეს მასიელმა, — ყველამ თავისი საქმე იცის.

დიდ ხესთან მიმჭდარ კონსელები მთაბლოვდნენ მწყემსები, შედგნენ; მთელი ქალაქიც იქვე მოგროვდა, კვლავ მოშორებით გამდგარიყო ზეგრეგორიო პაჩეკომ და სენობით ლაოსამ ფრთხილად წამოაყენეს კონსელები, მხარში შეუდგნენ, წელზე შემოხვეს ხელი. ღონე მოიკრიბა მენდეს მასიელმა, სუსტი ხმით, მტკიცედ ალაპარაკდა, კიდევ კარგი, რომ საღამოსპირი იდგა, შებინდების დასაწყისი, მიყუჩების დრო, სიტყვა კარგად ისმოდა.

— ერთი რამ ახლავე უნდა გადაწყვიტოთ, ძმებო. ქალებს და ბავშვებს ორი თქვენგანი უნდა გაჰყვეს.

გაკვირვებულნი უმხერდნენ კანულოსელები, რა დიდი გადასაწყვეტი ეს იყო...

— და სამუდამოდ იმათთან უნდა დარჩნენ.

აქ კი სუყველამ განზე იბრუნა პირი, კონსელები სახეს არიდებდნენ, რომ არ მოხვედროდნენ თვალში. ერთადერთი, დომენიკო მისჩერებოდა... ვერ მიმხვდარიყო, რა რას ნიშნავდა. და კონსელები იმაც ახსნა:

— ვიცი, ძალიან რომ გერიდებთ განწირული ქალაქის მიტოვება, მაგრამ აუცილებელია ეს, ძმებო, — ტივების მართვას მაგარი ხელი სჭირდება, ქალი ვერ შეძლებს და მეორეც ის, ჩვენი შვილები მაშეკაცმაც უნდა გაზარდოს — ცხენოსნობაო, ნადირობა, ათასნაირი ხერხი... რომლები წახვალთ?

არც კი გამოუტყვერებია არავის, და ზეს კეფაში ჩაალურსმა მზერა მენდეს მასიელმა, და იმანაც მაშინვე იგრძნო, მკვეთრად მოაბრუნა თავი. რა დაძაბულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს კონსელები და ზე მორეირა, პირველი მწყემსი... თვალებით როგორ ლაპარაკობდნენ! მერე თავიც კი ოდნავ დახარა მენდეს მასიელმა — რაღაცაზე შეთანხმდნენ, და მხოლოდ წამით, შევებით გაიღიმა ზემ... დომენიკოლა მისჩერებოდა რიგრიგობით ორივეს; სხვებს, თავმიბრუნებულთ, არაფერი შეუტყვიათ. წელში გასწორდა ზე, მხრები გამართა, გადაწყვეტილი ჰქონდა უკვე, როგორ მოქცეულიყო სიცოცხლის ბოლომდე. ძველი იერი უბრუნებოდა, ძველებური ლაზათი და თანდაყოლილი სიამაყე, ეშხი... და მერე განგებ ისევ საწყლად ჩაღუნა თავი.

— ენქისურის დრო არა გვაქვს, — თქვა მენდეს მასიელმა, — მხოლოდ საღამო უნდა ვიკმაროთ, რადგან ან დღისით გადასწყვეტენ ხოლმე შეტევას, ან — ბნელი ღამით. საღამოობით — არასოდეს. რომელი წახვალთ...

— მე. მე წავყვები, კონსელები! სუყველამ ზესკენ მიაბრუნა თავი, დაბნეულები შეაკერდნენ. თავისით

პუკაჲ დოჩანაჲშილი  
აღმარითი

როგორ იკისრა გაცლა... ის კი, ოდნავ აწითლებული, იხტიბარს არ იტეხდა თითქოს, მენდეს მასიელთან საქმიანად აღაპარკდა:

— ორი კაციო, კონსელეირო, არა?

— კი, ორი კაცი.

— როხასს წავიყვან.

— ძალიან კარგი.

— როდის წავიდეთ?

ძველებურად მხნედ შემართულიყო პირველი მწყემსი, მაღალ ფეხებზე არხინად იდგა, კანუდოსელების გაცირვებას არად ავლებდა.

— როგორც დაამდება.

— ეს რთული და საპატიო საქმე უნდა იყოს, წესით. ჩემზე უკეთესად ალბათ ვერაფერს გამოზრდის ბიჭებს, კონსელეირო, არა?

— კი.

— და, ამიტომაც, სწორედ მე წავალ.

ეუხამუშათ პირველი მწყემსის საქციელი კანუდოსელებს. ზედ გარდუვალი ბრძოლის წინ, ასე უღარდელად გაცლა... მარამიც კი დაბნეულიყო.

მაგრამ ზე ერთ-ერთი ვახლდათ იმ რჩეულ ხუთთავან...

— კი მაგრამ, მე რა დავიშავებთ, კონსელეირო, — ხმა აუკანკალდა როხასს, და აღშფოთებამ სიცოცხლეში პირველად ძალიან გრძელი წინადადება ათქმევინა: — რითი მიწუნებთ მაინც? ცუდად ემუშაობდი, ცუდად ვიბრძოდი თუ რა, ის ჭრილობებიც კარგა ხანია მომიშუშდა და სხვებსავე არც ცოლი მყავს და ძირი, რომ გავეციდო.

— უნდა წამომყევე, — უთხრა გაფითრებულმა ზემ, და მერე თითქოს წაეხუმრა, — მე რა, რითი ვარ შენზე ნაკლები, ჭრილობები რომ არ მაქვს? მეც კი შეიძლებოდა მქონოდა და რომ მივდივარ ახლა...

მაგრამ როხასმა ზიზლით შეხედა, და დაუნდობლად გააწყვეტინა:

— შენ ნაჩუქარი სიცოცხლე გაქვს, და როგორც გინდა, ისე მოიხმარ.

მაჩეტესაკენ გაექცა ხელი ზეს, მაგრამ დროულად შეიკავა თავი, ტუჩი მოიკვინიტა.

— შენ რომ გგონია, არც ძველსაქმე, როხას, — ძლივსდა ლაპარაკობს შენდეს მასიელი, ყოველი სიტყვა ძალიან უჭირდა, — დიდად მოსალოდნელია, გზაშიაც დაგზვდნენ კამორელები და სხვებზე სასტიკი ბრძოლა ეგებ შენ გეოლის...

— მით უმეტეს, კანუდოსში მინდა მოვკვდე.

— გრცხვენოდეს, როხას! — დაანამუსა მენდეს მასიელმა და მწყემსმაც მაშინვე თავი ჩაიღწია.

მოსაღამოვდა, დაბალ ხეებზე მიძვრებოდნენ თვლემამორეული ქათმები.

— ეგ ფრინველები აუცილებლად წაიყვანეთ. იმ ახალ ადგილას, სისხამ დილით. — სუსტად გაიღიმა კონსელეირომ, — მამალმა აუცილებლად უნდა იყვილოს, და მთელი ნახირიც გაიყოლიეთ, ორ ტივზე მოთავსდებიან. ათიოდე ცხენიც წაიყვანეთ.

— ახლა კი ყველანი დავსხდეთ და გავყუჩდეთ, — თქვა მენდეს მასიელმა, შემოთოთებელი ქათმების კრიახი რომ მიწყდა, — განშორების წინ, ასე იციან. დამშვიდობებით კი ერთმანეთს, სიბნელეში დავემშვიდობოთ, ვისაც როგორ გვინდა...

დაღამებამდე, თვალს არიდებდნენ დედას, ცოლს, შვილებს, საბრალოდ ისხდნენ; წამოდგნენ მერე, გახევებულნი, ისე თვალნათლევ მკვრივდებოდნენ მოძალეებულ ბინდში... მერე კი, მაგრად რომ ჩამოზნელდა, თითქოს ძალიან ამოძრავდა ყველა, თითქოს ერთმანეთს ეფერებოდნენ, ტიროდნენ, ჭვითინებდნენ ზოგან, ხელისგულს ნახად უსვამდნენ ერთმანეთს ლოყებზე, თავზე, გატრუნულ ბავშვებს შუბლზე ჰკოცნიდნენ, ძაან ახლობელს თუ მიაგნებდნენ, ჩახუტებულნი, შეჩვეულ სითბოს სუნთქვაშეკრულნი უგდებდნენ ყურს... ნაწავ, ხესავით გრილ, დაკოყრილ ხელებს ყელზე სათუთად უსვამდნენ ბავშვებს, ზოგი მაღულად იმშრალებდა ცრემლს, და ბნელ ღამეში ძალიან აითქვიფნენ, ყველა ერთმანეთს ეფერებოდა თითქოს; დამრჩენებიც კი,

ხელისგულს რწმენით აღებდნენ ერთი-მეორეს მხარზე, იმ კუნაპეტში თანა-ქალაქელებს აღლებულნი, იმედით შესტკეპროდნენ, დაბორილებდნენ ბნელში, წყნარი მდინარე ვერ ფარავდა იმათ ფეხის ხმას, საყოველთაო, შეკავებული ალერსი სჭირდათ, წყვილი-ადმი მხარს თუ უნებურად ვაკრავდნენ ვინმეს, მაშინვე ალერსით ილი-მებოდნენ, ასე ეგონა დომენიკოს, იმ სიბნელეში ნამდვილად ასე ეჩვენებოდა.

...მსგავსი არაფერი მომხდარა, უძრავად იდგნენ.

და, ტივები რომ ჩასცდა კანუდოსს, კონსელეიროსკენ იბრუნეს პირი, კვარი სახეზე დაანათეს — ველარ სუნთქავდა.

გაბრუებულები, მხრებჩამოყრილნი იდგნენ: დედა, ცოლ-შვილი — უსუსურად მდინარეს მინდობილნი და სამუდამოდ, ალბათ, მათთვის დაკარგულნი... ის საკვირველი უცხო, დონ დიეგო, სამარცხვინოდ გაპარული... პირველი მიწყემსი, ამ ბოლო დრომდე მისაბაძი და ხერხით, ძალ-ღონით, მთავარი იმედი, ზე მორეირა — მთლად გამოცვლილი, თავარიდებული ბრძოლას... და კაატინგაც — ვადაწეული... მანუელო კოსტა — მკვდარი... ყველაზე ნამდვილი ვაკეირო, როხასი, უთქმელი და საქმისმოყვარე, მშვიდად მართალი — კანუდოსიდან ძალისძალათი ვადახვეწილი... და სიტყვიერი მათი ერთობა, იმათი რწმენა, კონსელეირო მენდეს მასიელი, ველარ სუნთქავდა... თავისი ქალაქის მიწაზე პირალმა გადა-ქცეული იწვა.

### კანუდოსიდან მანც კარბად იბრძოდნენ

როგორც ეს მოგვიანებით გაიფიქრა პოლკოვნიკმა სეზარმა, კორპუსი დღისით, მზისით, მთლიანად არ უნდა გაე-

ყვანა კაატინგას მიღმა. ასე ეგონა, მრავალრიცხოვნებითა და სანაქებო შეიარაღებით თავზარს დასცემდა მოწინააღმდეგეს, მეთაურთა გაცემას სისო-თხოვდა, სამაგიეროდ რიგითებს სიცოცხლის შენარჩუნებას აღუთქვამდა და იარაღს ფერხთით დაუყრიდნენ. მაგრამ მოლაპარაკება ვინ აცალა — მთელი კორპუსი რომ შექუჩდა, მწყობრად განლაგდნენ და უხილავი ქალაქისაკე-ენ ყოჩალი მარშით გასწიეს. გორაკებზე ჩასაფრებულ კანუდოსელთა თოფებიც გრილი ლულებით ჩააცქერდნენ მომხედურებს და უმრავლესობას თუმცა უფარგისი, მიზანმოშლილი იარაღი ჰქონდა, ეგ არაფერი — ერთს რომ გულმოდგინედ დაუმიზნებდნენ და ჩახმახს გამოჰკრავდნენ, სულ სხვა კორპუსელი გაგორდებოდა — ძალიან მჭიდროდ მოდიოდნენ დამხობილი კაატინგათი გაარხეინებული კამორელები. პოლკოვნიკის ბრძანებამდეც კი მთელი კორპუსი გაიფანტა, გაწვენენ, ზოგიც კანტიკუნტ ხეს ამოეფარა, და არ იძვროდნენ; ფრთხილად თავაწეულნი, გაყინული, ხელიკის თვალებით იყურებოდნენ ბორცვებისაკენ. ვერ დავეუკარგავთ — არ დაშინებულან. ხანდახან იმათ გვერდით მიწაში ესობოდა ტყვია, თავს ჩარგავდნენ ხოლმე. მერე სიჩუმე დააწვათ და გაიკვირვეს, დაინტერესდნენ, წამოწყულნი დიდის იმედით უცდიდნენ ღამეს, რა იცოდნენ რომ, კანუდოსელებსაც ღამის იმედი ჰქონდათ. აქა-იქ, ბორცვებზე, ხანდახან ვაკეიროთა ორკუთხა ქუდი ამოიწვერებოდა, და მაშინვე იქით მიაშვერდნენ თოფს. მერე გაუტკბათ ცალმხრივი სროლა, ცოტა უკვირდათ, კანუდოსელები რომ არ პასუხობდნენ. მაინც დიდის სიფრთხილით, სუნთქვა-შეკრულნი ეფარებოდნენ არიერგარდიდან მოყვანილ, საგანგებოდ გაწვრთნილ, გაუჩნებულ ცხენებს, და უცებ

გუგუშო დონანაშვილი  
აღმარები



მოულოდნელმა თქართუქრმა შეაგრო-  
 თოთ — ბორცვების თავზე წენებით გა-  
 დადიოდნენ კანულოსელები, მიეფარნენ  
 თვალს. სწრაფად წამოხტა პოლკოვნი-  
 კი, კორპუსს ამხედრება უბრძანა და  
 ვაკეიროებს გაედევნენ. მაგრამ მანძი-  
 ლი არ მოკლდებოდა, მხოლოდ პოლ-  
 კოვნიკის სიფხმარდით განთქმული  
 ცხენი უახლოვდებოდა ჩამორჩენილ  
 ვაკეიროებს და ისიც შედგა — სულაც  
 არ შეეკრათა პოლკოვნიკი სეზარ,  
 მაგრამ ერთი კაციც შემბა იმოდენა  
 რაზმთან სისულელეს იყო. იდგა, კორ-  
 პუსს უცდიდა. მერე ოფიცრებს მოკ-  
 ლე ანგარიში შეაკრად, საქმიანად მო-  
 სთხოვა — მაინცდამაინც ბევრნი არ  
 აკლდათ. დამსჯელი რაზმიდან წამო-  
 ყვანილ, მომვლელებად გადაცმულ  
 რამდენიმე ადამიანს თოდნაკრავებთან  
 დარჩენა უბრძანა, რადგან კატიწვას  
 აღორძინების გამოსარიცხად — ასე  
 დაარიგა დიდმა მარშალმა — ბუჩქნა-  
 რში დროდადრო უნდა ჩაეგდოთ უდი-  
 სციადონონი ან დაჭირილები. შებინდე-  
 ბისას ტყეს მიადგნენ და პოლკოვნი-  
 კმა ვახშობა ბრძანა, მაგრამ სურსა-  
 თით დატვირთული ურმები აღარსად  
 ჩანდა. პროვიანტის მოსაძებნად რამ-  
 დენიმე ამხედრებული კორპუსელი გა-  
 გზავნეს, მაგრამ აღარც ერთი დაბრუ-  
 ნებულა — ბნელში, მაჩეტე... შორითა  
 ტყეში კი უხვად დაძინენ ტურები,  
 იმ რამდენიმე ვაკეირომ, ინოსენსიოს  
 მეთაურობით ურმები რომ ჩაიგდო,  
 არ იყარა მტრის ლუქმა, მხოლოდ ერ-  
 თი ციკანი — პოლკოვნიკის კუჭით სა-  
 ყვარელი შინაური ცხოველი — დაუ-  
 თმეს უცნაური ნადირობის ხასიათზე  
 დამდგარ სანტოსს. მთელი დღის უს-  
 მელ-უჭმელი, მინამდე კი ათასგვარი  
 სურსათ-სანოვავით ერთთავად განე-  
 ბივრებული პოლკოვნიკი სეზარ ახლა,  
 ამ ტყეში, ხმელა პურზედაც არ  
 იტყოდა უარს — მუცელი გვრემდა.  
 აწრიალებული მიმოდრიდა ოფიცრიო-  
 ნში, შენიშვნას შენიშვნაზე იძლეოდა,  
 ვერ ისვენებდა: ორიოდ ყლუბმა ნა-  
 ხად ცეცხლოვანმა, მოალისფრო სი-

თხემ უფრო აუდერდა მად...  
 ეწეოდა, იმ სიბნელეში რამდენიმე  
 არხენი ლეიტენანტს თავზე დააბიჯა,  
 მის წამოყვირებაზე კინადამ გული გა-  
 უსკდა, ძალიან განრისხდა და უდაგო-  
 ლო დროს ძილისათვის წოდება ფიცხ-  
 ლად აპყარა. მერე გუშაგები მიმოაყენა,  
 და ძილი ისურვა; თვალდახუჭული კი  
 იწევა, მაგრამ კარგა ხანს არ ეკარებო-  
 და რული — დიდად მოშივდა პოლ-  
 კოვნიკ სეზარს. გამორჩეული საშველე-  
 ბი ენატრებოდა, და ისე ცხადად წარ-  
 მოედგინა, სულიც კი სცემდა — ხან-  
 მოყრითი შემწვარი სუტი, მაგალითად,  
 ვთქვათ; ღვიძლი, ბასთურმა, და დე-  
 დის მუცლიდან ამოყვანილი ჯერაც  
 დაუბადებელი ხბო, რძეში მოხარშუ-  
 ლი — აჰ... ოდნავ ჩასთვლიმა, და ნი-  
 კაპზე ნერწყვი გადმოსდინდა, ზმანება  
 ნახა მაშინვე ისეთი — შავ პურზე  
 თხლად წასმული ღორის გადამდნარი  
 ქონი და წითელი ხიზილალა ბარაქიანად  
 ზედ, მსხვილმარცვლოვანი — რა სა-  
 ნუკვარი შესაქმელი იყო, სამი საოც-  
 ნებოდ განსხვავებული რამ ერთდროუ-  
 ლად, ერთად: ხაოიანი შავი პურის გა-  
 მომწვევი სიველურე, ქონის მძიმედ  
 ნატიფი, ამაზრუნეი ცხიმიანობა და  
 მთავარი რამ — შორეულად მწკლარ-  
 ტე, ნერწყვადმდენი წითელი ბუშტუ-  
 კები ენამიჭერილ აქავებულ სასაზე  
 როგორ სედებოდნენ... აჰ! სწრაფად  
 წამოგდა პოლკოვნიკი, მიმოიხედა —  
 ბნელოდა ძაან, რა იქნებოდა აბა, უმ-  
 თვარო ღამით დაბურულ ტყეში, და  
 ციკნის უმწეო, ბაცი კიკინი მოესმა  
 თითქოს, რა, მომეჩვენა? — გაიფიქრა  
 პოლკოვნიკმა, მთელის არსებით მიაუუ-  
 რადა, მოესმა კვლავაც — სხარტად  
 წამოდგა; იმ სიზმრის მერე, გამგელე-  
 ბულმა, აღარ იცოდა, სად იყო, ვის-  
 თან, სანუკვარი ხილვებით შემობუ-  
 რულს, კორპუსელები კი არა, ქალიც  
 აღარ ახსოვდა, მაგრამ სიბნელეუჩვევს  
 წყვდიადი მაინც უსიაპო აზრებს ჰგე-  
 რიდა და გასამხნევებლად ისევ მიიყუ-  
 და კონიაკიანი მთარა, სული აეწო...  
 მერე გაზნევედა, და საოცნებო კიკინი-



საქენ, დროდადრო რომ გაისმოდა, ყურმიშვერილმა, ოდნავ გვერდულად გასწია, ვეღარა გრძნობდა სახეზე წაცაცუნებულ ფოთოლს, წვრილად მოდებულ აბლაბუდას, ხოლო წინ, იქით, საფუძვლიანი ქსელი ელოდა — დაბალ ტოტზე იჯდა მოხუცი სანტოსი, ქმარში ნაჯახი გაეჩარა და იმავე ხეზე გამობმულ ციკანს გრძელი, წვეტიანი ჯოხით ფერდში სჩხვლევდა და აკიენებდა. კისერწაგრძელებულ, მსუნაგად მიახლოებულ ადამიანს შორიდანვე მოჰქარა თვალი, არა, მასიმო ეს არ იყო, მაგრამ მხრებზე კარგა ბრჭყვიალა ეპოლეტები კი ესეა: ფეხისგულეებით მიებჯინა მოხუცი სანტოსი წინა ტოტს, გამაგრდა ადგილზე, გაიბრუნა... უჩხვლიტა ისევ ციკანს და გახარებულმა გამოანაგრძო საბოლოო გზა სეზარმა. ხელის ცეცებით, გულაჩქაროლებული უახლოვდებოდა სანტოსიან ხეს, კარგი ჭამა და კარგი სვა პოლკოვნიკმა იქამომდე, ბევრიც იარა, რაღა უნდოდა, რაღა გინდოდა, პოი, ბეჩაო, ბეჩაო, ბეჩაო პოლკოვნიკო, სად მიხვალ, პოლკოვნიკო, სად... რას დაგიდევდათ, ციკანის ხორცი ესურვილებოდა, უკაწაწებდა მოშობილი სული, როგორც ყოველთვის, მთავარი ის იყო, ახლა, ამწუთას ჭქონოდა საზრდო, ადრინდელ წუგბართა — „დედა არ ვატირე?“ — გაიფიქრა პოლკოვნიკმა, უფრო სულსწრაფად გასწია, და არ იცოდა, ვერა ხედებოდა, ამა კიკინის წყალობით რომ იქ, ჩასაფრებულში, ცეცხლია მაღალი, იქ, ჩასაფრებულში, მაღალი ცეცხლია და კვლავინდებურად ხელგაშვერილი მიიკვლევდა გზას, მშვენივრად იცოდა, რაც უნდა ექნა — თავს ნაზად გადაუწევდა ღონივრად თითებმბაღუჭულ ციკანს, აღერსიანად გამოუსვამდა ყელში დანას და იქვე კოხტად გაატყავებდა, მოკლედ, იცოდა, რაც უნდა ექნა და ბნელში ნაცრისფრად ამობუტებულ ციკანსაც ჭკიდა თვალი, ერთი, ორი და იქვე იყო, და სანამ დახრას მოასწრებდა, მოხუცი სანტოსი გადმოიზიდა, ქეჩოში

სწვდა და ლეკვით ასწია, ფეხებიც კი აკეცა მოულოდნელობისგან მთლად წამხდარმა სეზარმა, პაერში უსუსურად კონწილობდა, მოხუცმა სანტოსმა კი მეორე ხელით წელში გაჩრილი ნაჯახი დააძრო, მოიმაჩვია, გვერდიდან შეხვდა ვედრებით თვალემაპყრობილ, შეძრწუნებულ ნადავლს და ნაჯახიანი ხელი მოკლედ, ღონივრად დაიქნია... ზიზლით შეუშვა თითები მერე.

უბრალოდ მოხდა — იყო და არა იყო რა; იყო ერთი ყოჩაღი პოლკოვნიკი ფედერიკო სეზარ.

დაექვევებული ეფერებოდა დიდი მარშალი აკრუტუნებულ, სიამით თვალემაღილულულ კატა-არუფას — გამარჯვების მაღწეხებელი მაცნე იგვიანებდა რალაც...

გათენებამდე გრძელდებოდა მოქუფრულ კანუდოსელთა თავგზააბნეულ კამარელებზე ეს დაუნდობელი, ჯიუტი ნადირობა. გამწარებულნი დაეძებდნენ თავშესაფარს ბნელსუჩვევი კორბუსელები, მაგრამ ყოველი ხის უკან ყვრიმალეებდაბერილი, მაჩეტეჩაბლუხული ვაკეირო — თავად ბედისწერის მსახვრელი — იღგა. ვერ წაუფიქროდნენ, უმეტესობათაგანნი მაინც: ფეხისწვერებზე დიდხანს მოარულს და უკვე გადარჩენის იმედნადერის — უცებ, ანაზდად, ფერდში ქვემოდან ნამგერები დანა... ტოტზე გაქირვებით ამძვრალს, ზემო ტოტიდან — ყელში, მაჩეტე... ხეს ამოფარებულს — თითქოსდა გადამრჩენელ ხეზე მიმღურსმელი უშბი... წაკლული თანკარბუსელის ხვედრით შეძრწუნებულ მორბენალს, უკან-უკან შიშით მზირალს — წინიდან, კეფაში, სენობიოს გამოჰედილი ხმალი... ტყიდან თავდადწეულსა და გაკვირვებით მდგარს, ავი წინაგრძნობით გახევე-

აუტან ღონიანაფილი  
ალბასთი



ბულს — ყელზე ქამანი და მერე სწორედ ცხენის სისწრაფით მიწაზე მწარე ხახუნით თრევა... რომელიღაცა საზარლად, გავეშვებული ბლაოდა და სულ გინებით იხეწებოდა ხან შველას, ხან სიკვდილს, და არც შევლიდნენ და არცა ჰკლავდნენ. ბლაოდა როგორ, ყურები ხელისგულით დაიცო სანტოსის გვერდით ტოტზე მჯდარმა დომენიკომ, დაბლა, მიწაზე, რა ჩაიყვანდა — ვაკეიროს ჯერ არა ჰგავდა მიხრა-მოხრით, და იმ დამეში სულ სისხლი, სისხლი ელანდებოდა, სისხლისავე სცემდა აუტანელი სუნი, ყრუ დარტყმების ხმა მაინც სწვდებოდა და თვალდახუჭულიც კი მშვენიერად ხედავდა, როგორ უხვედრებდა გამოქცეულ კამორელს გადაზნექილი მოხუცი სანტოსი დიდ, კალაბრიულ ხანჯალს ზედ ყელთან, მერე კი, წამოცმულს, მკერდზე ფეხს აჭერდა და ხანჯალს ასე აშიშვლებდა. და დომენიკომ უცებ საწყლად რომ ამოიქანავლა: „აღარ გინდათ, რა...“ — ძალიან შერცხვა. გულს იმაგრებდა, როგორც შეეძლო, და ხოცვა-ჟღერტას ძალისძალიათი აკეირდებოდა: ერთი პატარა კანუდოსელი ხომ იყო ისიც და რომ არაეის ჰკლავდა, ეგ კარგი, კარგი, კიდევ ჯანდაბას, მაგრამ მთლად თვალგაუხეღელობაც არ იქნებოდა — თაროზე შესკუპული სათამაშო ხომ აღარ იყო — დაბალ ტოტზე სანტოსის გვერდით იჯდა. გათენებისას კი, სხვებთან ერთად რომ მიუახლოვდა განაპირა ხეებს, ფრთხილად გაიჭვირიტა და შეერთა — თუმცა გამესამედებულიყენენ კორპუსელები, მაინც ღონივრად ფეხგადგმულნი იდგნენ, თოფი ეკავათ, და ტყისკენ თვალმოწკურულნი იმზირებოდნენ რაღაცნაირად ალბათ, შორიდანაც კი ასე ეჩვენებოდა დომენიკოს. და კანუდოსელები თუმცა ამ გამესამედებული კორპუსის ნახევარნიც არ იყვნენ, მოგვიანებით ლამაზ-გენერლის კორპუსიც რომ ამოვიდა, ეგ არაფერი, და მერე კეთილ-გენერალ რამოსის სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი დამსჯელი რაზმიც რომ ამობრძა-

ნდა, ეგეც კი არაფერი — ~~სწრაფით~~ სწრაფით მოუძღოდა ჟაგუნსოების აშვებულ სროვას! მუხლები მოეკვება დომენიკოს, მთლად გაეყინა დაბუყვებული თითები, კი, სრულდებოდა — „წყალშიც რომ დაიმალო, იქაც გიპოვნის...“ შეძრწუნებულმა, ძლივას აითრია ფეხი, შემციენებული გონებით ველარაფერს გრძნობდა, მხოლოდღა სხეულს ეშინოდა რაღაცნაირად ბრმად და სასტიკად, და კამორელებმა მხარზე რომ მიიბჯინეს თოფი, დომენიკომ კანუდოსელებთან ერთად ტყის სიღრმისაკენ დაიხია, შეგროვდნენ და შორეული კვამლის სუნი ჯერ ძალიან ბაიად, ბუნდოვნად იგრძნეს, მერე ძალემაღ, მრისხანედ ეცათ, ეს — ტყე იწვოდა... თავიანთ ქალაქს, კანუდოსს მიაშურეს; საღამოვდებოდა, თავ-თავიანთი ქოხის სარკმელთან გამაგრდნენ ვაკეიროები, თოფები დატენეს, მოიპარჯვეს, უბრალოდ, იცდიდნენ, კორპუსელები კი მეთოდურად, გაწერთილ-დამუშავებული ხერხებით ნელინელ არტყამდნენ ალყას, იმათი მთავარი ძალა — დამსჯელი რაზმი საგულდაგულოდ ახლოვდებოდა, ნასწავლ-დახვეწილი სიარული ჰქონდათ, ძალიან ყალბად მოძრაობდნენ და თოფის სასროლ მანძილზე შედგნენ. საღამოსპირი იდგა, დიდი მიყუჩების დრო, თიხის მშვიდ, თეთრ სახლებში გამაგრებულიყენენ კანუდოსელები და დარდი ღრღნიდათ: სული სულია, სული — ტკბილია... სხვა დროს არც იდარდებდნენ მაინცდამაინც ამას, მაგრამ შეზინდების ჟამი, საღამოსპირი იდგა, მიყუჩების დრო, და ყოველ ჩქამსაც თავისი დიდი, უჩვეულო ფასი ედო და იმ მიმედ მოწოლილ სიწუმეში ნაღვლიან ფიჭობებს მისცემოდნენ. ჰეი, ქვეყანა, დალოცვილია, კარგია, დიდია, ფერადია და მოუბებრებელი, მაგრამ უკანასკნელი დღე ედგა ყველას, აღარ იცოდნენ, როგორ მოსწყვეტოდნენ მღუმარებაში წამოშლილ დარდს, ის ოხერი კამორელებიც არ ისროდნენ, ლალად დააწვათ თავზე მღუმარება და უცებ მჭახე, სიწუმის სულ ნაჟუწ-ნაჟუწ

დამფლეთი თქარათქური მოესმათ, გაკვირვებულებმა მიიხედეს — იმათი მდინარის ნაპირს ლალი ქენებით მოუყვებოდა ზე მორეირა, პირველი მწყემსი, საკვირველებზე, რა უცნაურად — ცხენის ზურგზე გამართული იდგა! სანამ რაიმეს მიხვდებოდნენ, მხედრის უჩვეულო ხელოვნებამ მაინც მოსჭრათ თვალი, მოხიბლულები შესცქეროდნენ და იმან კი რომ ჩაიჭროლა და, ზედ კამორელებისკენ გადრინდა, კანუდოსელებმა იმასაც ჰკიდეს თვალი, პირველ მწყემსს ზურგსუკან წაღებულ ხელებში ორი ხმალი რომ ეჭირა ტანზე აკრული, მტერს თუ უმაღავდა, ალბათ, და კამორელებიც არ ესროდნენ, დესპანი ან გამოქცეული თუ ეგონათ ზე, და გინდაც არ ჰგონებოდათ, ვინ წარმოიდგენდა ერთი კაცის იმოდენა ლაშქართან შებმას და ზემ კი, კამორელებს რომ მიეხალა, ხელები ფიცხლად შემართა და ორი მეწინაეის თავზე აჰ, რა სასტიკად დაუშვა ხმალი... მერე მაღალი ფეხები ოდნავ ვაშლა და ცხენზე დახტა, და სანამ გოგონებულ კორპუსელები გაიზარებდნენ, თუ რა მოხდა ან როგორ მოხდა, ან თოფს მოიმარჯვებდნენ, იმათ შორის რისხვად დაბზრიალდა ზე მორეირა, პირველი მწყემსი, ორივე ხელით ბასრ ხმლებს იქნევდა; ცხენს კი შემოსალტული მუხლებით იქით მიმართავდა, საითყენაც სურდა და მისი შემყურე კანუდოსელები ყველაფერს ერთბაშად მიხვდნენ: რატომაც გაეცალათ სულ მცირე ხნით ზე — ერთხელ დახსნილს, სამოწყალოდ რომ არ ეგრძნო თავი, მეორედ თითქოს საკუთარი ნებით გაეცალა ხიფათს და ახლა ამ ამოსვლით, ამ დაუძალეხელი უშიშრობით, ორივე დახსნა ასე, ამგვარად გააბათილა; რომ ამობრუნდა, ამით ბავშვებისა და ქალების სამშვიდობოზე გაყვანის ამბავიც ამოაქნა, შეება მოჰგვარა კანუდოსელებს; და, მესამეც, რომ ახლა, ამ მემუნებარების უამს, მოძმეებს იმას აჩვენებდა, თუ როგორ უნდა მომკვდარიყო ქემშარიტი კანუდოსელი და იმ ქენება-

ქენებაში სხარტად, ლალად იქნევდა ორ ხმალს, და რა ამაყად შემართული იჭდა იმ მორჩილად აყოლილ ცხენზე, მრავლისმნახველ კანუდოსელებსა უმაგალითო სიჩაუქეს ახილვინებდა, თქვენ მანამდეც ტყუილად კი არ ბრძანდებოდით სრულიად სერტანის პირველი მწყემსი, სხვათათვის უცნობი, მიკარგული გმირი, ძლიერ უბრალო სახელი გერქვით — ზე... და მუდამ უთქმელი, რაღაცნაირად განსხვავებით მორიდებული, სულ იმის დარღში — თავისუფალი რომ არ იყავით, ახლა რა თამამად, რა ომანიად დასაძახლით გოგონებულ კამორელებს და რა მოწყვეტით იქნევდით ორ ხმალს, რა ლაღად—ყოველმხრივ, ყოვლად თავისუფალი ბრძანდებოდით სიკვდილის წინ, ზე!

რწმენასაცა აქვს თავისი ქსელი, მხოლოდ ობობას და ბადეს კი არა, და რწმენის უხილავი ქსელით გადაიბნენ კანუდოსელები; უცხენოები, შინ გამაგრებულნი, თვალნათლივ მიხვდნენ, სიკვდილიც რომ შეიძლება ასე ამაყად ლამაზი იყოს და მიჩინოს ხილვით თავზარდაცემულ დომენიკოსაც წამით ყველაფერი მიავიწყდა, ისიც სხვებსავით შეჰყურებდა, ეს ლალად განრისხებული, ეს სხარტად მძვინვარე დიდი მეომარი, ტყვიით დაცხრილული, ბოლოს, ცხენიდან გადმოვარდნისას, ჰაერში მოკვდა, რა უცნაურად—ღიმილით პირზე, თავისუფალი! და იმოდენა სისხლისღვრით შეძრწუნებული აქამდე დომენიკო მაშინ, იმ წუთს, მოხიბლული შესცქეროდა იმასაც, სხეები თუ როგორ დაზოცა ზემ და იმასაც, თუ თავად როგორ მოკვდა, რადგან ზე მორეირა—პირველი მწყემსი — ერთ-ერთი იყო იმ რჩეულ ხუთთავან, ვინც დიდი კანუდოსელი ვახდა.

იმ ბოლო ღამით, თვალს აბა ვინ მოხუჭავდა, მაგრამ ორი კაცი განსაკუთრებით  
**გურამ ფოჩხაძე**  
**ალმასტი**

წრიალებდა მაინც—იქით მასიმო, აქეთ — მოხუცი სანტოსი. ერთმანეთთან შეხვედრას დაეინებით უგრძობდრათ გულის და თუ სანტოსმა მშვენიერად იცოდა, ვისი გამოკერაც სწადდა, მასიმოს, ცოდვილს, ცოდვეზნაჰამს, ცოდვეზმორეულს, გამოუცნობი შიში კაწრავდა, მინაზე უსვამდნენ სამართებელს თითქოს, აცრიალებდა... დამსჯელ რაზმში კი დიხხაც რომ არ შეიძლებოდა შიშის გამხელა — ჩამოაქვეითდნენ, მასიმო კი ისე — უბრალო, რავითი მიღვაწე კი არ იყო, მთელი ჩვიდმეტო კაცი ებარა. კეთილ-გენერალ რამოსსაც ეამაყებოდა რაზმელად ასე ლამაზი, ასეთი მოხდენილი ყმაწვილი. პეწიანიც გახლდათ მასიმო, თავისმომგლეღი, კვირ-კვირაობით დაბარებულ ცნობილ დალაქს აკრეკინებდა თმას, ნელსაცხებლები, კანის გამასათუთებელი მალამოები და ამისთანები უღვევად ჰქონდა, სიტყვა-პასუხი კარგი შეეძლო, საღი კბილების გამომჩენი ღიმილიც სჭირდა, იცოდა ქიციც და ქიცმაკურიც. დასვენების ჟამს კარის ტენორის, ვეჯიოელ ლუნას შევირდთა მოსმენა ნამდვილ სიამეს ჰგვრიდა... ბოროტი იყო. მრავალი ცოდვა ედო სუფთად გაპარსულ კონსერზე, თავისუფლად და მოხდენილად დაბიჯებდა. რა გაუჭირდებოდა, როგორღანაირ ფასართობზე არ მიუწვდებოდა ხელი: უხუცესთა დასის მეთაურის, პორფირიოს, ერთადერთი სიძის — რამირეს კისპეს ყველაზე მეტად ახლო ძმაცაი იყო და მესაიდუმლე, წრიალებდა ახლა... შორიხლოს, კანუდოსში კი, სანტოსის ქოხში, ის მორი ეგდო, მისი სახელი რომ შეიარქვა მოხუცმა სანტოსმა და ახლა, ამ უკანასკნელი ღამით, მორისთვის აღარ ეცაღა — თავად მასიმო უნდა მოეხელთებინა, მაგრამ სად, როგორ... ხომ ისევ აქ ხართ, ჩემო თანმდგომი, ვითომ მორჩილი, ჭიუტი, მოდით, შეეხედოთ ორივეს ერთად, აჰ, ერთდროულად როგორ წამოდგნენ — ეს ბეღია, ბეღი, ბედისწერაა, ჩემო, მითი ბეღია... იქვე, ქოხშივე წაიხარა სანტოსი, ჯიბეში მა-

ტყლის გორგალი ედო, წელზე შემოეხვია, მოკლე ნაჯახი ეპყრა ხელთ — ღამეულ ნადირობაზე მიდიოდა, ფეხთ გაიხადა, უხმაურო და მთლად აკრეფილი მონადირე ქოხიდანვე წაკუხული გავიდა, მხრებზე კუნთები უჩუმეს რისხვად გადადიოდა... უშეწოდ იდგა იქით, კოცონთან, დამსჯელაზმელი; აი აქ, ასე, განათებულში ყოფნა სულაც არ სურდა — ნაჯახისა არა უწყოდა რა და, ავ წინაგრძობა ატონილს, შივ თვალში დამიხნებული თოფის ლულა ელანდებოდა... შავები ეცვა მოხუც სანტოსს, კოცონისკენ მიიპარებოდა, ჭალარა თავზეც შავი თავსაფარი მოეხვია, მირცას ნაქონი... მირცა მთელი იმ სოფლის თვალი იყო და ყველას უკვირდა, რამ მოაწონა ყოვლად გამოურჩევი — არც მდილი და არც ღარიბი, არც ღამაზი და არც გონჯი, უთქმელი და მუდამ ჩრდილში მდგარი სანტოსი, აი ეს ღონეც კი არა ჰქონდა მაშინ... — მაგრამ მირცა ის ქალი იყო, წინასწარ რომ შეეძლო კაცის დაფასება და სწორედ იმ საქციელისთვის ახლა, ამ უკანასკნელი ღამით რომ უნდა ჩაედინა მოხუც სანტოსს, სწორედ ამიტომ შეიყვარა... როგორ გაუღიმა მაშინ, პირველად... აწურული უახლოვდებოდა მსხვერპლს სანტოსი... მირცამ პირველად რომ დაინახა, ჯერ დაკვირვებულად, გვერდზე ოდნავ თავდადაწეული შეაქკერდა, მერე გაუღიმა... ვერაფერს მიხვდა მაშინ სანტოსი, ღამაზ ქალებთან რა ესაქმებოდა, უკან მიიხედა, მაგრამ არავინ იდგა და განცვიფრებული შეაქკერდა მირცას. ის კი მიუახლოვდა და სოფლელი გოგოს პირობაზე, ისე უდარდლად, ყოველგვარი მორიდებისა და დარცხვენ-გაწითლების გარეშე უთხრა: თუ გინდა, მოსალამოებულს, ხელისგულზე ხაზებს რომ ვეღარ გაარჩევ, ცაცხვებთან მოდი... „რას წამოპლაკულხარ, — გაუბრაზდა უცებ ერთ ჩვიდმეტთავანს მასიმო, უცნაური ჭია დრღნიდა, — რა დროს წოლაა...“ სანტოსს ჯერ ეგონა რაიმე ხრიკს უწყობდნენ, თავგზა აებნა,

მაგრამ საღამო ხანს მაინც ცაცხვებთან  
იდგა და ჭიუტად დაჩერებოდა ხელის-  
გულს... „მე ვაგიალ ერთი, — ხმაშაღლა  
თქვა მასიმომ, კოკონის წრიალა შუქზე  
ველარა ძლებდა, — რალაც მომინდა...  
აჰაჰა, ჰა-ჰა...“ მოვიდა მირცა და დაბ-  
ნეულ სანტოსს სხვა არაფერი დარჩე-  
ნოდა — სულო ცოდვილო — საიდუ-  
მლოშენახული გლახა ქალი რომ არ  
ჰკონებოდა მირცა, მაგრამ აჰ, არა...  
ბნელში ხეს ამოფარებოდა ახლა, ნა-  
ჯახი მოიმარჯვა და ის-ის იყო, კამარა  
უნდა შეეკრა, თავად მასიმომ, აი, სწო-  
რედ ის, სწორედ მასიმომ! — მისკენ  
წამოვიდა... მთლად გაიტრუნა მოხუცი  
სანტოსი, გაოგნებულმა, გვერდით ჩავ-  
ლილს თვალი გააყოლა და მერე უჩუმ-  
რად, ფეხშიშველი, მიჰყვა... ხანსაით-  
კენ გასწევდა მსხვერპლი და ხან საი-  
თკენ, საიმედო ადგილს ეძებდა, თავისი  
კუთხით... ერთხანს შედგა და ხეს ააყო-  
ლა დაშინებულ მიზერა, ტოტზე აძრო-  
მა მოუნდა თითქოს, მაგრამ გადაიფიქ-  
რა... ფეხარეულმა გასწვია ისევ, ორად  
მოხრილი, შურისძიებით ავარვარებუ-  
ლი, მისკენ თვალეზაპყრობილი, უჩუმ-  
რად მიჰყვებოდა სანტოსი... უზარმა-  
ზარ, ფულუროიან ხისკენ ვაეშურა მა-  
სიმომ, ერთხანს ფეხიც კი ასწვია, მაგ-  
რამ არა, არა — უნდო ფულურო ჩანდა  
რალაცნაირი, რალაც, გადაიფიქრა...  
და იქვე, შორიხლოს, ჯაგებში შეძვრა,  
მხრებს აფართხუნებდა. დინჯად გა-  
იმართა სანტოსი, აცოდვილებულ  
მსხვერპლს კუშტად დასცქეროდა...  
და მასიმომ რომ შეიყუყვა ჯაგნარში,  
დაიხარა, შარვლის ტოტზე ორი თითი  
ზიზღიანად ჩავლო და იმოდენა გავ-  
ლენიანი ვაჟკაცი, მასიმომ, მთელ ჩვი-  
დმეტ კაცთა ზედა მდგომი, ორი თითით  
გამოათრია... საკვირველი ხავილი შე-  
მოესმა, ფეხისწვერით გულადმა ვადა-  
აგორა — მატყლის გორგალი აღარ იყო  
საუბრო, ხმა ჩაწყვეტოდა მასიმოს,  
ყმაწვილს, სუსტად ხაოდა... გვერდით  
მიუწვია სანტოსი ნადავლს, გადაეფოფ-  
რა, და იმ თავისი ტლანქი იდაყვე-

ბით ისე ღონივრად დაეყრდნო ჩვი-  
დმეტმეთაურს მკლავებზე, ადგილზევე  
ჩაუჭედა, მოლუნული ფეხი გადასდო  
ორთავე ფეხზე, მძლავრად დააწვა, გა-  
უტავა, მხრებზე დააბჯინა კოჭრიანი ხე-  
ლისგულეები, მიწას მიალურსმა. იმის  
ბილწ სახეს ვერა ხედავდა — უმთვე-  
რო ღამით, ძალიან ბნელოდა ტყეში;  
და შურისგებით მოცახცახე, სიხარუ-  
ლით აცეტებული სანტოსი კიდევ უფ-  
რო რომ დარწმუნებულყოფა მსხვერპ-  
ლის ნამდვილად არსებობაში, ლოყა-  
ზედაც კი — აჰ! — მიეფერა, რა დრო  
დაუდგა, მერამდენ ღამის ოცნება, რა  
ქამი დადგა... ერთი ის იყო მხოლოდ  
ცუდი, რომ ვერა ხედავდა გამომწყვდე-  
ულს, როგორ უნდოდა ახლა სანტოსს,  
შიშით ამოკარკლული თვალეები ეხილა,  
კარგად ეცქირნა და დამტკბარიყო...  
ლოყებზე შემოაჰლო თითები, გამაუბე-  
დურებელს დაქინებით ჩასცქეროდა  
და, გაფითრებული, ერთხანს კინაღამ  
გამოარჩია სიშვიდან, მაგრამ ცვლავ  
ვალღვა ამობუტებული სახე — აღ-  
ბათ, თუ გამწვანდა... ცხვირ-პირზე მა-  
გრად მოუჭირა რკინის თითები სანტო-  
სმა, ნიკაპით საღლაც ტუჩთან დაეჭვი-  
ნა და შიგ თვალეებში ჩასაჩურჩულებდა  
საგულდაგულოდ ხან იმას, თუ რანაირი  
სიკვდილით აღასრულებდა, ხან იმას,  
როგორ გაუბედურდა, მირცა ახსენა  
რამდენჯერმე, შვილს არა, არა, არ  
იგონებდა, ვერა ბედავდა... თანაბრად,  
სუსტად ცახცახებდა მსხვერპლი. მო-  
ხუც სანტოსს კი, ახდენილი საწადლი-  
სგან გონებაარეულს, ბალღამნარევი  
ბედნიერების ველური მღერა ჩაესმო-  
და, და მიზანმიღწეული, ქოჩორს ცხე-  
ლი თითებით ფრთხილად უწიწდა, მო-  
ფერებდნად სურდა დაეწყო უმაგალი-  
თო, ჯერ არსმენილი ქვეყნად წამება —  
სულ ასე, ფერება-ფერებაში ამოხდი-  
და სულს, რის კვამლით გაგუღვა და  
ნელ ცეცხლზე დაწვა, ან ჩამოხრჩობა,  
მსხვერპლს ვის, ანდა რას უწილადებდა,

ზურაგ ღოჩანაშვილი  
აღმარითი



ასე, მოფერებით, ყველაფერს სჯობდა. ნელა, ნელინელ, მაგრამ ხანდახან რომელიმე განრისხებული თითი უკითხავად გაექცეოდა, და ისე სწრაფად იფლობოდა ყელში, სანტოსი მეორე ხელით ძლივს აავლევდა — აჰ, არა, არა, უცებ მიხრობას რა გემო ჰქონდა, ასე არა სჯობდა? — ნელინელ, ნელა... ცხვირ-პირში ჩასცინოდა შეგუბებულად სანტოსი, სიცილი რაა, ჯერ იმასაც კი იზოგავდა და იოკებდა, ეს იმიტომ რომ — ნადავლისავან სულს ამოხდა ხარხარით სურდა, დაემთავრებინა. ქშუტუნებდა და განცხრომისვან თვალი მილულა, აძიგძიგებულ ყელზე ეფერებოდა ცალი ხელით, მეორეთი კი, რამ მოაფიქრა — უხიციებდა... ნეტარებისგან თვალეზმილულულს, დამწვარ სულზე ისე საამოდ ესაღბუნებოდა მსხვერპლის ამოწყვეტავება, და შიგ სახეში ისევ ჩასცინა, ზემოდან აწვა. „ჩემი ბიჭი, ჩემი კარგი ბიჭი, — თვალდახუჭული დასჩურჩხულებდა სანტოსი, — ჰკვიანი ბიჭი, დამწვარი ბიჭი, რა ჰკვიიანურად წევს... — ფუჰჰ, რა ავად ეფერებოდა: — ჩემი მასიმო, ცელქი კამოორელი...“ და მერე, ენაც კი მოუჩლიქა! თვალდახუჭული ეფერებოდა, და როგორც იქნა, ზანტად რომ შეავლო მილულული მზერა, შეკრთა სანტოსი — მთვარე დანათოდათ, და მსხვერპლის სახე ფარფატა შუქზე ლიცლიცებდა... აჰ, ადამიანს აღარა ჰგავდა, და გვერდზე ზიზლიანად გადაგორდა სანტოსი, მძიმედ წამოდგა, და აცქერდა... რალაცის თქმა უნდოდა მასიმოს და თუმცა გამაღებით ეკლაცნებოდა ტუჩები, კრინტს ველარ სძრავდა... ხასიათი წაუხხდა სანტოსს, ნაჯახს დახედა... თვალმოჭუტული, პატარა ხანს მთვარეს შეაცქერდა მერე — ამ მცირე შუქმაც კი... კი, სხვა სიმაართლეს მიახვედრა. ისევ დაწოლილს დასჩერებოდა, არარაობას, და არამეთურისხვას, ზიზლსაც ველარ გრძნობდა — სულ სხვა რალაცას, ამისთანებზე გაცილებით დიდს. მთავარს მიხვდა... მაინც გულდასმით, გლეხის სიღინჯით ფიქ-

რობდა ერთხანს და ამ უვეცარიოდ მიხვედრის სისწორეში საბოლოოდ რომ დარწმუნდა, მაინც ისევ ფიქრობდა. და ცალი ხელით საყელოში სწვდა მერე, მალა ასწია, დაძაბუნებულ ფეხებზე დააყენა და რომ შეატყო, ხელშეშვებული, კვლავ რომ წაიქცეოდა, ერთი ისეთი შეაჯანჯლარა, განს მოიყვანა, უთხრა: „ახლა რომ მოგკლა, შერი ვიძიო... — მშვიდად სუნთქავდა, — ჩემდაუნებურად, ჩემიანებთან გაგატოლებ ამით... ამის ღირსი კი, მასიმო, არ ხარ“. ვერაფერს მიხვდა ჩვიდმეტმეთაური, თავზარდაცემული შესცქეროდა. „ისევ მორბა ზღოს, ის მირჩვენია...“ — ჩაილაპარაკა სანტოსმა; და ფიქრებულმა, ერთიც ახედ-დახედა მერე. შეაბრუნა და, პანდურის კი არ ამოუტრყამს, ოდნავ უბიძგა, უთხრა: — ახლა კი გიშვებ, როგორც ნაბიჭვარს. წაღი.

მოხუცი სანტოსი ერთ-ერთი იყო იმ რჩეულ ხუთთავან, ვინც დიდი კანუდოსელი ვახდა.  
და არა პრუდენსიო.

კვამლადენილი ქალაქი, კანუდოსი, ნაშუალოდღეს დაიქცა.

ოთხსავე მხრიდან ალყაშემორტყმულ თიხის ქალაქს ჭურვებს ახლიდნენ უნამუსოდ დამიზნებული, ბილწი დაყფებების შემდეგ დუნედ ახრილვებული ზარბაზნები, ტყვიით დაცხრილული თიხის სახლები ჩაწვენენ, ჩაინთქნენ ცეცხლსა და კვამლში; ჯერ ნავთს ასხამდნენ ღია კარებში მრავალრიცხოვნებით გულადებული კამორელები, მერე — მამხალას შეაგდებდნენ და თივის ბულულსაც მიაყოლებდნენ, და თუმცა ყოველი კარ-ფანჯარა ათამდე რიგითს მიზანში ამოღებული ჰქონდა, იმ მძიმედ შედგებულ კვამლის წყალობით მაინც ახერხებდნენ გამოპარვას ვაკეიროები და ბევრი უნებუ-

რად ცრემლდადენილი კამორელი ბო-  
ლში მაჩეტეს გადააწყდა. ისე, უბრა-  
ლოდ, ვაკეიროთგან თითქმის არავინ  
წასულა... ზეს საქციელით გამხნეებუ-  
ლნი, კანუდოსელები წყვილიდიდან  
საიერიშოდ გამობრუნენ თითქოს,  
ერთგული მაჩეტეთი მრისხანე ხელში,  
ვერა და ვერ იგუეს თოფი, თავად —  
ტყვიით კვდებოდნენ, ცივისსხლიანი,  
მოწყურებული ჟაგუნსოებიც კი ვერ  
გაეკარებოდნენ სხვაფრივ შორიან-  
ლოს... არამტელ სახლებს, ქალაქგარე  
მთელ ქალას, მანამდე ჰაერში მწვანე  
სიმსუბუქით მოტივტივეს, უცოდველსა  
და ნატიფს, მკვირვალს, დასახეს ნავთი  
და ცეცხლს მისცეს — სრულიად კან-  
უდოსი, ძმათა თეთრი ბინა, ავაზაკთა  
ხელით ავი გუგუნით იწვოდა, და ნა-  
შუადღევს დაიქცა თიხის ქალაქი, ვინ  
იფიქრებდა, ამ შერუჯული, გამურუ-  
ლი ნანგრევების ნაცვლად მხოლოდ ერ-  
თი ღამის წინ ქათქათა, სპეტაკი სახ-  
ლები თუ იდგა, თქვენი ქალაქი დააქ-  
ციეს, გრილი და მშვიდი, მჭვარტლით  
შებდალეს თქვენი სახლები, ყველა  
დახოცეს...

ორი კანუდოსელის გარდა, ერთი  
დომენიო იყო... კვამლით გულწასუ-  
ლი, ვილაციის ღონიერმა ხელმა ჩაბლუ-  
ჯა, გაიტანა გარეთ, ერთხანს ზიდა და  
მდინარის პირას დააგდო მერე. გონს  
რომ მოვიდა, განაწამებ თვალებს ვე-  
ლარ ახელდა მაინც, და საზარლად გამ-  
ქოლი ქირქილი შემოესმა, აიხედა და  
— კამორელები იყვნენ. და იქვე ყოაო  
აბადოც იდგა, ტანსაცმელშემოხეული,  
წარბებშეტრუსული, კუშტი. „ა, ნუთუ  
ამან გამომიყვანა?.. — განცვიფრდა  
დომენიო, — ალექსანდროს ძმა? —  
და მაშინვე მიხვდა შეცდომას, — ამას  
კამორაში ფეხიც არ დაუდგამს და...“  
მაგრამ ამ ზროვაში, მაინც მისწელი  
ეგულებოდა, რიგრიგობით, ფარული  
იმედით შესცქეროდა ყველას, მაგრამ  
ზიზღისა თუ დაცინვის გარდა, ვერა-  
ფერი ამოიკითხა და გამწარებული,  
იმათ ჭინზე, საკვირეულებავ, გამწნე-  
და კიდევ, მძიმედ, ამაყად წამოიმა-

რთა, შრები გაშალა, და ის-ის იყო,  
რალაც თამამი და ამაღლებული რომ  
უნდა ეთქვა, მყისვე მუხლები მოეკვე-  
თა, უღონოდ ჩაიკეცა მდინარის პირას  
და შეძრწუნებულ მზერას კი მაინც  
ვერ აშორებდა იმას, შორიდანვე რომ  
დინახა და იცნო — ღიღინ-ღიღინით,  
ავის ნაბიჯით, დიდად მზაკვარი ღმი-  
ლით მომუწულ პირზე, თვალანთებუ-  
ლი, უახლოვდებოდა თავად მიჩინო...  
და შორიდანვე მიაძახა: „აჰ, ჩემი ბი-  
ჭიცი აქა ყოფილა?! აკი დაგპირდი, ვი-  
პოვნე-მეთქი... რა, არ გჯეროდა?“  
თვალებზე ხელი აიფარა დომენიომ,  
და, შეძრწუნებულმა, მაჯაზე რომ  
იგძნო თვით ჟაგუნსოთა ნებაზედ მი-  
შვებული უფროსის თითები, მაში-  
ნვე მკლავი ჩამოუვარდა, მიჩინომ კი  
მცირე ხნით ზურგი შეაქცია, ყოას  
ახელ-დახედა, იკითხა:

- ეს საფრთხობელა ვილაა..
- ეგვეც მაგათი ვახლავთ, ჰალე.
- ოდნავ შეიქმუნა მიჩინო:
- და... ჩვენ დაგვენბდა?
- კი. დიას, ჰალე.
- იმ თავისი უხმაუროდ მძიმე ნაბი-  
ჯით შემოუარა:
- შეწყალება გსურს, პატარავ, ბრი-  
ყვო?

— ბრიყვის ზმა მესმის, — უპასუხა  
ყოაომ, ზიზღისგან დამანჭული შესც-  
ქეროდა.

— ოჰ, ეს სულელიც ყოფილა, ნა-  
ძირალა!.. — მსუბუქად გაიკვირვა  
მიჩინომ, — რალად დაგვენბდი?..

— ახლავ გაიგებთ, — თქვა ყოაომ  
და უცებ შეხტა, დაიძახა: — ჰომ!

— გაგიკებულა, ტუტუცი, კვამლში,  
— თითქოს შეიბრალა ტყვე მიჩინომ,  
მაგრამ იქავე დააყოლა: — მაინც დაგ-  
ბრიდავთ, რაც არ უნდა გიყად მოგვა-  
ჩვენო თავი.

— არა, ავაზაკო, — ხმა გაუმკაცრ-  
და ყოაოს, — შენი შეწყალება რა  
ჯანდაბად და ოხრობად მიწდა, უბრა-

---

გურამ დოხოვაშვილი  
ალმარტი

ლოდ, ძნელი სიკვდილი ავირჩიე, თანაც, მომინდა, ჩემს ცხოვრებაში ერთხელ მეცეღქა.

— და ამისთვის ჩვენ ავირჩიე მაყურებლებად? — თვალი მოჭუტა მიჩინიომ, — შენი დამბრედ-გამსაღებელი ხალხი?

— მაშ, — ხალისით დაეთანხმა ქოაო, — ადამიანების წინაშე ერთხელ მაინც საჭირო იყო ჩემი ცეღქობა და, მიუხედავად იმისა, გარეწრები და (აქ დიდად უხამსი სიტყვა იხმარა)... რომ ხართ, მაინც ნამდვილად ადამიანის გარკვეულ ნაირსახეობას წარმოადგენთ და იმ პატიოსან ხალხში, ვაკეიროებში ერთთავად მოქუფრულს, ახლა, რატომღაც, ზედ სიკვდილის წინ, ავაზაკების დასანახად მხიარულება და ცეკვა-თამაში მომინდა.

— დაა... სიმღერაც?

— რატომაც არა, — მხიარულად მიუგო ქოაომ და ომანიანად წამოიწყო: — ნე-ეტავ, რა უნდა ბეეენს...

რალაც საშინლად წარმოუდგენელი სმენა აღმოაჩნდა; ტანსაცმელშემოფლეთილი, წარბებშეტრუსული, გამურული, ზედ მდინარის პირას ხტოდა ბუქნავდა, მიმოდიოდა, ხელებს შლიდა და მაინც უცნაურად შვეწროდა ამ სისულელის უნიჟოდ მღერა...

— კარგო, გაჩერდი... — თვალები აუკიფდა მიჩინიოს, — ქალები და ბავშვები რალა უყავით, ტკბილო... — და დომენიკო გაახსენდა, მხარუკულმა გადაუგდო, — შენ პატარა ხანს არ მოიწყინო, ჩემი ბიჭი...

— კი, როგორ არა, დაგახვედრებდით... — დაემანჯა ქოაო, — ლანგართ მოგართმევდით ცოლ-შვილს, დიახ... ქაგუნსოებში რომ ჩაგეგდოთ, არა?

— და, ვაპარეთ? — აიწურა მიჩინიო, მიმოიხედა.

— კი, როგორ არა, სულ მაგის იმედით ვიყავით, — ინადით გაგპასუხა ქოაო, — თქვენი ხელობა სხვა რაა, თუ არ ლტოლვილების მოძებნა. ძაღლის გეში გაქვთ.

— მაშ, რა უყავით... — მიჩინო ჩინიო.

— ჩვენი თვალები უდარდელად მიაჩერდა ქოაო, — ჩემიანები, მაგალითად, აი, ამ ხელებით...

დაძაბული უტკეერდა მიჩინიო, მაინც ყოყმანება:

— რალაც არ მგერა... ჩემი ქაგუნსოებიც კი არ იზამდნენ მაგას.

— ჩვენ კი აი, — ლალად წამოიწყო ქოაომ და ისევ შეხტა, დახტომისას კი ხელები მხიარულად გაშალა, თავი სასაცილოდ გადასწია, — ავიღეთ და — ვქენით! არც თქვენ, არც ჩვენ... ძლივს გამოერკვა თავზარდაცემული, ზედ მდინარის პირას ჩაეცილი დომენიკო, ქოაოს ხტუნვა-თამაშმა ისე გააოცა, ვინზე მოვიდა.

— და შეწყნარების იმედი მაგ საქციელით ვაგინდა? მაგიტომ დამნებდი, ცოლ-შვილის მკვლელო? ბავშვზე უკეთესი...

— თქვენი და თქვენი შეწყალების... — ჩალიძმა ქოაოს, — შეწყალებო, ჰეპ... მაგისთვის არა.

— აბა, რილასთვის?!

— მინდოდა კარგად დაერწმუნებულეყავი, ადამიანთა წინაშე მაინც რომ არ ვნანობ. თქვენს პირისპირ კი, კაცი-სმკვლელების, ყოვლად გოხბრებულების შემხედვარეს, ეს ვაცილებით მეადვილა. თანაც, შეთავსებით, ვიცეღქე კიდეც, გული მოვიოხე... სხვა დროს, ნაღდ ხალხში, მასხარაობისთვის სად მეცალა...

ლოყაზე ღონივრად დაისვა მოკეცილი თითი მიჩინიომ; აღარ ეტვობდა თითქოს. მაინც იკითხა:

— და როდის მოხდა... ეგ?

— კაატინგა როგორც კი გადაიწია. სიმართლეს ჰგავდა ქოაოს პასუხი, და მის შემეყურე დომენიკოს დამზრალი სული თითქოს გაუთბა — აი ამ კაცმა, პირველმა უქმურმა, იმის გამო რომ კანუდოსელთა ცოლ-შვილისათვის მდევარი აეშორებინა, რა არ იკადრა — ტყვედ დანებება, ცეკვა-თამაში,



ბტუნვა, სიმღერა... და ალბათ საშინე-  
ლი წამებით სიკვდილი ავაზაკთა რკა-  
ლში.

— მერედა, გვამებს რა უყავით...  
გვამებს რალა უყავით, ბრეყო! —  
ისევ შეეჭვდა მიჩინო, განრისხდა.

— რას ვუზამდით... — მხრები აიჩე-  
ჩა უოაომ, — ბრძოლა გველოდა და  
საფლავების თხრას ხომ არ შევეუდგე-  
ბოდით...

— აბა?!

— დავწვით, ხომ ნახეთ, აქვე რამ-  
დენიმე გადაჭრილი ხე. დიდიან-პატა-  
რიანად, ეყობ.

ერთხანს ჩაფიქრდა მიჩინო, თავი-  
სიანებს მიუბრუნდა მერე, ბრძანება  
გაცა:

— თუმცა სიმართლეს ჰგავს ამ ნა-  
ძირალა ხებრეს ნაამბობი, მაინც, ყოვე-  
ლი შემთხვევისათვის, რამდენიმე კაც-  
მა მდინარე გადალახეთ და შორიასლოს  
კარგად მოჩხრიკეთ მიდამო. ცხენე-  
ბით წადით, ქალები და ბავშვები შორს  
ვერ წაივიდოდნენ. ტყეს თუ გაივლით,  
ტირილს კარგად მიუგდეთ ყური. რო-  
გორც კი ვინმეს დაინახავთ, ორმა  
თქვევგანმა შემატყობინოს. სამ საათს  
გაძლევთ. ქალაქში ერთად უნდა დაგბ-  
რუნდეთ, ზემით. აბა, ყოჩაღად, გაე-  
შურეთ, ნუ აგვიანებთ!

— ახლა, კეთილო, შენც ნულარ აგ-  
ვიანებ, — თავი გადასწია უოაომ, ყე-  
ლი დაჭიმა, — აბა პათ, დანა... ან თო-  
კი, ხმალი, საწამლავი, ჩემთვის სულ  
ერთია. და ტყვედ ჩაბარების მესამე  
მიზეზსაც მოვახსენებთ — ხომ შემოი-  
ძლია, ახლა რომელიმეს ყანყარტოში  
გწვდეთ და ძიძგილაობაში ალბათ შე-  
დარებით იოლია სიკვდილი, მაგრამ  
მინდა რომ, თქვენისთანებიც კი გავაქ-  
ვირგო — დანის მოქნევასთან ერთად,  
სილაც რომ შემაყაროთ, თვალს  
მაინც არ დავახამხამებ. რალას მიყუ-  
რებთ, არიქათ, ჩქარა, რამდენი ხანია,  
კეთილებო, კაცი არ მოგიკლავთ, უხე-  
რხულია... თუ ვინდა, შენ თვითონ სცა-  
დე. შენისთანა გამოცდილ ჰოტსაც კი  
გავანცვიფრებ — ისე მოკვედები,

თვალს ერთხელაც არ დავახამხამებ,  
პალე.

— ვითომ? — წამით გამსუნაგდა  
მიჩინო, და კამორული წვრილი დანა  
მაშინვე ხელში აღმოაჩნდა — ვერავინ  
ჰკიდა თვალი, საიდან და როგორ დააძ-  
რო.

— ვითომ კი არა, მართლა არ დავა-  
ხამხამებ. ვერ ხედავ, როგორ მაგრა  
ვარ?! — თქვა უოაომ და, ისევ დაამღე-  
რა: — ლამაზი ენატრებაა ბევენს...

ეპ, სმენა ჰქონდა? მტრისას, აპ,  
მტრისას...

— გიყების მოკვლა არა მჩვევია, —  
შეიჭმუნხნა მიჩინო, — მე აი, ასეთ  
გონიერთ, სიცოცხლე ძალიან რომ უყ-  
ვართ, სწორედ იმათ გვლავ, — დომე-  
ნიკოსკენ გაიშვირა კაუჭა თითი, —  
ერთი შეხედეთ, როგორა გდია... მე  
ამას განუვ გავიყვან, ცალკე, და მოწ-  
მეები არა მჭირდება, სულ მისხალ-მი-  
სხალ უნდა ამოვხადო სული, და ახლა  
კი ეს ტუტუცი მომღერალი რომ წაგა-  
კლა, მერე ამ ქორფა ურჩს, ერთგული  
კაცი რომ გამილახა, სასურველ გემოს  
ველარ ჩავატან. მთელი ჩემი ოსტატო-  
ბა და რისხვა მხოლოდ ამ ერთზე უნდა  
გადავიტანო, — და შემოკრებილთ მოა-  
ვლო თვალი, — მოდი აქ, რიგობერ-  
ტო, ყოველმხრივ დაიშახურე შენ ეს,  
ნიძლავსაც დაგიდებ, თუ გსურს, ერთი  
მოქნევით, შენი ცნობილი ხერხით,  
ყურიდან ყურამდე თუ გადაჭრი... მე  
მგონი, ვერა. ხედავ, როგორი კისერი  
აქვს, როგორი დაძარღვული... და ალ-  
ბათ თვალსაც ვერ დაახამხამებინებ.  
კარგა გიყი ჩანს.

— რვა დრაჰმანსა ვდებ, — თქვა  
შეთრაცხოფილმა რიგობერტომ, ჩექ-  
მის ყელიდან ლაპლაბა დანა ამოაცრი-  
ნა.

— დანძილავე ჩქარა, სულელო, —  
შეაგულთანა მიჩინო უოაომ, — ნაღ-  
დად მოიგებ.

მუხამ დონანაშვილი  
აღმზარტი

— მოვიდა, კარგი, — თქვა მიხი-  
ნონი.

და სანაძლეო მართლა მოივო.  
ყოას, რა თქმა უნდა, თვალი არ და-  
უხამხამებია და ყელიც მხოლოდ სანა-  
ხევროდ გამოულადრა დანამ — ხედ  
ქვეულისო კაცი. და სისხლიც ბევრი  
არ გამოსვლია, როგორც ერთ-ერთმა იქ  
მყოფთაგანმა აღნიშნა — ორიოდ  
ყლუბი. სიკვდილისთვის კი, ესეც კმა-  
როდა.

ყოაო აბადო, დიდხანს უქმური, მეო-  
თხე იყო იმ რჩეულ ხუთთაგან,  
ვინც დიდი კანუდოსელი ვახდა.

მთლად უცხო ბილიკს დადგომოდა  
დომენიკო, მგზავრი.

სასტიკმა მზერამ მაინც აიძულა წა-  
მოდგომა და ცხვარივით მორჩილად გა-  
დაეარა ახრჩოლებული კანუდოსი, და  
გზად არავინ დასცინოდა — ამ შემთხ-  
ვევაში მისი პატრონის, მიჩინოსი,  
რეკითებსაც ერიდებოდა და ოფიცრი-  
ონსაც. კეფაში ჩასობოდა მრისხანე  
მზერა და ნაქალაქარს რომ გასცდნენ,  
ოდნავ უბიძგა მიჩინიომ, უცნობ ბი-  
ლიკზე დააყენა. ერთხანს ველარაფერს  
გრძნობდა მგზავრი, იმდენი გვამი შე-  
მოხვდა გზაზე, თითქოს გამხსნევედა,  
ეჩვეულებრივია... მაგრამ მცირე ხნით  
— სხვა იყო მაინც, საკუთარი თავი...  
დაქვეულ სახლებს როგორც კი გასც-  
და, დაინახა ბუჩქი, ხე, შემქნარი ბა-  
ლახი, და ძან მოუნდა ბეჩავს, სიცოც-  
ხლე... ამან კვლავ დასცა, ძალუმი ში-  
შით მეხდამტყდარი, იმ მზიანი დილით  
მრუმე ბურუსში მიაბიჯებდა და, თავ-  
ჩაქინდრულმა, შიშველი ფეხი, საკუ-  
თარი, ბურუსიდან წამით რომ გამოა-  
რჩია, ძალიან შეერთა — აღარ უნდო-  
და თავისი სხეულის დანახვა, კარგად

იკოდა, სიმწრით რომ მოეცინებო-  
და პატარა ხანში და მაღალს...  
რალაც ღრუბელი კი დაინახა, ლაქასა  
ჰგავდა... მცირედ გამხსნევედა, ხავსს  
მოეჭიდა — რა იქნებოდა, ალექსან-  
დროს ძმა საიდანმე რომ გამომტყვრა-  
ლიყო, მიჩინოსთვის ესროლა დანა,  
მისთვის, მგზავრისთვის, ცხენი მიეცა;  
სულაც, რად უნდოდა ცხენი, ისე ირ-  
ბენდაა...

ირველივ აღარავინ ჰაქანებდა აღ-  
ბათ, თვალსაწიერზე არავინ ჩანდა, და  
უკანაც რომ სცადა მიხედვა, მაშინვე  
ზურგში ღონივრად უბიძგეს. მთლად  
ჩაიფერფლა, გული მოუქვედა — რა  
ალექსანდრო, ანდა რისი ძმა, ის აღ-  
ბათ, სულაც ბრძოლაში მოჰკლეს...  
უკაცრიელ ველზე, მარტოკანი, იყე-  
ნენ. ისევ ბურუსი რამ ჩამოაწვა, მახი-  
ნჯი, მრუმე და მაღალი ცისკენ აღაყ-  
რო სახე, იმ ღრუბლისაკენ, მაგრამ  
გადაწეული ყელისა შეეშინდა და წინ  
გაიხედა. გამოქცეებული მოჩანდა რალაც,  
დიდ, გოროზ კლდეს დათხრილ თვა-  
ლად აჩნდა.

შეშინდა, შედგა. იქ, სიბნელეში,  
უფრო საზარელი იქნებოდა აღბათ სი-  
კვდილი, ისევ აქ ერჩია, ამ შეჩვეული  
დიდი მზის გულზე; იმას ნატრობდა,  
ოლონდაც ზურგში ჩაეცათ დანა, მაგ-  
რამ მოესმა:

— შემოტრიალდი!

უცხო ხმა იყო; ვახარებულნი, სწრა-  
ფად შებრუნდა და მაშინვე ელდა ეცა,  
ყოველნაირი იმედი გადაუწყდა — ისევ  
ის კაცი, ყავუნსობის უფროსი, პი-  
რისქირ მარტოდმარტო უდგა, იმ ბასრ  
თვალეში ვერ შეხედავდა, თავი და-  
ხარა.

— ყური დამიგდე, დომენიკო, —  
თქვა მიჩინიომ და მხარზე დაადო  
ხელი, — მე ალექსანდროს უფროსი  
ძმა ვარ.

დახასრული იქნება.



## ქენჭები ქამხამ მორევში

ლირიკული კომეზა

I

- თქვი, უტკბილესი რა არის ქვეყნად,
- ბევრი რამ,
- მაინც,
- პირველი დედა,
- მერე?

— გონიერ ქალწულთან შეყრა,  
რომ გაგიმართლოს მომავლის ბედმა.  
აკვნიდან შვილის ღიმილი ნაზი,  
ულვაშზე ხელის წაპოტინება  
და სტრიქონებში ჩადვრილი აზრი,  
ადევნებული ფიქრთა დინებას...

— კიდევ?

— ჩამოთვლას ნულარ დავიწყებთ,  
თორემ საუბარს ვერ გავათავებთ,  
ტკბილს და უტკბილესს რა დამავიწყებს,  
ან ამ სიკეთის წმინდა სათავეს, —  
მამულს, მტერი რომ არ გეცლიება  
და მუდამ ხმაღზე არ გიდევს ხელი,  
არ შეეჩვევი სხვის მორჩილებას,  
რასაც თელი შენად შენია, შენი.

II

ვინ იცის, ვის რა ეწვევა ბოლოს,  
ტკბილს მწარე მოსდევს,  
ტირილს — სიცილი,  
თუ გაულიმე ფლიდსა და ბოროტს  
ხელში შეგრჩება მხოლოდ სიცივე-  
მღვრიე მორევში ჩაგიყრის ამაცს,  
თავდადებას და ქველმოქმედებას,  
გაგეცრიცება სხივების გამა  
და გულზე ცვეხლი შემოგედება.  
კარგს აბდაუბდად გიქცევენ შურით,  
გაგიმუქებენ ღამაზე ფერადებს,  
რომ შეგილახონ სიწმინდე სულის,  
მერე აგავსონ ბოღმით ყველამდე-  
ხმელ ფოთოლივით გზაზე გაგწირონ.  
სითბოს, სიხარულს არ გაზიარონ...  
და მაშინ უნდა გაიარწივო,

უკუნი თვითონ გაიმზიანო.

დაძლიო ბოდმის ავეუკანება,  
დაუმორჩილო სისხლი გონებას,  
არ დაიჩოქო ფლიდთა კარებთან  
დასაკნინებლად, დასაშონებლად.  
მიხედო მორევს, სინდისით, გარჯით  
დაწმინდაო, ააანკარო,  
აკრიფო წყალში ჩაყრილი განძი  
და ვინც ღირსია, ყველას აკმარო.  
მაშ იქონიე შენი მორევი,  
შენი ბილიკი, კიბე, ბორანი,  
იქ არ გალობენ იადონებში,  
სადაც ყრანტალეებს შავი ყორანი.

III

ემებე მოძმე, კპოვე კიდევაც,  
გააძლიერე მისით შენი ხმა,  
იმედი ხანჯლად დაგეკიდება,  
ვინ გაგიბედავს წყველას, შერიისხვას.  
მწესავით კეთილ გზაზე იარე,  
ვერ მოგერიოს შური და ვესლი,  
რა დაამარცხებს ადამიანებს,  
როდესაც სჯერათ,  
როდესაც ესმით.  
როცა იციან თავისი ფასი  
და სხვისი ფასიც კარგად იციან, —  
აიცილებენ ეშმაკს და მაცილს,  
მუცლით მეზღაპრეს, გულით იჭვიანს.  
მათ ნიჭს ნათელი არ მოაკლდება,  
რამდენიც უნდა გასცენ გულუხვად,  
რაში სჭირდებათ ხარკის აკრეფა,  
როს საკუთარი ჰყოფნით ულუფა.  
ბალახზე ნამი ოფლია მათი,  
ფოთოლთ შრიალი — მათი ჰანგები,  
საუკუნეებს დასდებენ პატივს  
საშვილიშვილო ციხის აგებით...  
ასეთი თუ ხარ, დაგლოცოს ზენამ  
და თუ არა ხარ, სცაღე ამაღლდე,  
თვალში შევხედო  
ფრთებშესხმულ რწმენას,

გულში არ დამჩრებს რაზე სანაღვლო.

ყურს როცა მოვკრავ გახსენეს თბილად,  
მყისვე სწორდება მოხრილი მხრები,  
მომივარდება სარკმელთან დილა  
„მერცხლების ფრთებით, ბუღბუღლათა  
ხმებით.

ერთი ჭილარაც გაქრება თმიდან,  
ერთი აუგიც და ერთი ჭორიც  
და გავიდები სიცოცხლის ზიდად,  
გავლილ გზასა და გასავლელს შორის.  
გაგზვდავ ქედზე გაშლილ ქარავანს,  
რჩეული რაზმის ვისმენ „ლილეოს“,  
სხვათა მოშურნე თუმცა არა ვარ,  
მსურს, ჩემმა შვილმა რომ იპირველოს.  
კლდეს დაკვიდოს მისი ძახილი,  
ანდა სხვისავით ჩასწვდეს ხეობებს,  
ბართ, წერაქვით, ნაღმით, მახვილით  
სადაც იბრძვიან. სადაც მზეობენ.

#### IV

მშვიდად აგროვე სიკეთის ხომლი,  
ქვეზე გი არა, მოლზე გაფინე,  
რომ გასპეტაკდეს, ვით ფთილა თოვლის,  
თეთრად მოედოს გზათა ნაპირებს.  
დაგბედებოდეს ბალახის ძალა,  
მტრედის სიწმინდე. უბრალოება,  
გახსენი მთები, გასჭერი შარა,  
კვალდაკვალ უნდა გაჰყვე დროებას.  
ხალხს ნუ მოაკლებ საზრდოს სულისას,  
შენი „მე“ მუდამ ნიაგებარბოდეს,  
თავის განწირვა, უნდა სურვილსაც,  
არ მიატოვო გზაზე, აროდეს.  
შენს ვაჟკაცობას დასდე პატივი  
და ნუ დარჩები იმედად ფიცის,  
ნუ აქდერდები კოჭლი ნოტივით,  
ამ ქღერის ფასი შე კარგად ვიცი.  
თუ აგამაღლებს რიტმი ცხოვრების,  
არ დაბრალო რაღაც დიდებას,  
ვისაც გარემო ეუცხოვება  
არ დაბრძნდება, არ დაღვინდება.  
მთას მიაყრდენი ბეჭები ფარეთ,  
ხელი ჩასჭიდე დაბლა დარჩენილს,  
ასე ალაღებს არწივა მართვის,  
ასე ადიან კლდეზე არჩვები,  
ასე იცავენ შვილებს შუნები,  
ასე უდგანან ერთუროს დარაჯად...  
მაგრამ სხვათა წილს ვინც ეშურება,  
აუციანი რჩება მარადჯამს.

#### V

თუ ავი შეგვხდა, გაუძელ ავსაც,  
აჯანყებული სისხლის ყივილით,  
მჭლეათა წუწუნი წამოგდეს არსად  
და არ დაგჩემდეს ბედზე ჩივილი.  
მამაცთა მოდგმის ნუ გეშინია,  
უფრთხილდი ვისაც შიში აქვს შენი,  
მოგეპარება ჩუმად ფინია,  
ასევე ჩუმად დაგგელავს გველი...  
სიმაღლეს მუდამ სიფრთხილე მართებს,  
ზეცასთან ერთად მიწას დახედე  
და უკადრისი უმაღლე დათმე,  
თავს ნურასოდეს გაითავსედე.  
ალალი ლუკმა, განა არამი,  
გატირვებისას ისევე გაძლება,  
შეიცან ფიქრი შენი ამაღლის,  
რომ არ გიმტყუნონ გემზე ანძებმა.  
სანთლად აინთე მამის სიმკაცრე,  
შენ მამა გირჩევს სხვაზე უკეთესს,  
არ გაყოყორდე, არ გადიდაცდე  
და ბუხარს დროზე შემოუკეთე.

#### VI

მთის თხემი ველებს ამაყად უმწერს,  
ტყე იტალღება, კორდი ბიზინებს,  
ნამად იღვრება, უტკბები სულზე,  
იის სინაზე, ვარდის სილბილე.  
ყაყაროების ალაღანება,  
ყაყაროების ანაღვერდლება,  
ლორთქო სათიბთან, მწიფე ყანებთან  
მიმობნეულა, როგორც ვედრება.  
რუ მორაკაკებს მზიან ფერდობზე,  
მთებზე სიმღერას აღარ ათავებს,  
როგორც სინდისი, როგორც შენდობა  
უწმინდესია წყაროს სათავე...  
მიეცი დეღამას, გინდაც დაბუგე,  
წყალის ამღვრევას ვინაც იჩქარის,  
გაიფრთიანე, გაიჭაბუკე  
და ისევე გახსენ ლურჯი ცისკარი.  
რომ მშვიდად იყოს ანკარა წყარო  
და კამკამებდეს ფსკერი მორევის;  
განა ამ ქვეყნად იმისთვის გწვალობთ,  
დაგვიმორჩილონ ძალის მორევით.  
ტალახს შერიონ ჩვენი კენჭები  
ნაგროვები და ნასათუთარი,  
სრიოკ მინდორზე დაგვეცენ ბეჭებით  
და დაგვიტალხონ სახლი სუღარით...  
არა, არ პქონდეთ იმედი ამის

მოსტიალეთ ეკლიან გზებით,  
ჩვენ შევექმნით შვილთა საკადრის ამინდს  
და იბრწყინებენ ძვირფასი ქვები.

## VII

მღვრიე მორევში კენჭები არ ჩანს,  
ამიტომ უნდა მარად სიწმინდე,  
დე, მზეც კოცნიდეს ლალსა და მარჯანს,  
მათკენ მაღლიან ხელებს იწვდიდეს.  
სხივი არუქოს ზურმუხტს და გიშურს,  
სხვადასხვა ფერად ააელვაროს  
და ყველა კენჭი შეიტკბოს ისე,  
როგორც სიკეთის ფუძე, მწვერვალი...  
არ დაელევა შუქი საგანძურს,  
ინებეთ, უქრობ შუქს შეფარეთ,  
ოღონდ ბრჭყალებით არგინ დაგაზოს.  
თორემ ჩაითრევეს ტალღა მჩქეფარე...  
ო, ქვები, ახლო რომ გეჩვენება,  
თვალი გატყუებს, ძალზე ღრმად არის,  
ვისაც არა აქვს სუფთა ხელები  
ვერ ამოიღოს წყლიდან მადანი.  
ვერ აუზღვდება, ვერ ინავარდება,  
ვინაც სამცეცებს ვერებს და დიდგულოვს,  
თბილად დალოცე სხვათა სავარდე  
და შენი რაც გაქვს, შენად იგულვე  
მაღლი შესწირე წინაპართ აჩრდილს,  
რომ დაგიტოვეს საუფლო კენჭთა,  
იტანდნენ ისარს გულმკერდში გარდის,  
ნახმლევს — შუბლზე და  
ნაშუბარს — ბეჭთან...

და მაინც ქნინდნენ ხელთაქმნელ ძეგლებს,  
და ახვაკებდნენ თვალ-მარგალიტებს.  
შესდექ მორევთან და ამის შემდეგ  
გულში სიხარულს ვეღარ დაიტყვე...  
და იქონიე შენი მორევი,  
შენი ხიდი და კიბით იარე,  
ააგალობე იადონები  
ჩახვეულები მწვანე ხვიარებს.  
მიწიერებაშ გაგაძლიეროს,  
ნუმც გნახავ დალილს,  
მჭმუნვარს და მგლოვარს,  
სიკეთისათვის სამაგიეროს  
შენ ნუ მოითხოვ,  
ის თვითონ მოვა.

...ზომავ ნახტომს და შესარი ირმებს  
და იმათ კვალზე გაყოლას ცდლობ,  
შენზე უკეთესს ინატრებ ვინმეს?  
მაშინ — შვილები, შვილები, შვილებ!

## VIII

ქარი მიაფრენს საწვიმარ ღრუბელს,  
მყინვარის ქიმზე ჰკიდებს ქულებად,  
ღრუბელი მწვერვალს ძაღლივით უღრენს  
და ხარჯინვივით ედიდგულება.  
იწეწავს დალალს ზღაპრულ დალივიც  
და ქარაფებში აფენს სიცილით,  
და იღუმება კლდეთა განივი,  
კლდეებმა ღრუბლის ფანდი იციან, —  
უნდა მწვერვალი ჩრდილში გახვიოს,  
ასე ისურვა, ასე ინება,  
მაგრამ მყინვარმა ორად ვახია  
და აღიმართა შვილთა იმედად.  
მლილი სიმაღლეს როგორ დარჩილავს,  
სიკეთეს როგორ მოსპობს ბოროტი, —  
ჩვენ ამ ღრმა რწმენამ გადაგვარჩინა  
და გადაგვარჩინეს იგი ბოლომდის.  
მამული კვლავაც ასპარეზს ქარგავს,  
გვეძახის, გვარჩევს, გვარჩევს, ვჭირდებით,  
მერანი დეკავს ფოლადის ლაგამს,  
უნდა დაკეცოს შარა დიდების,  
გვამხნევეს, საგზალს გვიმზადებს დედა,  
ჭერეტს დასალაშქრავ ახალ ზღუდეებს,  
გასაფლავ ბილიკს თვალნათლივ ვნედავ,  
აგერ ბიჭები უკვე უტყვენ.  
...ფრთებს ისწორებენ შენი ბოკვრები,  
მეცხოფენნი დიდი სიმართლის,  
მათთვის ვიცოცხლებ,  
მათთვის მოვკვდები  
და უნატრელსაც მათთვის ვინატრებ.

## IX

— მაინც რა არის ყველაზე ტკბილი?  
— დედაშვილობა,  
— მამაშვილობა,  
რომ შეადარებ ბიჭუნას ტირილს  
მერცხლის ჭიკჭიკს და ვრთავაშვილობას.  
ნიჭის ნაყოფი, შრომის ნაყოფი,  
დაგიხვადებდა როცა სსივებად,  
გულს გაგიმთელებს — სევდით გაყოფილს  
და არ გასვენებს მაინც ძიება...  
და ყველა ამის სათავე წმინდა —  
სამშობლო სავსე მზით და მითებათ.  
— მერე?  
— ახილი მამაცთა გზიდან,  
— მერე?  
— ჭიუხის ლაბირინთები.

**ღმერთო, როგორ მიყვარხარ!**

მარად ასე შეხატვი:  
თმების შავი მდინარით,  
წელი გადატეხამდი,  
ჩუმი და უწყინარი,

ბინდით გადათალსული,  
სიერცით ვერგათელილი,  
სიკვდილამდე ქართული  
მნათი ნათლით ფენილი...

ცრემლად ჩამოლეული,  
უსაშფელოდ სატიფი,  
მარტო სული, სხეულით  
შეწირული ხატისთვის,

ღმერთო, როგორ მიყვარხარ!  
ღმერთო, როგორ გინატრე!  
მიძინებულ გრიგალთა  
უნაზესი სინათლე...

**შორს, კირჩხიბთან...**

საქართველოს უსპეტაკეს პოეტს,  
ვისაც ჰკლავდა საკუთარი გული,  
მამულის და პოეზიის გარდა  
არ ჰქონია სხვა რამ სიყვარული.

საქართველოს უსპეტაკეს პოეტს,  
ვის არასდროს უცხოვრია შურით,  
მოუტანენ იასამნის რტოებს,  
დაათოვებს თოფა ზამბახური.

გაინათებს ზეციერის ნათლით,  
და წაიღებს მარადისის რული  
შორს, კირჩხიბთან,  
გარსკვლავედთან დათვის,  
მნათობების ცეცხლით შესუდრული.

**რაც მიყვარდა...**

რაც მიყვარდა, სულთ, ის ინატრე,—  
ნეკერჩხალი სერზე ისინათლებს,

ასკილების სანეტარო შუქით  
ღობე-ყორეს მისდევს ძველი შუკა,

შინდისა და ციკაბარდის გარდა  
თხილის ტყიდან იჭყიტება პანტა,

თუნგი თხელში გაივლევს ლანდად,  
ვინც მიყვარდა, ასე ვინც მიყვარდა...

იელის და იაგუნდის ტოტით  
შაშვი უსტვენს უსაყვარლეს მოტივს,

წყაროსთან ვზი, მშობლიური მთების  
მაწვეს ჩრდილი და სიამით ვკვდები.

## როდემდე...

როდემდე უნდა ვიძინო,  
განა, არ დადგა ჟამი?..  
შენ, ჩემო ტურფა სიკვდილო,  
მე გეკითხები, მკვდარი.

თორემ დარეკავს ზარი და  
როცა ატყდება გლოვა,

ის ღამის კაბას ჩაიცვამს  
და წვიმის თმებით მოვა;

საწყლად ამოყრილ მხრებიდან  
შუქს ჩამომადვრის მზისას...  
მშვიდობით მაშინ სიკვდილო  
და სასაფლაოს მიწავ...

## იქროლე ასე

ო, როგორ მინდა, რომ შეგჩრჩეს მარად  
თმები კანაფა და ბინდისფერი...  
ზეგანზე იდგე და წარამარა  
აიკლო ყველა ბალღური სტევენით.

უსტვინო ღრუბელს, — ღრუბელმა  
ღრუბელს.

ხმანადვლიანი უსტვენდე სტევენით...  
ცა უმიზეზო და მობინდბუნდე  
გადარეული მოგდედეფს ფრენით.

ისედაც მშვიდი გვექნება ძილი, —  
მარადი ძილით იმეფებ მარად...

იქროლე ასე,  
წაიღე ტვინი  
წვიმად,  
ღრუბლად,  
ქორად და ქარად.



სამშობლო ჩემი — არაგვის კართასა, იბერი, ძე იბერიისა, აქ  
ვმარხივარ... მახლობლად წმინდა ქალაქისა, რომელიც აღაშენა  
ნიკატორმა, მახლობლად ნაკადულ მივდონისა, ზეთისხილის მომ-  
არწყველისა. თანამგზავრი ავზონთა ბელადისა, მოსული საომრად  
პართელთასა დავეც მანამ, სანამ მტრის სისხლში გავისვრიდი ამ  
ჩემს მარჯვენას!..

(ამაზასაჰ. ქართლის ცხოვრება).

დამძიმა მარად სხვის ომში ბრძოლა,  
ფარის ფარება და ხმალის ხმარა...  
— კმარა, მამულო! — შორიდან ჟონავს  
ხმა სამარული, — მამულო, კმარა...

მე აქ ვმარხივარ, ძე იბერიისა,  
სამშობლო ჩემო — არაგვის კარად...  
აედრუბლება საფლავი საფლავს:  
კმარა, მამულო, სხვის ომში კმარა,

ვერ მოვასწარი შუბის ძვერება,  
ლახვარსობილი დავეცი მანამ...  
შენ გენაცვალე, კვლავ გევედრები,  
კმარა მამულო, მამულო კმარა.

უდაბნოს ჟანგი და ქერცლი ფარავს  
აქ ნიკატორის ანაგებ ქალაქს...  
ჩემს ფერფლზე ვდგავარ, ვჩურჩულებ,  
კმარა,  
კმარა მამულო, სხვის ომში კმარა.

## ბაკათმერ არკბული

### შეშოდგომა

(ფრაზმინტი)

ეს ორი თვეა  
ფოთლის სამოსს  
ატარებს ქარი  
და მწვერვალზე  
ზამთარს თეთრი მუხლები უჩანს...

რა დავარქვა ამ შემოდგომას:  
— ყვითელი დროშა,  
თუ მთვარის ფერფლი!  
რა დავარქვა ამ ბალახებს:

ჩამქრალი ცეცხლი,  
თუ დედამიწის მკედარი ვნებები!  
რა დავარქვა ამ სიყვარულს:  
დაბადება თუ სიკვდილი!

(დაუმთავრებელი ბაკარელი)

დაფეთებული ჟირაფივით  
ჩემს ქალაქში შემოდის მთვარე,  
მიპყვება ქურებს  
და თავის სხეულს  
ღამის ფანჯრებზე ათვალეირებს...

მორჩა,

გათავდა! უკვე პრაქტიკულ  
და ყოველდღიურ  
წვრილმანს ვერგვით  
და სილამაზის მძიმე რიკულიც  
უკვე ბუზღუნით მიგვაქვს ბეჭებით...

მორჩა,

გათავდა! დღეს შორეული  
სიმაღლეები აღარ გვიზიდავს,  
და მოთენთილი ჩვენი სხეულიც  
ვერ აფრინდება უკვე მიწიდან.

### მოსასხამი

მე ვიღებ ღამეს  
და ნაჭურ-ნაჭურ გიროგებთ ყველას:  
მგლოვიარენო,  
მოტირალნო,  
უკურნებ სევდას ჩამოყრდნობილნო...

ნუ მზვერავთ თქვენი ცრემლის სარკმლიდან  
ეჭვიან მზერიით...

მე მომაქვს თქვენთვის,  
სულის საღებუნად,  
უკუნი ღამე — სამგლოვიარო მოსასხამი!



ციხის ნაშალზე მტრედი დაფრინდა,  
 იქნებ შენა ხარ სევდა არეთა?...  
 ვერ მოგისწარი, ო, სერაფიტა,  
 შენ ჩემი ქნარი შეგიყვარდება...  
 ვერ მოგისწარი,  
 დროის კედელი  
 დგება ჩვენს შორის, როგორც უარი  
 და მიხმობს შენი მზერა კეთილი  
 ასეთი ნაზი და უტყუარი.  
 მეძახის შორი ლანდი არმაზის  
 და მზე მეძახის სხივთა არილით,

მზე შემნატვრელი მაგ სიღამაზის  
 და მტკვარის ცრემლი უკვე ჩავლილი...  
 ვერ მოგისწარი,  
 ნისლით შემოსილ  
 მთებზე ვდგავარ და გიხმობ ქარებით;  
 ო, რომ შემემძლოს შენთან შემოსვლა  
 ყველა სატკივარს გაგიქარებდი...  
 ციხის ნაშალზე მტრედი დაფრინდა  
 იქნებ შენა ხარ სევდა არეთა;  
 ვერ მოგისწარი, ო, სერაფიტა,  
 შენ ჩემი ქნარი შეგიყვარდება.

თ ბ ი ლ ი ს ი

მე კრძალვით ვუმზერ  
 შენს დაღლილ სხეულს;  
 ჭრილობასავით შემორჩენილ  
 ტრამვას ხაზებს —  
 სიძლიერის და სიბერის ნიშანს...

ვუმზერ ბროსბექტებს,  
 ქურაბანდებს, — დაბერილ ძარღვებს  
 და მაგ ძარღვებში მოთქრიავ  
 შენს სისხლის ნაკადს —  
 ხალხს და მანქანებს...

\*\*\*

ვუმზერ წუხილით  
 მავთულხლართების აბლაბუდას, —  
 შემურულ ზეცის  
 ერთფეროვან, მოსაწყენ სამოსს...

მე კრძალვით ვუმზერ  
 შენს დაღლილ სხეულს...

ბათუ ღანელია

ბურაბს და ლენას

ლენა! დაო და უფრორე ძიძავ,  
 გურამ! ძმაო და ასმაგად ჯიშავ...  
 მე მიყვარს, როცა თქვენს თავს მახსენებს  
 ქარი და თოვლი, თოვლი და წვიმა.

ის ისლი ფაცხას ქარმა აჰხადა,  
 წავიდნენ წლები, ფაცხაც წავიდა...  
 ხსოვნა კი, როგორც გადასახადი,  
 სიცოცხლეს მუდამ იწყებს თავიდან.

მე მახსოვს ჩვენი მეგრული ფაცხა  
 და გადახურვა მე მახსოვს მისი —  
 თქვენი სიმღერა... და როგორ საწყლად,  
 რა გულსაკლავად ტიროდა ისლი.

მე თქვენზე ვფიქრობ, ზოგჯერ მალული  
 ცრემლები გვანან ცისკრის ვარსკვლავებს...  
 მე თქვენ მიყვარხართ, ეს სიყვარული  
 ლამაზი არი სიმღერასავით...

## დილა

(სურათი)

ნუნუკას -

ეზოში იდგა პატარა სახლი,  
პატარა გოგო რეცხავდა ფინჯანს,  
კიბის ქვეშ თვალეებს ნაბავდა ძაღლი,  
კიბეზე იდგა მამალი ყინჩაღ.

კვამლს თითქოს ვალი ჰქონდა ღრუბლების  
ვერ ამოჰქონდა კუდი ბუნრიდან...  
და შინმოუსვლელ ბიჭის ულუფას  
მოსუცი ქალი ჩიტებს უყრიდა.

## თაილისი

მე ვიდექ მთაზე და გიყურებდი —  
უფრო მაღალი ჩანდი ზემოდან...  
მზე მიდენიდა ღრუბლის კურატებს  
და შენს თვალებში ცა იზრდებოდა.  
მე ჩემს უხილავ ნატვრას ვეძახდი,  
როგორც სამრეკლო ერთგულ მსახურებს...

შენ გაგრძელება იყავი ცამდე  
ჩემი სიზმრების და გაზაფხულის.  
სადღაც შორეთში იმზირებოდი  
(ვიცი, ნათელი გზები მოგელის)...  
უფრო მაღალი ჩანდი ზემოდან,  
უფრო ძვირფასი და ახლობელი.

## ღელას

მე სიზმარი ვარ ამაღამ შენი  
(იქნებ სიზმარი სარკეა ცხადის),  
შენს გულში, როგორც მავთულში დენი,  
ჩემი ცხოვრების ბილიკი გადის.

გარეთ თოვს, თოვლი ღამეში მზეობს  
და აკრთობს ხეებს ფიფქების სალტო...  
შენ ზურგი გტკივა და საბნის ზემოთ  
გახურავს ჩემი ბავშვობის პალტო.

## სამი ზარის საღამო

ვდგავარ ბუნების საგამოფენო გალერეაში.

ვათვალეირებ შემოდგომის

ავტოპორტრეტებს.

არის მრავალი ვარიანტი,

მაგრამ შედეგები მხოლოდ სამია:

პირველი:

კენწეროების სამრეკლოდან

ყვითელხმიანი ზარების რეკვა...

მეორე:

ფრთების ზარიდან ჩამოცვენილი

ხმათა ფოთლები — წეროების

ნატერფალები...

მესამე:

ლობოს მკრეფავი დედაჩემი

ფიქრების უნო ზარი...

აქედან ერთ-ერთს

მუხეუმში წაიღებს ჭამი...



## პეპენი პეტუშენკო

### ვალსი ვეპანენა

სძინავთ ტრიუმში სატვირთობებს, სძინავთ ამწეებს,  
გარეთ ზღვაური დაშლილ ტალღებს დინჯად აწებებს,  
აქ კი უეცრად ვნების ცეცხლი ედება გემბანს,  
თითქო ხანძარი, ამ წუთამდე, ბაგირით გვება:  
ცეკვავს ფრანგული მოკასინი, ჩეხური კედი...  
რუსული დამე ცხელ მუსიკას ვერობა მკერდით...  
ტრიალებს დისკი, და მის ხმაზე იღვრება ვისკი...  
მიხუტებია სუნთქვა სუნთქვას, კისკისი — კისკისს...  
ის კი — ძმა ჩემი, ჩემი მასტის და ჩემი ჭკუის —  
დგას ახლა შენთან შორს აქედან, და უღვთოდ ტყუის!  
ვერ გაამრთვლებს ცხელი ვნების გადაჭრილ ზაგირს  
ვერც სუნთქვა ხშირი, ვერც ბაგეზე შეხება ბაგის...  
მე ვერ ვიცეკვებ... მე მიმიტან ქალს — ვაწბილებ მართას...  
ნადიასაც... რა ვქნა... ახლა ვერც ერთს ვერ ვეტყვი მართალს...  
ქვეყნად ათასი ცეკვა გაჩნდეს — ვალსი ვალსია...  
ცეკვავს და ცეკვავს მოუღლეელი კოკი ვასია...  
თითქო შორეულ ოკეანის გესმის დგაფუნი,  
ბიჭს მაისურზე აწერია: „ქ. სინგაპური“.  
„რა ხდება გარეთ, ხომ არ იცით! ქარი არ ჩადგა?!“  
„როდის იქნება, ვენაცვალე, ჩემი კანჩატკა!“  
ცეკვის წყურვილი. შამპანურის ქაფის წყურვილი...  
და ბორტს გადაღმა მისრილებს ლანდი კურილის...  
ცუნამით დაღლილს, გაბრუებულს ტალღების ყეფით —  
მეც მეშხეფება ღვთაებრივი შტრაუსის შხეფი.  
და თუმცა მხარზე არავისი არ მადევს ხელი,  
და სუნთქვას ჩემსას სუნთქვა შენი არ ესმის ცხელი —  
მე ვცეკვავ მაინც... ვცეკვავ, თუმცა ადგილზე ვდგავარ...  
მე არ ვარ მარტო, თუმც სხვის თვალში მარტოსულს ვგავარ...  
ო, არა ასე მხიარულად — მოწყენით, ნელა —  
მე ვცეკვავ შენთან. ყველა ვალსი შენია, ბელა...  
და შორს, კურილის ნაოჭებში ჩარჩენილ თოვლის  
დნობაზე ყვება თითქო ჩვენი ორკესტრის დოლმი.

ირწევა გემი. მარწევს გემი. მამშვიდებს გემი.  
იქ კი, მოსკოვში, შენთანა დგას ძმაცაცი ჩუმი.  
უკიდებს ენას, და სიგარეტს უკიდებს ახლა...  
ტყუოს, გაცინებს, გივლის, გიცდის, გდარაჯობს, გახლავს...  
და შენ არც იცო, რომ შორს, ზღვაში, ადგილზე, ნელა,  
მე ვცეკვავ შენთან... მე ვალს ვცეკვავ... ჩვენ ვცეკვავთ, ბელა.

თარგმნა ბ. ჰანტაშვილი

## სერგეი ბობაქოვი

### ჩრდილოეთის რკვილიდან

#### 1. მართი სტრიკონი

სიმშვიდით მთვრალი — ტაიგის სული,  
ტალღას ეცემა სხივნი ცისანი,  
ტალღა ჩურჩულებს ვით ტუნგუსელი,  
ისე ჩურჩულებს, როგორც მისანი.

კლდეებში გასხლტა როგორც ფოცხვერი  
და ხავსიანი ქვები გალტოვა,

მერე დაეშვა თავქვე მოწყენით,  
მღორე სხეული ძლივს შეატოვა.

საუკუნეთა ბინდი შემოსავს —  
დაუღღვლს სწრაფვით და სტიქიონით,  
მოჩანს მდინარე, როგორც ეპოსის  
დაუწერელი, ნაღდი სტრიკონი.

დროე ფოთოლივით სად მიაქანებ  
წარმავალობას ამა სოფლისას,  
დღეს ოქტომბერი იპყრობს ქალაქებს,  
აღმოდებული ცა ოქტომბრისა.

დახეთქილია ტუნები ქარით,  
გაგღენთილია ნოტიო ხეთა

ქერქის სურნელით ბულვარი წყნარი,  
ყოველი ტოტი ნერვივით ფეთქავს.

და მერვენება თითქოს ბერდება  
მზე, უთეთრესმა ნისლმა შენისლა,  
შორეულ ველზე თითქოს გრძელდება  
თრთოლვა ჩაკლილი ფოთოლცვენისა.

შენი ფანჯარა იხედება აღმოსავლეთით,  
ჩემი დასავლის სივრცეებს ერთვის,  
მზეს რიგრიგობით ვუმშურთ ორთავე.  
ჩემთვის რომ ჩადის, ამოდის შენთვის  
და ერთნაირი ჩვენთვის მხოლოდ შუადამეა.

თარგმნა გივი ალხაიშვილი

# საქართველო

## შეახსიანი

თუ გსურს ოდესმე მომიძულო, ესლა გიჯობდეს,  
 ესლა, ჩემს ძღვევად როცა აღდგა მთელი სამყარო,  
 ბედის შულს და ქიშპს შეუერთდი, სულის ღრიჭომდე  
 მგესლე და ცრემლი სინანულის არ დამაღვარო.  
 გვედრი ნუ მოხვალ, თუ გაგუძელ ამ გამეტებას,  
 თუ დავიურვე ტკივილი და ზაკვა ბოროტის —  
 ქარიშხლის შემდეგ ქუში დილა ნუ გათენდება,  
 ნუ განსრულდება სიძულვილი ასე ბოლომდის.  
 ნუ მიპატოვებ, როცა შხამი ყველა კაეშნის  
 შეწოვილი და დამცხრალია — მაშინ დამაგდე,  
 როცა ვირღვევი — დაე, ვიგრძნო უწენაესი  
 ტანჯვა და ბედის სისასტიკე და სითამამე,  
 რომ სხვა წვრილმანი ჭირი ღზინად იქცეს თბოლი  
 სულისთვის — შენი განშორების დაუნდობლობით.

ნულარ მიტირებ, სულს როგორც კი დანთქავს უკუნი,  
 როგორც კი მარტოს მოგესმება შორით უეცრივ  
 ჩემი სიკვდილის მაუწყებლად ზარის გუგუნი,  
 რომ გარდავეგე და მტვერქმნილი მტვერს შევეურთდი.  
 ნუ მოიგონებ ხელს, რომელიც ამ სტრიქონს სწერდა —  
 ისე მიყვარხარ და იმ წმინდა ცად მესახეზი,  
 რომ მაშინათვე დაფიწყების ბურანში შემრთავ,  
 როგორც კი ოდნავ დაგიბინდავს სახეს ნაღველი.  
 თ, მის ლექსებში, ვინც მიიქცა მიწად და ქვიშად,  
 ნუ ჭვრეტ სიყვარულს გარდამოსულს ვიდრე ცათამდე,  
 ნურც იმაზე მეტს, რასაც ჩემი სახელი ნიშნავს —  
 ჩემს ცხოვრებასთან ერთად შენი ტრფობაც გათავდეს:  
 ნაღვლიან თვალში რომ ჩაგხედავს ბრძენი სამყარო,  
 არ დაგაბნოს და სიცილი არ დაგაყაროს.

შენ ესლა ჩემში წელიწადის ისეთ დროს უჭვრეტ,  
როს ტოტებს ორი ფოთოლილა ჰკიდიო მხოლოდ,  
ქარი ჰქრის ცივი, მაგრამ შიშველ ხეებს და ბუჩქებს  
შემორჩათ ბინდში მგალობელი ჩიტების ქორო,  
შენ ჩემში ხედავ მოგუბუნე დღის მოვანებას,  
როცა დასაველეთს გარს ევლებო ბინდი მუმილივით  
და დამე მწუსრის მქრქალ ფერებს და ყრუ ხმოვანებას  
თანდათან ნთქავს და ბეჭდავს თავის შავი დუმილით,  
შენ ესლა ჩემში იმ დიდ ხანძრის ათინათს ხედავ,  
თავისი სიყრმის ნაცარსა და ფერფლს რომ დანათის  
და ძლეულს თავის ძლიერებით ყველაზე მეტად,  
ყველაზე მეტად ეჭირვება შვება მარადი.  
შენ ყოველივე ამას უმზერ და უფრო გიყვარს  
იგი, ვინც თითქმის გარდავიდა უკუნის მიღმა.

## ჰონ მილტონი

---

### მის დაბრავივებაზე თქმული

რო დავფიქრდები, მაღალი მზე ვით ჩაქრა ჩემთვის  
და როგორ დავშთი მრუმე ბნელში უმწეო მგზავრი,  
როცა ჯერ კიდევ არ გამსვლია ცხოვრების ყავლი,  
როცა ეს მიწა ჩემს გარშემო, მწირი თუ ნედლი,  
არ დამიბარავს ჩემი წილი და ჩემი ხვედრი  
და ხელდაკრეფილს უნდა უფლის დამედოს მსჯავრი,  
გულზე ჯანლივით მომაწვევა უნებურ ჯავრი —  
თუკი ამდენს მთხოვს, რად მამბრმავებს უფალი-მეთქი?  
მაგრამ მოთმენის ანგელოსი პირუკუ იტყვის:  
არ ეჭირვება ღმერთს რუდუნი და ნიჭი კაცის,  
უღელი მისი მორჩილთათვის არ არის ძნელი,  
იგი არს მეფე — გლახაკნი თუ აზნანი დიდნი  
მუსლჩაუხრელად მსახურებს და მის სიტყვას არ ცვლის —  
უფალს მსახურებს ისიც, ოდენ ვინც დგას და ელის.

## ჰონ დონი

---

დაეცით საყვირთ, ანგელოსნო, ოთხივე კუთხივ,  
ჟამმა დარგოს აწ განკითხვის და აღსრულების  
და აღსდევ მკვდრეთით, აღსდევ მკვდრეთით, მდგმურნო  
სულეთის,

კვალად მოხილვად ძველი გვამის, მწარის და მწუთხის,  
ვინც წარღვნამ დანთქა, ცეცხლმა მოსრა, ვინც ძრწოდა  
მუღმივ

და მოკვდა შიშით, ჭმუნვით, ჭირით თუ იძულებით,  
ისიც, უფალი ვინც იხილა და უზრუნველი  
ისე აღსრულდა, არ უგრძვნია სიკვდილის წუთი.

მაგრამ, დაე, მათ კვლავ იძინონ — მე მტანჯე ისევ,  
რამეთუ ცაში ვერ დაიტევს წყალობას შენსას  
ცოდვით შეკრული სული ჩემი, მრუდი და მჭისე,  
აქ, მწირ მიწაზე, იგრძნოს ჩემმა დამზრალმა ფესვმა  
მადლი შენეულ მიტყეების და უქვეყლი  
დასტურის ნიშნად დასწვდეს შენი სისხლის ბეჭედი.



შენ მე შემიქმენ და მონაგარი ვით წარბდეს შენი?  
ახლა დამიხსენ, ახლა მიდგას დრო აღსრულების,  
მორბის სიკვდილი ასე სწრაფი, ასე მზრუნველი  
და ჩემს ბებერ სულს სულ აკლდება სიღბო და ტენი,  
უკუნში ვდგავარ უსინათლო და ჭირთა მთმენი,  
უკან მიწა უსასო, წინ დამთრგუნველი  
შიში სიკვდილის, ვით ვეება შავი ღრუბელი,  
და გვამში ცოდვა, უკურნელი ვითარცა სენი.

შენ მადლით დგახარ ერთადერთი და როცა ღირსმყოფ,  
გიჭვრეტ და თვალებს სიხარულის ცრემლებით ნივსებ,  
მაგრამ ის ჩვენი ძველი მტერი, ბანალის სიმსხო,  
მაცთუნებს კვლავ და უკუნისკენ მიმდრიკავს ისევ.  
მას მაშინ დაეძლევ, ნათლის სვეტი თავს თუ დამადგი  
და მიიზიდავ ჩემს რკინის გულს, ვით ანდამატი

## პერსი ბიში შელი



ხელს ნუ შეახებ ჭრელ საბურველს, რასაც უგნურნი  
ცხოვრებად ხმობენ, — ზედ ნაჭდევი ხატი მრავალი  
თუმცა სიცხადედ მიგვითვლია, როგორც უკუნის  
წიალ ნათელი და შეგნების ჩვენის სამანი,  
მის ქვეშ სასო და შიში სუფევს — პირმოქუფრული  
ნაპარალის თავზე მქრქალ ლანდებად გარდამავალი.

მე ერთს ვიცნობდი ვინც ასწია ეს საბურველი —  
მის მტკივან გულზე სიყვარულის იდო ყადაღა —  
და ვერაა ჰოვია, დაშთა უკი და უკურნელი  
და არცრა იყო ამ უსიერ ბინდის გადღმა

მისი საკადრი. — რა არ შეხვდა, რა არ გადახდა:  
ბნელში მხედ ჩანდა, ნესვისა შიგან ჰყვა ნელსურნელი,  
ქეშმარიტებას ეძიებდა დაუსრულებლივ  
და ველარც იმას მიაკვლია, ვითარ ქადაგმა.

## უილიამ უორდსუორთი

### თხროვნა მგზავრს

დიახ, მზე ჩადგა მოსალბუნე შენს თვალთა წიაღ! ---  
სხეული შენი განცხრომად და თნევად მიდრიკა  
მეტყვევის ქონმა, მწვანე მოღმა, მოღზე ლიკლიკა  
წყარომ და წყალზე ლურჯმა ნისლმა, ზეცა რომ ჰქვია.  
ნუ ხელჰყოფ სხვის განძს, ნუ მოჰყვები წუწუნს და წრიალს,  
როგორც თვალხარბი ქალაქელნი, გზიდან რიგრიგად  
კარზე მომდგარნი, რომ ბუნების დიდი წიგნიდან  
ეს თავფურცელი ამოჰხიონ თხელი და ფრია.

ეთქვათ და განგებამ შენ გარგუნა ეს სამყოფელი, —  
ბევრს არ მოითხოვ — ოდენ ხიტკბოს ამ სანახების,  
კარებს, სახურავს, სარკმელს, ვარდებს და მიმოფენილ  
ბურუსის ფარდებს, — ღვთიური თუ ნათილისმარი  
ეს ყველაფერი, რაც შენ გზიბლავს, ხელს რომ ასებენ,  
იმ წამსვე ჰქრება მართ ვითარცა ტკბილი სიზმარი.

## სამუელ ტვილორ კოლრიჯი

წყალბოავ ღვთისა! ჰოი. რარიგ მწყუროდა შეყრა  
შენთან, საბრალო ბერიკაცო და ორი სიტყვა.  
ეს რა ცივი და უსაშველო ზამთარი გიდგას  
და კაცი შენი განმკითხავი არ დარჩა ქვეყნად.  
მიაგდე, მამი, ეგ ძონძებად ქცეული ფლასი,  
შენს დამტნარ სხეულს რომ დასცინის — ჰა, ჩემი ქურჭი,  
დამყვრდენ მკლავზე, მოკაკული გამართე ზურგი  
და, როგორც თრთვილი, ჩამოჰყარე დრო-ჟამის ბრაზი.  
მეუღლე ჩემი არ მოგაკლებს ბავშვივით ალერსს,  
ბუხრისპირ ტკბილად იოცნებე, ვითარცა წყალი  
დიოდეს სიტყვაც — დაუყენე სიბერეს თვალი.  
— არ ახსოვს კეთილ გალილეელს ასეთი რამე ---  
იგი გზად შეხვდა კეთროვანთ და წერაცხა ძმებად  
და უებარი სიტყვით მათი განაგდო სნება.



**სიკვდილის სარკველთან**

ჩვენ ყურს ვუგდებდით მის მიძმე სუნთქვას —  
გათენებამდის თავზე ვადექით  
და სმაურობდა, შეკრული კუნთად,  
მკერდში სიცოცხლის თბილი ნატეხი.

სათქმელს თვალეზით ვუგებდით ერთურთს,  
ვიდოდით ფრთხილად და ფეხაკრეფით  
და სიცოცხლესთან ჯერ კიდევ შერთულ  
სულს სიყვარულის საკმელს ვაკმევდით.

ჩვენს წინ უღმობლად იბრძოდა შიში  
და სასო, სულის ერთი ნაწილი,  
ის უხმოდ მლოცველს მოჰგავდა ძილში,  
მღვიძარი ჩანდა ვით გარდაცვლილი.

და როცა ჩვენთვის ქუში დღე დადგა  
და გაიცრიცა შუქი კანდელთა,  
ბოლოს თვალეზი დახუჭა — სადღაც  
მისთვის სულ უცხო დილა გათენდა.

**უილიამ ბატლერ იეიტსი**

**ოდეს იქნება დაბერდები...**

ოდეს იქნება დაბერდები... დაუფიქრებლად,  
ბუხრისპირ სკამზე დაყუნცული, ჩემს წიგნს გადაშლი  
და, აწ მიმჭრალი, როგორც ცეცხლის სუნთქვა დადარში,  
შენივე სულის მგზნებარება წარმოგიდგება.

რამდენს უყვარდი ყალბის გზნებით და სიყვარულით,  
რამდენს სუროდი ქედმაღალთა და გულმქუსართა,  
მაგრამ ერთს შენში პილიგრიმის სული უყვარდა  
და სწავდა შენი ნაღველი და სევდა ფარული.

მარტოდ შეთენილი ცეცხლთან, ოდენ ლანდის ამარა,  
იტყვი თუ იგი სიყვარული გაფრინდა ვითარ,  
გადვიდა მთაზე, გაიმადლა მანდათან ციდან  
და სახე თვისი ვარსკვლავების ნისლში ჩამალა.

# კლინიკა, საბჭოთაობა

შურამ კანკავა

## სოხუმი — ქართული პოეზიის კლინიკი ფლანგი

ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში, სადაც კი ლიტერატურული კერები არსებობენ, იქაურ მწერლობას თავისი ჩამოყალიბებული სახე მიუღია და ლიტერატურული ერთგვაროვნების იერსაც ატარებს. ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში თუ ზუგდიდში (იქაურ ლიტერატურულ წრეზე წვეს პრესაში ამ ბოლო ხანს აქტიურად ალაპარაკდნენ) იმდენად განვითარდა ლიტერატურული ცხოვრება, მის შედეგად შექმნილა პროდუქცია, რომ, შესაბამისად, დაიხვეწა მისი გამეორიანიგებელი სტილური ნიშნები, მხატვრული მგრძობილობა და ამჟამად შეიძლება კიდევ ვიმსჯელოთ ამ მიკრომწერლობათა წარმომადგომლის დიდ ლიტერატურულ ფეხებზეც. ამ ქართულმა ქალაქებმა შექმნეს საკუთარი „მწერლობანი“... ხოლო ამ მწერლობათა მიერ შექმნილმა შემოქმედებითმა ნაყოფმა შემოუშავა საკუთარი სპეციფიკური სახითი, პოეტური იერსახე და მხატვრული გემოვნება.

ჩა არის, ძირითადად, ნიშნული დახვედრული ქალაქების ლიტერატურული ცხოვრებისთვის? პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ჟანრობრივი უპირატესობის ერთგვარი კანონზომიერების შეხატებ: ჩვენი სამშობლოს ყოველ მხარესა და კუთხეში არსებითი, წამყვანი ჟანრი — პოეზიაა. შემოქმედებითი ენერჯიის ცხრა მეათედი პოეზიის დაუცხრობად სიყვარულში ვლინდება. აქ, საქართველოს პერიფერიულ ქალაქებში ყველაზე თვალნათლივ და „გამიშვლებულად“ იგრძნობა ის უტყუარი ვითარება, რომ საქართველოში (მის ლიტერატურულ წრეებში), არსებითად, პოეზიის მხატვ-

რული სტრუქტურები ბატონობენ და ქართველ ლიტერატორს დღესაც ყოველივეს ლექსად გამოთქმის სურვილი ამოჰრავებს.

შემოადინებულ ქალაქებისა და მხარეთა სამწერლო პროდუქციისთვის ნიშანდობლივია, აგრეთვე, ის გარემოება, რომ მათი მხატვრულ-სულიერი ცხოვრება, ერთგვარად, განპირობებულია ამა თუ იმ ქართველი კლასიკოსი მწერლის ლიტერატურული აზროვნებითა და მსოფლგანცდილით. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ესა თუ ის კუთხე „შეთანხმებულია“ და მათ სამწერლო ძალებს (ძირითადად, პოეტებს...) თავის მხატვრულ მეტრად, სულიერ წინაპრად და შთამავლენლად რომელიმე ქართველი კლასიკოსი დაუსახავთ. ქუთაისელი პოეტისთვის, ამ მხრივ, ყველაზე ახლობელი და ორგანული შეიძლება აღმოჩნდეს ლალო ასათიანის პოეზიის ნერვი; ბათუმელი მგოსნებისთვის შთამავლებელ იმპულსად იქნენ ტიციან ტაბიძის ლექსების არტისტული ნაკვეთები ქვეყლანს; სოხუმელი პოეტების ხატოვანების ზოგიერთ პრინციპს თუ აზროვნების ერთგვარ განყენებულობას, ალბათ, სიმონ ჩიქოვანის პოეტური აზროვნება ენათესავება ყველაზე მეტად.

(როგორც მკითხველი მიხვდება, ჩვენი საუბარი დასახელებული ქალაქების მწერლობათა შეხატებ ქართული თვალსაზრისით თანდათან ღვიწროვდა და იგი ახლა შეეხება მხოლოდ მათ პოეზიას...).

შემოთქმული კი ისე უნდა გავიგოთ, რომ საქართველოს ყველა კუთხისა და ქალაქის პოეზია ემყარება ათასწლოვანი ქართული პოეზიის დიდებულ ტრადიციებსა და წარსულს, მაგრამ XX საუკუნის „სულის სუვერენად“,

ტონის მიმცემად და შთაგონების ღამპრად — ყოველ კუთხე-ქალაქს მისთვის სუბიექტურად ყველაზე მისხადები და ახლოდგომი ბელოვანი შეურჩევია.

ჩვენ სადღესობად გვინდა ზოგადად შევიხით სოხუმელ ლირიკოს პოეტებს, რომლებიც არა ერთი ათეული წელია იღვწიან ქართულ პოეზიის მარადმწვანე სარბივლად და სხეულთან ერთად საპატიო ადგილი უკაიეთ ქართული პოეზიის თანამედროვე მატიაწენში. ჩვენ, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოგვსვლია ამოწურავი ანალიზი მოვხდინოთ მათი პოეტური შემოქმედებისა. ეს ხომ პირველი შეხედრებაა, პირველი გაცნობაა, უფრო კი — ლიტერატურული დაზვერვაა („დაზვერვა ბრძოლით...“). ავტორთა ის თანმიმდევრობა, რომელიც ჩვენს წერიალში იქნება დაცული, სახეებით პირობითაა, მომავალში იგი შესაძლოა სავებით შეიცვალოს და შეტრიალდეს. ეს პირობითობა ჩვენ იმტომ დავუშვით, რომ მომავალში, როცა, იწვლია, უკეთ გავგრკვევით დასახულ საკითხებში, გამოვვადგეს ძველი შეხედულებების შესამოწმებლად.

ახლა ორიოდ სიტყვით იმის შესახებ, თუ რატომ მივიჩნით ხიმონ ჩიქოვანის პოეზია სოხუმელი ლირიკოსების პოეტურ საძირკვლად. უპირველეს ყოვლისა, სოხუმელებთან ს. ჩიქოვანი დანათესავა პოეტური სინტაქსის სპეციფიკურმა ახლოობობამ დასავლური ეოლოების ზოგ ელემენტთან (ინტონაცია, ფრაზეოლოგიკიკი წყობა, ემოციური სტრუქტურა...).

ნუთუ შორეული გამოძახილის მსგავსად, ზემომოყვანილი ნიშნების მიხედვით ეს სტრიქონები თქვენ არ გავონებთ ს. ჩიქოვანისთვის დამახასიათებელ რიგით ლექსებს:

ვერ გავეყარე შინაარე სტრიქონს,  
რალაცას ვეძებ ჰალარა ბავშვი  
და იმ წუთებში ოზრდები თითქოს,  
როდესაც მომწონს და მინც წაქულა.  
ეს დღე მავებებს მშობლიურ დიმილს,  
სხეები მათოვს; კითხვებიც მათოვს:  
უსაზღვრო შუქი მამულში ღვივის,  
მე — ნაპერწკალმა რა გავანათოქ!

ან კიდევ:

ჩემი სიმდიდრე რა იყო მეტი —  
პატარა სახლი, პატარა ჩერო...  
ჭუჭრუტანიდან სინათლის სვეტი  
დავადგებოდა, ავანო ჩემო.

ეს ლექსები ეკუთვნის შოთა აკობიას. მაგრამ სინტაქსურ-ინტონაციური ნათესაობა მხოლოდ ამ პოეტის შემოქმედებით არ ამოწურება.

როდესაც ჩვენ ვეცნობოდით პოეტური

ძიების იმ ცდებს, ახალგაზრდა სოხუმელ ლირიკოსთა შემოქმედებაში რომ აქვს ადგილი (გურამ ოლიშარია, რენე კალანდია...), არ გვტოვებდა აზრი იმის შესახებ, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში, ყველაზე დიდ მხარდამყურად ახლის ძიებებში მათ საქართველოში ს. ჩიქოვანი ეყვალბოდა.

ს. ჩიქოვანთან ახლოებთ სოხუმელ პოეტებს, აგრეთვე, მათი დიდი წყურვილი და გატაცება პოეტური ფერწერით. არსად პოეზიაში ისე ძალუშად არაა შეტანილი ფერი, როგორც ეს საქართველოს ზღვისპირა მხარეების მწერლობაში: ბათუმში, სოხუმში... თიქოს ზღვისპირელი ბევრად უფრო მძაფრად და მკეთრად (ვიდრე ეს ჩვენს „ხახმელეთო“ პოეზიაში ხდება...) განიცდის ფერს, მისი ტონების ნაირცვლას, მის გარდამავალ იერსახეებს, მის განსხვავებულ განათებას. ჩვენ ვიცით, რომ ს. ჩიქოვანის პოეზიაში პოეტურ ფერწერას დიდი კუთრი წონა აქვს. უმრავლეს შემთხვევაში, ასეთივე ვითარება სოხუმელ პოეტებთანაც.

ტრადიციულად, პოეტების რიტუალური ფერა — ლურჯი ფერია, მაგრამ სოხუმელი ლირიკოსების რიტუალური ფერა — მწვანეა.

მათ ლექსებს ფერადოვნების გარდა ახასიათებთ მელოდიურობაც. მაგრამ ყველაზე მეტად — განუყენებული პოეტური აზროვნებისკენ მისწრაფება. ამ მხრივაც, სოხუმში მომუშავე ქართველი პოეტები ყველაზე მეტ საერთოს ხიმონ ჩიქოვანის მხატვრულ კულტურასთან გამოსტენიან.



ჩვენს წინაშე დევს ახლანან ნახუნები სოხუმელი მწერლის შოთა აკობიას შემოქმედებული პოეტური წიგნი, რჩეული — „დაბადების დღე“ (1973). მწერალს დღემდე გამოცემული აქვს ლექსებისა და პოემების ათე მეტი კრებული, მოთხრობების წიგნი და რომანი „თეთრი ჩრდილი“. რჩეული „დაბადების დღე“ შედარებით სრულ წარმოდგენას იძლევა მასზე, როგორც ლირიკოსზე.

ამ წიგნთან გაცნობილმა მკითხველმა არ შეიძლება არ თქვას, რომ შოთა აკობიას პოეტური აზროვნების მანერა მოკლებულია პრეტენციულობას, დღვარტნილობას. მის ლექსებს გამოშევა ის სინათლე და სისადაფე, ის ნიავი და უზრალეობა, რომლებიც პაპისეულ ზღაპრებსა და მოყოლილ თქმულებებს განანდთ. ამის შესახებ პოეტი გარკვევით ამბობს: „შენ დამი-

ბურამ ბანბამა  
სოხუმში — ქართული პოეზიის ძლიერი ფლანგი

ბედ სინათლე მეტი, პაპისეულო კედელო, ვერო... ამიტომ, რასაც სინათლე მეტუვის, არ შემოძლია არ დავიჭერო...

უველაზე მეტი გულწრფელობა ეუფლება პოეტის ლექსებს, როდესაც მათა თემა პატრიოტული თვისებისაა. რას ნიშნავს მისთვის ქვეშარტი პატრიოტიზმი? უდავოდ, ესაა ვითარება, როცა მას მიეცემა შესაძლებლობა, რათა ილაპარაკოს ენგურის განუმეორებლობაზე, განუფრდეს ხალხური სიმღერების „ვარადას“ ან „იერიშის“ მქუხარებით, თქვას, რომ ახალუხში გამოწეობა მისთვის დროთა დარღვეულ ქავერებს ამრთელებს, ვარძაში დაინახოს, რომ აქ ბუნების სურათი იქცა ისტორიად ანუ ისტორია როგორ გამოიყურება კდლოდან ბუნებაში...

მაშულოშვილურ ლექსებში იგი აღწევს უველაზე მეტ ექსპრესიას, ეუფლება გულწრფელ საუბარს, მადალ ხასხარულო განცდას:

გამახარებს ჩვენებური „ვარადა“,  
„იერიში“ — დაქუხებას რომ ჰვავს...  
ახალუხში გამოეწეოთ, არა და  
როგორ გვიცნოს ვარძიამ და თმოგვამ!  
სალაშური მოვიმარჯვოთ, არა და  
როგორ გვიცნოს კრწანისი და მარაბდა!..

მისი ლირიის მწვერვალად შესაძლებელია გამოვაცხადოთ გრძნობის დინამიკით აღსავსე ლექსი „ენგური“. იგი ერთ-ერთი საუკეთესოა მათ შორის, რომლებიც კი საქართველოს ამ მწვერებისადმი მიძღვნილი ქართულ პოეზიაში. შოთა აკობიას „ენგური“ თითქოს პეიზაჟურ ლირიას ეკუთვნის, მაგრამ პეიზაჟურა გარემოცულობა მხოლოდ მასალაა ბედნიერი ნაშულოშვილური განცდის გადმოსაცემად. სვანურ პეიზაჟს აქ პატრიოტული საფანელი აქვს. ეს ბუნებრივია. თანამედროვე ადამიანისათვის არ არსებობს ბუნება „ეროვნების“ გარეშე; დამოუკიდებლად, დამოუკიდებლად ისტორიისგან, ხალხის ცხოვრებისგან, მისი ხასიათისგან და თვით მისი ყოფა-ცხოვრებისგან. ჩვენი ბუნება — დიდი ეროვნული სახლია. ასეთი იყო იგი პრეისტორიული ქართველისთვის და მით უმეტეს, ასეთია იგი თანამედროვე ქართველსათვის. ძველი ქართველი აღმერთებდა ბუნების ცალკეულ ნაწილებს სწამდა, მაგალითად, უკვდავი მდინარის სული, მისი ღვთაებრივი, მაცოცხლებელი დანიშნულება. ამ წარმართ ქურუმებს დღეს თანამედროვე პოეტი შეენაცვლა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაგალითად, ენგური დღეს პოეტისთვის ეროვნული სიმბოლოც არის, ეროვნული ენერჯის განსახიერება.

ერთი ნახტომით მოწყდებენ ქარაფს, ვინ დავიბედა ბოკერის მუსლი...  
ოსშივარივით ნისლები გვარაგს...  
მისი სიცოცხლეს ჩამოგავს დუდილს.  
ოსშივარივით — ნისლები გვარაგს,  
წარსულის დარდი მოგყვება დრუბლად,  
შენი ძიძაა უშა და შხარა,  
შენი ნანაა „ოლიუ“ და „ბუბა“.  
ქაფქაფა ზვირთმა, წამივით ჩვარმა,  
ახვეტა ოქრო — გორავის მინდი...  
შეხეების მეტერში ვარია ქარაგა  
და ვეფხის ტყავად ჩააცვია მითი.  
შენი ძიძაა უშა და შხარა,  
ფაფარს ივარცხნი ბრთლისფერ თითით...  
როდესაც შიშით ხეობას ბზარავ,  
პიტალოს შუბლზე ასკდება ხვითი,  
ერთი ნახტომით მოწყდება ქარაფს,  
ვინ დავიბედა ბოკერის მუსლი...  
ოსშივარივით — ნისლები გვარაგს,  
შენი სიცოცხლეს ჩამოგავს დუდილს.

ერთ-ერთ თვის ლექსში „ქობის კვამლი“, რომელსაც ბიოგრაფიული ღირსებდა გააჩნია, შ. აკობია წერს თუ როგორ ებრძოდა პაპაშის ჩვენს ისტორიულ მტრებს, დამპყრობ თურქებს. პაპაჩემი კვანლიან ქოხში ვაიზარდა, მისი თვალეზი კვამლი შურას მიჩვეული იყო და როცა თურქები ქართულ სოფლებს წვაფდნენ, მის კვამლში და თოფისწამლის შურავ ბრლში იგი თამამად იქტირებოდა და თურქებზე მიიწვდო.

მეტად შთაბეჭდილია წარმართული სულით-კვეთებით აღსავსე ლექსი „მე მინდა მთაში მთიბავად დავარე“. იგი ბუნების მომწონსული სურათებითაა შეიქმნული, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, ლექსი პეიზაჟურ უნარს არ მიეკუთვნება. თანამედროვე ქართველში, უდავოდ, ცხოვრობს უძველესი ქართველის ცნობიერება — ასეთია პირველი შემკერძებელი დასკვნა ამ ნაწარმოებშიდან.

ანაზღუდულად ლექსში ჩანს, თუ როგორ მქედროდ თანარსებობს ქართველში მონადირისა და მინდიას დარდი, რომანტიკოსისა და მენახიბრეს ფაზიელი სულისკვეთება.

მანც ლექსში უველაზე ძლიერია ბუნების პირველშობილი შერაძენება, რომელიც ხალხის ისტორიული ცხოვრებისგან განუყოფელია. ცინცხლად და ხატვანად გადმოცემული სურათები თითქოს ისტორიულ ყოფიერებას უსწრებს და ჩვენი ხალხის ცხოვრების პირველარსებული სურათების ანაბეჭდებს წარმოგვადგენს; აი, ახვა ხალხის ცხოვრება ბუნების არსებობასთან შერწყმული, — ვკითხულობთ ამ ლექსის სტრიქონებს შუა. ისტორიული ცხოვრების ფორმები იცვლებოდა და წინ მიიწვდო, ერთი საფეხურიდან მეორეზე, უფრო მაღალზე ადიოდა. რამდენად უმრავი და გახვეებული



აღმოჩნდა შანთან შედარებით ადამიანის ინსტიქტი, უყვედვისი დროიდან გამოყოფილი და ჩვენ თანამედროვეებში უხვად აღმოჩენილი.

ლექსი „მე მინდა მთაში მთიანედ აღვრჩე“ ნატურალური, სინსლხასე და მთის რომანტიკით დამშვენებული ცხოვრების მცირე საგალობელია. ასე უაღიბდებოდა ხალხში მთლიანი პიროვნება, შემმარტებელი ხასიათი და ბუნებისაში გაფრთხილების მინდაიხებური თვითდასტოვაც.

დღობინდით ვუმზერ ირმებს და არჩევებს, თითქოს გვაშორებს მანძილი მცირე. მე მინდა მთაში მთიანედ აღვრჩე და შევთავაზო ბაღახი ირემს. მე მინდა მთაში მთიანედ აღვრჩე, მაწოვოს ძღვეთ ჩანჩქერის ტალღამ, მხეცებს მივუბტე ბუნჯავში მარკვედ და დათვის ქონით გავპოხო წალა. შინდისას ნახირს ვუსმობდე ბუკით, დილით ერბოთი ვაცხებდე კათებს, მეზობლად მყავდეს ოჯახი ფუტკრის და ჩემს ყვირლზე ორბები დაფრთხეს. მინდა ავიღო ყვავილი, ქურჩი, ლექსების ქარგად — სიმღერა მწყემსის, ღამით ფუტე ჩაუყარო შუქის პაბისეული ტალით და კეპსით. იღვება ბუნჯად ბიბინა ალი, აისხას ტოტზე ნაწრწყლებს ურცხვს... მე ვიყო ფისის სურნელით მთვარალი, ციდან ვარსკვლავად მიუერთო შუროთ.

კეთილად ამხსოვრდება მკითხველის ფოლკლორული მოტივებზე შექმნილი არა ერთი ლექსი. შანინც საოცარი ჩამწვდომობის ძალა გააჩნია ხალხური წარმოსახვიდან ამოღებულ ლექსში ნახმარ უყოველ ცალკეულ სახეს თუ ფოლკლორულ პერსონაჟს. ჰემეციენტუღლად, ალბათ, მათი უყოველი გახსენება, ლექსში გაცოცხლება და მათთან შემოქმედებითად შეხება მოგვაგონებს ჩვენი წინაპრების აწ წარსოცილ, სამუდამოდ დაშრეტილ სამყაროს სურათს, მითოსურ ველტ-ბილდს. აი ძველყოლხური სიმღერა წულის ფერიაზე. როგორც უყოველი წულის ფერია, ჩანს ეს კოლხური ფატიმორგანიც სიყვარულის მსხვერპლია და ამიტომ შურისძიებაც სასტიკი იცის. ამჟამად დახალუად განწირულია მეთევზის ვაჟი; წულის ფერიაში ტბაზე ცმცხლი დანთო, ღურჯი კაბით შეიმოსა და უცდის ვაჟის გამოჩენას: მას უყვარს ასალგაზრდა მებადური და ჩქარა დალუპავს კიდევ ტბის ტალღებში. ასეთია მისი სიყვარული.

1 ყვავილი — თოფის სახეობაა.

მებადურის ვაჟი უყვარს ვერაგში აბარება, რამე-ჩერა, რერა...

ფოლკლორულ მოტივებთან ახლოს დგას და ძალზე ლირიკულ ტონებშია გადაწყვეტილი შ. აკობიას „აფხაზი მონადირე“. ავტორი დაოსტატებული ჩანს ხალხური ზეპირსიტყვიერების წვდომის სფეროში და არაიშვიათად შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ სახეებს სვანური, აფხაზური თუ მეგრული ფოლკლორის უმდიდრესი არსენალიდან. ეს უპრეტენზიო ლექსიც — „აფხაზი მონადირე“ თითქოს აფხაზური შელოცვის პოეტოზაციას წარმოადგენს:

ბინდმა ფრთები გაშალა, იქნებ მხარი მეცვალოს, ვარსკვლავების მაშხალა მომამეულე შეკაო... იქნებ მხარი მეცვალოს, ბინდში საით გავიწიო? ფრთა მათხოვე მერცხალო, ფრთა შემაბი არწიო. მთვარე მთას ვერ ასცილდა, იქნებ გზებმა დალალა. მელის ჩემი ასიდა, ჩემი თვალბმაყავალა...

შეხანიშნავია ციკლი ლექსებისა კოლხური ფოლკლორითად. ციკლი, სამწუხაროდ, მხოლოდ, სამი ლექსია: „საცოლის მძებნელის ლექსი“, „ერთმა გოგამი“, „მეწიხქვილის ცოლი“, რომელთა ტექსტები ავტორის ჩაუწერია წაღწევის, გალისა და ოჩაშირის რაიონებში. რა კარგს იზამდა ავტორი, რომ მტტი მასხალა შეეკრბა და გადმოელო კიდევ ქართულ ენაზე! მოყვანილი ლექსები გამოირჩევა ფრთხილი მუშოროთ, ჰემეშორტად ხალხური მახვილგონიერებით, რომელიც ზოგჯერ (მაგ. ლექსში „მეწიხქვილის ცოლი“) მწვევე ირონიზში გადაიზრდება.

დიდი სამამულო ომის თემა ფართო ადგილს იკავებს პოეტის შემოქმედებაში. განსაკუთრებით შთამბეჭდავი აღმორნა მისი „ბალადა დაკარგულ მეგობარზე“. ამ სვედიანი ბალადის სიუჟეტი ამგვარია: როდესაც პოეტის მეგობარი ვაჟაკი ოში გაიწვიეს, მისი გოგონა მთლად პაწაწინა იყო და „თმაზე აქდა ბანტი პეპელასავით“. ამოდ ელოდა ოჯახი ოში წასუბლ, ქართველი ვაჟაკი შინ აღარ დაბრუნებულა, ფრონტზე დაიღუპა. მისი ქალიშვილი წამოიზარდა, „გადაიქცა ტანაშოლტილ ასულად“, შემდეგ გახოვდა და თავად იქცა დედად. ახლა ოში დაკარგულის სახლ-კარსა და ეწოში მისი პატარა შვილიშვილი დაბიჯებს. შვილიშვილი იმდენად წამოიზარდა, მას შინმოუსვდელის სურათს აჩენებენ და უხსნიან, რომ იგი პაპა მისი. მაგრამ შვილიშვილი არ სცნობს ასე ახალგაზრდა კაცს პაპად:



— აი, ბაბუ! — აჩვენებენ სურათს და...  
ბავშვი ეკვით გადახედვას დედაბისს;  
დაიჭეროს? ეს ბაბუებს სულ არ ჰგავს,  
ყრმა ბაბუა ვის უნახავს ხეტავი?  
დაიჭეროს? ნორჩი ბაბუ უღიმიას,  
ყმაწვილ მხედარს ძლივს ემჩნევა უღვაში...

უღვაოდ, შთაბეჭდილებას ქმნის და  
გრძნობას დრამატულს შეიცავს ლექსი „ნაპო-  
ლეონის ხარკე ზუგდიდის მუხეცხში“. იგი არაა  
მოკლებული თემის ღლიოსოფიურ გააზრება-  
საც და ამქვეყნიური დიდების წარმავლობის  
ირონიულად მოწოდებას.

შ. აკობას სასიყვარულო ღირსიდან, რო-  
ნელივ არცთუ ისე მრავალრიცხოვანადაა წარ-  
მოდგენილი კრებულში „დაბადების დღე“, ჩვენ  
შემდეგი სტრიქონები დაგვაშახსოვრდა:

როცა წვიმებია, როცა ქარებია,  
მთები ამღერდება, შენაც ამღერდება.  
გული არ გქონია, თუ არ გყვარებია,  
თუ არ გყვარებია, ჩქარა დაბერდება.  
ცაში მოუღარუნე წვიმის დარღვბი,  
მუხებს ანანავებს, თელებს ანანავებს.  
ფრთები არ გქონია, თუ არ გყვარებია  
და არ გიფრენია ზეცის თავანამდე...

როცა ღამეა და შშამე ქარებია,  
ელვა შევაშინებს, თუ არ გყვარებია.

ამ ლექსის („სიმღერა წვიმაში“) სტრიქონებს  
განმარტებითვის ვერაფერს დავუმატებთ ვა-  
რდა იმისა, რომ უნდა აღინიშნოს მისი მელო-  
დიურობა. ლექსის მელოდია ვითარდება ისე,  
რომ იქცეს სიყვარულის მელოდიად. ეს მე-  
ლოდია, რომელიც ტექსტთან განუყოფელია,  
გრძნობის უაქიზ მოძრაობას გადმოსცემს, მე-  
ლოდია — გრძნობის მსგევლობაა, მისი ტონა-  
ლური ნახატი. გრძნობა კი აქ ძალზე გულ-  
წრფელია. ასეთი უნდა იყოს სიყვარული —  
ამაზე მღერის ეს ლექსი.

ეს მცირე შენიშვნები შ. აკობას წიგნზე  
ჩვენ გვიჩვენებს დავასრულოთ იმავე სიტყვებით,  
რომლითაც ისინი დაიწყეთ. პოეტს სჩვევია  
საკუთარი ძალების წინასწარი მოსინჯვა და „სა-  
თქმელის მოქნევა“ თავისი „ღონიერების“ შე-  
სახამისად. აქედან მომდინარეობს მისი უპრე-  
ტენზიო კილო პოეზიაში, მხატვრული წინასწო-  
რობის თავისებური გრძნობა. მისი შემოქმედე-  
ბითი ბედნიერება მის „ერთადერთობაში“ კი  
არ მდგომარეობს, არამედ ერთიანობაში მამუ-  
ლის დიდ მგალობელ გუნდთან. ამაში პოეტს  
ეჭვი არ ეპარება და ეს ანიჭებს კიდევ მას შე-  
მოქმედებით ძალეებს.

ეს დღე მავებებს მშობლიურ დიმილს,  
სხივები მათოს... კითხვებიც მათოს:  
უსახლერო შეუქი მამულში ლვივის,  
მე — ნაბერქალა რა გავანათოშ!

თუკი მოვინდომებთ გამოცემა უკლებლად  
თავისებური ნიშანი გენო კალანდიას პოეტური  
კრებულისა „მე და შენ“ (1977), ალბათ ეს იქ-  
ნება ერთგვარი ესთეტში, სილამაზის გრძნო-  
ბის განსაკუთრებული კულტივირება. მართა-  
ლია, გენო კალანდიას პოეზიაში შეინიშნება  
ერთგვარი ეკლექტიკურობა მხატვრული აზრო-  
ვნების მანერაში, მაგრამ ეს უნდა აიხსნას  
იმ ერთგულებით, რომელიც მას გააჩნია თა-  
ნამედროვე ქართული პოეზიის კლასიკური შე-  
ქვიდრებისადმი. უახლესი ქართული პოე-  
ზიის თითქმის ყველა უბანი და სფერო მის  
შემოქმედებით ინტერესებშია მოქცეული.

სავსებით განსაკუთრებულია მისი დამოკი-  
დებულება იმ პოეტური კულტურისადმი, რომელიც  
შეინიშნავს ჩვენში „ციცინტრუანული-  
თა“ კორპორაციის პოეტებმა. გენო კალანდიას  
პოეზიაში შესამჩნევია ესთეტაში გამოძახილი  
უნდა იყოს სწორედ „ციცინტრუანულითა“ პო-  
ეტური პრაქტიკისა, მისი შემოქმედების პო-  
ეტური ფესვები ქართული პოეზიის წარსულის  
იმ მონაკვეთშიცაა მკვიდრად გადგმული და  
ამიტომ ავტორის შესახამის პოეტუქციას ოდ-  
ნავი ანაქრონიზმის იერი დაჰყავს.

როცა სილამაზე იქცევა მხატვრულ ბოზად,  
ალბათ მასშინა შესაძლებელი იქნა, რომ „მო-  
დიოდა ბალის ხე ძოწისფერ კიშროთი“ ან  
„იასამნის შორცეში გასაფხული დამხრცვლა...“  
ჩვენ არ დავიზარებთ და მოვიყვანთ რამდენიმე  
ადგილს კრებულდან „მე და შენ“, რომლებიც  
თვალნათლედ წარმოადგენენ რემინისცენიებს  
ქართული სიმბოლიზმის პოეტური მიმკვიდ-  
რებოდან. შემოთავ ითქვას და ახლაც ვაგიმე-  
ორებთ, რომ ეს გავლენა ერთ-ერთი შენაგადა  
გენო კალანდიას პოეზიისა, რომელიც ხარბად  
ეტანება, აგრეთვე, სხვა ტენდენციებსაც თანა-  
მედროვე მშობლიური მწერლობის.

გასაგებია თავიანთცემა, რომელსაც გრძ-  
ნობს პოეტი ქართული პოეზიის გასული ეტა-  
პების მიმართ და ჩვენც, უნდა გამოვტყდეთ,  
სიამოვნებით ვადევნებთ თვალს ზეგავლენის  
ისტორიასა და მიმართულებას ავტორის ზო-  
გიერთ ლექსში, მაგრამ აქვე ვიტყვით, რომ  
ლექსის სიცოცხლისთვის ძალზე მნიშვნელოვა-  
ნია, რომ არ დავგავანოს იგი სამუშეუშო ექსპო-  
ნატს.

აი, ერთი ტაბი-ექსპონატი, რომელიც ავ-  
ტორის ესთეტურ გემოვნებას გვიჩვენებს:

გამოდის ლედი ძვირფასი პლედით  
და ხალხის ტაში ვარდივით მიიქვს...  
მე მოწამული პუსყინით, ლედით,  
სასახლის ბაღით ვბრუნდები გვიან.

უღვაოდ, ქართულ მწერლობაში ამ ნახე-  
ვარი საუკუნის წინ უკვე მიწყარდა ის პოე-  
ტური ხმები, რომლის რემინისცენიებიცაა იწ-

ვეენ მსგავსი სტრუქტურები: „ვარ უზრუნველი უფლისწულივით, ისევ ვოცნებობ და მიხარია“ ან „უკანასკნელი მე ვარ მარჯონი და ლექსია — ჩემსი ქირისუფალი“. ზოგჯერ წარსულის პოეტური ბატონობა გატაცება ანდა მათი სტილიზებულიად წარმოდგენა არაა დაზღვეული რომენსისგან. ამ დღეჭი, რომელიც თითქოს ჩანარულქციაა აღმართვი გაფაქტოონის ინტონაციებისა და გაუნუმორებელი მუსიკალური ენის:

აი, სასახლე მთაერის,  
აი, ღედოფლის ბალი,  
ვით სამეგრელოს მავრი  
მეტებები მუსიკით ბახის...

რაც არ უნდა სტილიზებულად აღვიქვით ეს სტრუქტურები, მითხველი შინაგან მხატვრულ ლოგიკას ვერ გამოჩანავს მათ შორის, თუ რატომ უნდა ტკბებოდეს სამეგრელოს მავრი ბახის მუსიკით. ამ უსათაურო ლექსში („აი, სასახლე მთაერის“) მეტად დიდია მხატვრული ინტერციის ძალა და ამიტომაც თავად ავტორის სათქმელისთვის ადგილი ცოტა რჩება, პოეტური დამოუკიდებლობის ხარისხი მინიმუმში მდებარეობს. პოეტმა, ლიტერატორმა უნდა აითვისოს წარსულის მდიდარი ტრადიციები, მავრი ტკვიედ არ უნდა ჩაბარდეს მათ.

თანამედროვე ქართული პოეზიის კლასიკური მემკვიდრეობაშია ბევრად უფრო გამანაყოფიერებლად მოქმედებს გენოკალანდიაზე რელიგიური ტენდენციების უსწველი პოეზია. ლექსი, რომელიც პოეტმა თავის ქალაშვილის ძმად, გაწუობილია ვიორჯი ლეონიძის კალაშე და ცხოვრების სისხლის იმ შეგრძნებითაა შექმნილი, რომელიც ჩვენს პოეზიაში მხოლოდ ლეონიძისეულია. მსოფლშეგრძნების ეს სათეტიკური იერი, ცხოვრების მოვლენების ეს სისხლქარბი აღქმა, ცხოვრების გაწერება სისხლიან და მწვავე დრამად, ხოლო სიყვარულის გრძნობის განსილვა მძაფრ ისტორიულ ფონზე — ყოველივე ეს გენოკალანდიას ზოგიერთ ლექსს ანათესავებს ვიორჯი ლეონიძის ცნობილ შედევრებთან. ერთ-ერთი მათგანია თუასადმი მიძღვნილი ლექსი „ჩქარა“:

ჩქარა ჩანავი მომეცით, მგალობელი, წყაროლა,  
ჩქარა ლექსით, სიმღერით შევივივი იარა.  
ჩქარა იაშვილივით, შვილო, სასახლე

ვიცლები,  
ჩქარა უნდა ავიხსნა შარშანდელი სიზმრები.  
ჩქარა ქვემოთ დამივებს ფაცხაფუცხით

ფაცერი  
და მორვეში ისროლეს ყველა ჩემი ნაწერი.  
ჩქარა უკვე გათხარეს, შვილო, მამის საფლავი,  
ჩქარა გაღმა წყალს მიაქვს მთვარე

დასადაფნავი.  
ჩქარა ტორლოსავით გაზაფხულზე  
მოკვდები...

მართლაც დიდ ადგილს აკავებს პოეტის ცნობიერებაში და მის პოეტურ რეველშიც მამულიშვილური თემატიკა. წერილ სამშობლოზე — გენოკალანდიასთვის ეს სინაზავ იგრძნო თავი სამშობლოს მოქალაქედ, მის უფლებამოსილ წევრად, ეროვნულ პოეტად და საერთოდ, პოეტად. პოეზია მასთან იწყება სამშობლოს გრძნობით. მან დიდი ხანია იცის, რომ პოეზია მხოლოდ ეროვნული შეიძლება იყოს. სამყაროს ხატის, სინამდვილის სურათის, პოეტური ველბობლის შექმნა შეიძლება მხოლოდ ეროვნულ პოეტურ ენაზე. ეროვნულობის მიღმა მხოლოდ უღაბნაა.

ერთ-ერთ ლექსში („მეტყვი: საქართველოს სიკვდილს“) გამოთქმული მისი პატრიოტული მცნებები ტანიურია მისი პოეზიისთვის მთლიანად. ამ ლექსში მისი პირველი ორი სტრიქონი გრძნავად აკითხება, როგორც მკრტხედური შეპირისპირება, მაგრამ შემდეგ ავტორის აზრი უფრო ნათელი სდება: თუკი საქართველოს გადაშენება ელის, ყოველ ჩვენგანს თავზე მაწანწალას ქული ელოდება.

მეტყვი: საქართველოს სიკვდილს  
მიკობს მაწანწალას ქული,  
მეფის, უფლისწულის გვირგვინს —  
წყვილი სალამური წუნდის.  
მეტყვი: წითელუღა კირცელს  
მიკობს ჩვენებური ვარდი,  
ყველა კარდინალის სიბრძნეს —  
ცოტე დადიანის დარდი.  
მეტყვი: ჩრდილოეთის ტურფას  
მიკობს ჩვენებური ქალი,  
მეფის, უფლისწულის სუფრას —  
ეკით მონაყური წყალი.  
მეტყვი: ჩრდილის ბაღებს  
მიკობს ჩვენებური ყანა,  
მონის, მოალატის სახელს —  
ჩემი დასაკლავი დანა.

განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ლექსების ციკლი „კოლხური მოტივებიდან“. სინაშლის გრძნობას იწყებს ის, რომ ციკლი მხოლოდ ორი ლექსითაა წარმოდგენილი: „მეორდით მოგაქვს“ და „თეთრი ისლის ქოხი ჰქონდა“... მეგრული ფოლკლორის ეს ორი მშვენიერი ნიმუში ავტორს კარგ ლიტერატურულ დონეზე აქვს დამუშავებული. ყოველი კერძმარტი პოეტი დროდადრო უნდა მიუბრუნდეს თავისი ხალხური პოეზიის პირველსაწყობებს, როგორც სახინჭ ქვას, უდაშეშეშის საკუთარი ხედოვნების ორგანოობა.

დიდი ქართველი პოეტის გ. ლეონიძის შესახებ ზოგჯერ თქმულა, თითქოს იგი ქართუ-

---

მურამ პანაბაშვილი  
სოსოში — მართალი კომპიუტერული  
ფლანგი



ლი პოეტური ფოლკლორიდან ამოიარდა და მხატვრული აზროვნების კალაპოტები და მას-შტაბები ამგვარად ჩამოყალიბდა. ეს შეხედუ-ლება მთლად სწორი არაა. გ. ლენინიმ, უპირ-ველეს ყოვლისა, დიდი პოეტური სკოლა გა-იარა და მალალ ლიტერატურულ დონეს მიღ-წევთა — იგი გამოდგმულ კავშირში იყო ქარ-თულ მითოსთან, ფოლკლორთან და ისტორიას-თან.

უფრო მეტად უნდა იყოს ასახული სოხუმე-ლი პოეტების შემოქმედებაში როგორც საქა-რთველოს ამ კუთხის ფოლკლორული მოტივე-ბი, ისე სხვა კუთხეების ხალხური პოეზიის სა-ხეებთა და მოტივების დაინტერესება. (მე-გრადი, აფხაზური, ზევისური, აქარული, ფშავური თუ საქართველოს ბარის პოეტური ფოლკლორი — აღთქმული ქვეყანა მდიდარი წარმოსახვის ქართველი პოეტისთვის). იყოს ფოლკლორული თუ მითოლოგიური სახეები და სიუჟეტები სტილიზებული ან მოდერნიზე-ბულად მოაზრებული, მაგრამ იყოს და რაც შეიძლება უხვად!

ჩვენ მიგვანია, რომ გენო კალანდიას ლექ-სში „აქ ისეთი გასაფხული მოდის“ იგრძნობა ქემშარიტი მღვდლვარება, მეტყველი პოეტური განცდა, გრძნობის დინამიკა. ეს კი დაკავშირე-ბულია, უდავოდ, იმ გარემოებასთან, რომ ამ ლექსში, სხვებთან შედარებით, მეტია ხალხურ კილოსთან და ინტონაციებთან, ლექსიკა-სთან და თემებთან სიახლოვეს განცდა. ლექსი, ალბათ, აფხაზეთისაღმა მიმდევნილი და ეს მხარე თითქოს ზღაპრულ-მითოსურ გარემოში მუჯს ჩასატული: ახე უფრო მძლვარად, ორგა-ნულად და ინტიმურად იგრძნობა მშობელი მიწის საახლოვე და განუყოფლობა. ისტორიის გრძნობა, მითოსურ სახეებთან შეხება თუ ხა-ლხური კილოსთვის ხმის აუოლება — ჰქმნის ერთგნული ინტიმის მათობელ გრძნობას, სულის გამოზობ, გულისშემკუმწველ განცდას.

გ. კალანდიამ თავისი პოეტური ხმის ორგა-ნულობა, ძირითადად, ამ მიმართულებით უნდა დაამკვიდროს.

- აქ ისეთი გაზაფხული მოდის,
- აქ იმგვარი მირონი დულს, მშებო!
- რიყრყეების მოქაფქაფე ბლანდით
- ვფასავით მინდა სული გვეუბო.
- აქ ისეთი თუთარჩელა იცის,
- აქ იმგვარი იდუმალი დადის,
- დილაბინდზე ნაქადურს სიცილს
- კალმახივით ამოიყვან ბადით.
- აქ ისეთი გადმოღებდა ხეითო,
- აქ იმგვარი ნიავი ქრის მუდაბ...!
- და პირველი პოეტი რომ იყო,
- აქ ადგილას დეისახლო უნდა.

კლინირმა პატრიოტული ნაქად-გურამაშად იშარიახ ახალგაზრდულ, სურათოვან პოეზიაში. მის პირველ კრებულში, რომელსაც ეწოდება „სხალომლები შენთვის“, მამულიშვილური მოტივები მეტად თვალსაჩინოა. სამშობლოს სიყვარული აქ უანგარო რომანტიკათაა აღსა-ვსე. განსაკუთრებით ახალგაზრდულ ასა-შია. მოუცდილებით რომანტიკული მსოფლ-მა პატრიოტული გრძნობისთვის (საერთოდ სა-ყვარულის გრძნობის ყოველგვარი გამოვლენება ხსენებულ კრებულში რომანტიკული ხასია-თისა).

„სხალომლები შენთვის“ ისინება ლექსით, რომელსაც ეწოდება „მამულს“. ჩვენ ერთი წუთითაც ვერ დავუშვებთ, რომ კრებულის ამ ლექსით ვახსნა „ოფიციალური“ მოსახრებით იყოს ნაკარნახევი. ეს ლექსი მეტად ორგანუ-ლია ავტორის მსოფლშეგრძნებისთვის, მისი პოეტური ტემპერამენტისთვის. სამშობლო მას ყველაზე რომანტიკულ სახეებში და ფე-რებში წარმოუდგენია. დილა, რომელიც მას ყველაზე მეტად მოეწონა, ხე, რომელიც სი-ოცხლის გამოუთქმელ შინაარსს მოიცავს, ბინული, რომლის სწორედ ბროლფერი სიანგა-რე ინიდვს და ბოლოს, ფოფოლი, რომლის ადგილი ბუნებრივ ღირებულებაა იერარქი-აში მისთვის მეტად მაღალია — ყოველივე ეს ქმნის სამშობლოს სახეს, სამშობლოს სიყ-ვარულის პოეტურ მოსაიკას.

მაგრამ ეს პატარა ლექსი — „მამულს“ სამ-შობლოს სახის ფერწერული წარმოდგენით არ მთავრდება. გურამ ოდიშარის მოქალაქეობრივ სულისკვეთებას ჩვენ ლექსის მეორე ნახევარში უფრო ვეცნობით. მისი მტკიცე რწმენით, ის რაც სამშობლოს მშვენიერ ნაკეთებს და სა-ხეს შეადგენს, სწორედ ის — სამშობლოს სამსხვერპლო ცეცხლზეა მისატანი. ყველაზე მშვენიერი და ყველაზე ძლიერი, რაც კი საუ-ლადგმულობს, სამშობლოს დიდი სიცოცხლის სახელით უნდა დაიფრფლოს და „გათავდეს მის ხელბში“. ეს ხელმისი კანონზომიერე-ბაა (სამშობლოს მისი საუკეთესო ძალები ეწირებოდეს) და მისი მოქმედების კანონიერ-ება ენისი არა მარტო პოეტს, არამედ ყოველ ღირსეულ მამულიშვილს.

ეს დილა, ეს ხე, ეს ბინული და ეს ფოთოლი, შენს სახელს რომ დაუფლებიან, შენზე გალობას რომ ამარაგებენ, ერთხელ იქნება, იფეთქებენ, ცისიერ ფერფლად დაგდებენ, ჩაგეხვევიან და იყუჩებენ, გათავდებიან შენს ხელბში.

ქართულ კლასიკურ პოეზიაში ფენიქსის მი-თოსური აღორძინებადი ბუნება, როგორც გვა-





ზნაობს, მიწიერებულს აქვს ჩვენს მრავალტანკულ დედა-სამშობლოს. ლექსში „მამულს“ მისი ავტორი სამშობლოსვე ევებრება, რომ ფენიქსური ბუნება მიაჩნის იმას და იმით, ვინც მას შეეწირა. ვინც მამულის სახეს წარმოადგენს და ვინც მის მშვენივებს შეადგენს, ისინი მუდამ უნდა მეროდებოდნენ სამშობლოს მარადიულ ცხოვრებაში.

რატომ ეწოდება კრებულს „საგალობლები შენთვის“? წიგნის მეროდ ნახევარი, მართლაც, შედგება რამდენიმე „საგალობლისგან“, თავისებური ჰიმნებისგან. ისინი ისე არიან მოფორმებული, რომ მკითხველმა ბუნების ჰიმნებად აღიქვას, მაგრამ პირველი ორი — „ლურჯი საგალობელი“ და ნაწილობრივ „წყლის საგალობელი“ სიყვარულის ჰიმნებასაც წარმოადგენს. ავტორის აზრით, ზღვისპირეთის აუწერლად მრავალფეროვანი და სურათოვანი ბუნება საუკეთესო ფონია მისთვის სასიყვარულო გრძნობების გამოხატადა.

როგორც სხვა ლექსებში, ისე პოეტურ ციკლში „საგალობლები შენთვის“ თვალსაჩინოა ავტორის მიდრეკილება განცდიხა და აზროვნების მაქსიმალური ხალვათობისა და თავისუფლებისადმი. გ. ოდიშარიას მეთოდურად და პრინციპულ დონეზე შეაქვს თავისუფლების გრძნობა შემოქმედებით აქტში. პოეზია აქ იხლება თავისუფლების პლასტიკური განცდიდან.

მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ თავისუფლება საკმაოდ სახიფათოა და საშიშ ფენომენს წარმოადგენს თვით ხატოვანი აზროვნების სტერეოტიპი. მისი მოდერეკა შეუძლია მის თანატოლ სიბრძენს. ამას გარდა, შემოქმედებითი თავისუფლება ნიშნავს ესთეტიკურის ფარგლებში თავისუფლებას და არა ესთეტიკურ თვითნებობას, უკიდურეს თავნებობას.

თუ რასთან დეკავირებით ვთქვით ყოველივე ეს, ახლავე განვმარტავთ, საგალობლებიდან ჩვენ უველაზე მეტად მოგვეწონა ბოლო: „სინრუმის საგალობელი“. რატომ, რა ნიშნით? ჩვენი აზრით, ამ უკანასკნელში ყველაზე მისაღებადაა დაცული პროპორციები მხატვრულ ლოკაცასა და სანახევროდ ალოგიკურ მხატვრულ აზროვნებას შორის: გრძნობის რეალიზში, ფრაზისა და აზრის ლოგიკური კონსტრუქცია და ამდენად, შთამბეჭდაობის ქადა აქ უდავოდ პრევალირებს ალოგიკურ სტრუქტურებზე, ლიტერატორიზმის ბერწ სახეებზე და აფექტაციის დონემოხილვობაზე. მე ვიტყვით უფრო მეტს: „სინრუმის საგალობლის“ პირველი ათი შესანიშნავი სტრიქონი წარმოადგენს მის სულს, მის მხატვრულ დვიტას, მის პოეტურ ტონუსს, ხოლო შემდგომი ადგილები, სადაც თავისუფალი ასოციაციები უშორებულს მინიშნებებში გადა-

დიან და ალოგიკურობის მიჯნუბთანაც არიან მიახლოებული, თითქოს მხოლოდ ინერციით ვითარდებიან და დასაწყისი პირველი სტროფების უღონო ასლებსა და ანაბეჭდებს წარმოადგენენ.

ყოველგვარი სახის ლიტერატორიზმის პოეტური ინერციის ცუდი გემო დაპყრავს, ხოლო შემოქმედებითი სტიქიის მოდუნება თუ მუსიკური შესულებბა ავტორს თავისებური ესთეტიკური თავნებობის უფლებასაც აძლევს, რაც თითქმის გამიჯნული არაა მხატვრული ნონსენსებისგან.

ჩვენ აქ მოვიტანთ უადრესად შთამბეჭდავ დასაწყის სტროფებს „სინრუმის საგალობლიდან“, რომელსაც შემდგომში შევუდარებთ არაშემოქმედებითი ხასიათის ზოგიერთ სახეებსა და სტრუქტურებს.

„სინრუმის საგალობლის“ მთავარ თემას წარმოადგენს მინც დემილის დრამატული საწყისების ძიება. უდავოდ, ამ აპოლოგეტურ ნაწარმოებში დემილია ავტორის შთაგონების წყარო, რომელიც „სინრუმისგან“ იმით განსხვავდება, რომ მის (სინრუმის) უმაღლეს სულიერ ხარისხს წარმოადგენს; „სინრუმის“ ფიზიკური არსისაგან განსხვავებით — „დემილია“ მისი გონით იპოტასია. ამ მხრივ, „დემილია“ მეტაფიზიკურ შინაარსზე, უნდა მოვიხსენიოთ მეტად საინტერესო ნაშრომი გიორგი ვარჩხილიძისა.

ავტორის მიერ „საგალობლებში“ ხაზგასმულია გამოუთქმელი არსი დემილიისა, მისი ფართული, მისტიკური შინაარსი.

იქნებ ყვირილი დაუბრუნდეს უძრავ ბაგეებს, მეტველებს გადარჩენილი, იქნებ სჯობდეს და დაიწუტოს ხმები სინრუმედ. იქნებ იაროს უქმო ჩრდილმა, უქმო სიცილმა დაამსხვრიოს ზეცის უენო ბურთულები, დამუწყებულმა დღემ გაიგულოს უკანასკნელად.

ბავშვო, კივის ის, ვინც ჩუმადაა. ბავშვო, ყველაზე უმძლავრეს ბინდსახოვანი ქვების ხმები და თევზების საუბარი დაყრუებულ მიმოქცევაში. და მინც, როგორც არ უნდა იყოს, შენ მოკითხავ მოგონებებს, როგორც ბუმბულებს — გაფრენილ გედს...

უნდა მთელის პირდაპირობით ითქვას, რომ შემდგომი ნაწილები ამ ნაწარმოებისა, დასაწყის სტროფებისგან განსხვავებით, ძალზე ხელოვნურია, ზერეული, ლიტერატურული წარმშობლ პუნქტებზე სოხშიში — ქართული კომიკის ძლიერი ფლანგნი

მომავლობისა — პოეტურ ანანთა გადამღერება და ამიტომ ცუდი გემოვნებითა შესრულებული. მაგალითად: „სიცარიელეს ანთო შეთი“ — ეს პოეტიზმიც კი არა.

მაგრამ ჩვენ თავს ვანებებთ ამ ნაწარმოებს და დავახებლებთ რამდენიმე ნიმუშს იმისას, თუ როგორ არ უნდა წეროს პოეტმა, რომელიც ილტვის თავისთავადობისკენ, თვითმეორობისკენ, შემოქმედებითი სიმწიფისაკენ.

არც ფრანკოგოგორად, არც ანობრივად არაა მისაღები: „ნუთუ ეს ის გოგონაა, რომელიც მუდამ ლოცმანობდა მანძი სიწმირების უჩინო აფრებს?“... ან: „ეკნერეობი არწევინ საკმლევს, მათუწიბელნი მუიფე დღეების...“ „გაფიანებია საათის ხმაურს გაწაფსულის ანგალოსები“...

იგივე მიზეზებით მიუღებელია: „დილა დღურჯი ცეცხლი შენთან შეხვედრის დიუნების მწუხრადღებაზე“. ან: „უხრებში მოფიფივებს დაკვენსებული უფრო ღიმიონის“... და სხვ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ხსენებული კრებული მკითხველს უფრო ამახოვრდება გ. ოდიშარის ცალკეული შემოქმედებითი გამარჯვებები, ცალკეული წარმატებული მხატვრული სახეები და მიტაფორები, რომლებიც ავტორის კარგი პოეტური მომავლის წინამძღვრებად ეცნოლან. მას ეხებება აქვარელური სახეები: „მეტრედი პატარა დოლა...“ „ხეო, შენ დიღის ჩურჩული ხარ თუ დილა არის ფოთოლი შენი?“ მაგრამ უფრო ტიპურია ექსპრესიით გამორჩეული ფერწერა: „როცა ჭიხვიწებენ სისხლში რაშები, მათი ნაღები აპრილებია...“

წამიერი, იმპრესიონისტული ჩანახატები ხშირია გ. ოდიშარის ლექსებში, მაგრამ, ჩვენი აზრით, მისი მხატვრული ხელწერისთვის იგი არსებით და წამყვან ბელოდს არ შეადგენს. ფიჭვის ტანს იგი ცისკენ მიმავალი კვამლის კონფიგურაციას ადარებს, თავის აყოლებს ჩიტის ვაფრინას, რომელიც პაერში კვალს არ ტოვებს.

რძინე კალანდიანს პოეტური კრებული „გამოღენა“ (1978) იხსენება ლექსით, რომელსაც ავტორმა უწოდა „ქებათა ქება № 31“. როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, ეს ლექსი მართლაც კანერტონის მოვალეობას ასრულებს კრებულისთვის და მასში მართლაც ფოკუსირებულია რ. კალანდიანს, როგორც მხატვრის, არაერთი პოეტური საიდუმლო, მისი პოეტური ხელოვნების არსებითი ნიშნები.

საერთოდ, რ. კალანდიანს პოეზია კონსტრუქციულია და ყოველი თავისი საიდუმლო ხელიხელუწე მოაქვს. იგი, ალბათ, ფიქრობს, რომ ხელოვნებაში იმდენად დიდია ხელოსნობის

ილემენტი, რომ ეს უკანასკნელ ლექსში თანახმობრუფლებიან კომპონენტად უნდა წარმოვიდგინო და მისი (ხელოსნობის) სწავლადღება რაობის“ გუნების არტისტული ხასიათი მიეცეს.

სწორედ ამგვარი კონსტრუქციული ტიპისაა „ქებათა ქება № 31“. ხელოსნობის კომპონენტის აქ მთლად წინა პლანზეა გამოტანილი და ასე განისაზღვრავს, ერთგვარად ნიღბავს თუ ჩრდილავს მთავარი თემის პლანსაც: ახალი პოეტისა მოითხოვს თემის ახლებურ მოწარმებას. ამ მხრივ, რ. კალანდიანს ეუთუნის „ახალი რეალობის“ პოეტებს, რომელთა რიცხვი 80-იან და 70-იან წლების საქართველოში სულ უფრო და უფრო მატებლობდა და მატულობს. კრებულში „გამოღენა“ პრევალირებს თავისუფალი ლექსის ტექნიკა, თავისუფალი ლექსით დაინტერესება მისთვის მოდური გატაცება არაა, იგი პრინციპის დონემდეა აქვანილი და ნოეკონფორმისტული იერსახე აქვს მიცემული.

ნოეკონფორმისტული გადაწყვეტა აქვს ხსენებული ლექსის თემსაც, რომელიც თავისუფალი ლექსით არის დაწერილი. რატომ ეწოდება მას „ქებათა ქება № 31“? დავევთანხმებით, რომ არაპროფესიონალური მკითხველი მას ვერაურობს ვერ მიხვდება, იმიტომ, რომ ამგვარი სათაური შედგება პრიობითა, საქმე ის ვახლავთ, რომ ავტორის „ქებათა ქება“ აქ ძველპოეტურ „ანანთქების“ ეანრთან არის დაახლოებული, ხოლო „№ 31“ კი იმიტომ ეწოდება, რომ შექმნილია ქართული ანანთის ოცდამეთერთმეტი ახო „ხარბი“...

მინც რატომ ეწოდება ლექსს „ქებათა ქება“? როგორც ნაღლა აღვნიშნეთ, არატრადიციულობისა და ნოეკონფორმისტული სულისკვეთება კრებულში ძლიერია და მასწავლა კი, რომლებც პოეტი ტრადიციულად კრებულს ხსნის ეროვნული სწრაფებით აღბედილი, ქეშმარტივად პატრიოტული ლექსით, იგი ნიღბავს ამ თემს და თავის თავმდაბლობას თუ ხიზორცხვის ბუნებრივ განცდას (რაც გრძნობის გამხელას თან სდევს...) თითქოს ახშობს თუ ხელოვნურობის ცუდით მოსავს. „ქებათა ქება“ — ეს ხამშობლობს, საქართველოს ქებათა ქებაა. მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს თემა ვაშუალებულია „ანანთქების“ ეანრითაც, ქართული აღუზანების უეშეაკო საიდუმლოთი, განმარტებით ლექსიკონის ინფორმაციებითა და დოკუმენტაციით და ბოლოს, თავისუფალი ლექსის კონსტრუქციული პოეტისთვის, რომელიც, შეიძლება, მართლაც ენასუხეულობს „ანანთქების“ ძველპოეტურ სტრუქტურებს...

მხოლოდ „ანანთქების“ ძველქართული ეანრი არ აძლევს უფლებას რენე კალანდიანს იყოს საწვასნით ხელოვნური და „ხელოსნობის“ მონენტი წინ წამოსწიოს ხსენებულ ლექსში. „ქებათა ქება № 31“ იმითაცაა ნიშნული მთელი კრებულისთვის და როგორც აღინიშნა, წიგნში

კამერტონივით უღრმად, რომ მასში გარკვევით ჩანს ავტორის მოუკლავი წყურვილი პოეტური ეგზერსისისადმი. ლიტერატურული ვარჯიშობანი მას მეტისმეტად იზიდავს (რითაც იგი ცნობიერად თუ არაცნობიერად გამოხატავს ერთგვარ უკმაყოფილებასაც საკუთარი მიღწევების მიმართ). პოეტური ეგზერსისი, ალბათ, უკმარისობის განცდილიცაა გაპირობებული, რამეთუ ერთი დიდი ხელოვანის სიტყვით: ბელლოვენაში მთავარია არა ძიება, არამედ მიგნება. ავანგარდისტული ტენდენციები კრებულში „გამოფენა“ ჭერ ისევ ძიების საფეხურზე დგას...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ „ქებათა ქებას“. მისი კითხვა. (გაგება) შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ოჯახში მოიპოვება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მერვე ტომი, გადაშლილი შეხებასი გვერდზე. არ იფიქროთ, ამით ლექსის ოდნავ დამცირებას ვაპირებდეთ. ასეთია მტკიცე გადაწყვეტილება თვით ავტორისა: ყოველი ქართული სიტყვა, თვით პოეტური კონტექსტის გარეშე, რომელიც მას ამ უკიდურესი ლექსიკონი ეგულებოდა ხედება, მისი შთავონების წყაროა. შეიძლება შემთხვევითი არ იყოს მისი არჩევანი, როდესაც იგი XI-ე ასოზე „ხარ“ზე შეჩერდა: იგი მოხიბლა ამ ასოს სემანტიკურმა მხარემ, შემდეგ კი — მისმა ეროვნულმა ზორხისმიერმა უღრამობამ.

აი ნაწყვეტად ამ ლექსიდან:

ხარ, ჩემო მიწავ:  
ხარატონის ფრთა,  
ხარაჯის ცრემლი,  
ხარაკველის ხმა,  
ხარაბაზეს ორთქლი — სურნელი და  
ხარდალის სიმწრე,  
ხარდანის ვაზთან ჩუქურთმული  
განუყურელობა.

ხართლალა ხარ — ცით კურთხეული,  
ხართვერის დღე და  
ხართუთის მაღლიც.  
ხარისთვალს ეამს  
ხარისკარდას მზემ  
ხარბარითი გზა დაგილოცა...

როგორც ხედავთ, არაფერი გადამიჭარბებია: უღრმესიკონოდ ამ ლექსის აღქმა ძნელია. მაგრამ ეს ლექსი ზომ ხავხებით განსაკუთრებული პოეტურობა განხორციელებული? სამშობლოს ქებათა ქება მისი ენობრივი ბრწყინვალებითა და მაღალხატოვანი სიმდიდრითაა გამოცემული და შესწრულიებული. მართლაც, რა გულდასაწყვეტია, რომ მკითხველისთვის ხაშუხუტუშო იფრე მთულია ისეთ სიტყვებს, როგორცაა ხარის — ნავილი (იგავა, რაც ირმის-ნახტომი), ხარბარია (იგავა, რაც ცისკრის ვა-

რსკვავი), ხართლალა (ანუ ეწოდება ქართული ხალხური სიმღერების რეფრენს), ხართვერი (განმარტებითი ლექსიკონი: ხარისათვის გამოცხობილი ბედისკვერი. დღეუწმენტირებულია თედო რახიკაშვილის ტექსტით: „მეგვლემ ხართვერი უღდა შეგოროს კარებთან სახლში; მერე ნთლიღება დღეს რომელიც კაი ხარია, იმას გადატუნენ კიხერე და შეაჭმევენ.“) ხარდალი (მდოგვის სინონიმი), ხარბანი („მობარშული ლობიო“...) და მრავალი სხვა.

ქართული ბაღაბების, ვაზისა და სოკოს სახელებით ხომ ლექსი გადავსებულია. ასეთია ის გზა, რომელიც პოეტმა აირჩია ეროვნული თემის გასახსენლად.

რ. კალანდია ძალუწმად ილტვის ლიტერატურული დამოუკიდებლობისკენ, პოეტური სუვერენიტეტისკენ. პოეტური ინდივიდუალობა მისთვის მიჯანთა მიჯანია. იგი ამისათვის მუდამ ეძებს გამოხსენებლობით საშუალებებს: სურს გამოიმუშაოს აბსტრაქტული ენა, გეომეტრიული ლირიზმი აქციოს პოეზიის ენად, ლექსში შეიტანოს გრაფიკული ელემენტი და ა. შ... იგი მეთოდურად აპროტესტებს და ექვს შეაქვს ტრადიციულ, ქრესტომათიულ ხელოვნებაში. ერთ-ერთ ლექსში „თეთრი ლექსის შუაღღე“, რომელიც წგაყიის განწყობილებითაა დაწერილი, ვკითხულობთ (აქვე დავძენთ, რომ „ქარცი დღეები“ ნიშნავს „უფერულ დღეებს“):

... უსასრულო ეჭვის დიფნიო ათვალერებ  
ძეგლებს ისმამბლს — ადაყიოს ქარცი  
დღეების...  
ქრესტომათია უკან დაგდევს, როგორც  
გადია:  
„არ შეიძლება“ „მაღალია“ „პლატონური“  
„ორჯერ ორი და...“ ა. შ. ხელთშეუხები.

სხვაგან კი მისი კრიტიკული პოზიცია უფრო პოზიტიურია, პროგრამული და მასში გარკვევით ჩანს რ. კალანდიას მხატვრული მსოფლმხედველობის არსებითი კონტრები (ლექსი „მოლოდინის ფირფიტა“). აქ პოეტს ძუნწი მინიშნებით და ზოგადად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მისი მტარსობელობისთვის ახლოა შემთხვევითობის ფილოსოფია, ხელგენებაში ორგანულია პირობითი რეაღნიშის სახვითი არსენალი, ხოლო წნეობრივ კრიტიკიუმს პირდაპირობა შეადგენს.

და ამოხაო შენი სივრცე — სიცარიელე —  
ჯამით, რომელსაც ეწოდება  
შემთხვევითობა,  
ჭვარი, რომელსაც ეწოდება პირობითობა,  
ჯანყით, რომელსაც ეწოდება პირდაპირობა...

გურამ ძანაძე  
სოხუმი — პართული კომუნიის ქლიერი  
ფლანგი



ამვე დროს, უნდა ითქვას, რომ პოეტურ ინდივიდუალობას თუ მხატვრულ დამოუკიდებლობას ქმნის არა პირობითი სახეების შედგენა და გრაფიკულ-ფორმალური ხერხების გამოყენება, არამედ საკუთარი მხატვრული პიროვნების მიყვლევა, ზრდა და განმტკიცება. მხატვრული, შემოქმედებითი „მე-ს“ წინაწარი და პროგრამება ან ნებისმიერი მიმართულებით წარმართვა და განვითარება ჰემოპირიტი განვითარება არაა. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ჩვენი აზრით, პირობითობისა და აბსტრაქტული აზროვნების ნორმები, სიტყვის მარჯინალური მნიშვნელობა, ხატოვანი ინტელექტუალიზმი თუ გეომეტრიზმის ფართოდ დამკვიდრება — მისი ლექსებისთვის არამცთუ ორგანული, ბუნებრივიც არ ჩანს. პოეტურ ექსპერიმენტებს, საბოლოოდ, შედეგისკენ უნდა მივყავდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გაღაზრდება როგორც ემოციურ, ისე ინტელექტუალურ უმწიფრობაში და არა მარტო უმწიფრობაში: პოეტურში უნაყოფო სახეობაში, ერთგვარ პრეტენზიულობაში და გემოვნების სიმღარეში. რ. კალანდიას მართებს მეთი სიმკაცრე გამოიჩინოს საკუთარ შემოქმედებით ძიებებში და მისთვის უფრო ორგანულ სფეროებს მიმართოს. ვფიქრობთ, რომ, მიუხედავად თავისუფალი ლექსის ფართოდ გამოყენებისა, მისთვის ბევრად უფრო მახლობლურია რითმიანი კონვენციური ლექსი. ამიტომ თუკი იგი კონვენციურ ლექსში ვერ აღმოაჩენს საკუთარ შემოქმედებით სტიქიას, მით უფრო პარადოქსალური იქნება ამისი პოვნა ვერტიკალური სტრუქტურის თავისუფალ ლექსში.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სურვილი იქნებოდა პოეტს მეტად ეზრუნა მხატვრული ზომი-

ერების კულტურის შესამუშავებლად. ზომიერება ყოველთვის კონფორმისმის წაყდგას არ ნიშნავს. ჰემოპირიტი ზომიერება — მხატვრული თვითდამკვიდრების ძნელი და რთული პროცესია.

თავისუფალი ლექსის პოეტისთვის ავტორის გასაგონად უნდა ითქვას, უკუნაჩვენებია ნატურალიზმისა და ემპირიზმის გამოხატვლი მგრძნობელობა: ისინი პოლარული და ურთიერთდაპირისპირებული მოვლენებია. რ. კალანდიას თავისუფალ ლექსებში კი უხვია პოეტკურტი ტონით წარმოდგენილი ნედლი, ემპირიული ემოციები.

რამდენად დამკვირებელია პოეტის მეტაფორული აზროვნება, როდესაც იგი მალაღი ზომიერების ნიშნით ხასიათდება. მოვლენით ბოლო სტროფს მისი ლექსიდან „გილივის პორტრეტი ჩიბუხითურთ“, აქ მეტაფორულ ხატებს ზუსტი აზრობრივი საფაენლი გააჩნიათ: „...სსოვის ნახშირით დატირთული მატარებლები (გამოკვაბულის წყვლიადიდან გამოსულები...) ჰემოპირტიების მარმარილოს ეხეთქებიან, როგორც გარდასულ, მაგრამ ცოცხალ ხაუკუნეებს და ბგერის სანთლებს ტოვებენ ჩვენში...“

(ბოლო პწკარი პიქტოგრაფის წარმოადგენს. ამ უკანასკნელი სტრიქონისთვის: „და ბგერის სანთლებს ტოვებენ ჩვენში“... ავტორს გრაფიკულად ვერტიკალური — ანთებული სანთლის — მიმართულება აქვს მიცემული. ეს კი ნონსენსია: ამ მეტაფორაში ხომ სანთელი არაა მოავარი, არამედ — „ბგერის სანთელი“, რამდენაც პოეტური პწკარისა თუ ლექსის ხატოვანი მნიშვნელობა უნდა პქონდეს. ე. ი. პოეტი ამბობს: ჩვენი ცნობიერების მწელი გამოკვაბულიდან ამოტივტივებული სახეები ეხეთქებიან სინამდვილის ცივ მარმარილოს და ანთებულ სტრიქონებად იქცევიან...).

გაგრძელება იქნება



## ლკლი გულისაზვილი

# ჩემი პირველი ინტერვიუ

(ინტერვიუ მცირე შენიშვნებით)

ქარ კიღვი სტუდენტობის ხანაში დიდი ინტერესით ვეცნობოდი ლია სტურუას ლექსებს, მის ახალ კრებულებს. მეც და ჩემს მეგობრებსაც ყველაფერი კარგად არ გვესმოდა ამ კრებულებში, მაგრამ ამით ლ. სტურუას პოეზია მიწოდებდა არა კარგად, ჩვენს თვალში. იგი ბოლომდე შეუცნობ, მაგრამ საყვარელ პოეტად რჩებოდა ჩვენს წრეში...

დღეს მსურს შეთხვედნას გავწიარო ის მცირე დაკვირვებები და შეაბეჭდილებები, რომლებიც დამიგროვდა ლ. სტურუას პოეზიასთან მიმართებით და აქვე ჩემს შენიშვნებს დაუბრუნო ჩემივე ინტერვიუ პოეტ ქალთან.

### I

ლია სტურუას პოეტური საწყაროს შუაგულში დგას ადამიანი, რომელიც უფრო ზშირად წინობრივ განზომილებებშია მოქცეული. მისთვის უცხოა ანტიკური მარშინული იდეალი ადამიანისა („ღამაზე სხეულში ღამაში სულია“...), მისი ესთეტიკური ორიენტაცია დარღვეული პროპორციები, „ჩრდილში დაგრძელებული“ ადამიანის კიდურები, რომელსაც „უპირაღებს თეთრი ხერხემალი“, არის „აწოწილი და გამჭვირვალე“, თავზე ეკლიანი გვირგვინით.

გავისხენით მიქელანჯელოს ლია სტურუასეული წარმოსახვა: „მსხვილი პლანით მიახლოვდება და თვალს შერის ასიმეტრიული ლანდი მიქელანჯელოსი: ფენის გულბეჭე მიჭედლი ორი გუბა, შავი და ელვარე, სხვა არაფერი“... პოეტ ქალთან წინობრივ-სულიერ მოტივებს პროგრამული ხასიათი აქვს მინიჭებული. ეს მოტივები იქცევიან პოეტური ინსპირაციის საფუძვლად, შთაგონების უძირო წყაროდ. მისი ლექსების შინაარსი, არსებითად, წინობრივი განჯახისაგან შედგება, მხატვრული სახის მიმცემი ძირითადი საშუალება კი პოეტური ფერწერაა.

ალბათ ამიტომაც, რომ მისი შთაგონების გამოხატველ ფერებში ჰარბობს თეთრი „ქაოქაოა“ ფერი, თეთრი სინათლე თუ სპეტაკი სხივი — წინობრივი სიწმინდისა და პოეტური აღმადრენის ერთობლივი სიმბოლო. მასში თითქოს შერწყმულია პოეტური და წინობრივი შთაგონება: „ახლა ვდგავარ და სინათლეს ვახვიებ და ეჩვენებთ ელვარებისგან გაოწნებულ სადაფის ცხენებს, რომ უმაღლესი მე ვარ არსება“... ან კიდევ: „რადგან თეთრ მარბილს მიმალურსმეს ორივე თვალით და პრილობიდან ნათლეს ვახვიებ“... ეს არის სტრიქონები ლექსიდან — „ბალადა მონადირეზე“, რომელშიც ავტორი საკუთარი შემოქმედებითი ინსპირაციის არსებითი ნიშნებზე მიგვიითობს. იგია მონადირე, რომელიც ვერცხლის ტყვიებით ცხრბლავს ფანტასტიკურ „ნადის“, იგი დააუბრჩა „აგვისტოს გვალვას“ — შემოქმედებით უნაყოფობას და უძრავობას.

იწყება ხილვების წყება, გადმოცემული თვალისმოპირელი მეტაფორების კასკადით. ავტორი გვაუწყებს, რომ იგი ხელოს ერთი მოხმით ეთხოვება ცხოვრების ემპირიულ და ფიზიკურ სფეროს, საღი გონების კლიშეებს და მთელი არსებითი ეძლევა სულიერი მგზავრობის „მშვენიერ ხილვას“. იგი დაუფარავად გვაუწყებს, რომ შთაგონებამ „გადააფარა თეთრი ბისტი ჩემს საღ გონებას და ნადირივით დამანდო გუმანს, ქარს გავატანე მთელი ქონება: დასაკლავი ცხვრის მზისფერი დუშა, ცოცხლებმლე და დანები მჭრელი“, შგარჩნება ცეცხლის და ქრედა-პრულა, წითელი მამლის ყულაბებში ჩაყრილი ვერცხლი“...

გაუცნაურებული პოეტური ხილვის პათოსი ლ. სტურუას ლექსებში ძალზე შესამჩნევია, მაგრამ ამ განცდაზე ბევრად მძაფრი უნდა იყოს ინტელექტუალური დამაბულობა, რომელიც ყველაზე არსებითი თვისებაა მისი ლექსებისა. გონებრივი ძიების იმპულსები



ღრმა კვალს ამჩნევს პოეტური სახეების შინეულ წოდებას, მის ხატოვან სისტემას. ანალიტიკური დაძაბულობა (რის გამოც მკითხველი არარტოგზის უბრუნდება წაკითხულ ადგილს გასაგებად), ეოიური ინფორმაციის ხილრმე (მაგ: ლირიკული გმირის მოწამეობრივი სახე პოემაში — „არენის წრემი“ ქრისტეს სახესთანა შეთანხმებული) და გრძნობის გამაფრებული ღრმატიზმი — მისი პოეზიის ყველაზე თვალსაჩინო მხარეებია.



როგორც ითქვა, ლია სტურუას პოეზიაში ძლიერი ფერწერული და გრაფიკული მხარე. მისი ლექსების მიხედვით ზოგჯერ მშვენიერი სურათების კომპოზიცია შეიძლება დაიხატოს. პირობითობის რთული ხელოვნება მასთან აღწევს უკიდურესობას, სახის აბსტრაქტიზმა კი არ გამოირიცხავს საგნის სრულიად უჩვეული რაკურსს, ლიტერატურული ეპატაფის ოსტატურ გამოყენებას თუ ირონიზმის ეკლებს. ხად არ ეძებს იგი თავისი პოეტური ვნების გამოხატელო ასოციაციურ სახეებს. თავის საინტერესო პოემაში „ზღვის მოქცევა“, რომლის ერთი თავია კრებულში, დაბეჭდილი, საკუთარ სულს საოცრად ბატონად დაგვანახებს: „ქალს, რომლის სული და ხაძირკველი ლაზრევიით ღურჯი და გამჟღელი ვილიონის უმაღლესი ბგერაა“...

ამვე პოემაში, რომელიც მხოლოდ საკუთარი პოეტური ხელოვნების გადმოშობას კი არ წარმოადგენს, არამედ საგვარეულო „გენეალოგიური ხის“ პოეტურ გააზრებასაც კი შეიცავს, ავტორი გულწრფელად გთავაზობს თავის მხატვრული წარმოსახვის დახასიათებას. იგი ეხმამე პირთი წერს თავის თავზე: „მან მეწველ ძროხას, ერთადერთ მარჩინალს, შეუძლია წაუსვას ღურჯი ხადებავი, რადგანაც სივრცეს ღურჯი ძროხები უფრო უბდება, ვიდრე ყავისფერი“... ხერთოდ კი, ლსტურუა ფანტაზიის უკიდურესობას აყენებს პირველ ქალაქს და მისი სიმედრით მტკაფიზიკურ ტემბობას სთავაზობს მკითხველს; „მას არ შეუძლია საზღვარი დაუღოს თავის ხიდრუეს, რომელსაც ის შთაგონებას ეძახის, შემთავალს ოთხი კედელი და კერი დახუროს და სიმყუდრევე დაუშევიდროს თავის ახლობლებს“... ხელოვნების განცდა იწყება მისი ემანსიპირების განცდით.

როგორც ვთქვით, ლ. სტურუა არ ერიდება ლიტერატურულ პირობითობებს. რთული, განვრცობამდე მისული პირობითობა მას ძალზე იტაცებს, რადგან ზემოქმედების მოხდენა ამ პოეტური სიმაღლიდან მკითხველზე ბევრად დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ზოგჯერ

მხატვრული პირობითობა უბრალოდ, მკითხველს დაუგანაილი, მაგრამ მკითხველს უბრუნდება ერთბაშად ვერ აღიქვას მისი მნიშვნელობა. უნდა ვიყოთ გულწრფელი, და ვთქვათ, რომ ავტორი ზოგჯერ ამწე ნაკლებად ღარლობს, რადგან საოცრად ენდობა ჩვენი აღიქვას და წარმოსახვის უნარს ეს, რა თქმა უნდა, ერთგვარად ზედუდავს მის თაყვანისმცემელთა წრეს.

მაგალითად, იგი იწყებს თავს პოემიდან — „ზღვის მოქცევა“ — ამგვარი პოეტური მონოლოგი: „რა დარჩება ჩემი სიკვდილის მერე? — აი, ეს ბირთვი გამჭვირვალ“... მკითხველი ერთბაშად ვერც მიხვდება, რომ „ვამპირვადე ბირთვი“ ლექსის მეტაფორაა. სიტუაცია რთულდება, როდესაც ავტორი გვაცნობებს, რომ ამ ბირთვს „გაადნობს ხორხის სიმხურვალე“... რომელშიც იგულისხმება პოეტის ყველიდან ამოხული თითოეული სიტყვა, შემოქმედების მტანჯველი პროცესი.

ლ. სტურუამ კარგად იცის, რომ პოეტური თავისუფლების ამ თავბრუდამხვევ გრძნობას, პოეტური ხილვის ელემად და სიმხარეულ ბუნებას, ლიტერატურული პირობითობის უკიდურესობებს არა ერთი მოწინააღმდეგე დაუხვდება. მათი რწმენით აღჭურვას და დაურყვებას თავისივე პოეტური სუბტექსტობით ცდილობს (საკუთარი მგრძნობელობის კიდევ უფრო გამაფრებით და დრამატიზირებით ფიქრობს), მაგრამ ამ წარმოსახულ მოწინააღმდეგეებს ზოგჯერ უწყინარად შეუტევის კედელმას თითქმის ყურში ჩახშობს:

...რამ მე არ მაქვს იმის უფლება,  
ჩემი უცნაური და გაუგებარი  
და ფარშეუგანგოვით შეფერილი სახეებით  
ხალს თავბრულ დავახსა,  
რომ ჩემი სისხლისფრად შეღებილი  
ტრჩებით და ფრჩხილებით  
და უმაღლესი, გაწვეტამდე მისული  
ბგერებით

გამოვიწეო სული გვალვის  
და ნაყოფის მოლოდინში ბედნიერად  
განაბული აღამიანები  
დაიბერწო უმსგავსო ხვატიო...

მაგრამ ვისაც მსგავსი პრეტენზიები უჩნდება ავტორის კრებულის კთხვისას, პირველ რიგში, ჩვენ გვინდა მათ მივუთითოთ სწორედ მხატვრული სუბტექსტობის ამ მაღალ პარხისზე, რომელიც მათში მოთავსებულ ლექსებს აქვთ. შთაგონების, პოეტური სუბტექსტობის ძალა კი პოეზიის სახინჯი ქვაა. ძალაუნებურად ეთანხმები მისი პოეტური გრაფიკის კონტარებს, როდესაც იგი უბრანისტულ პეიზაჟს მიგანინშნებს. ავტორის აზრით, თანამედროვე ქალაქის გაუცხოებულ სულს უფრო კარგად გადმოსცემს პირობითი და წამახული ფორ-

ლ. სტურუა, ლექსები, პოემა, 1977 წ.



მის კაქტუსები: „ხეივანე უფრო უხდება ქალაქის ასიმეტრიული ფორმის კაქტუსები“. ძალაუფლებას ტკივილამდე განიცდი მისი მითაფორების ორგანულ სიმჭარხრეს: „მე ვერ ვხედავ, მაგრამ კანით ვგრძნობ კაქტუსის ქაღალტს, რომელიც სისხლის სინჯს მიღებენ“.

დ. სტურუას პოეზია (განსაკუთრებით ზემოხსენებული კრებულის მიხედვით) რამდენადმე გონებაპერტინოია. იგი თავის ლექსებში ხშირად ხატავს აზრის სურათებს. ეს, უდავოდ, ძალზე საინტერესო პოეტური მეთოდია, მაგრამ ზოგჯერ აზრისმიერი ხაწყისი ისე ძლიერია, რომ ადვილად გადასწონის და ავიწროვებს ლექსის ემოციურ სტრუქტურას. მარათალია, ყოველ აზრს (პოეტური ფორმით გამოხატულს) თავისი ემოციური იერი ახლავს თან, მაგრამ რომელი მხარე გადასწონის ლექსში მკითხველზე შემოქმედების მოსახდენად, ეს არსებობს. დ. სტურუას ლექსისათვის განუყოფელია გრძნობის დრამატიზმი, განცდის ერთგვარი მარტივლური წარმოსახვა, მოწამებრავი სულიერი ცხოვრების იერთან შიახლოვება. უფრო ხშირად კი ლექსების ემოციური ნაკადი მასთან გადარბდება პოეტურ ვენეპაში და აფექტაციის უმაღლეს ძაბვას აღწევს.

როგორც ვიცით, ავტორი თავის შემოქმედებაში დიდ ადგილს უთმობს ზნეობრივ საკითხებს და ამ საკითხთა მხატვრული დაყენებისა თუ პოეტური დაძლივისათვის იგი ფართოდ იყენებს პოეტურ აფექტაციას, თავიანწირვამდე მისული განცდის პათოსს, პუბლიცისტურ მოწოდებას (ლექსები: „მუსიკა“, „პოეტი“, „ბაღალა მამლარ მამაკაცზე“ და სხვ.). ლექსში „მუსიკა“ ის აზრითაა განვითარებული, რომ მუსიკა „სიღრმისეული“ ენაა. საქმარისია ადამიანები „გადვიდნენ“ ამ ენაზე, მიმართონ ამ ენას და ურთიერთგაგებობის გზები ხსნილი აღმოჩნდება.

ღია სტურუას მრავალმანოვან პოემაში — „არნის წრეში“ — ერთ-ერთი პერსონაჟი — სულიერი ხაწყისით აღბედილი ხალოსი, რომელსაც წაწარმოებენ ცეცხლისტრთებიანი ორთუღი მუავს, ხალყარ ნიშს გამოაშუღავნებს. მას სიყვარულის უდიდესი რწმენა ამოძრავებს. როდესაც იგი თავის საყვარელ არსებას დაინახავს, დაუფორებლად გაიწეხს მიხედვ, მაგრამ კი არ იმტვრევა, მერის ჰვალზე გახვეებული ჩერდება. საქმე ისაა, რომ ეს ხალყარი ხალოსი ორ სახალს შუა გუქიმულ ბაგირზე გადიოდა, თავისი საყვარელი ქალი როცა შეამჩნია. მისი თვებანწრეა მისი სიყვარულის ტოლფასი აღმოჩნდა. პოემის გმირი თავის არსს, რომელიც აშკარა ბიბლიურ აღუწას წარმოადგენს, ამგვარად იწყებს:

ბიჭმა დამინახა,  
გამიღობა ფაფურის ღობილით  
და თოკიდან პირდაპირ ჰაერში  
გაღმობაივა.  
ჩემი კივილი და მისი ტანი ერთად  
გახვედნენ —  
ბლიცის ელვარებით მიყილნი ჰაერის  
მონაკვეთს.  
ნივთისმიერი სალტე გიორღვა,  
ის იღვა ჰაერში, სიფრიფანა და  
სელიფერი.

ხალოსს მერში საყვარელი სულიერი ძალა აკავებს. მას თავისი სეყვარული ურყევე ექვემდებარებულ გრძნობად შიანნა. მისი სულიერი ძლიერება, რომელიც ამგვარ რწმენაში გალონახა, იცავს მას. მაღალი სულიერი რწმენა ადამიანის ერთადერთი თავშესაფარია. პოემის დედააზრის მიხედვით, სულიერი რწმენით განმტკიცებული თავშესაფარი უფრო მკვიდრია, ვიდრე მატერიალური ფაქტულობებით; მატერიალურ ფაქტულობათაგან შექმნილი რწმენა ხვერად შეიფევა ხალოსის აღწერილ სულიერ ძალმოსილებასთან შედარებით.

პოემის პირველსავე თავებში ავტორი რწმენის ახლებური გააზრებას გვთავაზობს. პოემა დაწერილია საყვარელი შემოქმედებითი ხელღვენების სრულიად თავისებური კუთხიდან გაშუქებით. „არნის წრე“ ნიშნავს ავტორისავე შემოქმედებითი საბიბლეს. იგი მოთხოვს მყურებელს, მკითხველს, მსმენელს, მაგრამ არა განურჩევლად, არამედ წინახარად რწმენით აღჭურვილს, რომ მას ჰქმნობს ხელოვნებას სთავაზობენ. რწმენა აქ მუშაინიშნს უახლოვდება. ავტორი თითქოს კორექტივს უკეთებს სახარების არსს: ირწმუნეთ ჩემი, თორემ მევე დავიღუბები... პოეტის ხელოვნება ფართო აუდიტორიის წინაშე შედარებულია ეკვილიბრისტის ელვანტურ პროფესიასთან: „მე უნდა ვიარო თოკზე, დღეს და ყოველდღე დღის იქით, ისე უბრალოდ, როგორც მიწაზე“ — აცხადებს იგი. ლექსის სიცოცხლედ ასახულია შემდეგ ხატში: „ხელში ეღვარე ბირთვები მიღვივის“...

წარმოადგენა დაწყობ, მაგრამ რა არის საყვარელი ხელოვნების სიმაღლე შედარებით იმ უღრმეს წყურვილთან, რომელსაც ამ ხელოვნებით დაინტერესებული ადამიანების მიერ შემოქმედის აღიარება და ცნობა ჰქვია? უნდა იწამონ შენი. შენს ხელოვნებას უნდა საყვარელი რწმენა შეგებონ, რათა საყვარელი შემოქმედებითი სიცოცხლე იგდრო, იგრძნოს სხვებში, ადამიანებში, მათი არსების სიღრმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემოქმედი

ლალი გულისაშვილი  
ჩემი პირველი ინტერვიუ

იღუპება ზღვის ცივ ტალღებში და არა მინ-  
მოწაფებში:

და მე ვეძიებ მკვლევარებს,  
რომ ამ ერთგულად დამიყვრონ,  
ბრძალ და ბოლომდე დამიყვრონ,  
რომ თოკზე ფეხი არ დამიციდეს...  
ხალს ეუფლებო და დიდი რწმენა და  
სათნობა.

მაგრამ ერთმა არ დამიყვრა,  
ერთადერთმა კაცმა ათასში,  
მე ჩამოვარდი და დავიმტკერე...

ამ პოემის ერთ-ერთ ღვევის ისიც წარმოად-  
გენს, რომ სიცოცხლის ყოველი ნამდვილი  
გამოვლინება შეუდარებლად მაღლა დგას ყო-  
ველგვარ ხელფანებაზე. ჩვენ გვახსოვს ერთი  
თანამედროვე იტალიელი მხატვრის გულწრ-  
ფული გამოთქვაჰა: „თუკი ციცილწაიდე-  
ბულ სახლში რემბრანდტის სურათთან ერთად  
კატის კნუტიც გადასარჩენი იქნებოდა, არჩე-  
ვანის შემთხვევაში მე კატის კნუტს გადავარ-  
ჩენდი“... ლ. სტურუასთვის დამახასიათე-  
ბელი არონიში მომავლენებელი პირდაპირ-  
ობით ვლინდება, როდესაც იგი ლაპარაკობს  
დახვეწილი ძველებური აუჯიბო მოწყობილი  
ოჯახის ერთ ბინადარზე, მხურვალე შელომან-  
ზე, რომელიც ბაბის მუსიკის დიდი თაყვანის-  
მცემელია და რომლის ოჯახშიც თავს იკლავს  
მისი მეუღლე. ეს შეოჯახე ისეთი დიდი გატა-  
კებით უკრავდა ბაბს, რომ ცოლის ფანჯრი-  
დან გადავარდნა არ გაუფიქრა.

ლ. სტურუა „ძალზე სუბიექტურად იყენებს  
წაფენის კინემატოგრაფიულ ხერხს, როგორც  
პოემის კომპოზიციური აგებულების ძირი-  
თად საშუალებას. ხილვების წყება, პოემა კი  
ავტორის მხატვრული ხილვების მონაცვლე-  
ობაზეა დამყარებული (ამ კიდევ დიდხანს  
მწავალიბდა ერთი ხილვა“ — აცხადებს იგი  
მეექვსე თავის დასაწყისში) დაფენილია ერთ-  
მანეთზე და ამ მხრივ, ზოგჯერ ანდერო ტარ-  
კოვსკის უკანასკნელ კინონამუშევრებს (მაგ.  
„სარკე“) გვაგონებს.

ლ. სტურუას პოემის ძირითადი ბატონავი  
ქარგა ტროპულ მტკველუბაზეა დამყარებუ-  
ლი. ქართული ლექსი, რომელიც თავის მხატ-  
ვრულ ელვარებას ოდითგანვე მეტაფორების  
დღივ სიუზებით და გაბედული გამოყენებით  
აღწევდა, ლ. სტურუას პოეზიაშიც ბრწყინვალე  
მეტაფორული აზროვნებით აღინიშნება. მაგ-  
რამ, ჩვენი აზრით, მეტაფორების ხმარების  
სიხშირეში მასთან ყოველთვის დაცული არ  
უნდა იყოს თავისებური კანონზომიერების  
სინატიფე. ტროპების ხმარების სიხშირეში,  
უდავოდ, შინაგანი დახვეწილი რეგულირება  
უნდა ჩანდეს და იგრძნობოდეს. როგორც ზე-  
რის მტებისმეტად მაღალი ან მტებისმეტად და-  
ბალი სიხშირე სმენითი აღქმისათვის უწყა-  
რად.

თუკი მტაფორების მტაფორები სიხშირე  
ლექსში მხატვრული აღქმისთვის შეგზორკავი  
და ოდნავ ქოტური შეიძლება აღმოჩნდეს.

ყველაზე უმთავრესი კი პოემაში ავტორის  
მოწამებრივი — „ვერდიანების და ლავრის  
ძვლებად ქვეული“, მაგრამ უკომპრომისო მტ-  
ბროლის სახეა. ნაწარმოებში პირველ პლან-  
ზეა წამოწეული სულიერი საწყისი. მართლაც,  
რწმენის სიღრმე ხომ სულიერად გაღრმავე-  
ბულ ცხოვრებას გულისხმობს. ჩვენი სული-  
ერი ცხოვრების არსებობა ემყარება რწმენის  
არსებობას — ამგვარია ლ. სტურუას პოემის  
დედააზრი.

ქვემოთმოყვანილი ინტერვიუს ერთ-ერთ  
პასუხში ლია სტურუა გამოთქვამს მოსაზრე-  
ბას, რომ თავისუფალ ლექსს საქართველოში  
თავისი განსაკუთრებული ისტორია აქვს, რა-  
საც მკითხველი არ შეიძლება, რომ არ დაე-  
თანხმოს. მეორე მხრივ, კანონზომიერია ისიც,  
რომ ლ. სტურუას პოეზიისთვის ორგანულია  
ვერდიანის მხატვრული ბუნება. ის, რომ პო-  
ეზიის ძირითად გამომსახველობით ფორმას ლ.  
სტურუასთვის თავისუფალი ლექსი წარმოად-  
გენს, უდავოდ შემთხვევითი არაა. არაა შემ-  
თხვევითი თუნდაც იმიტომ, რომ თავისუფალი  
ლექსი მასთან, მართლაც, ძირითადი გამომსა-  
ხველობითი ფორმა და იდენტურად გადმოხ-  
ცემს ავტორის აზროვნების ბუნებას. თავისუ-  
ფალი ლექსი ჩვენი ავტორის მსოფლმეტრან-  
ების მანიშნებელი ორიენტირია და მისი მთა-  
ვარი გზების ასეკტურობისკენ მიდრეკილი სუ-  
ლიერი ცხოვრებისა და სულიერი წრთობის  
გამომსახველი ერთ-ერთი ფორმაციაა.

„...Становясь на горле собственной песни...  
— მთავაკუსის ეს სიტყვები საუკუნის დღევან-  
საერთაშორისო ლიტერატურულ პაროლს წარ-  
მოადგენს, იმდენი პირდაპირობითა და უშუა-  
ლობითა მასში გამჟღავნებული პოეტური  
გრძნობათა ფილტრაციის კანონი XIX საუკუ-  
ნის ახალ პოეზიაში.

მართლაც, ასეკტურმა სულიერმა ვარჯიშმა,  
რაც უმთავრესი იყო ქართულ სასულიერო პო-  
ეზიაში, ალკვიდა და ალკვითა ის სალექსო ორ-  
განიზაცია, რომელსაც შუახალკუნეობის ხა-  
ერო პოეზიაში გადაწევები მნიშვნელობა ექ-  
მეოდა. ხაერო შინაარსის ლექსს ფორმალუ-  
რი ნიშნებიც საკმაოდ ვარტოლულო თუ მე-  
დონისტურმ ხასიათისა გააჩნდა და ლექსი  
ცხენის მშვენიერ ჭირითთან იყო შედარებუ-  
ლი...

მეოცე საუკუნის პოეზიაში ცხოვრების მე-  
დონისტურ ტპობას მხოლოდ ეგზოტოკური  
იერი შეიძლება ახლდეს, იმდენად გამაფრდა  
პოეტის პასუხისმგებლობის განცდა სიცოცხ-



ლის მიმართ ჩვენს პლანეტაზე. პოეზიაში მძლავრ სულიერ ასკეზს აქ გადაეჭვარა დიდი სულიერი დემოკრატიულობა, რომელთაც კვლავ ზურგი მიუბრუნეს ლექსის გარეგნულ მორთულობა-მოხატულობას და მისი სულიერი სიმაღლისკენ მიმართეს მთელი ძალები. ლ. სტურუა, უდავოდ ამ უკანასკნელთა ბანაკში აღმოჩნდა და თავისუფალი ლექსის არჩევანს თითქოს მანიფესტის მნიშვნელობა მიანიჭა. მისთვის თავისუფალი ლექსი იმგვარი ინსტრუმენტი, რომელიც ეპოქის სულისკვეთებას უფრო დრამატიზებულად, ხაველ და შეუღამაზებლად გადმოსცემს, ვიდრე ტრადიციული ლექსი. რაც უმთავრესია, ავტორი ცდილობს თავისუფალ ლექსს ეროვნული ხასი და იერი შეუნარჩუნოს, ახალი პოეტური აზროვნება ახალ ეროვნულ დონეზე აიყვანოს.

ლ. სტურუას დიდი სიკეთითა და ნათელი გონებით გამოხარა პოეზიას თეთრი ციური ღრუბლის გამჟვირვალე კაბა აცვია, მაგრამ მისი ავტორი მუარად დგას მშობლიურ მიწაზე, ზელში შინდისფერი დროშა უჭირავს, რომელიც პოეტის მარადიული რწმენის სიმბოლოა.

**II**

სწორედ ლია სტურუას პოეზიაზე ფიქრისას დაიბადა ჩემი პირველი ინტერვიუ. ამ წლის დასაწყისში ვესტუმრე პოეტს და საუბრის დროს გაგუზიხედი ჩემთვის საინტერესო (ქვემოთყვანილი) კითხვები. ლიას მიერ მათზე გაცემული პასუხები, ვფიქრობთ, ყველაზე საინტერესო ნაწილად უნდა იყოს ჩვენი წერილისა.

1. თქვენი პოეზიის პირველსაწყისი მეტაფორა... შეგიძლიათ თუ არა დამეთანხმოთ, რომ ამ მხრივ თქვენ ძალზე ტრადიციული ქართული პოეტი ბრძანდებით და ქართულ შუასაუკუნეობრივ (სასულიერო, საერო) პოეზიასთან, ამდენად, ორგანული კავშირის დაძვინა შეიძლება?

2. თქვენი პოეზიის ამოსავალი, როგორც ვთქვით, მეტაფორაა: „პირველითგან იყო მეტაფორა“... წარმოგიდგინათ თუ არა თქვენ იმგვარი პოეტური მეტაფორები, როდესაც ლექსში არც ერთი მეტაფორა არ იქნება გამოყენებული, ანდა მათი რიცხვი მინიმუმამდე შემცირდებოდა? ე. ი. ლექსი პოეტური ხატების გარეშე, როდესაც პოეზიის დონეს ჰქმნის დრამატიზებული, ამბოღებული და დახვეწილი აზრი?

3. ვისთან გრძნობდით უწინ და ამჟამად ხელოვნების (პოეზიის) სფეროში სულიერ ნათესაობას?

4. იქნებ ავიხსნათ, როგორ მიხვედით თა-

ვისუფალი ლექსის პოეტიკასთან? არის თუ არა ვერლიბორი თანამედროვე ცნობიერებისთვის უფრო ახლოდელი მხატვრული სტიქია? გოყვართ თუ არა „უხალმუნის“ კითხვა, რომელიც თავისი სალექსო ტიპებით ვერლიბორს ასე წააგავს?

5. ლირიკული პოემა სუბიექტივიზმის დროში გამოცხადდა მეოცე საუკუნის მწერლობას, რადგან რეალობის სურათი, რომელსაც მეოცე საუკუნის მხატვარი ჰქმნის, მეტად სუბიექტივისტურია. ჩვენი დროის მხატვარი არ ესწრაფვის შექმნას სინამდვილის სტენოგრაფიული ჩანაწერი, რადგან მას ეს არ შეუძლია. მე მაინტერესებს თქვენი აზრი — რამდენადაა დაკავშირებული ლირიკული პოემა სუბიექტივიზმის ხარისხის წრდასთან ჩვენს დროში.

6. იქნებ გავიზიზილოთ: რა მიმართულებით ვითარდება და საით უჭირავს გვიხი იმ ლიტერატურულ ზედასვლას და წინსვლას, რომელიც ასე აშკარად ეტყობა და ასხვავებს თქვენი ლექსების პირველ კრებულს ბოლო (1977 წ.) კრებულისაგან? ამ უკანასკნელში შეტია თუ არა მაქსიმალიზმი ზნეობრივ საკითხებში, ერთგვარი ლიტერატურული მერმეტიზმი ანდა სურარეალისტური მგრძნობელობა?

7. რა დამოკიდებულებაა გაქვთ კრიტიკოსებთან საერთოდ, რამდენად უწევთ მათ ნააზრევს ანგარიშს (თუნდაც, როგორც მკითხველებისას) და საერთოდ, რა გავლენას ახდენს თქვენზე თქვენს შესახებ საზოგადოებაში გამოთქმული აზრები?

8. თქვენ ღრმად გაინტერესებთ ადამიანი, მისი ცნობიერი და არაცნობიერი არსება; თქვენს პოეზიაში ოპირირებულია თანამედროვე საზოგადოების არაერთი უხამსი და არაშემეშაობელი მხარე; თქვენ ასე გიზიდავთ ფიქრი (რომელიც მკაცრ მხაჯარში ვადაიზრდება) ორი ადამიანის სულიერი ურთიერთობის შეხაზებ; ნუთუ ოდესმე არ დაგიწერიათ პროზაული ნაწარმოები ან არ აპირებთ მომავალში პროზაში შეშობას?

9. როდესაც თქვენს ლექსებს ვკითხულობ, ყოველთვის შემოქმედებთადა ვიშუებოდი — წერა მინდებდა... როგორ ფიქრობთ, თქვენი პოეზიის ამგვარი სუგესტიურობა უფრო მეტად ჩემი თაობის მკითხველებზე ხომ არ ვრცელდება?

1. ხაველებით სამართლიანად არის შენიშნული, რომ მეტაფორა ჩემი პოეზიის პირველსაწყისია. სახეობრიობა, პოეტური ხატი, განსაზღვრავს ჩემთვის პოეზიის არსს. ცნობილია, რომ ბელვენებაში მთავარია არა რა, არამედ როგორ. კაცობრიობის დასაბამიდან არსებობს

**ლალი გულიანავილი**  
ჩემი პირველი ინტერვიუ



ე. წ. მარადიული თემები. ისინი აღდგენენ ყველა პოეტს, ხოლო პოეტური ხატი არის ის საეციოეური ფენომენი, რომელიც გამოხატავს, ზორცს ასხამს მარადიულ იდეას და იცავს მას შაბლონისაგან, გაცეითისაგან. სრულყოფილი ადამიანის — ანდროგინის იდეა გულისხმობს ინტელექტისა და ინტუიციის აუცილებელ ხინთეზს: გოეთეს ფაუსტი პოზიტიური ცოდვის მაქსიმუმიდან, უმაღლესი ინტელექტიდან მიდის სამყაროს აბსოლუტურ წვდომამდე ინტუიციის გზით, ვჟა-უჟაველას მინდია ინტუიციის საშუალებით სამყაროს აბსოლუტური შეგრძნებდან მიდის ინტელექტუალურად, „ცოდნამდე“. ინტელექტისა და ინტუიციის ბედნიერი მარმონია ხელოვნება და, რა თქმა უნდა, პოეზიაც.

შაღალ აზრს, ნათელ ლოგიას სჭირდება შესაბამისი ემოციური ფორმა, რომელიც ვერაგითარი პროფესიონალიზმით ვერ მიიღწევა პოეტური ხატის შექმნის უნარი, ჩემი აზრით, არის ის ხაზლი, რომლის გარეშე არ არსებობს პოეზია. ტრადიციულობა, ეროვნულობა ერთერთი აუცილებელი პირობაა პოეზიისა, თუნდაც უაღრესად თავისებური და თანამედროვე პოეზიის. პოეტს ყოველთვის ჰყავს რამდენიმე მისთვის ახლომდელი პოეტი, მხატვარი, კომპოზიტორი და სხვ. მაგრამ გაყენებას, ამკარას თუ არაკონიერს, მსსზე ახდენს ყველაფერი, რაც შექმნილა მისი ერის ხელოვნებაში, ზოგჯერ შეიძლება მისთვის ნაკლებ საინტერესოც.

ამ რამდენიმე წლის წინ აბსტრაქტული ნახატების გამოყენაზე ამერკაში ფორამა ხელოვნებისმცოდნემ ბაუნემა შეუღოლომად გამოიცნო მხატვრების ეროვნება, თუქმა ავტორის გვარი არც ერთ ნამუშევარს არ ეწერა. ამგვარად, აბსტრაქტულ ხელოვნებაშიც, რომელიც არამოთხეობისაგან თავისუფალი ხასიათის მატარებელია, ეროვნულობა განსაზღვრული ყოფილა. სამწუხაროდ, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ეროვნულობა ზოგჯერ შედგებდა ვიწრო დისმით. პოეტური ენის უვრცესი ბუნება აძლევს საშუალებას პოეტს არქაიზმების, დიალექტუზმების, ურბანიზმის, ზოგჯერ უარგონის სიუვისა ლექსში. მაგრამ როდესაც ეროვნულობა განსაზღვრულია დიალექტუზმებისა და არქაიზმების ემოტიურობით, რომელსაც ზოგჯერ სულხან-ხაბა ორბელიანის ლექსიკონიდან ამოწერილი სიტყვების გართმევა ქმნის, ჩემი აზრით, ეროვნულობის ცნების გაყალბებათან გვაქვს საქმე. ლიტერატურული ენა ცოცხალი ორგანიზმი და ის ვერ იარსებებს დიალექტუზმთან უმპირობის კონტაქტის გარეშე, მაგრამ ეროვნული ლექსიკონის განსაზღვრა შეუძლებელია. ჩემი აზრით, გ. ტაბიძის უამრავი ლექსი, რომლებშიც უხვად გახნულია ანარქიული სი-

ტყვები, არანაკლებ ქართული და ებრაული ვიდრე ისეთი ლექსები, ქართულ ლიტერატურაში დაკავშირებული ლექსიკით რომ გამოირჩევა. მაგალითად:

ყვავილები უხვად არის  
დენდის, მეფე მონის,  
ქარში ათრობს აგრემარეს  
ოხვრა ტრიანონის...

(გ. ტაბიძე)

მ. პოეზია პოეტური ხატის გარეშე არ არსებობს. მაგრამ მისი ეს თვისება-სახეობრიობა — შერწყმულობა და სხვადასხვა ფორმაში არის ხოლმე გამოვლენილი. დრამატუზმული დახვეწილი, ამაღლებული აზრი შეიძლება გაცხადდეს მეტაფორაში ან მეტაფორის გარეშე. ეს დამოკიდებულია პოეტის წერის მანერაზე, სტილზე, მსოფლმეგობრებაზე. მე ყოველთვის მეტად მაღლევებს სახეობრიობა, ფერწერულობა პოეზიისა.

მ. შეუძლებელია პოეზიაზე ლამარაკი იზოლირებულად ხელოვნების სხვა დარგებისაგან. პოეზია სინთეზური ხელოვნებაა. ის აუცილებლად მოიცავს ფერწერას, მუსიკას; კინოხელოვნების დაკონიური ენა, კადრების მონაცვლეობა, სხვადასხვა დროსა და სივრცის ერთ სიბრტეეში მოთავსების შესაძლებლობა თვისებურ გაყენებას ახდენს პოეზიაზე. ხოლო მეტაფორულობა, პოეტური ხატი, თავისმხრივ, ორგანიული ბდება კინემატოგრაფისათვის. ამგვარად, როცა სულიერი სიახლოვეთა ლამარაკი, მე შემიძლია დავახახელო პოეტების თანაბრად მუსიკოსების, მხატვრების, რეჟისორების გვარების.

გ. ტაბიძის ლექსის „ქებათა ქება ნიკორწინდას“ არქიტექტონიკა, რიტმი ქმნის ცაში უარცნილი, მსუბუქი, გუმბათოვანი ეკლესიის შთაბეჭდილებას. ლექსის თანდათანობითი განადიცია გამიზნულია ამაღლების, ცასთან მიახლოების განწყობილების შესაქმნელად. ლექსის ასეთი ფორმა არ შეიძლება მიხვდადგობდეს უფრო ჭერადოვან, მრავალგუმბათიან, ოქროსფერი რუსული ეკლესიებს, უფრო მეკვრე, მიწიერ ხომბურ ეკლესიას, ან უდმეტად წამახული და დახვეწილ გოთურ ტაძარს. ლექსი აწერილია ქართული საეკლესიო არქიტექტურის აშკარა გავლენით, რადგან ქართულ ეკლესიას ცისკენ სწრაფვათან და ვრტიკალურ დინამიკობასთან ერთად ხაერთო პროპორციები და დეკორი მიწიერ ხასიათს უნარჩუნებს.

იმ გვარების ნაშთივლა, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ჩემს სულიერ ფორმირებაზე და მარადიული ღირებულებების სახით იარსებებენ ჩემთვის მთელი სიცოცხლე, ძალიან შორს წაგვიყვანდა.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ სულიერი ძვრა, გ. ტაბიძის ლექსებით გამოწვეული, კი-



დღე უფრო გაღრმავდება ქართული უხალხო-  
ნების მოსმენისას.

ტ. ტაბიძე წერდა: „მომავალ დიდ ქართველ  
პოეტში უნდა შეერთდეს რუსთაველი და მა-  
ლარამე“. ეს სიტყვები ერთ დროს სიმბოლიზ-  
მის უკიდურესობაზე მიანიშნებდა, მაგრამ ტიტია-  
ნი აბსოლუტურად მართალი იყო. თანამედრო-  
ვე პოეტი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლე-  
ბას ჩამოყალიბდეს ერთგულად ქარაქტილი-  
ზის პირობებში, მაგრამ მის თანამედროვე ფო-  
რმას და ხეულ უხალხო დუნდა ჰქონდეს ერთ-  
გულად საფუძველი. მისი სულიერი სიხალხვე  
კლასიკსთან კი არ გამოირჩევა მჭიდრო კონ-  
ტაქტს თანამედროვეობასთან, არამედ აუცი-  
ლებლად გულისხმობს მას.

4. მე მიმანია, რომ თავისუფალი ლექსი  
რითმიანი ქართული ლექსის განვითარების  
ლოგიკური შედეგია. პანტა რეი — უველაფერი  
მიმდინარეობს, ამბობდნენ ძველი ბერძენები.  
ხოლო დღემდე უველაფერი დღემდე არ-  
სებობს უარყოფს. მელოდიური მარშონის  
გვერდით არსებობს ატონალური მუსიკა. დახ-  
ვეწილ და წამახალ გოთურ ტაძრებს ცვლის  
პირობითი, აბსტრაქტული მოცულობებისგან  
კონკრეტული ცვლილებები, ლექსის მელო-  
დიურობა, რითმი გაპირობებული, ატონალურ  
ერთგვარობისკენ მიისწრაფის. როგორც  
ჩანს, ეს სწრაფა გამოწვეულია არა კონკრე-  
ტული პოეტის სურვილით, ან მისი ორიგინა-  
ლობით, არამედ ეპოქის მოთხოვნილებით, ხა-  
მყარის დალიქტურული განვითარების ლოგი-  
კით.

თავისუფალი ლექსი, ასევე, დაშვარებულია  
მუსიკაზე, რიტმზე, მაგრამ ატონალურ მუსი-  
კაზე, რომელიც მელოდიას დახვეწული ყურბი-  
სათვის შედარებით რთული აღსაქმელია. რა  
თქმა უნდა, თავისუფალი ლექსის თანადრო-  
ლობა სულ არ გამოირჩევა თანამედროვე  
რითმიანი ლექსის არსებობას (რადგან რით-  
მაც განიცდის ტრანსფორმაციას. თანამედროვე  
რითმა ძირითადად განსხვავდება თუნდაც XIX  
ს-ის რითმისგან).

დროთ უკვე ითქვა ატონალური და მელო-  
დიური მუსიკის თანაარსებობის შესახებ. პო-  
ეტიკა ხიბლია, თავისთავად, განუყოფელია  
ფენომენია, ის გულისხმობს აზრისა და ფორ-  
მის მარშონისას. როცა მაღალი აზრი სრულყო-  
ფილი ფორმით გადმოიცემა, ასეთ შემთხვევაში  
რითმა თუ ურითმობა შეფასების კრიტერიუ-  
მად ვერ გამოდგება. თანაც, როგორც უკვე აღ-  
ვნიშნეთ, რითმა დროთა განმავლობაში ტრანს-  
ფორმაციას განიცდის. რუსთაველის რითმა გან-  
სხვავდება თემურზანისა და ბეჟუგ გა-  
ბაშვილის რითმისგან, ამ უყანასკნელთა  
რითმას არაფერი საერთო არა აქვს და-  
ვით გურამიშვილის რითმებთან. მე-19 საუ-  
კუნეში რთულ, ძველად, მაქაურ რითმებს

ცვლის უფრო მარტივი. საქმე იქამდე მიდის, რო-  
მში 5. ბარათაშვილის ზოგიერთი ლექსის სტრუ-  
ქტურა უხალხოებდა: მერანი — ყოვანი,  
საზღვარი — მღვდელი და ა. შ. ძნელია ა-  
ქვეყნებისა და გრ. ორბელიანის ლექსების  
ფორმე კარგ რითმებად ჩაითვალოს. ხოლო  
ისეთ პოეტს, როგორც 5. ბარათაშვილია,  
ვერ დავაბრალებთ, რითმის გაკეთება არ ეტე-  
ხებოდაო. მისი სუსტა რითმები, თუ ურითმობა  
უფრო შეიძლება აიხსნას რეაქციით ანტი-  
კათალიკოსის მიერ შექმნილი აღწევებული  
სტილის წინააღმდეგ (5. ბარათაშვილის თანა-  
მედროვეთა: ა. ქვეყნის, გრ. ორბელიანის  
შემოქმედებაში იგრძნობა ამ სტილის გავლენ-  
ა, თუმცა გრ. ორბელიანი შემდეგ თავისუფ-  
ლდება მისგან და თვით ლექსებსაც კი წერს).  
შეიძლება შეგვეკავშოთ — რა კავშირია რით-  
მთა ანტი კათალიკოსის აღწევებულ სტილ-  
თან. რითმა იმდენად კანონიერია მაშინდელ  
პოეტიკაში, რომ მისი გამარტივება, ცხადია,  
ენის გამარტივებასაც გულისხმობს. რთულ არ-  
ქაიზმებით დამოქმედულ ლექსში მარტივი რით-  
მა ისეთივე დიხონანსია, როგორც მაგ. შარავ-  
ნი.

6. ქვეყნისთან, ა. წერეთელთან რითმა კი-  
დღე უფრო მარტივდება (ქვეყნის გახალხო-  
ების, ხელოვნური აღწევებული სტილის ხა-  
ზოლოდ მოსპობის გამო), ხოლო პრადიკა-  
რულ პოეტიკაში ისეთი პრიმიტიული და ვლემე-  
ნტარული ხდება, რომ ისევე ლოგიკურია სიმ-  
ბოლისტების რეაქცია მის წინააღმდეგ — სი-  
ტყვის სტეტიკური ღირებულების კულტის  
რანგში აყვანა და იუველირული მუშაობა  
რითმაზე, მისი ხალციანი დახვეწა და გართუ-  
ლება. 3. იაშვილს, ტ. ტაბიძეს, ვ. ვაფორინაშ-  
ვილს და სხვებს შემოაქვთ ახონანსური რით-  
მები, რომლებიც სრულყოფილი ძველადობის,  
ევროპის მიუხედავად ენოთერგობა მათი  
თანამედროვე მეთხველის ყურს, სიხალის გა-  
მო.

ქართველ სიმბოლისტებს შემოაქვთ, აგრეთ-  
ვე, რითმიანი ლექსის ერთი უველაზე სრულ-  
ყოფილი ფორმა — სონეტი, რომელიც მათე-  
მატიკურ სიზუსტეს და ბრწყინვალე ტექნიკას  
საჭიროებს და უკვე ამ მიმართულებას შეგინ-  
ტ. ტაბიძეს უჩნდება მოთხოვნილება კანონიერ-  
ი ლექსის დარღვევისა, ის წერს „ყოველ სონე-  
ტებს“, ახონანსური რითმას ხშირად ცვლის დი-  
ხონანსურით, ხოლო მისი თავისუფალი ლექსე-  
ბი საუკეთესო ნიმუშია ქართული თავისუფა-  
ლი ლექსისა:

შემოდდა დავიტრამბოთ,  
რომ სიხარბის ღმერთი მიინც ვარ,

ლალი გულისაგვილი  
ჩემი პირველი ინტარვიუ

და თუ ლოთობა ჩემი შიორე სტიქიაა,  
ჩემზე ერთგული პოეტი არ უკვილა  
საქართველოში.

გ. ტაბიძის ყველა რითმის შეიძლება თავი-  
სუფალი ეწოდოს; ისე განსხვავდება ის მანამ-  
დე არსებული და მისი თანამედროვე რითმისა-  
დნა. გ. ტაბიძის რითმები მეტყველებს პოეტის  
დაუმრეტელ ფანტაზიაზე, აბსოლუტურ მუსი-  
კალურ სმენაზე. რად ღირს, თუნდაც ერთი რი-  
თმა: „სილაუვარდე — სილაში ვარდი“, რომ-  
ლის ბადალი მე არ მგულებდა ქართულ პოე-  
ზიაში. ამავე დროს, გ. ტაბიძე წერს თეთრ და  
თავისუფალ ლექსებს, რომლებიც, ასევე, საუ-  
კეთესოა თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

ხშირად, როცა ჩვენში ამართლებენ თავი-  
სუფალი ლექსის არსებობას, ლაპარაკობენ  
ფსალმუნებზე, როგორც ტრადიციულ საფუძ-  
ველზე ურიტოშო ლექსისა. ფსალმუნები — სა-  
სულიერო პოეზიაა. იმ დროის საერო პოეზია  
განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს  
რითმის, ზოლო სასულიერო პოეზია, რომლის  
აუცილებელი პირობაა მეტი სიმეცადრე, დახვე-  
წილობა, სინათლე, სულიერი საეროს პირობა-  
ტი, ყოველგვარი სამაუღლებს უარყოფა,  
სრულყოფილ ფორმად სწორედ თეთრ ლექსს  
მიიჩნევენ. თეთრი ლექსით წერდნენ ისეთი დი-  
დი პოეტები, როგორებიც იყვნენ: მიქელ მოდ-  
რეკალი, იოანე მინჩხი, იოანე მტბევაძე და  
სხვ. როგორც ჩანს, ჩვენი წინაპრები სრული-  
ად საწინააღმდეგო აზრისა იყვნენ პოეზიის  
არსზე, ვიდრე თეთრი ლექსის თანამედრსვე  
ობონებდნენ.

რა თქმა უნდა, მაშინდელი თეთრი ლექსი,  
ვ. ბარნოვის თეთრი ლექსით დაწერილი რომა-  
ნები, შექსიარის მანაბლისეული თარგმანები,  
განსხვავდება თანამედროვე თეთრი და თავის-  
უფალი ლექსისაგან. ისევე როგორც თუნდაც  
XIX ს-ის ბოლო წლების რითმა თანამედრო-  
ვე რითმისაგან.

და რომ არც მქონდა ქართულ პოეზიას  
ასეთი ბრწყინვალე ტრადიცია ურიტოშო ლექ-  
სის სახით, დიალექტიკისა და ლოგიკის  
ყველა კანონის მიხედვით თანამედროვე ქარ-  
თული პოეზია მაინც მივიღოდა თავისუფალ  
ლექსაშედე და თანამედროვე რითმით შემოქმედ  
მელოდიურ ლექსაშედე.

XI და XX საუკუნეშიც ერთნაირად უსუსუ-  
რია დამირსპირება რითმიანი და ურიტოშო  
ლექსისა. სამჭოთა კომპოზიტორს დ. შოსტა-  
კოვიჩს ეკუთვნის ორი დიამეტრალურად გან-  
სხვავებული ნაწარმოები ფორმის თვალსაზ-  
რისით: თანამედროვე ატონალური მუსიკის  
ბრწყინვალე ნიმუში ოპერა „ცვირია“ გოგო-  
ლის მიხედვით და პოპულარული, მელოდიუ-  
რი „ლენინგრადის სიმფონია“, გ. ტაბიძის  
ლექსებია უკიდურესად მუსიკალური „სილაფ-

ვარდე ანუ ვარდი სილაში“, პოლონურს  
მუსიკის ნიმუში პოეზიაში „ლურჯა ცხენები“  
და თეთრი ლექსები „სამრეკლო უდაბნოში“,  
„ეს იყო უტკომობის დამლევის“, „დრუბლები  
ოქროს ამურებით“ და სხვ.

ნ. ჩვენს დროში ეპიკური პოემა, ამ სიტყვის  
კლასიკური გაგებით, აღარ არსებობს, რადგან  
მასში ქარზად შედის ლირიკული, სუბიექტუ-  
რი ელემენტი. ხშირად წმინდა ლირიკული პოე-  
მა იჭერს ეპიკურის ადგილს. მევეთრი ზღადა  
ამ ორ სახეს შორის იშლება და სწორედ სუ-  
ბიექტი, ლირიკული მე არის ამის მიზეზი.  
თანამედროვე მსოფლიოში სამეცნიერო-  
ტექნიკური რველოცია ძლიერ გავლენას ახ-  
დენს ადამიანის სულიერ მდგომარეობაზე.

ინტელექტუალური საწყისის სიჭარბე თანა-  
მედროვე ლექსსა და, განსაკუთრებით, პოემა-  
ში, მოითხოვს მისგან მაქსიმალურ ჩაღრმავ-  
ებას საკუთარ თავში, თვითანალიზს. ეს ფაქტი  
გულისხმობს არა ყოველთვის ეგოცენტრიზმს,  
არამედ საკუთარი სულიერი სამყაროდან გამო-  
მდინარე გარე სამყაროსა და მეორე ადამიანის  
სულიერი სამყარო შეშეცდომის შესაძლებლო-  
ბას, მასთან სიახლოვის სურვილს და რადგან  
სულიერი სიახლოვის ერთ-ერთი მთავარი პი-  
რობაა ამოცნობილი (რა თქმა უნდა, ძალიან  
საბოლოო) და მოთვინიერებული ფსიქიკა,  
ამიტომ საკუთარ ფსიქიკაში ჩაღრმავება მეო-  
რის სულიერი სამყაროს წვედომის ყველაზე  
კარგი საშუალებაა.

6. 100 წელს მდევრულმა იაბონელმა მხატ-  
ვარმა ხოკუსამი სიკვდილის წინ გულდაწყვე-  
ტილმა თქვა: ყვედები მაშინ, როცა ხატვა ვის-  
წავლი. შემოქმედის ცხოვრების ყოველი დღე  
ახალი ადგილია, ექსპერიმენტი. ამიტომ ყო-  
ველი შემდეგი ნაწარმოები უნდა იყოს ან ზე-  
აღსვლა, ან ჩავარდნა, ერთ დონეზე წერამ მთე-  
ლი სიციცხლის მანძილზე შეიძლება შედეგად  
მოგვეცეს დახვეწილი პროფესიონალიზმი. მაგ-  
რამ მოსაწყენი და მდორე მხატვრული ნაწარ-  
მოები. აქედან გამომდინარე, ჩემი ყოველი ახ-  
ალი წიგნი საკმაოდ განსხვავებული იქნება წი-  
ნა წიგნისაგან და თუ შექვენ ეს განსხვავება  
ზეაღსვლაა მაგჩინაით, ეს ჩემთვის ძალიან  
სასიამოვნოა. რაც შეეხება შეკითხვის ბოლო  
ნაწილს, უნდა გამოგიტყუდო, რომ მიუხედევად  
ჩემი მეორე სტეიალოზისა (ლიტერატურის  
თეორეტიკოსი), ძალიან არ მიყვარს საკუთარი  
შემოქმედების მეცნიერული ანალიზი.

7. როცა კრიტიკოსის დამოკიდებულება ჩე-  
მი შემოქმედების მიმართ გამომდინარეობს  
მხოლოდ შემოქმედებთან (კრიტიკის იდეოლო),  
სასიამოვნოა მისი ქება და ყურადხადალება კრი-  
ტიკული მოსაზრებანი და საერთოდ, კრიტიკა  
ასეთი პოზიციიდან შემოქმედის პატივმოყუ-  
რებასაც კი აუპოვიყოფებს. როდესაც ერთ-  
ერთ კრიტიკულ წერილში ი. ბერგმანის ბოლო

ფილმს „გველის კვერცხის“ კრიტიკოსმა აღმაშფოთებელი, საზინდარი ფილმი უწოდა, ი. ბერგმანმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „ეს იმას ნიშნავს, რომ ფილმმა უკვალოდ არ ჩაიბარა, მან ააღვლია, უძრავ კრიტიკოსი, ეს კი ჩემთვის ძალზედ სასიამოვნოა“.

მაგრამ კრიტიკოსიც აღამიანია და მასაც ახასიათებს ჩვეულებრივი აღამიანური ხისუსტე, ამიტომ ზოგჯერ იწერება კრიტიკული წერილები პოეტსა და კრიტიკოსს შორის ყოფით კონფლიქტებზე აღმოცენებული. ასეთ შემთხვევაში, დიფერამბები იქნება ასეთ წერილში, თუ ინტელიგენტური ლანძღვა, მან არ უნდა ააღვლეოს პოეტი სერიოზულად, რადგან მიზეზთა მიზეზი ცნობილია.

8. ჭერჭერობით, ჩემი აზრით, ჩემს დამოკიდებულებას აღამიანთან, სამყაროსთან (ჩემს მსოფლმეტერანებას) ვახერხებ შესაბამისი ფორმა მოვუძენო პოეზიის სხვადასხვა უანრში (ლექსი, პოემა). რა იქნება ზვალ, ამაზე პასუხი ძნელია, და მე მგონი, შეუძლებელიც.

9. ცნობილია, რომ ახალგაზრდა უფრო მძაფრად, მტკივნეულად, ემოციურად განიცდის ყველაფერს: ის იმპულსურია, მაქსიმალისტია,

ზშირად სასტიკიც ჩემთვის უდიდესი ქათინაურია, როცა ახალგაზრდებს მოსწონთ ჩემი შემოქმედება. ქათინაურია და სტამული შემდეგი მუშაობისთვის და ბრძოლისთვის.



მთავრდება საუბარი პოეტ ქალთან, იხურება წიგნი, მაგრამ ჩვენს თვალწინ კვლავ მტყუვლებენ თავისუფალი მდინარებით აღბეჭდილი ლექსები ღია სტურუასი, ზოგჯერ ძნელად გასახსნელი პოეტური ხატებითა და ჩვენებებით, მაგრამ ტყვილამდე მართალი სიყვარულით, ქალურობითა და სიკეთით გამთბარნი. იგი ხომ იმიტომ ჩამოაგდეს გრემის ხიმალლიდან, რათა უკეთ ესწავლა ტყვილის ფასი; იგი ხომ იმიტომ აფარებდა სხვის მარტოობას თავისი შინდისფერი თმის დროშას, რათა თავადაც მარტო არ ყოფილიყო; პოეტის ლექსების ახალი კრებულის ხომ იმიტომ იწერებოდა, რათა ერთხელ კიდევ აღეღვებულიყო. ჩაფიქრებულიყო და მუხლი მოეყარა მას ქართველი მკითხველის სიყვარულის წინაშე კერძო მარტი პოეზიისადმი...





# სიკვითის თანადგომა

მკითხველთა ფართო წრე მუրთავ ჩახავას უკვე სამი საუმაწიელო წიგნით იცნობს, ესენია: „გადაფრენა“, „ხალ არის ჯაღოქარი“ და წილებს დასტაშუელი „ეჟუას ქვეყანა და შვიდფერი ცისარტყელა“ („ნაკადული“, რედაქტორი ჯ. ბაქელიძე, მხატვარი ე. ამბოკაძე). სწორედ ამ უყანასკენლზე ვაპირებ ნაფიქრის გამხელას.

მ. ჩახავას მოთხრობების პირველი კრებულმა, რომელიც 1970 წელს გამოცა იმავე „ნაკადულმა“ უთუოდ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა და ახალგაზრდა მწერალს მუსივე მოუპოვა აღიარება, დიას, არ უნდა შეგვეშინდეს ამ გამოქმნის, გაწვიადებულად არ უნდა მოგვეჩვენოს იგი, რადგან აღნიშნული კრებულას ერთერთი მოთხრობა („გადაფრენა“) უმაღვე აღმოჩნდა სასკოლო სახელმძღვანელოში.

ცხადია, ერთი ხელის მოსმით არაფერი მომხდარა. ამ წარმატებას წინ უძღოდა შემოქმედებითი ტკივილებით აღზავს წლები.

მ. ჩახავას პირველი მოთხრობა „თოვდა და თოვდა“, უფრნალ „ილიაში“ დაიბეჭდა 1966 წელს და წლის საუკეთესო საბავშვო მოთხრობის სახელი დაიმსახურა; შემდეგ პიესად გადაკეთა საკუთარი მოთხრობა „ხალ არის ჯაღოქარი“, რომელმაც საბავშვო პიესების რესპუბლიკურ კონკურსზე მეორე პრემია მოიპოვა.

უნდა ითქვას — ეს პირველი საფხურები არცთუ დაბალი და ადვილი შენაწიელოში იყო მხატვრული დონის თვალსაზრისით, მაგრამ მწერალი თამამად შეუყუა აღმა მიმავალ შემოქმედებითი კიბეს.

მ. ჩახავა იმდენად კარგად იცნობს ნორჩების ფსიქოლოგიას, ისე გვაწვდის მხატვრულ სიმართლეს, რომ ბავშვებს კი არა, მოზრდილებსაც გაიტაცებს ხოლმე, სულწოთქმელად წაკითხვებს თავის მოთხრობებს. ადრევეებს, გაალაულებს, დაამწუხრებს, მამბავს, მაგრამ, საოლოოდ, მაინც გულს გაუკეთებს, იმედს არ გადაუწურავს, გაამხნიებს, გააკეთალოშობილებს და ბაშულებს თანამოაზრედ და თანამდგომად გაუბნებს ავტორს. ყოველდღე ეს კი ბუნებისგან მომადლებული ნიჭიერებისა და დაუდალავი, მამებელი შრომისმოყვარეობის შედეგია.

მ. ჩახავა ძალდაუტანებლად, ლაღად წერს და მასშტაბურად აწროლებს. მისი ფილოსოფიას რთული თავისი არსით, მაგრამ ადვილად მისა-

წიელოში სწორედ მხატვრული სიმართლისა და თემის ოსტატური დამუშავების წყალობით. ამ მოთხრობების მთავარი აზრი მუდამ მკაფიო, კრისტალივით გამჭვირვალეა, ამავე დროს უადრესად დამაბული, მწვევე და კონფლიქტური. მ. ჩახავას მოთხრობებში მთავარია სწრაფვა სიკვითის დასამკვიდრებლად, მაგრამ იგი მარტავად და გულუბრყვიელოდ კი არ მიიღწევა, არამედ რაინდული ბრძოლითა და უმაღალითო თავდადებით. მ. ჩახავას მოთხრობებში შექმნილი სიტუაცია მუდამ განსაკუთრებულა, ხოლო პერსონაჟთა ძიელი — უშედავო. კაცმა რომ ითქვას, ამ მოთხრობათა თემებიც ნაცნობა და ჩვეულებრივია, მაგრამ ახლებურია მათდამი მიდგომა და სწორედ აქა ჩანს მწერლის ნიჭიერება. მაგალითად, მისი „მგლებს“ წაკითხვისას უნებლიეთ მოგვაგონდება ვაჟა-ფშაველას „ამოღობს, ნათდება!“ ორივე მოთხრობაში მშვიერი მგლები ცხვრის ფარას უნდა დეცხან თავს, ორივეგან შიშია სინათლისა, ორივე ნაწარმოებში მგლები გლუკენ ერთერთ „თანამომებს“ (ტოტია, ფითრა), მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრულიად სხვადასხვა მხატვრული გარემოა შექმნილი, სხვადასხვა პრობლემა გადაწყვეტილი, სხვადასხვა მიდგომა გამოვლენილი, რომლითაც იკვეთება ავტორის ინდივიდუალობა. მ. ჩახავას „მგლებში“ სიკვითის გზაზე შემდგარი ფითრის დამარცხება ვერ განგაწყობს პესიმიზტურად, ვინაიდან მობდა სასწაულა — მგელმა მგლობა მოიშალა და ამ სიკვითის ულორტმა, ახალი სინამდვილე რომ დაბდა, უნდა იხაროს.

ასევე ნაცნობი თემებია დამუშავებული სხვა მოთხრობებშიც. „უაღმათია“, „ჩიტი და ვაღია“, „ბუსუსა და ზუზუნა“, „ფაფუნა ფურტკარი“ უსაზღვრო სიუჟარულსა და უანარო მეგობრობას ჩავვაგონებს; ეტრფოდ სიცოცხლეს, მუდამ გქონდეს ვამარჯებების რწმუნა, უმწიწეს დეჟმარე — გვეუბნება ავტორი მოთხრობებში: „თოვდა და თოვდა“, „გადაფრენა“, „მზე, ციკუნა, წიგწივა და ფოფრა“.

ცხოვრების მსგავსად, მ. ჩახავას მოთხრობებშიც ყოველთვის ვერ იმარჯვებს სიკეთე, მაგრამ მისი დროებითი დამარცხება არ ნიშნავს ბოროტების დამკვიდრებას („უაღმათია“, „მგლები“, „ჩიტი, კიკილია და კიკოლა“).

ორ განყოფილებად წარმოდგენილი „ეჟუას



ჭეუანა და შვიდდერი ცისარტყელა“ თორმეტ მოთხრობას შეიცავს, რომელთაგან წიგნის ნახევარზე მეტი უჭირავს „კაჟა ბაქიას“. ფაქტიურად კრებულიში სამი ახალი მოთხრობაა: ზემოთ განხილული „მგლები“, „ტაიმანგის ტურა“ და „კაჟა ბაქია“.

ტურას დაუმარტობედებია ბებერი, დაუმლურებელი ღლმი, რომლის ხანაშიც თავის დროზე ვეფხვის თავიც კი ჩატრულა, და მასხარად იგდებს, იბრუებს, მშხავანს ხელსაყრელი მომენტი კი ჩაუგდია ბედს შერიგებული ღლმის წინააღმდეგ შურის საძიებლად, მაგრამ მთავარი ავიწყდება: ტურა ვერასოდეს გახწვს ღმომობას. ავტორი გვიჩვენებს: იცან თავი შენი, ნუ გადახვალ წრეს, ბოროტად ნუ ისარგებლებ შექმნილი მღვდმარტობით; და კიდევ სამარცხენო სიცოცხლე აპარაობა.

მ. ჩახავს მოთხრობების აბსოლუტური უმარავესობა მცირე ზომისა, მაგრამ ტყვადი, მათში ნათლადა გამოკვეთილი ავტორის ფილოსოფიური კონცეფცია, მსკერობა ლაკონიურია, ჩანაფიქრი — ადვილად მისაწვდომი. გიწიდავს ზომიერად გამოყენებული მხატვრული საღებავები, ოსტატური დიალოგები, ხალხური კლობიერი — „ჩვენი გზა აქ გათავდა — ავითო კაჟა, — სისხლი და ხორცი გავიფიქრე ამისთვის მე“, „ო, ერთი მაგისი თავი მომცა ხელში დას“. — გრძელი კბილები გამოაჩინა ხორხიჭამიამ“. ან კიდევ: „ეჰ, ყაღმათია, დავიწყე ყველაფერი, მასხრობა არ გცოდნიაო სულ“.

მოსაწონია მხატვრული სახეების ფერადონებაც: „ქარი კი უსტყენდა. მთელი ტყე დავარცხნილს მგავდა. ყველა ხეს ერთ მხარეს ჰქონდა ტოტები გაწვდილი“.

მშვენივრადა დახატული ბუნების სურათი „ფაფუნა ფუტკარში“.

„გრგვინი... გრგვინი...“

ტყის თითქმის სუნთქვა შეეკრა. ფოთოლი რომ ფოთოლია, ისიც არ ირხეოდა. მერე იელვა, თითქოს ცა გაიხლიჩაო, ირმის რქასავით დაგრებლი ცეცხლით ტყის თავზე გაწვა. იდე იქვე: „გრგვინვამ შორს გადაივარიალა. გუგონებოდა, ცა მორბანსგან შეკრული ბოგირია და შედ დიდი კასრი დააგორესო“...

კერბულში ზწირად ვხვდებით ტყვად დიალოგებს.

მ. ჩახავამ სიკეთის ზეიმში დაუღო საფუძვლად თავის ჭრჭრობით ერთადერთ ვრცელ მოთხრობას „კაჟა ბაქია“. ბებერი ვასპირი გადახდა ობოლ კაჟას, მაგრამ შრომისმოყვარობამ, საზრიანობამ და მოხერხებამ საბოლოოდ გამარჯვებინა. ბოლოს იგი კურდღლების აჯანყებასაც ჩაუღდა სათავეში და, მეგობრების დახმარებით დამარცხა კიდევ სამკლეთი. მიუხედავად ამისა, სიკეთე მრისხანებით არ შეუცვლია კაჟას. იგი ღმობიერია დამარცხებულ

შტრის მიმართ და როცა კაჟას წინ დაჩქარებული გადაჩენილი მგლების დახოცვას მოთხოვნა შეთავაზობას ირცევა და ბრძნულ რჩევას იძლევა:

„— არა, ძმებო, ვაჩუქოთ სიცოცხლე, მხოლოდ თავინთი ბოროტების სასჯელად კბილები დავაძროთ, დაე, ამირიდან ჰქონდო ხალხი და თავინთი შეილებს გადასცენ უკბილოდ დარჩენის მიზეზი. დე იყოს მათი ამგვარი სიცოცხლე დანარჩენებისათვის მავალითი“.

მ. ჩახავა მრავალმხრივი შემოქმედია. თავის დროზე საერთო აღტაცება გამოიწვია მისი შემოქმედების აღრუთი ხანის ნაყოფმა — მეგრულად დაწერილმა ჭეშმარიტად ბრწყინვალე ლექსებმა, რომელთა ნაწილი შევიდა აწ განსვენებულ ტოგო გუდავას მიერ შედგენილ „ხალხური სიტყვიერების“ I ტომში, სადაც წარმოდგენილია მეგრული ხალხური პოეზიის ნიმუშები.

მეორე და მესამე წიგნებს შორის გასული დროის მოწვევით, რომელიც რამდენიმე წელაწადს მოიცავს, შორიდან სიცარიელეს ჰგავს. ურველ შემთხვევაში დაინტერესებული მკითხველიც კი ცოტა რამეს ხედავდა და კითხულობდა მ. ჩახავას შემოქმედებიდან. მოხდა ისე, რომ მწერალი ერთგვარად მოწყდა მკითხველებს, თითქოს გაუჩინარდა და ნული აღლო კიდევ საუწყვეილო მოთხრობების წერაზე.

საბედნიეროდ მწერალს უქმად არ გაუტარებია ეს წლები. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა მისი საინტერესო მოთხრობა „ფაფუნა ფუტკარი“, რომელიც მალე საბავშვო ოპერის ლიბრეტოდ გადაკეთდა, „სად არის ჭაღოქარი“ კი ამჟერად მუსიკალური სპექტაკლის ლიბრეტოდ იქცა.

ამავე წლებში დაიწერა ხაში პეხა მოზრდილთათვის: „მზე ცვლავ აცხუნებს“, „ამარტი“ „სინდისი“ ანუ ახირებულ კაცე“ და „ოქროს ზღაპარი“. პირველი ორი დაიდგა ფოთის თეატრში, ხოლო მესამე დასადგმელად მწადდებო ქუთაისის სახელმწიფო თეატრში.

პიესებს მიჰყვა ორი პოემა — „მშის გორგალი“ და „კოლხური რაფსოლია“, ლექსების ციკლი და რამდენიმე მოთხრობა. მათ შორის „იღენადრო — ძაღლების მეფე“ და „კაჟა ბაქია“ რომელთაგან პირველი ავტორმა კინოსცენარად აქცია, მეორე კი — პიესად.

ყველაზე ძვირფასი, რასაცა მ. ჩახავას მოთხრობებში ვხვდებით ის არის, რომ მწერალი მკვიდრ ეროვნულ ნადავზე დგას. მისი მასწავლებლებია ქართული ხალხური ზღაპარი, სულხან-საბა ორბელიანი და ვაჟა-ფშაველა.

ცხადია, უნაკლო არ იქნება მ. ჩახავას ხარცენიორ კრებულში, მაგრამ ნაკლი იმდენად მცირეა ლირებულში, რომ ჰქვას იგი პირად სუბარში გავუზიარო ავტორს.

# ჩვენი სახელგანთი მამულოშვილები

## თამაზ აბაშიანი

### გიორგი ნიკოლაძე

ორმოცდაორი წლისა წავიდა ცხოვრებიდან და იმდენის გაკეთება მოახწრო, რომ მისი ნაამაგარი მუდამ გამოიწვევს გაოცებასა და აღტაცებას. როცა მასზე ფიქრობ, გიგანტურ, მრავალწახანაგოვან ფიგურად აღიმართება: ინჟინერი-მეტალურგი იყო და მკვლევარი-გეომეტრი, ტერმინოლოგი და გამოგონებელი, ტანმოვარჯიშე და მთაშესვლელი. მოღვაწეობის არცერთი სფერო მისთვის სასხვათაშორისო არ ყოფილა, ყველგან მოწოდების კარნახით დაშვრა და ქველვანვე ისეთი კვალი დატოვა, რომ თითო მათგანი ეყოფოდა უკვდავებისათვის.

ბერს სიკეთესთან ერთად ის მაღლივ უზვად ეცხო, რომ ახალგაზრდები მიუზიდა, ენთუზიანებით ადევსო, სასახელი საქმეებს ეზიარებინა. მისი გავლენის ძალა კარგად იგრძნობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ აღამ ჩახტაურის სიტყვებიდან: „ბერმა ჩვენგანმა გეომეტრია იმიტომ აირჩია სპეციალობად, რომ გიორგი ნიკოლაძე იყო გეომეტრი. ცნობილია, რომ იმავე მიზეზით ბერმა მეტალურგი გახდა, ბერმა აღმინისტი და ა. შ.“

ახალგაზრდობა ახლოს უნდა იცნობდეს ისეთ სამაგალითო მამულიშვილებს, როგორც ის იყო და როგორცდ ბუნება იწვიათად გამოიმეტებს ხოლმე. ამ გაცნობისას განსაკუთრებით სწორად მიემართეთ სული გამოჩენილი პიროვნების ავტორიტეტს. აი ისინიც:

მორის ღობანი (1862-1928) — გამოყენებითი მათემატიკის, გამოთვლელი მანქანების, მათემატიკის ისტორიის ფრანგი მკვლევარი, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი;

გიორგი ნიკოლაძესთან დაკავშირებული მისი განცხადება გაკეთებულია 1928 წელს.

მლი პარტბანი (1869-1951) — ფრანგი მათემატიკოსი, პარიზის უნივერსიტეტის (სორბონის) პროფესორი, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ნ. ლობაჩევსკის სახელობის პრემიის ლაურეატი; მოგონება გიორგი ნიკოლაძეზე დაწერა 1933 წელს.

ნიკოლოზ კარლოვი (1879-1955) — რუსი საბჭოთა მათემატიკოსი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი; მოგონება გიორგი ნიკოლაძეზე დაწერა 1946 წელს.

ივანე ბარდინი (1883-1960) — რუსი საბჭოთა მეტალურგი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო პრემიის ორჯონის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი; მოგონება გიორგი ნიკოლაძეზე დაწერა ორჯერ — 1946 და 1954 წელს.

ნიკოლოზ მუსხელიშვილი (1891-1976) — ქართველი საბჭოთა მათემატიკოსი და მექანიკოსი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიების წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო პრემიის ორჯონის ლაურეატი.

გიორგი ნიკოლაძის უმცროსი და თამარი







(1952-1955) 5 მუსხელიშვილის პირველი მე-  
 უღლე იყო. 5. მუსხელიშვილის ეკუთვნის გ. ნი-  
 კოლაძის პირველი ბიოგრაფია (დაწერილია  
 1953 წელს).

გიორგი დიდ ჭიანჭველში დაიბადა, სამტრედიის  
 მახლობელ ლაშავ იმერულ სოფელში. „დედა  
 ნახე, მამა ნახეო“ — შასწავა გამოკრილი: ოღლა  
 გურამიშვილმა თბილისის კეთილშობილ ქალ-  
 თა ინსტიტუტი დაამთავრა, მერე შვეიცარიაში,  
 ციურხისა და ფრენკის უნივერსიტეტებში სწა-  
 ვლობდა და ზედმწერვით განათლებული დაუბ-  
 რდა და მშობელ მხარეს; ერთ ხანს ქართულ  
 სათავადაზნაურო გიმნაზიაში ასწავლიდა და იშ-  
 ვიათი პედაგოგიური ტალანტი გამოიჩინა, რო-  
 მიელიც შემდგომ სამი წვილის აღზრდას მოასწა-  
 რდა.

„საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ლიტე-  
 რატურული კრიტიკოსი“ — ასე გაგვაცნობენ ნი-  
 კო ნიკოლაძეს სიტყვათაწინ ენციკლოპედიებით.  
 ის იყო ერთ-ერთი საბელოვანის თურგვალეუ-  
 ლი, დიდი ერისკაცი, ილიასა და აკაკის გვერდ-  
 ის მოსახსენებელი, ფოთის აღმასწავლებელი, რკი-  
 ნისგზებზე თუ სარწყავ არხებზე, ჭიათურის მა-  
 ნგაწუმსა თუ ტაბულის ქვანახშირზე, მებაგრე-  
 შუმეობაზე თუ მეფუტკრეობაზე, საცდელ ნა-  
 ვეთებზე და ვინ მოთვლის, კიდევ რაზე მწარუნ-  
 ველი.

5. მუსხელიშვილი: „დედამ თავიდანვე თავი-  
 სუფალი განვითარების შესაძლებლობა მისცა  
 გიორგის ნიქს; იგი აკვირდებოდა ბავშვის ბუ-  
 ნებრივ მიდრეკილებებს და სათანადო მიმართ-  
 ულებებს აძლევდა მათ. შედარებით უფრო  
 გვიან დიდი გავლენა იქონია თავის ვაჟზე ნი-  
 კო ნიკოლაძემ, რომლის დაუღალავ და მრავა-  
 ლმხრავ მოღვაწეობას ყოველთვის აღტაცებაში  
 მოჰყავდა მისი შვილი“.

გეომეტრიისაღმი მიდრეკილება გიორგის  
 სკოლაშივე გამოჩნდა. მოგვიანებით ერთ-ერთი  
 ხანკეტო კიბხიას პასუხად ის დაწერს: „ჩემი  
 თავი მიმჩნია საკმაოდ დიდი გეომეტრიული  
 ინტუიციით დაჭილდობულ ადამიანად და მგო-  
 ნია, რომ ყოველი ჩემი აზრი კონკრეტული სა-  
 ხით უღდა იყოს შემოსილი“. კიდევ უფრო  
 გვიან, — როცა გიორგი ცოცხალთა შორის  
 აღარ ურევია, — ელი კარტანი, თავისი დროის  
 უდიდესი გეომეტრი, ყველა პართული მათემა-  
 ტიკოსის სამაჟოდ იტყვის: გიორგი ნიკოლაძე  
 ბუნებით იყო გეომეტრი.

და ასეთი კაცი თბილისის პირველი გიმნა-  
 ზისი დამთავრების შემდეგ შევიდა პეტერბურ-  
 გის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ჭიმაურ გან-  
 ყოფილებაზე.

საანკეტო კიბხიას — რა სპეციალის-  
 ბას აირჩევდით, სრულიად თავისუფლად  
 რომ შეგელოთ არჩევსო — მიუყო: წმინდა  
 მათემატიკა ყველაზე საინტერესო სპეციალო-  
 ბაა, მაგრამ ჩემი მომავალი ამოცანებისათვის  
 უფრო მნიშვნელოვანია ის სპეციალობა, რომ-  
 ელიც მე ავირჩიეო. აირჩია კი მეტალურგია.

აქ მცირე კომუნტარის ნებას მივცემთ თავს:  
 გიორგი სულით ზორცამდე პატრიოტი და ნამ-  
 დვილი მამულიშვილი იყო. სანამ რაიმე სერიო-  
 ზულ ნაბიჯს გადადგამდა (შეიძლება ჩავთვალო-  
 თო, რომ პაროფესიის არჩევა პირველი ასეთი  
 ნაბიჯი იყო), სრულიად დარწმუნებული უნდა  
 ყოფილიყო, რომ იგი უწინარეს ყოვლისა მისი  
 ქვეყნის ინტერესებს შეეჭარადებოდა (გიორგის  
 მთელი ცხოვრება ამ პატრიოტული პრინციპის  
 შიჯილი უდავლად იყო დარწმუნებული (ამაში მამა-  
 ცანებს გულისხმობდა გ. ნიკოლაძე თავის პას-  
 უხში, ახას 5. მუსხელიშვილი განმარტავს: „სა-  
 ქმე ისაა, რომ იმ დროს სულ ახალგაზრდა გი-  
 ორგი დრამად იყო დარწმუნებული (ამაში მამა-  
 მისის გავლენა იჩენდა თავს), რომ საქართვე-  
 ლოს კეთილდღეობა მოითხოვს უსწრაფეს ინ-  
 დუსტრიალიზაციას და რომ მხოლოდ ამ კე-  
 თილდღეობის ამაღლებას შემდეგ გვაქვს ნება  
 განყენებულ მეცნიერებასაც მოკვილოთ ხელი.  
 აი ამ მოვალეობის გრძნობის ერთგულება აი-  
 ძულებს მას შესწრაფოს თავისი პირადი მიდრე-  
 კილება საზოგადოებრივ და თავისი ქვეყნის კე-  
 თილდღეობის ინტერესებს: ის ირჩევს სპეციალო-  
 ბას, რომელიც მისი აზრით საუკეთესოდ შეიარ-  
 რალებს ამ კეთილდღეობის სამახსოვრისათვის“.

მეტალურგის სპეციალობას რომ ეფუძნებო-  
 და, გიორგი მათემატიკასაც არ აკლებდა უფრად-  
 ლებას. მარტო სტუდენტობისას კი არა, მთელი  
 ცხოვრების სარბიელზეც ის საგანი მისი ინტე-  
 რესების ცენტრში იყო, თუმცა არახლოდ არ  
 აძლევდა თავს უფლებას მხოლოდ ამ „პირვე-  
 ლი სიყვარულით“ ყოფილიყო შეპყრობილი:  
 ბერნაიარი მოწოდება და უნარი რომ ბუნე-  
 ბით მქონდა მომადლებული, ეს ყველაზე უპი-  
 თეთონ უწყობდა.

გიორგის არ გაუვლია სპეციალური მათემა-  
 ტიკური სკოლა და ამან კვლევამების პირველ  
 პერიოდში ერთი უსიამოვნო ამბავი გამოიწვია:  
 მან მიიღო ისეთი შედეგებიც, რომლებიც, რო-  
 გორც მერე გამოიკვია, უკვე ცნობილი ყოფი-  
 ლა უცხოელი, კერძოდ კი იტალიელი მკვლევა-  
 რებისთვის. თუმცა გ. ნიკოლაძის პირველი გეო-  
 მეტრიული ნაშრომის შედეგებიც — არამედღაარ-  
 ამც არ ეთქმის მოწაფური, მან მოწონებასთან  
 ერთად კრიტიკაც დაიმსახურა. აქედან იწყება  
 გიორგის დამაბული მეცადინეობა მათემატიკა-

თამაზ ბანაიძე  
 ბიოგრაფი ნიკოლაძე



რი მომზადების შესახებ და გასაღრმავებლად

6. მუსხელიშვილი: „ამ მუშაობაში გიორგი ისეთივე ნიშნავი და გეგმიანობას იჩენს, როგორც ყველა სხვა საკითხშიც. ძალიან მოკლე ხანში იგი გაივლია ფიჭავაძე-მათემატიკის ფაკულტეტის მთელ კურსს, შემდეგ კი უფრო იმ საგანს, რომლებსაც მოითხოვს სადოქტორო გამოცდების პროგრამა. გამოცდებს ბრწყინვალედ აბარებს 1921-22 წლებში, უკვე ყოველმხრივ განათლებული მათემატიკოსი ხდება და შესაძლებლობა აქვს სრულიად გაშალოს თავისი ძალეები“.

იყენებს კიდევაც ამ შესაძლებლობას პარიზში სამეცნიერო მიჯიღების დროს. გიორგის მიერ იქ დაშტკიცებული ერთი თეორემა იქცევს ე. კარტანის ყურადღებას და სახელგანთქმული გეომეტრია თანხმდება მის მეცნიერულ ხელმძღვანელობაზე.

6. მუსხელიშვილი: „ეს ხელმძღვანელობა განიცატება არა თემის არჩევაში ან საკითხების დაყენებაში, არამედ მხოლოდ გ. ნიკოლაძის მჭიდრობის სვლის კონტროლსა და შემოწმებაში, აგრეთვე ლიტერატურული ხასიათის მითითებებში... კარტანს იშვიათად უხდებოდა გიორგის მიერ მიღებული შედეგების სისწორეზე შეკამათება“.

ეს შედეგები გ. ნიკოლაძეს კარგა ხანია „პოტენციურად“ ჰქონდა დაგროვებული და სულ რაღაც ორწლიან მონაკვეთში მან რვა მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნა ფრანგულ და იტალიურ მეცნიერულ ჟურნალებში.

1928 წელს სორბონში გიორგი ნიკოლაძემ უმაღლესი დახასიათებით მოიპოვა საფრანგეთის უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორისა. ქართული მათემატიკის პიონერთა შორის უპირველესის, დიუფინარი ანდრია რაზმაძის შემდეგ, ის იყო მეორე ქართველი მათემატიკოსი, რომელსაც ასეთი აკადემიური პატივი ხვდა.

6. კრილოვი: „გიორგი ნიკოლაძესთან სულ მოკლე მათემატიკური საუბარიც მაშინვე გარწმუნებდათ იმაში, რომ აკადემიკოს ე. კარტანის აზრი მის შესახებ სავსებით საფუძვლიანა და მოკლებულია ყოველგვარ გადაჭარბებას... მე ყოველთვის დაუფარავი სიამოვნებით ვიკრებ ხანგრძლივ სერიზობებს ლუქსემბურგის ბალში და ოდენონის თეატრის მახლობლად. მან გამცნო რამდენიმე საკუთარი გეომეტრიული კონსტრუქცია და ხაზგასმით იცავდა ზოგიერთ დებულებას, მიღებულს ახალგაზრდობაში ჩატარებული ცვლილის დროს ანალიზური გეომეტრიის ახალი მეთოდების დადგენის დარგში. ეს დებულებანი მან საფუძვლად დაუდო შემდეგ კვლევას, რომელიც ფართოდ გაშალა სადოქტორო დისერტაციაში. დისერტაცია დიდებულად დაიცვა სორბონის საგამოცდო კომისიის წინაშე. ამ შესანიშნავ ნაშრომში გამომუშავდა

ავტორის უდავო, ნაშთილი გეომეტრიული ტალანტი, ახალი და მძლავრი მეთოდები, მიღებულია მეტად მნიშვნელოვანი შედეგები“.

ე. კარტანი: „გ. ნიკოლაძის დისერტაციის დამუშავებას მე სისტემატურად ვეცნობოდი მისი გზა ერთხელაც არ ახდენდა გეომეტრიის სინაფილეს. ისეთ დარგში, რომელიც ასე დიდხანს და ასე ბრწყინვალედ მუშავდება იტალიელ გეომეტრთა მიერ, გ. ნიკოლაძემ მიიღო ძალზე ზოგადი ახალი შედეგები“.

აქვე შევნიშნოთ: 1928 წელს საერთაშორისო მათემატიკურ კონგრესზე ბოლონიაში ქართველი მეცნიერი წარმატებით ეპაქტებოდა ბრწყინვალე ინტელიტ გეომეტრებს ჯორჯიუს სევერისა და ბენიამინო სეგრეს. გიორგი ამ კონგრესზე მოხსენებითაც გამოვიდა.

ამგვარად, გიორგიმ მეტაღერგობას ხელი მიბუო საკუთარი მისწრაფებების საპირისპიროდ საერთოდ, ის მუდამ ისეთი „ეგარიციული“ დევიზით მოქმედებდა: მაქსიმალური სამსახური გაეწია ქვეყნისათვის, საზოგადოებისათვის. თურმე ამხობდა: მე ნაწილობრივ მანქანა ვარ, რომელშიც თავმოყრილია ვარკვეული შესაძლებლობები და ამიტომაც ვალდებულია მაქსიმალურად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატაროს.

...1918 წელს გ. ნიკოლაძემ წარჩინებით დამთავრა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი. მის ხალისში პროექტის ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ წინადადება მიუღია ინსტიტუტშივე დარჩენილიყო სამუშაოდ, მაგრამ უარზე დამადგარა და წარმოებაში სტატირება უშკომინებია.

6. მუსხელიშვილი: „მამამისის დიდი ნაცნობობის წყალობით მას შესაძლებლობა აქვს თავიდანვე საუკეთესო ადგილებში მიიღოს ოდენონის აუნის ყოველ დიდ ქაზანში, მაგრამ ამ გზას კატეგორიულად უარყოფს და სრულიად დამოუკიდებლად იწყებს მუშაობას იქ, სადაც ამას თვითონ ცნობს სასარგებლოდ“.

გიორგიმ იუზოკავში (ამჟამინდელ დონეცკში) უბრალო მხაზველად დაიწყო სამსახური, ორიოდე თვეში კი ბრძმედების მორიგე ინჟინერი გახდა, რაც ერთი პროექტით გამოიჩინა თავი.

ბ. ბარდინი: „მე მას პირველად იუზოკავში შევხვდი 1918 წლის შემოდგომაზე. ის-ის იყო ცვლის ინჟინრის თანამდებობიდან საბრძმედო სამუშაოს წარმოების ვამგედ გადაიყვანეს, გიორგიმ კი ჩემი ადგილი დიდაცა და თანაშემწედ დამიღგა“.

...სოვეტერ ბრძმედების მართვა სტიქიასთან ადამიანის ბრძოლას ემსგავსებოდა. არ შეიძლება ეს სამუშაო, როდესაც ერთი მხრივ ნახევრად სტიქიაა, მეორე მხრივ კი ადამიანი, არ შეყვარებოდა ჯან-ღონით სავსე ისეთ ახალგაზრ



რდა ინჟინერს, როგორც გიორგი იყო. მსგავსი რამ ადამიანებისგან მოითხოვდა ბევრ ჯაფს, მოთმინებას და რაც მთავარია, სიყვარულსა და ინტერესს. გიორგის ჰქონდა ყველა ეს თვისება. როცა ბრძმედები მწყობრივად გამოდიოდნენ, გიორგი მთელ დღეებს და უძილო ღამეებს ატარებდა ღუმელთან.

...დაპირაქი წელი და რბილი იცოდა. თავიდან მივეჩვენებოდა, რომ წელი მოქმედებს, მაგრამ ახე როდი იყო: საქმეს, რომ ავალეზდნენ, სხვებზე წელი კი არა, უფრო სწრაფად ირტებოდა, თანაც საქმის ყოველ დეტალს სწავლობდა. თავისუფალ დროს ამბარდა ან ტანვარჯიშს, ან მთიანეთში, ან, რაც სულაც უჩვეულო იყო, ლექსების კითხვასა და წერასაც კი“ (გ. ნიკოლაძის დამოკიდებულება ლექსებთან და საზოგადოებას, მხატვრულ ლიტერატურასთან, ისევე გეროიზულია და ღრმა, როგორც ყველაფერთან. ჩვენ ამ სავანს მტკიურ ნარკვევი მივუძღვეთ — „ცისკარი“ № 8, 1964 წ. — თ. უ.).

ღონების აუზში მუშაობასაც გიორგიმ დაიწყო. მისი ირგვლივ უკვე მაშინ იურთან თავს მოწაფეები და მიმდევრები. გიორგის მხარუველობა თანამშრომლებზე იქამდე მიწრდა, რომ მათთვის ის თარგმნის ამერიკული მეტალურგიული შურნალის საყურადღებო წერილებს (აქვე დავსძენთ, რომ ინგლისურთან ერთად მან კარგად იცოდა ფრანგული და გერმანული ენები).

ისე მოხდა, რომ გ. ნიკოლაძის მხოლოდ სიცოცხლის ბოლო წლებში მიეცა საშუალება საქართველოშიც გაეშალა ვაცხოველებული თეორიული და პრაქტიკული მეტალურგიული მუშაობა. ამ მხრივ პირველ საგულგახეობს როგორად ფეროშენადნობთა წარმოების დამუშავება და ბორცვისგან გველიწევა. ცნობილია, რომ 1929 წელს ვადაწყდა ქ. ზესტაფონში ფეროშენადნობის ქარხნის აშენება. ამ მუშენებლობის მოსამზადებლად გიორგის ინიციატივით დიდებულში აიგო სპეციალური საცდელი ფეროშენადნობის ქარხანა. საქმე მართო ინიციატივით როდი შემოფარგლულა: ქარხანა მისი ხელმძღვანელობით დაპროექტდა მისივე მოწაფეების მიერ.

დიდუბას ქარხანა ამუშავდა 1930 წლის 21 ივნისს. ამ დღეს გამოდნობილ ლითონს უნდა შევხედოთ, როგორც საბჭოთა ქვეყნის პირველ ფეროშენადნობს, მიღებულს სამამულომარტიან ელექტროღუმელში.

გიორგი ნიკოლაძის ბიოგრაფიის ბრწყინვალე ფურცლად იკითხება საზღვარგარეთ მისი სამეცნიერო მიღწეების პერიოდი.

წ. მუსხელიშვილი: „პირდაპირ ვახსოვრია, რა უზარმაზარი მუშაობის ჩატარება მოასწრო ორწლიანი მსვლინების დროს (1926-28). მათე-

მატაურის გარდა სხვა მიზნებზე ჰქონდა ელექტროქიმიური და ელექტრომეტალურგიული მუშაობის დარგში. ყველაფერს მშვენივრად ასრულებს, ჩვეულებრივი თავისებურებითა და მდიდარა ინიციატივის გამოჩენით. ამავე დროს გზადაგზა იმდენ ზედმეტ რაზმს ატარებს და მცნობა, რომ გაკვირვებას ვერ აუღიხარ: ათვალიერებს ჩრდილოეთ და სამხრეთ სფეროებში მარხებს, ცნობა ელექტროფიზიკის; ნახევარსაფრანგეთსა და პარიზის მეტალურგის ნაცვლად ველოსიპედით შემოვიდის, რომ ეს ადგილები ყოველმხრივ გაიცნოს, განსაკუთრებით ბასკები, რომელთა ენა ქართულთან გენეტიკური კავშირის თვალსაზრისით აინტერესებს; საფრანგეთის ალპებში ევროპული ალპინიზმის უკანასკნელ მიღწევებს აკვირდება; ესწრება ორ საერთაშორისო კონგრესს: გამოყენებითი ქიმიისას — სტრასბურგში და მათემატიკურს — ბოლონიაში; ინგლისში სწავლობს ფოსფორტურ რისა და სპორის მდგომარეობას, ამასთანავე დონდონსა და პარიზში ეცნობა გეოგრაფიულ საზოგადოებასა და გეოგრაფიული ინსტიტუტების მუშაობას, ამაში მათთან მეცნიერულ კავშირს, კითხულობს მოხსენებებს. ყველაფერ მოქმედებს პრინციპით: მაქსიმუმ მოასწროს და შეიძინოს მინიმალურ დროში“ (გ. ნიკოლაძის კიდევ ერთი „ვარაიციული“ პრინციპი) პარიზში გამოიგონა მან ელექტროარითომეტრი, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა არსებული არითომეტრებისაგან: გიორგის მიანდა, რომ ისინი ერთობ რთული იყვნენ, ძვირი ღირდნენ და მალე უცვითებოდათ დეტალები, მისი გამოთვლელი მანქანა კი მთლიანად ავტომატური უნდა ყოფილიყო, უშოტკარი და უპილიანებო; უნდა ემუშავა კომპუტატორის სისტემაზე მოქმედ რამდენიმე ელექტრომგანტაზე და არ უნდა ჰქონოდა რთული და ძვირად ღირებული ნაწილები.

ელექტროარითომეტრის ერთი ნაწილი განკუთვნილი იქნებოდა შეკრებისა და გამოკლების ოპერაციებისათვის, მეორე ნაწილის დანიშნულება იყო გამრავლება-გაყოფა.

1927 წლის მიწურულში გიორგიმ პარიზის მეცნიერებათა აკადემიას გადასცა თავისი გამოკონების აღწერილობა. უცხოელი ავტორის ნაშრომის თაობაზე განცხადებით აკადემიის ერთ-ერთი წევრი უნდა გამოსულიყო. გ. ნიკოლაძის გამოკონებით ძალიან დაინტერესდა მ. დოკანი, იმჟამინდელი ყველაზე ავტორიტეტული სპეციალისტი გამოყენებითი მათემატიკის დარგში. პირველი სტუმრის გამოთვლელი მანქანის აღწერილობა მან მოახსენა აკადემიის 1928 წლის 16 იანვრის სხდომაზე. როდესაც მომხსენებელი ჰკითხეს — დააჩქარებს თუ არა ეს

თამაშე მანქანები  
ბიორბი ნიკოლაძე

მანქანა არითმეტიკული ოპერაციების შესრუ-  
ლებას, — მან უპასუხა: დაბ, მე მიმანია,  
რომ გ. ნიკოლაძის გამოგონება დააქვარებს  
ოპერაციათა წარმოებას, თავის წინააღმდეგე-  
ბთან შედარებით გაცილებით იაფი დაქვება და  
გვიანაც გაცვთებაო.

ამავე წელს გ. ნიკოლაძის ნაშრომი „პირდაპირი  
გამრავლების ელექტრული ავტომატი“  
გამოქვეყნდა საფრანგეთის მეცნიერებათა აკა-  
დემიის მოამბეში (ცნობილი ჟურნალი „კომპტ  
რანდიუ“). ნაშრომს თან ერთავიდა წარმადგე-  
ნის აკადემიკოს მ. დოკანის შემდეგი შენიშვნა  
„...უნდა აღინიშნოს, რომ გ. ნიკოლაძის მიერ  
მიგნებული გადაწყვეტა გამოთვლელი მანქანის  
ამუშავებისას სულ სხვაგვარია. ამ ახალ გადაწყვე-  
ტაში ყველაზე ღირსესიანიშნავად მიგვაჩნია  
წმინდა ელექტრული მოწყობილობა, რომელიც  
აქ ძალზე მახვილგონივრულადაა გამოყენებუ-  
ლი... რამდენადაც მე ვიცი, ეს პირველი ამგვარ-  
ი გამოგონებაა და გულისთ ვსურვებდი, რომ  
ისეთი კონსტრუქტორი გამონახულიყო, რომელ-  
ლიც ხორცს შეასახმდა გ. ნიკოლაძის შესანიშ-  
ნავ პროექტს“.

რა თქმა უნდა, მ. დოკანის მოხსენებას და  
„კომპტ რანდიუს“ პუბლიკაციას შემწინველად  
არ ჩაუვლია და გაზეთებმა შოთაფხვს შესაბა-  
მისი ცნობა.

ნ მუსხელიშვილი: „გ. ნიკოლაძემ მაშინვე  
მიიღო არა ერთი ევროპული და ამერიკული  
ფირმის წინადადება მისი გამოგონების ფარ-  
გით მასშტაბით გამოყენების თაობაზე, მაგრამ  
ყველას უარი უთხრა და მხოლოდ სამშობლო-  
ში დაბრუნების შემდეგ დაიბრუნდა ამ სამუშაოს  
გაგრძელებას“.

საქართველოში დაბრუნებულმა გიორგიმ მარ-  
თლაც ააგო თავისი გამოთვლელი მანქანის მოდე-  
ლი. მისი ვარდაცოდების შემდეგ მოდელი გა-  
დაუციათ მოსკოვის პოლიტექნიკური მუზეუმო-  
სათვის, სადაც გამოფენილი ყოფილა ერთ-ერთ  
ექსპოზიციანზე, 1938 წელს კი დაკარგულა და  
აქამდე არაა მიკვლეული. მოდელის არც აღწე-  
რა, არც ნახაზები არ შემორჩენილა. ერთად-  
ერთი დოკუმენტი, რომელიც გამოგონების არ-  
სზე წარმოდგენას ვიცქმნის, არის პარიზისეული  
აღწერილობა.

როგორც კარგად ცნობილია, გამოთვლელი  
მანქანები დიდ როლს ასრულებს თანამედროვე  
სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში და ჩვენ სა-  
განგებოდ უნდა აღვნიშნოთ გ. ნიკოლაძის წა-  
რმატება ამ უბანზე, მით უფრო, რომ მისი არ-  
თომომეტრი იყო ტექნიკის ისტორიაში პირვე-  
ლი ცდა გამოთვლელი მანქანის აგებისას სრუ-  
ლიად ახალ იდეაზე დაყრდნობით — ელექტ-  
რომაგნიტური ბმების გამოყენებით.

ნ. კრილოვი: „ექვს გაერში, გ. ნიკოლაძე  
რომ ცნობილი ყოფილიყო, ერთ-ერთი ყველა-  
ზე აქტიური მებრძოლი იქნებოდა გამოყენებ-

ითი ახალიზის ამ ნაწილის გაშლის საქმეში —  
გამომთვლელი მანქანის პრობლემის გადაწყვე-  
ტაში, რომლისკენაც დღესდღეობით მრავალი  
მეცნიერის უსრადადღებდა მიმართული“ (ვახი-  
სენოთ, რომ ეს სტრუქტურები 1948 წელსა და-  
წერილი).

ერთობ დასაფასებელია გიორგი ნიკოლაძის  
შეცადინება ქართული მეცნიერული ტერმინო-  
ლოგიის შექმნისათვის. მისი მიდგომა ამ სა-  
ქმისადმიც ფუნდამენტური იყო. მას აინტერე-  
სებდა ტერმინოლოგიის განვითარების თვით  
სისტემის შემუშავება.

ტერმინოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ პრი-  
ნციპად გიორგის ესახებოდა მშობლიური ენო-  
ბრივი საშუალებების მაქსიმალური გამოყენე-  
ბა, თუმცა მერე და მერე დაწმუნდა, რომ ეს  
გზა ინტერნაციონალური ტერმინების შევსერ-  
ად შემცირებამდე მიგვიყვანდა და მთლიანად  
მისაღები ვერ იქნებოდა.

ახლა ძნელი დასადგენია ყველა ის ტერმინი,  
რომლებიც მან წამოაყენა. ზოგიერთი ვერ შერჩა  
ჩვენს მშობლიურ ენას, მაგრამ ბევრი სამუდა-  
მოდ დაჰყვივრდა; ხომ ბუნებრივად ვეცხმის  
დღეს ნიადგასხმარი ტერმინები: წერტილი,  
წრფე, წრევა, დენი, ტანვარჯიში, მთამსვლე-  
ლობა, გიორგიმ კი თავის დროზე ვინ იცის,  
რამდენი იწვალა, სანამ მათ მიაგნებდა!

ისიც უნდა ითქვას რომ საერთოდ მეცნიე-  
რულ ტერმინოლოგიას გ. ნიკოლაძე დიდ მნი-  
შვნელობას ანიჭებდა ყოველი ხალხის კულტუ-  
რაში. მას დიდი წვლილი უდევს პირველი  
„რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონის  
(სიტყვარის“ და „მათემატიკური ტერმინების  
ლექსიკონის (რუსულ-ქართული, ქართულ-რუს-  
ული)“ შედგენაში, აგრეთვე იმაში, რომ ქარ-  
თული ტერმინოლოგიის დამუშავებამ ოციანი  
წლებიდან სახელმწიფო მნიშვნელობა მოიპო-  
ვა, რომ ამ ტერმინოლოგიის მასაზე სკოლებში  
და სხვა დაწესებულებებში თანდათან ეროვნული  
გახდა (სხვათაშორის, ნიშანდობლივია, რომ გი-  
ორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია 1978 წელს  
„ტექნიკური ტერმინოლოგიის“ შემდგენელ-რე-  
დაქტორთა ჯგუფს მიენიჭა).

პირდაპირ ვთქვათ: ქართული მეცნიერული  
ტერმინოლოგიის შექმნის საშუალებილი საქ-  
მეში გ. ნიკოლაძის ღვაწლი პროფესიული ენა-  
თმეცნიერის ღვაწლად წარმოჩნდება.

ჩემს წინ ერთი ფოტოსურათია: რგოლებზე  
მოვარჯიშე გიორგი ზურგიდანაა გადაღებული  
დიდ ჯიხინში, მამა-პაპური სხმისი ენოში.  
ფონი „იმერულა“ — სიღრმეში ხეებით შე-



მორჩარეული ღამეა ჩიხლი მორჩანს, ეზოს კოინდარა მოსდებია. გიორგის მხოლოდ რეიტუში აცვია, წელზევით შიშველია. სხეული ანტიკური გმირისას მიუგავს.

სპორტი იყო მისი ყველაზე ადრეული გატაცება და მერე მთელი სიცოცხლის ხალისი და სიხარული. ჯერ კიდევ ბავშვმა ფოთში ისწავლა ცურვა. ტანვარჯიშს თბილისის გიმნაზიაში ეწიარა და მოწაფურ ასპარეზობათა შესამჩნევი ფიგურა ვახდა. ბედად, ჩინებული მასწავლებელიც ჰყავდა — ჩიხი ანტონ ლუკაში.

შვიტარაში ოჯახთან ერთად ყოფილას 13 წლის ყმაველი დებს თანხლებით ალბების პატარა მწვერვალზე ასულა. მანინ თუ ამოიქრა გულში მშობლიური მწვერვალების დამორჩილება...

22 წლის გიორგი ისეთი ტანმოვარჯიშე დადგა, რომ სხვებთან ერთად სოფლის სერთაშორისო ფორუმზე გაგზავნეს და მთელი 12 დღე შეეძირებებში იყო ჩაბმული.

1912 წელს გიორგი და თამარ ნიკოლაძეები პრალის მიქქვხ სრულიად „სოკოლის“ შეკრებაში მონაწილეობენ. გიორგი ტანვარჯიშულ იარაღებზე ასპარეზობს და დიდ დიპლომს და პირველ ჯილდოს ისაუბრებს. შემდეგ იქვე იმემა მძლეოსნურ ექსპედიციში, ვანსაკუთრებით ბადროსა და შუბის ტურციში გამოირჩევა. ექსპედიციისთვის მას ცაცხვის ტოტებისაგან მოწნული გვირგვინი და კვლავ დიდი დიპლომი ეძობა. თუ არა ცვდილი, ბადროსმეტყარცენელი გიორგის მოხდენილი ფიგურა საფოსტო ბარათებზეც აღუბედავთ...

ოცნანი წლების დამდეგს რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული გ. ნიკოლაძე პროფესიულ მუშაობასთან შეფარდებით აგრძელებს სპორტულ მოღვაწეობას, თამარ ნიკოლაძესთან და გიორგი ეგნატაშვილთან ერთად სათავეში უდგება პოპულარულ „შეფარდენს“. ისინი მართო ორგანიზაციულ საქმიანებას როდი წვეტიდნენ თურმე, რეგულარულად ამეცადინებდნენ სხვადასხვა ჯგუფებს და საშუალო სკოლებშიც ატარებდნენ ტანვარჯიშის გაკვეთილებს. ეს იყო ფიზკულტურისა და სპორტის ქმედითი პროპაგანდა, რასაც ეფექტს მატებდა მასწავლებელთა მავალითა, პირველ რიგში კი გ. ნიკოლაძის პირადი ღონისძიებები.

მუსხელიშვილი: „იშვიათია მისი მოქმედება, თუნდაც მორთხარახლოვანი, რომ მოვალეობის გრძნობით, საქმიანობის სარგებლობის მოტანის მოსახრებით არ იყოს გამოწვეული. ისეთ ფაქტსაც კი, როგორცაა უნივერსიტეტში გამოჩენა მოკლე შარვლითა და შიშველი ხელ-ფეხით, განსაკუთრებული მიზანი ჰქონდა: ფიზკულტურის პროპაგანდა ახალგაზრდობას

შორის და არა ორიგინალურობა, როგორც ეს ზოგიერთს ეგონა“.

ს. ასლანიშვილი (გ. ნიკოლაძის მოწვევით, ცნობილი ექიმი და მთამსვლელი): „მართო შეხედაობითაც იწვევდა სავანებო პატივისცემას. იშვიათი დანაგობის, მძლეოსნის ტიპის, ტანმადალი—თითქოს მთლიანად ბრინჯაოსაგან იყო ჩამოსხმული; მისი მკაფიოდ გამოკვეთილი ყუთები, ყოველი მოძრაობა ანტიკურ სილამაზით გამოირჩეოდა. თვალწინ მიღვას დერწნი, ორძელზე, რგოლებზე და სხვა იარაღებზე გიორგის ღალი ვარჯიშო, ცურვა და წყალში სტომა, სოფლად ლელობურთი, ჭადრაკით მისი გატაცება; როცა წაფხულობით, სადმე ჩრდილში ათ კაცს ეთამაშებოდა დაფხვე დაფხვდავად“.

.. შენ სამშობლოს, რომ ქარგად იცნობდე და სარგებლობა მოგკონდეს, მის ტერიტორიასაც გულდასმით უნდა სწავლობდე, — ხსენი იყო გიორგის ერთ-ერთი მრწამსი სიურპილანდე. მთელი მისი „ღიისება“ ამ მრწამსს შეესაბამება. მავალითად, 1911 წლის „გაზაფხული“ და ზაფხული ენგურის გაყოფიებით მოგზაურობაში გაუტარებია, რადგანაც მნიშვნელოვნად თვლიდა ამ მდინარის უნერგის გამოკვლევას პრობლემას. და ახლა, როდესაც გიგანტური ენგურების მშენებლობა სადაცაა დამთავრდება, ჩვენ კვლავ უნდა გავიკვიროთ გიორგის გამჭრიახობა...

ქართული და საზოგადოდ, საბჭოთა აღმინაშნის მატინე ხომ 1922 წლის 28 აგვისტოს დაიწყო, როცა გ. ნიკოლაძის 18 აღზრდილი, შთაგან 2 ქალი, მისივე წინამძღოლობით მუნიციპალურად ავიდა. გადის ერთი წელი და გიორგი აწყობს დიდ სამოთ ღამეობას მისივე თაოსნობით დაარსებული საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების აღმინაშნის და ტურისმის სექციისთვის. მარშრუტი: ზემო იმერეთი-სამხრეთ ოსეთი-ჩრდილოეთ ოსეთი-მამისონის ზეკარა-რაჭა. მიზანი — იაბლუზე ახასველად მწავლება. კიდევ ერთი წელიც და იაბლუში დაპყრობილ იქნა.

მთამსვლელობასთან ერთად გ. ნიკოლაძე ყურადღებით ეკიდებოდა სპორტული მუშაობის უფრო მასობრივ ფორმას — ტურისმს და მისი განვითარებისთვის მოაწყო შეხანიშნავი ექსპედიციები რაჭაში, სვანეთში, ოსეთში და სხვ. ექსპედიციები ამდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ შემდგომ მათზე სპეციალური ნარკვევი დიბეჭდა „გეოგრაფიულ ჟურნალში“, ინვლისის გეოგრაფიული საზოგადოების ორგანოში, ხოლო კავკასიონის ქედის გამოჩენილი მკვლევარი, ლეგენდარული მოსუცი დუგლას ფრეშფილდი სავანებოდ ჩავიდა ლონდონს მანინ იქ მყოფი გ. ნიკოლაძის გახაცნობად.

თამაზ მებანოძე  
გიორგი ნიკოლაძე



გიორგისთანა კაცი „ჩვეულებრივად“ ვერ მოკვდებოდა — საქმეს უნდა შესწიროდა.

1931 წლის 20 იანვარს დიდუბის საცდელ ქარხანას გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ხადნობი ექსპერიმენტების ახალი სერია უნდა წამოეწყო. ეს ღამის პირველ საათზე იყო დაგეგმილი. შევეთილმა ავტომობილმა ჩატომ-დაც არ მიაკითხა გიორგის და ვოგუნდამდე ტრამეით მიიღწია, მაგრამ იქიდან ქარხანაზე წასახვედრად ვედარაფერი მოიხელთა. ცივი ქარიშხალი დათარეშობდა, უჩვეულო უჩინებო იდგა. ღამის ორ საათზე გიორგის ხან ჩქარა ნაბიჯით, ხანაც სირბილით დაუფარია ოთხ კილომეტრზე მეტი მანძილი. ქარხანა სახურავავ-ლევითი დახვედრია.

20 საათი გაატარა გახურებულ ღუმელთან შენობაში, სადაც შეუწყვეტილ დაქპროდა გამჭოლი ავი ქარი. ხალში მთლად ვაცივებულად ამბრუნდა, მაგრამ მეორე დღეს სიცხიანი კვლავ მივიდა ქარხანაში. მეგობრებმა დაუთხინეს, შინ უნდა წახვიდეო. დაიჭრა, მაგრამ მესამე დღეს მაინც სამუშაოზე გამოჩნდა (მთელი ამ ხნის განმელობაში ცუდი ამინდი ოდნავ არ ჩამცვრალა). ამ იანვარს დღეგინად ჩავარდა და ვედარც წამოვდგი: ფილტვების ორმხრივი კრუ-პოზული ანთება განუვითარდა, „უზომოდ და-ღლილი ორგანიზმი ვერ მოერია ინფექციას და ა თებერვალს გ. ნიკოლაძე გარდაიცვალა“ (ნ. მუსხელიშვილი).

„უკვე ციმბირში მყოფმა შევთაყვე, რომ გარდაცვლილა; გარდაცვლილა ფილტვების ანთებით, ჩვენი პროფესიული მეტალურგიული ხელო, სამუშაოზე ვაცივებულა. ერთხელაც სამუშაოზე ვაცივდა და იმვე ხენით მძიმედ იყო ავად, მაგრამ მაშინ დანილო სიკვდილმა. საქმეს გადაყოლილი თვითონვე არ უფრთხილ-დებოდა თავის თავს და მეორე ანთება ვედარ გადაიტანა“ (ი. ბარდინი).

ბევრ ჩვენგანს კერპი სხვადასხვა სფეროში ჰყავს მონაშნული და ფიქრით კვარცხლბეკზე შემდგარი წარმოდგენა. შეიძლება ეს იყოს მწერალი ერნესტ ჰემინგუეი, მთიემატკოსი ბერნარდ რამსი, კინორეჟისორი პიტრო კერ-სი, ფიზიკოსი ერნესტ რეზერფორდი, კინო-მსახიობი ჯიმის კეგნი, ფეხბურთელი შოთა იამანიძე, მოქალაქე მიხეილ ტალი.

ჩემთვის გიორგი ნიკოლაძე თითქოს ერთბა-შად შემართულა რამდენიმე კვარცხლბეკზე და რაღაც „სხვანაირი“ შარავანდელი ადგას. ასე მესატყობდა ჩემს შორეულ სიჭაბუკეში, დრო გავიდა, გიორგი მარად 42 წლისა დარჩა, მე

უკვე იმაზე უფროსი ვარ, ბევრი რამ გადავ-ფასე, მის ხატებას კი არაფერი დაკლებია.

ბოლოსდაბოლოს როგორი იყავი შენ, გიორ-გი ნიკოლაძე, როგორი ჩინად, როგორს გხე-დავდენე?

ე. კარტანი: „არ შემიძლია აუღლებებლად გავ-ვისინეო ავტე უფროოდ მეცნიერებას გამოკ-ლებულად მეკლევარი, ეს დონით აღსავსე ყმა-წვილი მისი მართალი თვალების პირდაპირი გა-მოსილვით“ (ფიქტრობ, აქ ფრანგი გეოგრაფი „ზოგად“ აზრს გამოთქვამს: აღზბათ გიორგის არც ერთ პირად ნაცნობს არ შეეძლო აუღლებ-ვებლად მისი ვახსენება).

ნ. კრილოვი: „უფროსი სიკვდილით დასრუ-ლდა ხანმოკლე, მაგრამ სისხლსავსე სიცოცხლე კეთილშობილი ხასიათის ქართველი მეცნიერი-სა, რომელიც მოწოდებული იყო მეცნიერების სასახლისათვის“.

ი. ბარდინი: „იგი თავისებურად ცხოვრობდა, არავის არ ზაძვდა არც მუშაობის სერებში, არც ცხოვრებისეული ჩვეულებით; არასოდეს არ კარგვდა მოთმანებას, მუდამ მშვიდი, პირდა-პირი და მიზანსწრაფული იყო. ჩვენ, ცხოვრ-ებაში ახალფესმუდგმულ ახალგაზრდა ინჟინ-რებს ურთიფრთის და უველაფერია აშკარად გვეტყობოდა სხვისეული. ჩვენ უნდა გველო-და ჩვენი გმირები, ვისაც მივბაძვდით, ჩვენ ვიყავით რაღაც ნიკოლოზ როსტოვის („ოში და მშვიდობა“) მსგავსნი, გიორგი კი ცოცხალი გმირებიდან არავის ჰგავდა და იყო ის, რაც იყო. თუ კი მაინც ჰგავდა ვინმეს — ანდრია ბოლკონსკის დიდი მწერლის იმავე რომანიდან“ (გიორგის უფროსი და, ქ-ნი რუსუდანი არ ეთანსება ან შედარებას. რა აქვს გიორგის საერთო ქვედმალად, ვაიმშრალ რუს ანოსტო-კრატანოვ, უთქვამს ჩემთან საუბარში — თ. ე.).

გიორგის პორტრეტს ოქროს ჩარჩო მოარგო ნ. მუსხელიშვილმა: „თუ შეიძლება კითხვის დასმა ისეთი მრავალმხრივი პიროვნების შესა-ხებ, როგორც გ. ნიკოლაძე იყო — რა შეა-ღენდა მის ძირითად, არსებით მხარეს, პასუხად გადაპრით უნდა ითქვას: მოვალეობის განსაკუ-თრებული გრძობა უდიდეს ნებისყოფასთან ერთად. ეს თვისება მკვეთრად ახასიათებს გიორ-გის მთელ ცხოვრებას და მისი მოღვაწეობის ყველა მხარეს. გიორგის მშობიადელობას გრძო-ბდა ყველა, ვინც მის ზედებოდა. გიორგი ყველასთან პოულობდა საერთო ენას, ყოველი ახაკისა და განვითარების ადამიანთან. მასთან ურთიერთობისას ყველას შეეძლო მისი მდიდარი ბუნების იმ მხარის დანახვა, რომელიც აინტე-რესებდა. იგი იწვიათი ადლითი პოულობდა თანამშრომლებსა და მოწაფეებში იმ მხარეებს, რომლებიც სასარგებლო იყო საერთო საქმისა-თვის და თუ ამგვარი აღმოჩნდებოდა, ეს ჩრდი-ლავდა გიორგის თვალში ადამიანის ურყოფ-ით მხარეებს, რომელთაც ან ვედარ ამჩნე-

და, ანდა ადვილად აპატიებდა. დაუღალავი, თავდადებული მუშაკი იყო. იდეალურად სპექტაკი, უსაზღვროდ გულკეთილი და გულთბილი ამხანაგი“.



გიორგი ნიკოლაძე დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია დაკრძალული. ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი კორპუსის ვესტიბიულში დგას მისი ბიუსტი. გ. ნიკოლაძის სახელი მიკუთვნებული აქვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას. მისი სახელობის სტიპენდია დაწესებულია უნივერსიტეტის შიქანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე; ორ წელიწადში ერთხელ ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში ანიჭებს გ. ნიკოლაძის სახელობის პრემიას საუკეთესო ნაშრომებისათვის ტექნიკის რამდენიმე დარგში, მორიგეობით.

ეს ნუსხა გვარწმუნებს, რომ გიორგი ნიკოლაძეს არ ჩამოფარებია უპატივცემლობის, დაუფასებლობის, გულგრილობის ფარდა, მაგ-

რამ... მაგრამ ხორცი არ შევასხით არაქართული მეცნიერის კეთილშოსურნე წინადადებას: „მინდა გამოვთქვა სურვილი, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, გაიზიარებს ყველა, ვინც აფასებს გ. ნიკოლაძის ტაღანტს: რომ გამოიცეს მისი ნაშრომების სრული კრებული ქართველ მეცნიერთა კომენტარებით“ (ნ. კრილოვი). ეს სტრუქტურები მშ წლის წინათ დაიწერათვით ნ. კრილოვის ნაშრომთა სამტომეული უკრაინელებმა კარგა ხანია გამოსცეს...

მინაწერი. გახულ ზაფხულს პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ საორტსაზოგადოება „განთავადის“ ალპინისტთა ექსპედიციამ მეტად რთულ მეთეოროლოგიურ პირობებში პამირის სამხრეთ-დასავლეთში მოაწყო ახელა სამხრეთ-ალპინისტების კედლით გიორგი ნიკოლაძის პიკე (მშპმ მეტრი).

ქართველმა მთამსვლელებმა მწვერვალზე დატოვეს ბარათი: „დიდ მეცნიერსა და საორტსმენს ქართველი მთამსვლელებისაგან, დაბადების 90-ე წლისთავის აღსანიშნავად“.



ენო ნიქოზანი, ვკლარიან მატარაკი

## რუსი და ქართველი მეცნიერების ურთიერთობის ისტორიიდან

(ახალი საბრძოლო მასალის მიხედვით)

ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში (მოსკოვი) ს. ბელოკუროვის პირად ფონდზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ცნობილი ქართველი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის წერილმა ს. ბელოკუროვისადმი. ვიღრე დ. ბაქრაძის წერილის შინაარსს შევეხებოდეთ, რამდენიმე სიტყვა თვით ადრესატის შესახებ, რომ უკეთ გასაგები გახდეს წერილის შინაარსი და მისი მნიშვნელობა.

საუკუნის რუსმა მეცნიერებმა (აკად. პ. ბუტკოვმა, აკად ნ. დუბროვინმა და სხვ.) საუბრადღებო კვალი დატოვეს კავკასიის ხალხების ისტორიის შესწავლის თვარგში. რუს კავკასიოლოგთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტი სერგი ალექსის ძე ბელოკუროვი, რომლის გამოკვლევებს დღემდე არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება, ხოლო მისი პუბლიკაციები საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის სამაგადო წიგნად რჩება.

ს. ბელოკუროვის ცხოვრება და მოღვაწეობა დღემდე საგანგებოდ არავის უკვლევია, არც მისი მეცნიერული შემოქმედებობა სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული, მაგრამ ამ წერილში ჩვენ მასზე ვერ ვჩერდებით. ამჟერად ჩვენი მიზანია, რამდენიმე ცნობა მივაწოდოთ მკითხველს ს. ბელოკუროვისა და ქართველი ისტორიკოსების ურთიერთობის შესახებ.

ს. ბელოკუროვმა 1882 წლიდან, ჯერ კიდევ მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდში, დაიწყო რუსეთის არქივებში მუშაობა XVII-XVIII საუკუნეების მასალებზე და სწავლის პერიოდშივე, სრულიად ახალგაზრდამ (ს. ბელოკუროვი დაიბადა 1862 წელს), რამდენიმე საუბრადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა, მათ შორის, „Поездка старца Арсения Суханова в Грузию (1627-1640 гг.)“,<sup>1</sup> სადაც ძვირფასი მასალება დაცული საქართველოს შესახებ; ხოლო აკადემიის კანდიდატის ხარისხით დამთავრებისას (1886 წ.) სარბიელად სასულიერო კარიერა კი არ აირჩია, არამედ მოსკოვის მთავარ არქივში სამუშაოდ გამწესება ითხოვა, სადაც 1886 წლის დეკემბრიდან 1918 წლის დეკემბრამდე (ვარდაცვალებამდე) მუშაობდა.

1887 წელს ს. ბელოკუროვმა გამოაქვეყნა მეორე ნაშრომი საქართველოს შესახებ:

«Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в Даднанскую землю (1639 — 1640 гг.)»<sup>2</sup> რომელიც 1888 წელს ხელმოერედ გადაბეჭდა კრებულში «Материалы для Русской истории»<sup>3</sup>.

1888 წელს ს. ბელოკუროვს დაუწყო კავკასიის შესახებ მასალების ღუნდამენტური პუბლიკაციის — «Сношения России с Кавказом» — ბეჭდვა<sup>4</sup> და გადაუწყვეტია მისი ცალკე წიგნად გამოქვეყნება, სადაც მასალების დიდი ნაწილი საქართველოს ეხებოდა. ბუნებ-





რეცია, ამ პერიოდში, რაკი ს. ბელოკუროვის ინტერესი საქართველოსადმი დიდი იყო და სათანადო ლიტერატურასაც აკრებებდა, მას გადაუწავებია, რუსულ სამეცნიერო წრეებში აღიარებულ ქართველ ისტორიკოსს დ. ბაქრაძეს დაკავშირებოდა:

«Посылаемую вместе с сим письмом, — წერდა ს. ბელოკუროვი დ. ბაქრაძეს 1889 წლის 23 იანვარს, — изданию недавно мною книгу «Материалы для русской истории», покорнейше прошу принять в Вашу библиотеку, как знак глубокого уважения к автору «Археологич. путешествия по Гурии и Аджаре» и «Кавказ в древних памятниках Христианства» от человека которого воспитала... и таже Alma Mater — Московская Духовная Академия».

ახალგაზრდა მეცნიერი მოკრძალებით წერდა აღიარებულ ისტორიკოსს, რომ მასალები «о посольстве в Дадиянскую землю в 1639-40 гг. Елчина и свящ. Захарьева, быть может, не будет излишнее для Вас».

ქვემოთ ს. ბელოკუროვი დ. ბაქრაძეს აცნობებდა:

«В настоящее время я оканчиваю печатанием сборник документов сношений России с Кавказом с древнейших времен ...который в свое время не премину выслать Вам. В издании и дошел до 1605 г., когда обилие документов прекращается и приходится отыскивать в разных местах по строчке».

დასასრულ, ს. ბელოკუროვი ქართველ მეცნიერს რჩევას სთხოვდა:

«Вам, как лицу, специально изучившему Кавказ (я с наслаждением читаю Ваши сочинения, брава их в одной библиотеке, так как не имею собственных экземпляров), источники должны быть хорошо известны. Не укажете ли где их можно бы найти, кроме Моск архива Минист. Иностр. дел, документы которого мне хорошо известны, так как я нахожусь здесь на службе»<sup>10</sup>.

1889 წლის 10 მარტს დ. ბაქრაძე ბოდბის უხედი ს. ბელოკუროვს წერილზე პასუხის დაგვიანების გამო და წერდა:

«Приношу искреннюю признательность за Ваш прекрасный подарок; взамен же прошу принять от меня «Кавказ в древних памятниках Христианства» который вместе с сим высылаю; к сожалению, не могу снабдить Вас «Археологическим путешествием по Гурии и Аджаре» издания Академии наук, которого в Тифлисе совсем не имеется; остальные мои статьи или разбросаны в разных изданиях, или же все разошлись; но при этом обещаю Вам все, что впредь может выйдти из под моего пе-

ра и в особенности «Труды»<sup>11</sup> отделения Братства Пресв. Богородицы в Грузинском Экзархате по материалам его Древлехранилища». Древлехранилище это только что организовано и «Отделение», которого председателем состою я, предполагает в скором времени предпринять издание своих трудов»<sup>12</sup>.

წერილში დ. ბაქრაძე შალვა შეფახანას აძლევდა ხაზუქარს — ელჩინის ელჩობის მასალებს — და არ ფარავდა თავის სიხარულს ს. ბელოკუროვის ახალი ნაშრომის ბეჭდვის გამო, რომელსაც მოუთმენლად ელოდა:

«С нетерпением ожидаю — წერდა დ. ბაქრაძე ს. ბელოკუროვს — обещанный Вами «Сборник документов, касающихся сношений с Кавказом». Не сомневаюсь, что содержание его будет также ценно, как «Посольство Елчина и Павла Захарьева» в Ваших Материалах для истории России. Об их посольстве в Дадиянскую землю я имею лишь короткое извлечение из того же Архива Министерства иностранных дел в Москве в издании Академии наук — «Переписке грузинских царей с российскими государями от 1639 по 1770 г. СПб., 1861 г.»<sup>13</sup>; но Вы даете нам полный материал, без всяких сокращений в том самом виде, как он сохранился, — это-то и важно в научном отношении»<sup>14</sup>.

დ. ბაქრაძე რწმუნას გამოჰქვამდა:

«Конечно, в следующем сборнике Вы будете держать той же системы»<sup>15</sup> и вот почему с нетерпением буду ожидать его появления»<sup>16</sup>.

დ. ბაქრაძე არა მარტო უწონინდა ს. ბელოკუროვს მასალების სრულად ბეჭდვას; როგორც ჩანს, ჩვენს სახელოვან ისტორიკოსს ერთგვარი შიში ჰქონდა კიდევ. ენის მიზნით ქართული დოკუმენტები გამოუქვეყნებელი არ დატოვოსო და ს. ბელოკუროვს საგანგებოდ შეახსენებდა: ა. ცაგარელის ბროშურით ვიცი, მოსკოვის შთავარ არქივში ბევრი ქართული დოკუმენტი ყოფილა თარგმანის ვარგშე და ა. ხახანაშვილი მოიშველიე გამოცემასან, ხოლო თუ რაიმე ვაგიჟირდეს, მაცნობელ:

«...грузинский отдел онаго»<sup>17</sup> весьма богат и разнообразен, обнимает не один предмет сношений, но и картину жизни и духовного и гражданского строя Грузии. Конечно, существенно необходимо исчерпать, если возможно, весь этот материал. Масса в архиве, как удостоверяет г. Цагарели грузинских документов без русского перевода

ინემო ჩიქოვანი, ვალერიან მაჭარაძე რუსი და ქართველი მეცნიერებს ურთიერთობის ისტორიიდან

Было бы полезно привлечь для перевода их молодого профессора Лазаревского института в Москве, только в прошлом году выпущенного из Московского Университета, из Грузии г. Хаханова. Если Вы в этом отношении встречаете какого-либо препятствия, то дайте мне знать и я снесусь с ним по этому вопросу»<sup>18</sup>.

დასასრულ, დ. ბაქრაძე აცნობებდა ს. ბელოკუროვს, თქვენთვის საყურადღებო პერიოდის (XVI-XVII სს.) საქართველოს ისტორიის მასალები შეგიძლიათ ნაბოთ ფრანგულ ენაზე «Histoire de la Georgie»-ს მეორე ტომის პირველ და მეორე წიგნებში,<sup>19</sup> რომელსაც მოსკოვში იშოვით რუმინელების მუზეუმის ვიცე დირექტორთან, ან მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების ბიბლიოთეკაში.<sup>20</sup>

როგორც ვხედავთ, დ. ბაქრაძე დიდის გულსაყურით მოჰქილებია ახალგაზრდა რუსი კავკასიოლოგის თხოვნას და სათანადო რჩევაც მიუცია.

1889 წელს დაიბეჭდა ს. ბელოკუროვის «Сношения России с Кавказом»,<sup>21</sup> რომელსაც ახე მოუთმენლად ელოდა დ. ბაქრაძე. წიგნს წამმდვარებული ჰქონდა რუსეთ-კავკასიის (უმთავრესად რუსეთ-საქართველოს) ურთიერთობის ვრცელი მიმოხილვა უძველესი დროიდან XVI საუკუნემდე (ვ. I—СХХIХ). ეს

იყო იმ დროს ყველაზე ვრცელი ევროპული მიმოხილვა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა, ხოლო რაც შეეხება საარქივო დოკუმენტურ მასალებს, რომელსაც 600-მდე ნაბეჭდი გვერდი უჭირავს და ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას 1980 წლიდან 1600 წლამდე, დღემდე საქართველოს ისტორიის შეუცვლელ წყაროდ რჩება.

ს. ბელოკუროვის ურთიერთობა ჰქონია აგრეთვე ცნობილ ქართველ ისტორიკოს ს. ესაქესთან, რომლისთვისაც გარკვეული დახმარება აღმოუჩინია მასალების შიწოდებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე მუშაობისას. ჩვენ ამ ურთიერთობის ხასიათის ამსახველ მასალებს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ ს. ბელოკუროვის ფონდში დაცულია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის მოვალეობის შემსრულებლის პავლე თუმანიშვილის დევეშა სერგი ბელოკუროვისადმი, სადაც ვკითხულობთ:

«Приношу Вашему превосходительству глубокую благодарность за оказанное Вам содействие подполковнику Есадзе по собиранию материалов для издания сборника»<sup>22</sup>.

## შენიშვნები

<sup>1</sup> ЦГАДА, ф. 184, оп. I, д. 327, лл. 2-3.

<sup>2</sup> ს. ბელოკუროვის სხვა კავკასიოლოგიურ ნაშრომებზე რომ არაფერი ვთქვათ, საკმარისია მისი ერთი პუბლიკაცია კი — «Сношения России с Кавказом». იგი დღემდე დოკუმენტების ერთადერთი კრებულია, სადაც მოცემულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მასალები XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან XVII საუკუნის 10-იან წლებამდე; ეს მასალები ძვირფას ცნობებს შეიცავენ არა მარტო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, არამედ თვით საქართველოს საშინაო ვითარებისა და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის შესახებაც.

<sup>3</sup> Христианское чтение, 1884 г., № 3—4.

<sup>4</sup> Чтения в Императорском Обществе Истории и Древностей Российских за 1887 г., кн. 11.

<sup>5</sup> С. Белокуров, Материалы для русской истории, М., 1888 г.

<sup>6</sup> Чтения ..., 1888 г., кн. 111,

<sup>7</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 32 (დ. ბაქრაძის არქივი), ფურც. 2.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> ზემოთ მიწერილი: «Церковн. Археол.».

<sup>12</sup> ЦГАДА, ф. 184, оп. I, д. 327, л. 2.

<sup>13</sup> იგულისხმება მ. ბროსეს პუბლიკაცია.

<sup>14</sup> ЦГАДА, ф. 184, оп. I, д. 327, л. 2.

<sup>15</sup> იგულისხმება მასალების სრულად დაბეჭდვა.

<sup>16</sup> ЦГАДА, ф. 184, оп. I, д. 327, л. 2.

<sup>17</sup> ლაპარაკია საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივზე.

<sup>18</sup> ЦГАДА, ф. 184, оп. I, д. 327, л. 2.


<sup>19</sup> იგულისხმება მ. ბროსეს გამოცემა.

<sup>20</sup> ЦГАДА, ф. 184, оп. I, д. 327, л. 2.

<sup>21</sup> С. Белокуров, Сношения России с Кавказом, вып. I, 1578—1613 гг., М., 1889.

<sup>22</sup> ЦГАДА, ф. 180, оп. 9, д. 206, ч. 11, л. 141.





ილია ანთელავა

## თამარ მეფის 1188 წ. სიგლის ზოგიერთი მონაცემისათვის

მანსხილველი დოკუმენტი წარმოადგენს თამარ მეფის შეწირულების სიგელს გელათისადმი. მეფემ თორმეტი მწირის ტრაპეზისათვის მონასტერს „მეუღირად, თავისუფლად და შეუვალად“ შესწირა არგუეთს ჭორვილიაი კავაისძის ცოლეული.

დოკუმენტი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ამჟერად ჩვენ გვინტერესებს მისი მტკიცებითი ნაწილი, რომელიც ზოგიერთი ქრონოლოგიური მაჩვენებლის დასუსტების საშუალებას იძლევა და სხვა საინტერესო საკითხსაც აღძრავს.

სხენებელი სიგელი თარიღდება მყარად: „[და] იწერა ბრძანებაი და სიგე[ლი] ე[ხვე] [ჩ]ემი ინ[დიქტიონსა მეფ]ოებისა ჩემისასა მე[ხუ] თესა“. ე. ი. 1188 წელს.

სიგლის მტკიცებითი ნაწილი იწყება თამარის (?) ხელით. მას მოსდევს სხვა ხელით: „ჩ. სახელითა ღმრთისა და [მეოხებითა ყოვლად წმიდისა ხახულისა ღმრთისმშობელისათა, მას უამსა, ოდეს სკიპტრა შარავანდთა შეფობისათა [მ]ფლხო ვიქმენ, ამისთვის ვითენ კ... ძღუენვილი სამადლოთა და ტაძარსა შენ წმინდასა] დიდებულსა განსაკუ[რ]ნებელად ქრ... შენისასა, განვაჩინენ გლახაკნი... და მოწაფეთა შენთან... ჩემთვის ოხათა მირთუმელობდენ შენდა მოწაფეებისა მნებისა და ნამდული... ნათელ მუხისა ძისა მი...თა შენდა გუქ...სა გარნი გონებადცა... ჩემგან განგებისასა შერისხვითა მოქაღველ... ნესტორ და ორიგესი.

ქ. ამას თამარის ბრძანებასა მე, ნებითა ღმრთისათა ერისთავი დავით ვამოწმებ და ვამტკიცებ. მტკიცე ყოვს ღმრთმან“.

ციტირებული მტკიცებულება უშუალოდ მოსდევს თამარის მტკიცებულებას და ნაწერია სხვა ხელით. მას მოსდევს ასევე სხვა ხელით ნაწერი კათალიკოსის მტკიცებულება.

ვინ არის ციტირებული მტკიცებულების ავტორი, „ნებითა ღმრთისათა ერისთავი დავითი“?

საინტერესოა თვით ფორმა „ნებითა ღმრთისათა ერისთავი“. ერისთავის ამგვარი წოდება მეფის მიერ გაცემულ სიგელში საქმოდ უჩვეულოდ გვეჩვენება. ერისთავთა ამბიციები კარგადაა ცნობილი, მაგრამ „ღმრთის სწორი“ მეფის შემდეგ ერისთავის ამგვარი მოხსენიება უცნაურია. მითუმეტეს, რომ პრეტენზიული ბავშვიც კი ბაგრატ IV შიომღვიმისადმი ბოძებულ სიგელში გაცილებით უფრო თავმდაბლობს: „მეცა, მიწასა მეფობისა მათისასა იოანეს, ძესა ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავისა დამიმტკიცებია. უქცეველი არს ბრძანება მათი ჩემგანცა, მოწინისა მათისაგან“.

(ხაზი ჩვენია, ი. ა.).  
უცნაურია ისიც, რომ იმავე 1188 წლის სიგელში კათალიკოსი თამარს „ღმრთივ გვრგვოსანსა მეფეთა-მეფესა და დედოფალთა-დედოფალსა“ უწოდებს, ხოლო ერისთავი დავითი კი წერს: „ამა თამარის ბრძანებასა“ ვამტკიცებ.

ამგვარი აშკარა, თვალშისაცემი შეუსაბამობანი, ვფიქრობთ მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ „წებითა ღმრთისათა ერისთავ დავითთად“ თამარის მეუღლეს, დავით სოსლანს ვიგულისხმებთ. ერთადერთი დაბრკოლება ამგვარი მოსაზრებისათვის ტიტული „ერისთავი“ შეიძლება იყოს. თამარის ორივე ისტორიკოსი დავით სოსლანს მეფეს უწოდებს, მეფედვე იხსენიება იგი თამარის მიერ შიომღვიმისადმი ბოძებულ ხელგეგმად. ასე რომ დავით სოსლანის „მეფობა“ არავითარ ეჭვს არ იწვევს. მეორე მხრივ, შეუძლებელია ყურადღება არ მივაქციოთ იმ თვალსაჩინო ფაქტს, რომ „წებითა ღმრთისათა ერისთავი“ დავითი თავის მტაცებულბუნებაში აღნიშნავს: „მას ვამსა ოდეს სციბტრა შარავანდთა მეფობისათა მფლობად ვიქმენო“. ე. ი. თამარის მიერ გელათისადმი სიკლის ბოძება და ამ დოკუმენტის ერისთავ დავითის მიერ დამოწმება „მას ვამსა“ ხდება, როდესაც ეს ერისთავი დავითი რაღაც მანქანებში „სციბტრა შარავანდთა მეფობისათა მფლობად“ იქცევა. ცხადია, ამგვარი რამ მხოლოდ და მხოლოდ დავით სოსლანს, თამარის მეუღლეს შეეძლო ეთქვა.

რით შეიძლება აიხსნას დავით სოსლანის „ერისთავად“ მოხსენიება?

აქ ძალზედ მოკლედ უნდა შევიხსენოთ, თუ რა მოვლენებმა გახადეს თამარის მეუღლედ დავით სოსლანი და ფაქტობრივად რამ იმსხვერპლა მისი წინამორბედი, იური ანდრიას ძე. ბუნებრივად დგება ასევე მეფე-ქმარის სტატუსის საკითხიც.

იური ანდრიას ძის თამარის საქმროდ ჩამოყვანის საკითხს მკვლევარები სავაგებოდ შეეხსენნენ. ამიტომაც აუცილებელი არაა კვლავ აღვჭრათ ეს საკითხი. ამჭრად უფრო საინტერესოა იური ანდრიას ძის, როგორც მეფე-ქმარის სტატუსი და ამასთანავე ლეკვშირებით თამარის ისტორიკოსთა ზოგიერთი მომაცემები.

ფიქრობენ, რომ იური ანდრიას ძე, როგორც მეფე-ქმარი, სამხედრო უწყებას ხელმძღვანელობდა და სხვა სფეროებზე მისი უფლებები სკეპთად უშინაწინდლო უნდა ყოფილიყვნენ. ეს აზრი ექვემდებარება შ. შესხიამძე. თამარზე დაქორწინების შემდეგ იური, როგორც ჩანს, აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. „ისტორიკოსთა და აზმათა“ ავტორი აღნიშნავს: „ამისდა შერდლომად ქელყევეს გალაშქრებად და გავიდა ტფილისით მეფე რუსის და უფროსდა აფხაზთა“<sup>10</sup>. იურის რუსთა მეფობით მოხსენიება, მართლაც არ ასახავს არსებულ ვითარებას, მაგრამ მაინც ადვილი ასახსენელია, მაგრამ რას ნიშნავს მისი „აფხაზთა მეფედ“ წოდება? ვახუშტის ზემოციტირებულ ცნობას „აფხაზთა მეფე“ გაუფიქროვროვროვ საქართველოს მეფე: „მაშინ იწინამძღვრეს რუსი მეფე, და უმეტეს გიორგიისა“<sup>11</sup>.

საკითხის ამგვარი დაყენება თითქოს ბუნებრივია, მაგრამ სწორი არ უნდა იყოს. „აფხაზთა“ და „აფხაზთა სამეფო“ სინქრონულად წყაროებში, კერძოდ კი თვით „ისტორიკოსთა და აზმათა“ მთლიანად საქართველოს არ ნიშნავს. „აფხაზთა“ მთელი საქართველოს მნიშვნელობით ხშირად ხმარობენ უცხოური წყაროები, მაგრამ საკუთრივ ქართული წყაროები ყოველთვის ახდენენ სათანადო დიფერენციაციას.<sup>10</sup>

„ისტორიკოსთა და აზმათა“ ავტორი არც ერთ შემთხვევაში არ ხმარობს ტერმინ „აფხაზთა“ სრულიად საქართველოს მნიშვნელობით. თამარის პირველი ისტორიკოსის მიხედვით „აფხაზეთი“ ან დასავლეთ საქართველოა, ან კიდევ საკუთრივ აფხაზეთი. გიორგი III „გარდავიდის ლხთ-იფრითს... მოიწიის და მროინადირის აღანთა ქვეყანა, რომელთა არს აფხაზეთი“<sup>11</sup>. აქაყენებულმა ვარდან დადიანმა „შეყარა ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეროა, გურია, სამოქალაქო, რაჟა, თაყურები და არაგუნეთი“<sup>12</sup>. ზემოციტირებულ ცნობებში „აფხაზეთი“ საკუთრივ აფხაზეთს გულისხმობს, ისევე როგორც ზოგ სხვა ადგილს. „აფხაზეთი“ დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით იხმარება შემდეგ ცნობაში: „უამ ვარდელიან აფხაზეთს და განავიან საქმენი მანდაურნი, და მოინადირიან კეთილი იო სანადირო გეგუთი და აქამეთი“<sup>13</sup>. ავტორს „ავტორც ვხედავთ, გეგუთი და აქამეთი“<sup>14</sup>. ამგვარი მავალიტების გამრავლებაც კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ ისეც საკმარისია.

ზემოთქმულიდან შესაძლებელია დასკვნის გამოტანა: თამარის მეფე-ქმარს, იურის კავშირს აქვს დასავლეთ საქართველოსთან და შესაძლოა რეალურ ხელისუფლებას ახორციელებს ამ მხარეში. ამითაც შეიძლება აიხსნას, რომ დასავლეთ საქართველოდ ასე ერთსულოვნად დაუჭირა მას მხარი ცნობილი ამოხუბების დროს. საფიქრებელია, რომ იურის, როგორც მეფე-ქმარს სავამებლოდ ჩაბარებული ქმონდა ყოფილი „აფხაზთა სამეფო“. ამგვარი რამ მოულოდნელი არ არის. თამარის დროს ცნობილი „მეფეთა ადგილზე მჯდომის“ ინსტიტუტის, ერისთავთ-ერისთავის „მეფეთა ადგილზე“ მესწავლება მეტად საპატიოდ ითვლებოდა. თუ შეიძლება მთელი ყოფილი „აფხაზეთი“ ერისთავებს ემართათ, სავსებით დასაშვებია, იგივე ფუნქცია მეფის ტიტულით თამარის ქმარსაც შეერსულებინა. იურის დასავლეთ საქართველოსთან მჭიდრო კავშირზე უნდა მიეთითებდეს ეცის სამართლებრივი წარწერა, სადაც აღნიშნულია: „დასაშენა ესე სამრეკლო ბრძანებითა თამარ მეფისა გიორგი მამქმ., მეოხებისათ-



ვის, წმიდაო იოანე თავისი თავისა და თავის ნათესავებისა, ამენ. დიდო მეფეო თამარ, მეუღლეთო გიორგისა, შალვა... შეიწყალებენ ღმერთთა<sup>16</sup>. აქ გიორგი (იური) არა მხოლოდ თამარის მეუღლედ, არამედ თითქმის სამხრეთის ამშენებლადაც უნდა იგარაუდებოდეს.

საფიქრებელია, რომ იურის გაძევება მისი ბრალდებით სტელისუფლებიდან მისწრაფებით აიხსნება. ჩვენს ისტორიოგრაფიაში მითითებულია, რომ ოფიციალური ვერსია იურის გაძევების მიზეზების შესახებ, უთუოდ ტენდენციურია<sup>17</sup>. ძნელი დასაჭერებელია, რომ სათალოგებური ადამიანისათვის, როგორცაა იურის გვიხატავენ თამარის ისტორიკოსები, მხარი დაეჭირათ ესოდენ ფართო წრეებს და მათვე ფაქტურად დინასტიის შეცვლაც დაეუბნებინათ დღის წიგნაკში<sup>18</sup>. ამგვარი ვერსია გაყრის კანონიერი საფუძვლის შესაქმნელად უნდა იყოს შეთხზული.

იურის სტელისუფლება როგორც ჩანს საქაო მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო წყაროში იგი „მოსაყდრებელი“ იხსენიება<sup>19</sup>. ჩანს იგი ამ სტელისუფლებას თამარისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ იყენებდა და მისი კიდევ უფრო გაზრდისათვის იბრძოდა. იურის პოლიტიკურ მიზანდასახულებასზე ფეოქრობთ საფუძვლიანად მიუთითა გ. მელიქიშვილმა<sup>20</sup>. თამარისა და იურის კონფლიქტში მეუღლეთა პოლიტიკური ძალაუფლებისათვის მძაფრი ბრძოლა უნდა დაეწინაურებინა და არა იური ოჯახური უსიამოვნება<sup>21</sup>. სხვაგვარად იურის განსაკუთრებული პოლიტიკური აქტივობა, მის ტახტზე ასაყვანად მოწყობილი მასშტაბური ამბოხება და ამ ამბოხებაში დასავლეთ საქართველოს წამყვანი როლი აუხსნელი დაგვრჩება.

იური ანდროას ძის მსგავს პოლიტიკურ აქტივობას ვერ ვამჩნევთ დავით სოსლანს. მეუღლედვე ამისა, არც დავით სოსლანი იყო ასე უფლებდ<sup>22</sup>, როგორც ი. ცინცაძის მიჩნედა<sup>23</sup>.

დავით სოსლანი, საფიქრებელია თავიდან განსაღვრულ ჩარჩობში იყო ჩაყენებული თამარისა და მისი მომხრეების მიერ. მისი შედარებით მოკრძალებული როლი (რაც სრულიადაც არ ნიშნავს უფლებობას) იურის ანდროას ძის მავალით უნდა შეეპირობებინა. საყმოდ კარგად ჩანს, რომ იურის პარტიკულ წრეებზე დაყრდნობით თავისი პოლიტიკური ძალაუფლების გაზრდა უნდოდა და „ნამდვილ“ მეფედ ქცევა, რამაც მისი გაძევება გამოიწვია. დავით სოსლანის პარტიკულად დაქორწინებამდე გულდასმით იქნა შესწავლილი<sup>24</sup>, მაგრამ როგორც ჩანს მოულოდნელობათა თავიდან ასაცილებლად პარტიკულ ზანებში მისთვის „მეფის“ წოდება არ მიუტოვია. მომდევნო პერიოდში, როცა მან დაამტკიცა, რომ „იურთური“ მიდრეკილებები არ ქმნოდა, იგი ამ ტიტულით აღჭურვა. საფიქრებელია, ამგვარი „დამტკიცება“

დავითის აქტიური მოქმედება ყოფილიყო იურისა და დასავლეთ საქართველოს დიდებულთა ამბოხების დროს.

ფეოქრობთ, ამგვარად აიხსნება დავითის იურისთვად<sup>25</sup> წოდება თამარის 1188 წლის სიგელში.

სიგელი აწუსტებს ასევე თამარის მეორე ქორწინების თარიღაც, ივ. ჭავჭავიძელის აზრით, თამარის დაქორწინება დავით სოსლანზე მოხდა 1189 წელს<sup>26</sup>. განვხილული მკვლევარი ეყრდნობოდა კვიცილოსის ცნობას: „ქრონიკონსა უთ დასაბამითან ზნუგ აქა მეფედ დაქა დავით ოსი“<sup>26</sup>, თამარის გელათისადმი ბრძებული სიგელი მტიციედ თარიღდება 1188 წლით და მას დავითი ამტკიცებს, რაც თვის ქორწინების თარიღს ერთი წლით უკან წევს. ამგვარი დათარიღება არ იურისადაა დატანილი მონაცემების თამარისა და იურის ქორწინების ხანგრძლივობის შესახებ. როგორც ივ. ჭავჭავიძელმა გაარკვია, თამარისა და იურის დაქორწინება 1185 წელს უნდა მომხდარიყო<sup>27</sup>. „ისტორიათა აზმითა“ ავტორის ცნობით თამარი „იურ წლადის გინა უშეტეს“ ითმუნდა იურის<sup>28</sup>. მეორე ისტორიკოსის ცნობით: „ორისა და ნახევრისა წელთა... მოითმუნდა მქენ თამარ უყეთურებთა რუსისათა“<sup>29</sup>... ამდენად, თამარისა და იურის ქორწინება დაახლოებით ორნახევარი წელი გრძელდებოდა. 1188 წელს თამარისა და დავითის დაქორწინება ქრონოლოგიურად სავსებით დასაშვებია. რაც უნებია 1189 წელს, კვიცილოსური ცნობის ამგვარი უზუსტობის მავალითი სხვაც ბევრი გვაქვს და აქ შეუძლებელი არაფერია, თუ არ ვიფიქრებთ იმას, რომ 1189 წელს დავით სოსლანს მეფის ტიტული უბოძეს და კვიცილოსშიც ეს ფაქტი აიხსა. ნიშანდობლივია „ისტორიათა და აზმითა“ ასეთი ცნობა: „იხე დავით წელიწადის მოქცევამდე ესრეთ წამოქმონა ყოველია მშუდლოსანსა, ცხენოსანსა და მცურაჲსა, მოსაპარეჲსა, მწიგნობარსა და ყოველსა ნასწავლსა ჯელთა სიკეთითა, ვითა დღეს ჩანს, რომელ შინათ ვინ ყოფილა მისი მსწავლებელი და თანა მოსწავლი, და თუ გართათა ქუთაჲნათა მოსრულთა, ვერავინ სადა გამოჩენილა მისებრი“<sup>30</sup>. ეს „წელიწადის მოქცევა“ დაქორწინების შემდეგაა ნაგულისხმევი. ამ წელს დავითს ყოველმხრივ თავი გამოუჩენია და იქნებ ვფიქრობთ, რომ ამის შემდეგ ებოძა მას მეფობა, რაც კვიცილოსური ცნობაშიც აიხსა?<sup>31</sup>

ყოველივე ნემოქმული უფლებას გვაძლევს ცოტა უკან გადავიწყოთ იურის ტახტზე ასაყვანად მოწყობილი ცნობილი ამბოხების თარიღიც, რომელსაც ივ. ჭავჭავიძელი დაახლოებით 1190-1191 წწ. განსაზღვრავდა<sup>31</sup>, სამეცნიერო

ილიზ ბნთილაშვა  
თამარ მეფის 1188 წ. სიგელის წიგნიერთი  
მონაცემისათვის

ლიტერატურაში ამ აქანების თარიღად ძირითადად 1181 წელი განმტკიცდა<sup>32</sup>. თუ დავითისა და თამარის ქორწინება 1188 წელს მომხდარი ფაქტია, ამბობება დაახლოებით 1180-1190 წლებში უნდა მომხდარიყო (უფრო საეკლესიოებელია 1180 წელი).

თამარის 1188 წლის სიგელს ვარკეთილი კორტეივი შეაქვს კათალიკოს მიქელ მირიანის ძის გარდაცვალების თარიღშიც. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ მიქელ მირიანის ძე დაახლოებით 1190-1191 წწ. უნდა გარდაცვლილიყო<sup>33</sup>. სპეციალურ ლიტერატურაში ეს თარიღი ძირითადად უცვლელადაა გამოტრეხული. ამავე თარიღით ვხვდებით მდგენლობით ჩვენს ნაშრომში, რომელიც სავანევიდ მიქელის მოღვაწეობას მიემდინა<sup>34</sup>. თამარის ჩვენთვის საინტერესო სიგელში კი მამტიკიებლად გვევლინება თევდორე კათალიკოსი: „ჩ. ესე ვითა ღმრთივე გურგუნოსანა მფეთთა-მფეთხა და დედოფალთა დედოფალსა თამარს დიდისა მონახტრისა მათისა შინ გელათს მეფობისა მათისა წარსამართებლად და სუღიერად ცხოვნებისათვის ჭორვილა შეუწირავს მუნ შინა მყოფთა მწირთა ხაზრდელად და სიგელი ესე დაუწერა და საუფლოითა კელითა მათითა დაუმტკიცებია, — მტკიცე ყავ ღმერთმან ზრძანება მათი, — შეცა, გლხავი ქრისტეს მიერ კათალიკოსი თეოდორე მოწამე და დაამტკიცებელი ვარს“<sup>35</sup>. (ხაზი ჩვენია, ი. ა.) აქედან გამოდინა-

რე, უკვე 1188 წელს საკათალიკოსო კათედრა უპყრო თევდორეს. ხოლო მიქელ მირიანის ძე გარდაცვლილად უნდა ვივლინებოდით. მოვლენების ლოკალი გვაფიქრებინებს, რომ მიქელი დაახლოებით 1187 წელს უნდა გარდაცვლილიყო და ალბათ იურია გაქვებამდე ცოტა ხნით ადრე, რადგან თამარის პირველი ქმრის თვგამოდებული მიმხრე და შედარსე კათალიკოსიან არ დაუშვებდა მათ გაყრას. გაყრა, მით უფრო გვირგვინოსანთა ოქახისა, ეკლესიის და ეკრძოლ კათალიკოსის კომპეტენცია იყო, ხოლო იურის გაქვებისას კათალიკოსი და საერთოდ არცერთი საეკლესიო პირი არ უფიქრებებს. თამარის ორივე ისტორიკოსის მონაცემებით, იური რუსუდან დედოფალმა, ვიზიტებმა და დიდებულებმა (ბახლის მიხედვით „ყოველთა მთავართა“) გააძევეს<sup>37</sup>. საფიქრებელია, იურის გაქვებმა მიქელ მირიანის ძის სიკვდილმა საკრძნობლად გააადვილა, რადგან უცვლილია, რომ ამ ყოველს შემდეგ კათალიკოსის სიკვდილამ ძლიერ დაასუსტა მისი მომხრეები, რომლებიც ამავე დროს იურის პარტიასაც შეადგენდნენ.

ამდენად, თამარის მიერ 1188 წელს გელათისადმი ბოძებული სიგელი გვაძლევს საკმაოდ მყარ ქრონოლოგიურ საყრდენებს განსაზღვრული ეპოქის ცალკეული მოვლენების დასაბუთებლად. საინტერესოა იგი დავით სოსლანის თავდაპირველი სტატუსის გასარკვევადც, რისი ცდაც ჩვენ ზემოთ მოვტანეთ.

#### შენიშვნები:

- 1 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 25-26. ტექსტში დაბეჭდილია „ტოლეული“, უნდა იყოს „ცოლეული“, რაზეც მივგითითა თ. გენუქიძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.
- 2 იქვე, გვ. 592-593.
- 3 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 27.
- 4 იქვე, გვ. 7.
- 5 ი. ციციძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1956, გვ. 69-102; რ. მეტრეველი, შინაჯალსობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 170-185.
- 6 ი. ციციძე, დასახ. ნაშრ., გვ. 80-88.
- 7 შ. მესხია, შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან, მნათობი, 1970, № 1, გვ. 167; შდრ. გ. თეგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, სტალინობი, 1958, გვ. 158-166.
- 8 ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგინილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩაშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 38.

- 9 ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 561-587.
- 10 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 173.
- 11 ს. ჯანაშია, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 479;
- 12 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 15.
- 13 იქვე, გვ. 49.
- 14 იქვე, გვ. 99.
- 15 იქვე, გვ. 111.
- 16 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, თბ., 1928, გვ. 212.
- 17 ვ. სილოგავა, დასავლეთ საქართველოს X-XVIII სს. ქართული ლაბიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო, სადისერტაციო ნაშრომი, ნაწ. II, თბ., 1972, გვ. 190.
- 18 ი. ციციძე, დასახ. ნაშრ. გვ. 118.
- 19 ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, თბ., 1974, გვ. 163, გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 97-98; M. Лордкипანიძე, История Гру-

- 18 გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 98.  
19 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 50.  
20 გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 98-101.  
21 ასე ფიქრობს მაგ. ჯ. კოპალიანი, ქართული საოჯახო ყოფის ისტორიიდან, საისტორიო კრებული, ტ. VII, თბ., 1977, გვ. 162-168.  
22 შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 167; გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 158-166.  
23 ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 80-88.  
24 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 46.  
25 ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1965, გვ. 257-258.  
26 ქრონიკები, I, გვ. 275.  
27 ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 258.  
28 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 41.  
29 იქვე, გვ. 120.

30 იქვე, გვ. 48.

- 31 ივ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 260.  
32 იხ. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 199; ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 128-129; გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 97; რ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 198, მ. დ. ლორდკიპანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 150 და სხვ.  
33 ივ. ჭავჭავაძე, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, ტფ., 1929, გვ. 151.  
34 ი. ანთელავა, მიქელ შირიანის ძე და 1184-1191 წწ. პოლიტიკური კრიზისი საქართველოში, საისტორიო კრებული, ტ. VII, თბ., 1977, გვ. 138-161.  
35 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 27.  
36 იხ. ი. ანთელავა, დასახ. ნაშრ., გვ. 153-156, იქვე ბიბლიოგრაფია.  
37 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 41 და 121.





მარიამ ჩიკვაძე

ნიწო ჯაფარიძე

ქველბ ჩვენთაგან ახსოვს, ბავშვობაში ცის თაღზე უტყარად გადაჭიმული ცისარტყელას ხილვისას რა სისარული დაუფლებია... რადანარი აღტაცებასა და აღფრთოვანებას ვგრძნობდით მაშინ; ალბათ იმ წაშს ქვეცნობიერად ვეწიარეთ ბუნებაში ჩაქსოვილ ფერთა სინარნარეს და სილამაზეს... ვინ იცის, იქნებ იმ უტყარი, უჩვეულო წაშიდან იწყება ადამიანის ფერებთან ურთიერთობა. იქნებ იმ უჩვეულო ხილვით იწყება ის მარადი დღესასწაული, რასაც ფერწერა გვანიჭებს...

ნიწო ჯაფარიძემ რამდენიმე წლის წინ ბავშვთა ნამუშევრების მუზეუმში მოწყობილ გამოფენაში მონაწილეობისას მიიქცია უსრადლება. მაშინ იგი თორმეტი წლის იყო. თხუთმეტი წლისას უკვე პერსონალური გამოფენა მოუწყვეს იმავე მუზეუმში. შემდეგ კი, 1977 წელს, მოსკოვის მეცნიერთა სახლში რამდენიმე თვეს იყო ექსპონირებული მისი ნაწარმოებები და როგორც მნახველთა, ასევე თვით მეცნიერთა სახლის მეხვეურთა დიდი მოწონება ხვდა წილად.

ახალგაზრდა მხატვრის პირველი ნამუშევრები, უპირველეს ყოვლისა, ფერთა სილალით, ბავშვური გულღებყვილობითა და უშუალოებით იქცევადა უსრადლებას. მაგრამ ამ გულღებყვილობაში და სილალეში ჩანდა ადამიანის სულის და ბუნების სილამაზე, თანამედროვეობის ხასიათი; ფერები შადრევანივით იფრქვეოდნენ თავისი პირვანდელი სინარნარით და მოშხიბლობით — გოგონა აღიქვამდა სავყაროს ისე, როგორც მის ასაკს შეეფერებოდა ხალცარი, მომეპაღობებელი ძალა იყო ამ აღქვაში. ტი-

ლოებში გამოსჭვიოდა ინტუიცია, ტემერამენტი, ინდივიდუალობა. ყველაფერი ეს მნახველთა გაოცებას და წრფელ აღტაცებას იწყევდა და იწყევს...

რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პატარა გოგონას სულში ფერწერისადმი ტრფობა ააღდა. ხატვა მისთვის აუცილებელი გახდა. მას ერთი დღეც ვერ წარმოუდგენია უფუნგოდ და უფერებოდ.

ყოველ ასაკს თავისი უშუალო აღმოჩენები ახლავს. ნიჭიერი მეტს აღმოაჩენს. ზელვანიხთვის კი ცბოკება აღმოჩენა-აღქმა-გადმოცემის უწყვეტი ჩაქვია მუდამ და მიმიეა იგი სატარებლად...

ნიწო ჯაფარიძის, როგორც ფერმწერის, ნიჭი ბუნებისა და ადამიანის სულის ილუმალებაში აფერდა, თუმცა ჭერ მოკრალეებით და რილით, მაგრამ შეუპოვრობით და უინით. თანდათან ამოტივტივდა და ჩამოიქნა მისი, როგორც მხატვრის ინტერესები და შესაძლებლობა. ადრე თუ იგი ქაოსურად ხატავდა ყველაფერს, რასაც ხედდა ან წარმოსახვა პკარნახობდა, ახლა მის კომპოზიცებში უფრო მიზანდასახულობა გამოიკვეთა. აფერდა ახალი ინტონაცია. ახალგაზრდა ფერმწერის ინტერესი და წარმოსახვა უფრო ხშირად დასტრიალებდა ბუნების ყველაზე უნიკალურ მოვლენას — ადამიანს; მის განწყობას, ხასიათს, გარემოსთან და ურთიერთშორის დაშოკიდებულებას...

ნიწო ხატავს გატაცებით. ამ დროს არ არსებობს მისთვის არაფერი. გარდა წარმოსახვაში შექმნილი სიუფერისა და ფერებისა, რომელნიც მას ნამვლილი ექსტაზით გადააქვს ტილოზე.





იგი შეუსვენებელი მუშაობს, სანამ სათქმელი გონებიდან ტილოზე არ გადაინაცვლებს; ზოგჯერ ეს პროცესი ექვს-შვიდ საათს გრძელდება, მაგრამ ნინო დაღლილობას არ გრძნობს. მშვიდი კმაყოფილების გრძნობა ეუფლებოდა და სიხარული — ის სიხარული, თავიანთ საქმეზე შეყვარებული ადამიანები რომ ვანიცდიან ზოლში. იგი არ აწვადებს ფერებს, საოცარი ინტუიციით აგნებს და ფენს ტილოზე იმ ფერს, რომელსაც ჩანაფიქრი მოითხოვს. იგი თავს არიდებს ყრუ ფერებს, ამიტომ მისი ნაწარმოებები უადრესად ელერადია და კოლორიტით გამოირჩევა. იგი არ ერიდება ფერთა მკვეთრ დაპირისპირებას, რის გამოც იქმნება ელერადი ფერების რიტმი. ფერთა ექსპრესია ნინოს ნამუშევრებში არ ფარავს, არ „ძირავს“ იმ შინაგან მარმონიას, რომელიც მხატვრის წერის მანერაში გამოიკვეთება, როგორც მისი მხატვრული მსოფლმხედველობის ძირითადი არსი.

ნინო ჭაფარიძის მრავალფეროვანი სიუჟეტები, კომპოზიციები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ფერადოვნებით, ასევე შესრულებითაც — წერის მანერა თავისუფალია.

ახალგაზრდა მხატვარი კარგად გრძნობს და გადმოცემს ადამიანის ხასიათს, ბუნებასა და განწყობილებას. პორტრეტზე მუშაობისას ნაკლებ პურადლებას აქცევს, თითქმის უგაფლავებულყოფი სახის ნაკეთებს, ნაბუებს, ხელებს; ძირითადი აქცენტი მას თვალზე აქვს გადატანილი. უყურებს მის მიერ შესრულებულ პორტრეტებს და გრძნობს, რა სევდით, სიხარულით, ფარული სსოწარკვეთით, აღტაცებით თუ უიმედობით შემოგყურებენ მხატვრის წარმოსახვაში შექმნილი ადამიანები; ნინო პორტრეტზე მუშაობისას არ მიმართავს ნატურას, იგი თავის ფანტაზიას და წარმოსახვას ემყარება.

ნინო ჭაფარიძე გრძნობს და ხედვას ბუნების

სილამაზეს და საოცარი ტემპერამენტით გადმოცემს მას. მის მიერ დახატული პეიზაჟი ვამოირჩევა ლოკალური ფერებით, დეკორატიულობით.

მრავალფეროვანია ახალგაზრდა მხატვრის თემატიკა და მისი წარმოსახვის საზღვრები; უშუალო შთაბეჭდილებანი, ლიტერატურული ნაწარმოებებით შთაგონებული, ფანტასტიკურ-ალეგორიული სცენები, პორტრეტები, ნატურმორტები, პეიზაჟები...

ნინო ჭაფარიძე არ არიდებს თავს მრავალფეროვან კომპოზიციებს; პირიქით, მის ნამუშევართა უმრავლესობას სწორედ ისინი შეადგენენ. შეხედავ მის ტილოებს და უნებურად გოცდები, როგორ სძლია მან ხასიათების სხვადასხვაობას და ფერთა ესოდენ დიდ გამმას. რწმუნდები, ახალგაზრდა მხატვარს დიდ ტილოზე მრავალფეროვანი კომპოზიციით მეთის აღბეჭდვის და გადმოცემის უნარი შესწევს. ეს კომპოზიციები არ იწვევს ზედმეტობის, „გადატვირთვის“ გრძნობას, ყველა სცენა აზრობრივად და ფერადონად მარმონიულადაა შერწყმული. ისინი თავისუფლად სუნთქავენ არა თავისი დიდი ზომით, არამედ ფერთა გააზრებული გაგებით, ყოველი ფრაგმენტის აზრობრივი გამომსახველობით. ამავე დროს სუსხტადაა გამოყენებული ისეთი ძირითადი კომპონენტები, როგორცაა მოცულობა, შუქრიდობა, პერსპექტივა...

ნინოს საყვარელი მხატვრებია: ფიროსმანი, ვან გოგი, მატისი, ბოსხი, ბრეგელი. მის ზოგიერთ ნამუშევარს ეტყობა ამ მხატვართა ნაწარმოებების გარკვეული ზეგავლენა.

ვიმედოვნებთ, რომ ნინო ჭაფარიძის სახით კიდევ ერთი ნიჟიერი ახალგაზრდა შეიქმნა ქართულ ფერწერას.



## ივანე მერაბიშვილი

# გეგა პაქსაშვილი

სასიანოზნო ემოციებს იწვევს თავის უშუალო და თავისებური აღქმით თხუთმეტო წლის გეგა პაქსაშვილის ფერითი სამყაროს ხილვა. ნორჩი მხატვარი სავსეა ბავშვური ხელწერით, ზოგჯერ მხიარული და ხშირად ჩაფიქრებული ინტონაციით გადმოსცემს შინაგან განცდებს, რაც თითოეულ ნამუშევარს საინტერესოსა და მიმწიდეველს ხდის.

გეგა პაქსაშვილის ყოველ ნამუშევარში, იქნება ეს ზეთი, გუაში, ფანქარი თუ კალმით ჩანახატი, დაკვირვებული თვალი შეიგრძნობს რომ მას უყვარს ბუნების, ყვავილების, პორტრეტების, ნატურმორტების ხატვა. ცალკე უნდა გამოიყოს მთელი სერია გუაშით თუ ზეთით შესრულებული ზღვის პეიზაჟებისა.

გეგას დამოკიდებულება თითოეულ თემაზე განსხვავებულია, რადგან იგი ცდილობს სურათის შინაარსობრივი დატვირთვა დაუკავშიროს დასახულ ფერით ამოცანებს.

იგი ხშირად ერთ ნეიტრალურ ფერით ფარავს სურათის სიბრტყეს და შემდეგ მსუყე, კონტრასტული მონაწილეთი, ხატავს პორტრეტს. შინდისფერ ფონზე სასიამოვნოდ იკითხება ხანდომიანი ქალის სახე... შავი ზმირი თმა, ნუშიებრივი ცისფერი თვალები... ასე წარმოსახა პატარა მხატვარმა დედა და ჩააქსოვა მასში ბავშვური უშუალობა და დადი სითბო. კონტრასტული ლაქები მეტად ორიგინალურ დეკორატიულ ელფერს აძლევენ სურათს.

დეკორატიული პრინციპი აქცენტირებულია მის ნატურმორტებშიც, რომელთა ხატვაც გეგა პაქსაშვილს ძალიან იტაცებს.

საინტერესო აზროვნების მხატვრად წარმოგვიდგენს გეგას მისი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნატურმორტები. „იასამანი“ — ასე ეწოდება ერთ-ერთ მათგანს. ინტენსიურ შინდისფერ ფონზე, ენერგიული, მოქნილი მონაწილეთი შესრულებული მუქი მწვანე დეკორატიული ფოთლები, სასიამოვნო კონტრასტს ქმნიან ნაწი, მისუბუქი მანერით დახატულ იასამნებთან.

ყურადღებას იქცევს „ნატურმორტი ბროწეულებით“, სადაც მეწამული ფონის სიბრტყეზე ნორჩ მხატვარს მოხდენილად გამოუძრწავს ვერცხლისფერი ორნამენტული სურათი და ფართე სინი, რომელზეც მიმოზნეულია ბროწეულები და ვაშლი. გეგა არ ცდილობს დამუშავოს სხეულების ფორმა. მისი მთავარი ყურადღება ფერებისა და ლაქების კონტრასტზეა გადატანილი, რითაც ძლიერდება ნამუშევრის დეკორატიულობა. წითელი ფონი, რუხი ვერცხლისფერი, ბროწეულის და ვაშლის ტონები მქმნიან უაღრესად მშვიდ განწყობილებას.

თავშეგავებით, ზომიერების გრძობით გამოირჩევა სამ ფერში გადაწყვეტილი „ნატურმორტი გვირილებით“. ფაქიზი მონაწილეთი შესრულებულ ორ გულყვითელა გვირილას შავი ფონი უპირისპირდება. გვირილის ტონში გაზრებული ლარნაკიც ხაზს უსვამს ნახატის ხადა, დაკონურ გადაწყვეტას. გუაშის ხავერდოვანი ფაქტურა, სურათის ყოველი კომპონენტის სიბრტყეზე გეგონებით გამოხატვა აძლიერებს საერთო შთაბეჭდილებას. ამ ტიპის ნამუშევრებში აქცენტი გადატანილია დეკორატიულ მომენტზე.

სულ სხვა თვალსაზრისით აღიქმება გეგა პაქსაშვილის პეიზაჟები. „ქლდე“ — ასე უწოდა მან ერთ პეიზაჟს, სადაც მოჩითული კლდის ფერდობი ლაქვარით ცის ფონზე ლამაზად გამოიკვეთება. კლდის კონტური ორი დეკორატიული ხით ასიმეტრიულად კვეთს კომპოზიციას და თავისებურად აღიქმება სურათის საერთო ელერადობა.

გეგა გუაშით შესრულებულ ნამუშევრებში თითქმის იშვიათად ხმარობს ფერთა ერთმანეთში შერევით მიღებულ ახალ ფერს. იგი ხუფთა ფერების მომხრინე და დაკონური გამოყენებით, მათი სასიამოვნო დაპირისპირებათ ცდილობს დავეარწმუნოს, თავისი ჩანაფიქრის გადაწყვეტის სისწორეს.

გ. პაქსაშვილი ბევრს კითხულობს, მეცადინეობს ფორტპიანოზე (იგი კონსერვატორიას-

თან არსებული % ფაღალაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური ათწლეულის მე-ე კლასის წარჩინებული მოსწავლეა). უყვარს ლიტერატურა, პოეზია, თეატრი, ზევსს ხატავს. ხატავს ყოველდღე, აკეთებს ჩანახატებს, კომპოზიცირებს, პორტრეტებს, ნატურმორტებს.

გეგას მიღწევები სახვით ხელოვნებაში, არა ერთ გამოფენაზე აღინიშნა სიგელებით და დიპლომებით.

უკვე მოეწყო მისი პერსონალური გამოფენები თბილისისა და ერევნის ბავშვთა გალერეა-მუზეუმებში. 1971 წელს საქართველოს მოსწავლეთა მხატვრული ოფთხოქმედების VII-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ოქროს მედალი, პირველი ხარისხის დიპლომი და ოლიმპიადის ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭა. ზოლო 1974 წელს, საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევთა გამოფენის მონაწილის მოწმობა მიიღო. გეგა პაქსაშვილის ნამუშევრები გაიგზავნა საზღვარგარეთ მოწყობილ ნორჩ მხატვართა რამოდენიმე საერთაორისო გამოფენაზეც.

ნორჩი მხატვრის ნამუშევრებში არის თეატრალური დეკორაციების ტიპის კომპოზიციები. მათ თან ახლავთ პირობითი გადაწყვეტის ის ელემენტებიც, რაც დამახასიათებელია ამ უნარის მხატვრობისათვის. აქაც თავისებური კაშკაშის როლს დეკორატიული მომენტი თამაშობს. თუ ნატურმორტი მხატვარი ძლიერი კონტრასტებით ძერწავს ნახატს, აქ ფერების

ფაქიზი, ჰეროვანი დაპირისპირებით ცდილობს შექმნას ზღაპრულ-დიდილური სამყაროს ილუზია.

პირობითი გადაწყვეტით გამოირჩევა „ნატურ-მორტი მზესუმზირით.“ სამი მთავარი ფერი: წითელი, ლურჯი და ყვითელი გაწონასწორებულ სიბრტყეებს აერთიანებს. მზესუმზირის ღამაში ხილულეთი კი კრავს კომპოზიციას. ანალოგიური გაწონასწორება სურათის ფერითი ლაქებისა გეგას რამდენიმე ნამუშევარში კიდევ აქვს გამოვლენილი, რაც ერთგვარად გამოირიცხავს ამ ხერხით შესრულების შემთხვევითობას.

ზეთით შესრულებული ნამუშევრები გვსიბუღავენ მოდელირების პასტოზური მანერით. აქ მხატვარი ცდილობს ლაქობრივი პრინციპი საღებავის მსუყე, ენერგიული მონახვით გაამდიდროს, რითაც ფაქტურა რელიეფურ იერს იღებს. აქაც, ისევე, როგორც გუაშით შესრულებულ ნამუშევრებში, იგი თავშეკავებით არჩევს ფერებს...

გეგა პაქსაშვილს თავის შემოქმედებაში ჯერ კიდევ ბევრი კომპონენტის დასვეწა, შესწავლა დასჭირდება, ვიდრე მყარად დადგებოდეს პროფესიული სახვითი ხელოვნების ფართო შარაგზაზე, მაგრამ ის ხერითოული მიდგომა, შრომისმოყვარეობა და ბუნებრივი მონაცემები, რაც უარბადა აქვს ნორჩ მხატვარს, იმედია კვლავაც სასურველ შედეგს გამოიღებს და გავახარებს ახალი წარმატებებით.



# ქართველი შთაბეჭდილებები

## ფართო პარამონია

ლიდია ზლატკაძე-მირი — ბიორგნი თო-  
თიბაძე, გამომგებლობა „სომეხური  
ხუმორისტი“, რედაქტორი: ს. კამბრ-  
ვა, 1978 წელი.

კომედიას მხატვრობასთან შედარებით სიტყ-  
ვის, მოძრაობის, აზრთა, განცდათა მდინარე-  
ბის ასახვის უპირატესობა გააჩნია. ქეშმარიტი  
მხატვრობის იდუმალება განსხვავებულია კოე-  
ზიისა და მუსიკისაგან — თუმცა მათ საერთოც  
მრავალი აქვთ.

„ქახელი შევენახე“ — ასე ჰქვია გიორგი თო-  
თიბაძის ეტიუდს. შემოგვცემკერის გაუტეხხავი,  
თითქოს უხეში, მაგრამ შინაგანი სიკეთით აღ-  
სახვე ბერეკატი, შეილივით ნაწარდი ვაზის ყა-  
დრი რომ იცის, დასეტყვილი ზვრების ხილვა  
რომ ტენია, ხნულში იფლი რომ ჩაულვრია;  
შის თვალეში სევდანარევი უკმაყოფილება  
და სიჭიუტე განზავებულია. გიორგი თოთიბაძის  
„ქახელი შევენახე“ ჩვენთვის ყველასათვის  
მაცნობია, იგი ცოცხალია, თითქოს მოელი —  
ხადაცაა რაიმეს იტყვისო.

ტილოზე აღბეჭდილია ერთი შეხედვით თი-  
თქოს უმოძრაო წამი, რომელმაც შთაგონა  
მხატვარი, წამი რომელიც მარადისობად იქცა.  
მაგრამ მხატვრულ ტილოზე გაქვავებული წამის  
უმოძრაობა პირობითია. იგი თითქოს თავს უყ-  
რის ჩვენთვის უხილავ, მანამდე არსებულ გა-  
ნცდებს, სულიერ ძვრებს და ჭიუტად შემოგ-

ცემკერის, თითქოს გიწვევს ამოცნო — რა  
მონდა შეჩერებულ მოძრაობამდე და რა მონ-  
დება მერე. ფერი — სიტყვის მაგიერია მხა-  
ტვრისათვის, ოღონდ უფრო შეუცნობელია  
ვიდრე სიტყვა, უფრო განცდისმიერია. ქეშმა-  
რიტ ფერწერულ ნამუშევარს აქვს თავისი წა-  
რსული და მომავალი, ნახატი იცვლება მანძი-  
ლის, განათების, განწყობილების ცვალებადო-  
ბასთან ერთად.

გიორგი თოთიბაძის ალბომში, რომელიც  
„სოვეტსკი ხუმორისტი“ გამოცდა, საქართ-  
ველოს დემსახურებული მხატვრის ცნობილი  
სურათების რეპროდუქციებია დასტამბული.

ალბომს წინ ერთვის ლიდია ზლატკაძე-მირის  
წერილი, რომელიც მოკლედ, მაგრამ ამომ-  
წურავადაა განხილული ნიჭიერი ოსტატის შე-  
მოქმედება.

ჩვენთვის, განსაკუთრებით ძვირფასია გიო-  
რგი თოთიბაძის შეხანიშნავი პორტრეტები.  
ვათვალეირებთ ალბომს და თვალწინ ცოცხლ-  
დება შოთა რუსთაველის, ვაჟა ფშაველას, ზა-  
ქარია ფალიაშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის,  
მიხეილ მამულაშვილის სახეები.

მე არ შევუღლები თითოეული პორტრეტის  
სიტყვიერ აღწერას მარტივი მიზეზის გამო,  
შეუძლებელია სრულყოფილად გადმოვცე ეს  
შთაბეჭდილება, ზეგავლენა რაც ამ სურათებ-  
მა მოახდინეს ჩემზე. აქვეა დასტამბული ყვე-  
ლასათვის ცნობილი „თელავი. კრამიტის სახუ-  
რავები“, „შემოდგომის ნატურმორტი“, „ქა-



როლი“ და მოგზაურობის შთაბეჭდილებებით შექმნილი სურათების ილუსტრაციები.

გიორგი თოთბაძის მიმზიდველი პეიზაჟები, აზრიანი პორტრეტები, ნატურმორტი თუ გობელენი, უპირველეს ყოვლისა მხატვლის იზიდავს გამოკეთილი ეროვნულობით, ნათელი სტილით, გამომსახველობითი სისუსტით.

ალბომში დაბეჭდილი წერილის ავტორი ლილია ზღაპტევიჩი ასე ახასიათებს გიორგი თოთბაძეს — „გიორგი კონსტანტინეს ძე თოთბაძე — საქართველოს სსრ დამახაურებელი მხატვარი, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი — წარმომადგენელია ხელოვნათა იმ თაობისა, რომელმაც რესპუბლიკის მხატვრულ ცხოვრებაში ფეხი შემოადგო ორმოცდაათიან წლებში. მის შემოქმედებაში ასახვა პოვა მხატვრულ განსოგადობათა იმ ძიებებმა, იმ სწრაფვამ, თანამედროვე იერსახის მონუმენტალიზაციისათვის, რომელიც დამახასიათებელი იყო როგორც ქართული დაზგური მხატვრობის, ისე მთლიანად საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებისათვის ამ პერიოდში. ამ გავებით ჯ. თოთბაძის შემოქმედებითი გზა ტიპურია მისი თაობის მხატვრებისათვის. გ. თოთბაძე

ისწრაფვის ასახოს თანამედროვე მოვლენები, ქართველი ხალხის გმირული წარსული. მის იზიდავს ადამიანის, პიროვნების ძლიერი ხასიათი, ინტელიქტი, სულიერი და ფიზიკური სილამაზე“.

1958 წელს შექმნილი სურათი, საღილობო ნამუშევარი — „ახალი სამგობის მიწაზე“, ყოფილა გიორგი თოთბაძის შემოქმედებითი წარმატების საწინდარი, ამავე სურათით იხსნება ალბომი. ალბომში დაბეჭდილი ფერადი ილუსტრაციები — ფერწერის მოყვარულთა დიდ აუდიტორიას საშუალებას აძლევს უფრო ახლო გაიცნოს ცნობილი მხატვრის მრავალფეროვანი შემოქმედება.

ახლანახან, აღიარებულ ოსტატს, სახელოვან შემოქმედს — საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს გიორგი თოთბაძეს 50 წელი შეუსრულდა. სასიხარულთა რომ „სოვეტსკი ზუღოფნიკს“ მიერ გამოცემული ალბომის („გიორგი თოთბაძე“) გამოსვლა ამ თარიღს დაემთხვა. უფრო ახლო „ციცხლის“ მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ ნიჭიერ მხატვარს!

გივი ალხაიშვილი

## საკაჲის რჩეული

მართული კომუნა, ტ. 8. საკაჲი წიბრ-თელი. შემდგომილი გიორგიან ლეზან-ძე, რედაქტორი ბ. ბრიგაძე. გამომცემლობა „ნაბადული“, 1978 წელი.

1960 წელს გამოვიდა აკაკი წერეთლის რჩეული ლექსები („ახი ლექსი“) შედგენილი სიმომ ჩიჭოვანის მიერ. იმავე წელს „ნაკადულმა“ „ჩვენი საუნიკის“ მიერვე ტომად გამოსცა აკაკის რჩეული ნაწარმოებები. ამის შემდეგ 17 (ჩვიდმეტი) წლის მანძილზე მკითხველს აკაკი წერეთლის რჩეული ადარ მიუღია. (ამ ხნის ფანჯაროებში მხოლოდ „ნაკადული“ და „განათლებლ“ სტემბდა აკაკის თითო-ორილა საბავშვო ლექსსა და საშუალო სკოლის პროგრამის გათვალისწინებულ ნაწარმოებებს). ამიტომ უადრესად დროული იყო შარშანწინ, 1977 წელს „საბჭოთა საქართველოს“ მიერ აკაკის რჩეული ორტომეულის გამოცემა (შეადგინა ნ. აღინაიშ). იგი ისე სწრაფად გაიყვდა, რომ ბევრმა მდღაზიის თაროზე მისთვის თვალის შევლევაც კი ვერ მოახწრო. შარშან „ნაკადულმა“ გამოსცა აკაკი წერეთლის რჩეული პოეზია თხუთმეტომიანი „ქართული პოეზიის“ მერვე ტომად (ტირაჟი 40 000). ამან ნაწილობრივ

უნდა შეავსოს არსებული ხარვეზი, თუმცა აკაკის პოეზიის ყველა მოყვარულს, ცხადია, ესც ვერ დაკმაყოფილებს. ყოვლად მისუტევებელია აკაკი წერეთლის (და განა სხვა კლასიკოსების) ამ დღეში არ არიან? რჩეული ნაწერების ასე კანტი-კუნტად გამოცემა, მაშინ, როდესაც მასზე მოთხოვნილება მეტად დიდია და ეს არცაა გასაკვირი: ხარციენიო კრებულის წინასიტყვაობის ავტორის, თამაზ ჭილაძის სიტყვით რომ ვთქვათ, „აკაკი წერეთლის პოეზია დღეს ცოცხალი, ქვედითი პოეზიაა და ყველას, განურჩევლად ყველას, ვისაც კი მისი ცხოველყოფილი სხივი მიწვდება, ამაღლებს, რადგან აფიქრებს, აგრძნობინებს და ასწავლის, რომ ეს დიადი „სამყარო“ სახე „უთვალავი ფერიტა“ — მას ეკუთვნის და ამიტომაც უნდა იზრუნოს კიდევ მასზე“.

წიგნში ქრონოლოგიურ პრინციპითაა დალაგებული 178 ლექსი და 5 პოემა: „თორნიე ერისთავი“, „ეილაბა“, „ორი ქართველი“, „ნათელა“, „გაშრადელი“, ბოლოს დაბეჭდილია ისტორიული დრამა „პატარა კახი“. დასაანაია, რომ კრებულში შეტანილი არ არის რამდენიმე შესანიშნავი ლექსი, რომელთა გარეშეც აკაკის რჩეულის წარმოდგენა, ცოტა არ იყოს, ჭირს. მხედველობაში მამც ცნობილი ლექსები „მოსუთი და ახალგაზრდა“

(1897), „გაზაფხული“ („განხიარული, ბუ- ხარა...“, 1905). განსაკუთრებით საწყენია, რომ ამ 178 ლექსს შორის ვერ ვხედავთ ფი- ლოსოფიური ლირიკის შედეგს „ირაკლის ხაფაღაფე“ (1898).

კრებულს წინ უძღვით თამაშ ჰელაძის წე- რილი „აკაკი წერეთლის პოეზია.“ ეს არის უაღრესად საინტერესო საუბარი დიდი პოე- ტის შემოქმედებაზე. იგი გამოირჩევა ანალი- ზის სიღრმით, კონკრეტულობით, მახვილგო- ნივრული და ორიგინალური დაკვირვებით. თ. ჰელაძე კვლევის საინტერესო სერბს მიმარ- თავს: იგი უყარადღებებს აპყრობს აკაკის მიერ ზშირად გამოყენებულ ცალკეულ სიტყვებს და მათი ანალიზით ახერხებს ღრმად ჩავახედოს პოეტის შემოქმედებაში, მის სულიერ სამყა- როში. მხედველობაში მაქვს მსჯელობა სიტყ- ვებზე: „თავისუფალი“, „თანაგრძობა“, „საი- დუმლო“, „მთესველი“, „ბულბული“. ამ დროს ზშირად მოუღიადნული და საინტერესო კავშირი მყარდება ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებულ ნაწარმოებებს შორისაც კი. ძა- ლზე საყურადღებოა მოსაზრებანი აკაკისა და ვაჟას ცნობილი კამათის შესახებაც.

თ. ჰელაძეს მოჰყავს ჩვენს კრიტიკასა და ლიტერატურისმცოდნეობაში გავრცელებუ- ლი შეხედულება, რომ აკაკის შემოქმედება- ში ძნელია მკვეთრი მიჯნის გავლება სატრ- ფოსსა და სამშობლოზე დაწერილ ლექსებს შო- რის და თავის მხრივ დასძენს: „მიუხედავად მკვლევართა ასეთი მოსაზრების დიდი ეფექ- ტურობისა, ამ ორი ცნების განსხვავება აკა- კის ლექსებში მაინც აშკარაა.“ საყოველთაოდ აღიარებული შეხედულებების ასეთი თამაში გადასინჯვა მეტად სასარგებლოა ხოლმე. მაგ- რამ აკაკის პატრიოტული და სატრფიალო ლექსების „გამოცნობისას“, როგორც ჩანს, მაინც მერტი სიღრმისილე გვმართებს. ამას ის გვაუქმებინებს, რომ წინასიტყვაობის ავტორის მიერ პატრიოტული ლირიკის ნიშნულად ორ- გზის (გვ. გვ. 28 და 38) დამოწმებული სტრი- ქონები — „არც მყვარებია, არც მიყვარს, არც მდომებია, არც მინდა, არც მწამებია, არცა მწამს შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა!“ — არ წარმოადგენს მიმართვას სამშობლოსადმი.

ეს ჩანს ამ ლექსის („ღიღებდა მაღალთა შენა“) მომდევნო სტროფებიდან: „შენი ღიღებდა რიგე და შენი ამოოხერისა, მაღლიდან ჩამო- ტანილის ციური მიხვრამოხვრამო ხსამ ღელა ხარ.. დედა ოზოლო, ქართველად მზღე- ლი შევილსა, სამშობლო სათვთის სამსხ- ვერპლოდ შემომწირველი წვილისას!“ „მიხვრა-მოხვრა“, ცხადია, ადამიანის მიმართ არის ნათქვამი. გარდა ამისა „სამშობლოსთვის მსხვერპლის შემწირველი“ ისევე „სამშობლო“ ვერ იქნება. ამ ლექსით პოეტი ხოტბას ასხამს რომელიღაც კონკრეტულ პიროვნებაზე, ღამაშ ქალს („მაღლი შენს გამჩენს, ღამაზოლო“ — ამბობს ლექსის ბოლოს) და ღირსეულ ქარ- თველ დედას.

წიგნის ბოლოში ვკითხულობთ: „წინამდე- ბარე ტომში წარმოადგენილი ტექსტები იბეჭე- დება ა. წერეთლის თხზულებათა სრულად კრებულის (1950-1958 წლებში გამოცემული თხზულებტომების) მიხედვით.“

ამ თხზულებტომების წაგვირთ ტომს ბო- ლოში ერთვის შემწინდელი კორექტურული შეცდომების გასწორება. სარეცენზო რჩეუ- ლში კი ეს გასწორებები ყოველთვის გათვა- ლისწინებული არ არის. ზოგი კორექტურა ისეთია რომ მნიშვნელოვნად ცვლის აზრს. მა- გალითად: საყოველთაოდ ცნობილი ლექსის „პოეტის“ ერთი ადგილი აქ ასეა დაბეჭდილი: „ნუ მკითხავ, მნახო უგურად“ (გვ. 175), უნდა იყოს: „ნუ მკითხავ...; ლექსის „სტრზა- ყან შავ-სეღლიან“ მესამე და მეოთხე სტრიქო- ნებში ერთი და იგივე ხარითმო სიტყვაა: „მეკრდიო — მეკრდიო“ (გვ. 176), მეორე „მეკრდის“ ნაცვლად უნდა იყოს „ფერდი“; 271-ე გვერდზე დაბეჭდილია „გვტხვევი — შეილი უმანკო“, უნდა იყოს „გებვევი“ (ეს ადგილი თხზულებათა სრულ კრებულში სწო- რადია) და სხვ.

ქართული პოეზიის თხზულებტომიანი ბიბ- ლიოთეკა, რომლის ერთ წიგნზე ამ რეცენზია- ში გვქონდა საუბარი, ძვირფასი სარეცენზო, რომელიც გამოცემილობა „ნაკადულმა“ მოუ- წნადა ქართველ მკითხველს.

ლიმან გარბაძე

### „ფირილეზი ესკულაპის ფოსტიდან“

ბენო გიგეშიძე, „ფირილეზი ესკულა- პის ფოსტიდან“ გამოცემილობა „სა- ბოტოთა საქარათმელო“, 1978 წელი.

აბო ჰქვია გენო გიგეშიძის ახლახან გამოცე- მილ წიგნს და ორიგინალური სათაური უკვე

მოგაქციენებთ ყურადღებას. სათაურის მიგნ- ბის სირთულესა და მნიშვნელობაზე ბევრი რამ არის თქმული. კონსტანტინე გამსახურდიას იგი შწრლის სანახევროდ გამარჯვებად მიჩნე- და. მეც იმ იმედით ავიღე ეს წიგნი ხელში, რომ ავტორის მილიანი გამარჯვების მოწმე გავ- ხდებოდი. არც მოვტყუებულვარ.



წიგნისა და ავტორისადმი თავიდანვე კეთილად განგაწყობთ წარმოდგენილი მასალის სიუხვე და მრავალფეროვნება, პროზღმითა სიმამართე, თხრობის სისხდავე და უპრეტენზიოება, გულწრფელობა, პროფესიისადმი დიდი სიყვარული და ერთგულება, საკუთარი თავისადმი თუ კოლეგებისადმი უშუღდავრო მოთხოვნეღლობა და ისიც, რომ გ. გეგეშიძე თურწე „უტიტულო“, რგვითი პრაქტიკოსი ექშიზი, ვინც ინსტიტუტის დამთავრებიდან მოყოღბეული, ორათეულ წელწე მტბიზ რაიონში მუღმობს და თქვენ წარმოიდგინეთ მშვენიერ წიგნსაც წერს.

ჩვენში უღრო ზწირად და მეტს ღზპარაკობენ იმათწე, ვინც უმადღესი ხსწვეღბების დამთავრების შემდეგ რაიონში წასღვას თეიღლოს და გავრბს. ასეთებზე მრავლად არიან, მაგრამ ამასთანავე უამრავი ახალგაზრდა მიღბს ამ ძწელ უზანწე სამუღოდ, უადრბხად ძწელწე, რადგან სტეციაღისტბეს მოთხოვნეღბა იქ დიღობა, მათღმი ყურადღება კი (თუნღდაც საყოღვაცხოვრებო თღვასწრისით) საკმაოდ მცირე. მიღღან და კიღც აკეთებენ დიღად ხასრგებლო საქმეს, პრწათღად იღღან მამუღლიშვიღურ, მოქღლაქობრეღვღლს. თუ გუღი გუღღობს კარგი ექშიზი სოფღადაც ისევე წარმეტბით შეიძღღება დაღღეს კაცი, როგორც ქღლაქში. ზომ ზეღღეთ, კარგი წიგნის დაწერაც შეიძღღება თურწე.

„ეს არის ექშიზის მეგობრული, გუღბადიღი და ამავე დროს პირუთენეღი საუზარი პრაქტიკული სამუღრწაღო საქმის ავკარგწე, ავადმყოფისა და ექშიზის ურთიერთობის ზოგეერთ პრობღღმეტატურ საქთსზე“, — ვკითხუღობთ წიგნის წინათქმზში. ეს მართღაც ახეა, თუმცა სათქმეღი ამ ფარგღლით არ შემოისაღვტრება. აქ მრავღად არის მოზმობიღი ინსტორიული მასღლი (და ძღღწე ხაინტრეღსოღაც), წარსუღლის თუ თანამედროვეობის გამოჩენიღი აღამიანეზბის, უპირატბხად თავად მკურწადღების თღვასაზრისი ამ უკეთღღობიღეს პროფესიის არსბბით თუ კერძო საკთბბზე.

მაგრამ მთავარი აქ მიინც თავად ავტორის, პრაქტიკოსი ექშიზის დავიერებებე, უმუღაღო განცდბბი თუ ფიქრბბი, რომელთაც ერთი მნიშვნეღღოვანი არის რწმენადმე მივეყვარბთ ეს აზრი უღიღამ ოსღერმა ბატონად ასე ჩამოაუღღობა: „ავადმყოფურ მოღღენათა უწიგწოდ შესწავღა — ეს ნიშნავს გამოუკვეღენე ზღვაში უკომპასბოდ და სანდვიგაციო რუტბბის გარეშე ხანაღსწოდ გახღვღბა. ავადმყოფის გარე-

შე წიგნბბის შესწავღა კი — ეს ნიშნავს, სულ არ გახვიღე ზღვაში“.

გ. გეგეშიძე გუღმართღად მოგვითხრობს თავის წიგწში იმ მიღღარ გამოცდიღბბაზეც, რომელიც მას დაუგროვდა და იმ დასკვნებზეც, ცხოვრბბის უშუღლო კარწახბთ რომ გამოიტბბა. მას აზარბის მიჩქმღვღა არ სურს, არც უკეთურის და მით უღრო არც კეთიღის.

„ღლაქა უღრო მეაღიღდ მოჩანს ექშიზის თერთი ხაღათის ფონზე“, — ასე სწამს გეო გეგეშიძეს და ძწელია ამში არ დავეთანზმობთ მას. ჩვენში ბოლო ხანებში ბევრი რამ დაიწერა და ითქვა ამგვარი ღლაქბბის შესახებ. არც წიგნის ავტორი არიღბს მით თღვღს. მაგრამ მისი ყოვეღი ფრწზა საკუთარი პროფესიის სიყვარულითა და ერთგუღბბითაა განსჭვეღული, კოღენღების გავმო სიამაღეს გრწმობით არის ხსავტ.

წიგნის კთბბვის დროს თანღათან სულ უღრო რწმუნდბბით რა მორღღური და ფიზიკური დღატვირთვბა ექშიზბა, რა მართღაც ტიტანური სუღიერე ძღღა და ამტანობა სქირღბბა მკურწაღბს, ხანგრძღელი და მძიმე ოპტაციის ჩატარბბის შედეგად ქირურგი უღრო მეტს კარგავს წინაში, ვიღღერ გრძელ დისტანციანე მორბენელი მძღღოსანი სპორტსმენი“, — ამოკითხავთ წიგნის ბოლო გვერდებზე და ისტორიად აღარ გივირბთ, რადგან ამ დაუტრებღელ ფრწზას დამაჭერებღელ ხღბის ყვეღაღერი ის, რაც აქადღე მოგითხროთ გეო გეგეშიძემ.

„ცნობიღია, რომ ექშიზბი არ გამოირჩევიან დღღგრძეღი სიციცბბლით“, — გვეტყვის ავტორი და შეუძღბენეღია ღრმა მადღიერბბასთან ერთად თანაგრწმობით არ განიმსჭვეღლით იმ აღამიანეზბისადმი, ვისი დღღემოკლეობაც ჩვენი, პაციენტბბის ბრღლი ყოფიღა, ვინც ხსეისი დღღგრძეღობისათვის იმღენ სუღიერენტრგის ხარჭავს დაუშურტებღად, რომ თავად აღღრე იწვებბა.

გეო გეგეშიძის წიგნის „წერთღბეი ესკულაპის ფოსტიღან“ წაკითხვა ყვეღას არგბს, ხწინერსაც და ახალგაზრდასაც: ცოღნახაც შეუუცნესბს, არაერთ ზწეობრევე პრობღმეზზეც დააფიქრბბს, პრაქტიკულ რჩევებსაც უზვად მისცემს, რაც მოვარბა, საერთოდ პროფესიისადმი ერთგუღღბბასაც ასწავღბს და განსაკუთრბბით კი იმ აღამიანეზბის მიზრბთ განმსჭვეღავს მადღიერბბის გრწმობით, ვინც ჩვენი კანმართეღობისათვის მართღაც თავღაღოგავად ზრუნავენ.

რამაზ გვერღწითელი





# თორმეტი ბანრისხაზული დ ე პირტი ნახევრალ ქაყოფილი ბამაქასი, ანუ ღიმილი ცამიტ დაფაზე

მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი ქალთა შორის მია ჩიბურდანიძე ბიჭვინთის ბატალიონის შემდეგ უჩვეულოდ მაღლ ესტუმრა „ცისკრის“ რედაქციას.

— „ცისკარი“ ჩემი საყვარელი ჟურნალია, ძალიან ვაყიხარ, თქვენთან შეხვედრის შესაძლებლობა რომ მომეცა, — გვითხრა მია ჩიბურდანიძის თანამშრომლებს.

მასპინძლებმა დამსახურებული ქება-დიდება მიაგეს ძვირფას სტუმარს.

მხარეებს შორის საინტერესო საკითხებზე ახრთა გაზიარებისა და მოლაპარაკების შემდეგ, მიას გააცნეს იმ მწერალთა გვარები, რომლებთანაც ცოტა ხნის მერე უნდა ეთამაშა. თან უთხრეს: ამათგან საჭადრაკო დაფასთან ვისი უფრო გეშინიაო!

აღმოჩნდა, რომ მიას ერთი რომელიმე მწერლის კი არა, მთელი ქართველი მწერლებისაც არ შინებია!

უფრო დიდი მოკავშირე ცხოვრებაში და სპორტულ ასპარეზობაში არავენ მყავს, ვიდრე ჩემი საყვარელი ქართველი მწერლებიაო.

და მინც, როგორც შეხვედრის ორგანიზატორების მიერ იყო დაგეგმილი, ორი მოწინააღმდეგე მხარე — მია ჩიბურდანიძე და ქართველი მწერლების ერთი ჯგუფი — „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლისათვის განწყობილი.

ჟურნალი „ცისკარი“ მუდამ გულწრფელი იყო თავის მკითხველთან, ამიტომ უფლება არა ჰქვს დამალოს ინციდენტი, ერთდროული სეანსის გამართვის წინ რომ მოხდა.

დავა იქიდან დიწყო, თუ ვინ ითამაშებდა მწერალთა მხრიდან პირველ დაფაზე.

ცამეტი ლიტერატორი ერთდროულად აცხადებდა ამის პრეტენზიას!

საქმეს არც იმან უშველა, როცა დაადგინეს: საჭადრაკო დაფებთან მწერლები ან ნიჭის მიხედვით უნდა განლაგებულყვნენ, ან თითოეულის საჭადრაკო პოტენციალის გათვლისწინებით.

ძნელი გახდა (თითქმის შეუძლებელიც) პროფესიონალი მწერლებისა და არაპროფესიონალი მოჭადრაკეების მწერალური ტალანტისა და საჭადრაკო უნარის დადგენა.

ბოლოს, სტუმართუხუცესის — „ცისკრის“ მთავარი რედაქტორის — მახვილგონიერებამ იხსნა მატჩი მოსალოდნელი ფაისკოსავან. გამოგვიცხადა, ყველა პირველ დაფაზე თამაშობთ და არა, თქვენ იცითო!

გერ დაემაღეთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონი თავიდანვე რამდენადმე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი რომ, ყველასთან თეთრი ფერის ფიგურებით თამაშობდა, მეორეც: მთელ სეანსს ფეხზე მდგომი ატარებდა. მოგეხსენებათ, თეთრებით გაცილებით უკეთესი სათამაშოა, მისთან, საყოველთაო აღიარებით, დაფას ზემოდან უკეთ უდღავენი!

მის ბრალი თუ იყო (სხვა მიზეზს ვერ ვხედავთ!), მწერლები გამანადგურებელი ანგარიშით რომ დამარცხდნენ!

„ცისკრის“ მკითხველები ერთდროული სეანსის შედეგებს და შეხვედრის მონაწილე მწერლების აზრს მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონზე ქვემოთ შეიტკობენ.

მეუ ასე, ორი შეკითხვა ქართველ მწერლებს:

1. რა აზრის იხადებთ მთავარზე, ვინაა?
2. რა აზრი მდებარეობს მთავარზე, ვინაა?





**პირველი ღვაწი:**

**მანია ჩიბურდანიძე — გურამ ფანჯიკიძე**

**1:0**

**გურამ ფანჯიკიძე:**

1. თამაშის წინ მხოლოდ ერთ რამეს ვფიქრობდი — პირველს არ წამეგო.
2. თამაშის შემდეგ უბედნიერესი კაცი ვიყავი, რომ ამოცანა „ბრწყინვალედ“ შევასრულე. თუმცა მე რა შევასრულე — „პირველობას“ მორის ფოცხიშვილი ვის „დაუთმობდა!“

**მორის ღვაწი:**

**მანია ჩიბურდანიძე — რიმაზ თხარაძე**

**1:0**

**რიმაზ თხარაძე:**

1. სურდა თუ არ სურდა, სურს თუ არ სურს მანია ჩიბურდანიძეს ეს ამბავი, ბედმა ისე იწინა, მილიონთა რომ არ ვთქვათ, ათასთა და ათასთა უსურადღების ცენტრშია მოქცეული. ამგვარი გარემოება ცხოვრებაში მასზე გაცილებით გამოზრდილ პიროვნებასაც კი თავის დაღს დააჩენეს ხოლმე უძველესად. დაკვირვებულ მხერას არ გამოეპარება ამნაირი აღამიანის მოქაბებულელი არტიტიზმი ან შეფარული ქედმაღლობა, ან კიდევ სხვათა არად ჩაგდების, სხვათათვის ანგარიშის გაუწევლობის უნებური ჩვევა. და რა საფუძველი უნდა მქონოდა იმის საფიქრებლად, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალიშვილი მაინცდამაინც აიცილენს-მეთქი ასეთ ღამის ბუნებრივ, აღარცთუ საჩოთიროდ მიჩნეულ მანკიერებას?

ის ღვთაებრივი უბრალოება და შინაგანი (ოდნავ დამორგუწველი) სიმწვრიე, რომლითაც მანამ მოგწუნსხა „ცისკრის“ რედაქციაში გამართული შეხვედრის მონაწილენი, იშვიათი სულიერი კულტურის მომასწავებელია. მსგავს კულტურას ვერც აღწრდა ჩამოუყალიბებს აღამიანს, ვერც წერთა, ვერც საკუთარი თავის ფლობის უნარი მხოლოდ, — საამისოდ ისიც არის მიუცილებელი პირობა, რომ საუკუნეობით ნაკეთილშობილები სისხლი გინჭეფდეს ძარღვებში.

2. გულდასაწყვეტი ის კი არ არის, მსოფლიოს ჩემიონმა (თუნდაც ქალმა!) ჩემისთანა მოქადრაკებებს (თუნდაც თორმეტს!) მოუგოს, გულდასაწყვეტი ის არის, რომ ამ თორმეტიდან არც ერთს არ გვეზრდება იმნაირი ვაფი, თუგინდ ასეთსავე ერთდროულ სენაში რომ შემდებდეს მანია ჩიბურდანიძის დამარცხებას.

**მისამდე ღვაწი:**

**მანია ჩიბურდანიძე — მორის ფოცხიშვილი**

**1:0**

**მორის ფოცხიშვილი:**

1. ცოტა არ იყოს, მიეძვებოდა რუსთაველისა: „ღღკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ზეაღა“.
2. საბოლოოდ დავრწმუნდი, სწორი ყოფილა რუსთაველი!

**მითმხე ღვაწი:**

**მანია ჩიბურდანიძე — ოტია პაპაორია**

**1:0**

**ოტია პაპაორია:**

1. მაისთან შეხვედრამდე ვფიქრობდი, შეიძლება ბარტია წამეგო...
2. შეხვედრის შემდეგ ვფიქრობ, ბარტია აუცილებლად უნდა წამეგო.

**მისეთი ღვაწი:**

**მანია ჩიბურდანიძე — ტარიელ ხანბერიძე**

**1:0**

**ტარიელ ხანბერიძე:**

ჩემი დამარცხებით მანია ჩიბურდანიძემ საბოლოოდ დაიმკვიდრა უძველესი მოქადრაკის სახელი.

როგორც ცნობილია, მსოფლიო საქადრაკო პირველობა ვაფეზსა და ქალებს შორის ცალცალკე ტარდება.



შაია ჩიბურდანიძის ფუნქციონირების შესახებ, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ვაქცინაცია და ქაღალბი ერთად გაითამაშებენ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს.

დამარცხებამ ვერ გასტეხა ჩემი სპორტული ნებისყოფა, და მე შუად ვარ, ამ შერეული უნარის მსოფლიო პირველობაზე შევხვედე მაიას, ოღონდ იმ პირობით კი, რომ მან ყოველ კრიტიკულ სიტუაციაში მეც იხვევდნენ მბრუნოს სელები, როგორც ჩემს გვერდით დაფაზე მოთამაშე ერთ პოეტს უნარუნებდა იმ დღეს ფიგურებს.

„ციხის“ შეთხვევებს ვურჩევ, ხელიდან არ გაუშვან მაიასთან სენსიტიუი თამაშის შტო თხვევა: ამით მათ საშუალება მიეცემათ, ახლოდან იხილონ მაიას შეუდარებელი დიმილი! (სხვათა შორის, ამ უხადლო დიმილით მიმართა მაიამ იმ დღეს ერთ ჩვენს პოეტს, რომელიც ჩემს გვერდით დაფაზე თამაშობდა: „მაპატიეთ, მაგრამ საიდან განდა ეს მხედარი აქ?!“). ფილმის რა მოგახსენოთ, მაგრამ „ციხის“ კანონებით ყოველ ჩვენგანს აქვს რევენშის უფლება!

ახე რომ, მომავალ შეხვედრამდე, ძვირფასო მაია!

მიტყვევებ:

შაია ჩიბურდანიძე — შაბაზა აშირეჯიივი

1:0

შაბაზა აშირეჯიივი:

ეს გამარჯვება დამარცხების ბადალიაო, უთქვამს პიროსს. მაიასთან ჩემი დამარცხება კი, პირიქით — გამარჯვების ბადალია.

იხე ძალიერ მინდოდა ყაიში, იმდენად მინდოდა, რომ მომესმა კიდეცა, თითქოს მაიამ ყაიში შემომთავაზა...

კიდეც კარგი, რომ მართლა ყაიშს ვერ მივაღწიე და იხვევ არ დავიმსახურე საყოველთაო შური და გამბროტება, როგორც ერთმა ჩვენმა მეგობარმა.

მეშვიდე ლაზა:

შაია ჩიბურდანიძე — ოთარ ბეღლიძე

1:0

ოთარ ბეღლიძე:

რასაც ვფიქრობდი თამაშის წინ, იხვევ ვფიქრობ ახლაც, რომ შაია ჩიბურდანიძე არის უდიდესი მოქალაქე.

მირვე ლაზა:

შაია ჩიბურდანიძე — რეზო ბიწვიანი

1:0

რეზო ბიწვიანი:

შეუდარებელი ნიჭისა და ბრძოლის უნარის მქონე მსოფლიოს ახალ ჩემპიონს შაია ჩიბურდანიძეს უვლეა ორთაბრძოლის დროს იმდენად ვუთანაგრძნობდი, რომ ერთდროულად სენსიტიუი დაწეების წინ (რა დასამაღია, კარგ სპორტულ ფორმაში ვსაუვი) შეშინოდა კიდეც, არ მოვუგო-მეთქი.

ეს შიში ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა.

თამაშის მსვლელობის დროს უიმედო პოზიციის გაუანებებაზე რომ ვფიქრობდი, ხამარბეზურ სიჩუმეში მეზობელ დაფასთან განერებული მაიას ხმა გავიგონე:

— ბიძია, ამ ცხენს რა უნდა აქ?

გულში ხინჯალ მრჩება, ჩემმა მეგობარმა გვიც მწელაქემ, თავისი ყაიშით, შეუპოვარი და უშედეგათო ბრძოლით რომ მოიპოვა, ამდენი კოლეგა „გადაიმტერა“ და განაწყენა.

მიცხრი ლაზა:

შაია ჩიბურდანიძე — იორაბ ქვიციანიძე

1:0

იორაბ ქვიციანიძე:

შაია, ჩემთან შედარებით, უკეთეს პირობებში აღმოჩნდა: მე მსოფლიო ჩემპიონს ვეთამაშებოდი, მას კი რიგით მოქალაქეთან ჰქონდა საქმე. დარწმუნებული ვარ, მეც რომ მსოფლიო ჩემპიონი ვყოფილიყავი, სულ სხვაგვარად წავიდოდა საქმე.



შუა თამაშში არაზუსტად ვითამაშე და მაშინვე მივხვდი, უკვე ვაგებდი, ღრმად და გვირკიანად ჩავფიქრდი, მაგრამ გურამ ფანჯიკიძემ, რომელიც ჩემს გვერდით უჭლდა საპედლაკო და ფას და უკვე კიდევ მოეთავებინა თავისი საქმე, საქვეყნოდ გამოაცხადა: ქემერტელიძისთან მაიას ორი ჩამოვლადა დარჩაო. ამან საბოლოოდ გამიტეხა გული, მეორე ჩამოვლაც მსოფლიო ჩემპიონს ხელი ჩამოვართვი, მაღლობა გადავუსადე და მივულოცე ესოდენ დიდი გამარჯვება!

**მეათე ღვაწა:**

**მან ჩიკაურდანიძე — თამაზ წიფიძეძე**

1:0

**თამაზ წიფიძეძე:**

1. დამარცხება არ გამჭვირვებია, ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, ქალბთან მუდამ ვაგებ! მაგრამ ახლა „ციხის“ მოთხვეულებს ქალებთან ჩემი დამოკიდებულება კი არ აინტერესებთ, არამედ პასუხი კითხვაზე: რა აზრის ვიყავი მიაზე თამაშის წინ! დიდებული აზრისა გახლდით! მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი! საბუთი?

ბევრი არაფერი გამაჩნია, იმის გარდა, მაიამ ნონას რომ მოუგო, ალბათ ეს არგუმენტიც იქმარებს!

**2. პარტიის დამოხების შემდეგ დიხანს ვფიქრობდი წაგების მიზეზებზე:**

ა) იმდენად მაცდუნებელი იყო სიხარული, მსოფლიოს ჩემპიონს რომ ვხვდებოდი. ერთბაშად გულნამცეცია კაცი გავხდი: დმეტრო შეტკოლე და, ასე ვინატრე, კო, ზუსტად ასე ვინატრე — ნეტა ყველა წააგებდეს და მარტო მე მოვიგებდე-მეთქი...

ბ) სხვათა შორის, ვიდრე შამათს გამომიცხადებდნენ, იქნა ჩემი პოზიცია უკეთესი მეგობრისა. ეგ კი არა, იმავე პოზიციაში, სანაძლეოდ, ჩემს „მარადწვანე“ მოწინააღმდეგეებთან — ტარიელ ქანტურაძისთან და ოტია პაჭკორიასთან — ხელმოკლეობის მიუხედავად, ას მანეთს დავდებდი!

**შენიშვნა:**

რეო ბეიშვილი და ტარიელ ქანტურია აცხადებენ, შუა თამაშში მაიას ხმა შემოგვესმა: „ბიძო, ცხენს აქ რა უნდაო“. ისინი მართალი არიან, ეს ხმა მეც მომეყურა, მაგრამ ვისაც მაია „ბიძიაში“ გულისხმობდა, იმდენად სოლიდური ასაკის პიროვნებაა, იმდენად საყვარელი პოეტია, იმდენად კაი კაცია, მოპარულ ცხენზე კიდევ რომ მენახა შემომგდარი, ვიფიქრებდი, ალბათ, ვინემ აჩუქა-მეთქი!

**მეთორმეტი ღვაწა:**

**მან ჩიკაურდანიძე — ლევან ბალაზონი**

**ლევან ბალაზონი:**

1. უნებურად სახელოვან წინაპარ ქართველ ქალთა სახეები წარმომიდგა. ხულაც არ უფალა აუცილებელი დედოფლობის მემკვიდრეობით მივლბა! მაიამ დაუმტაცია მსოფლიოს ეს აიტანდა თუ არა ტახტზე ასვლას, ან უფრო სწორად, შეიფერებდა თუ არა გვირგვინს, ძალზე მაინტერესებდა. მისმა უბრალოებამ, უშუალოებამ და უზარმაზარი ტვირთის ღირსეულად ტარების უნარმა გაშაოცა. მისმა ხიშმვიდემ იმდენად ამაღელვა, რომ თამაშის დაწყებისთანავე დაჯარგე რწმენა მასთან უამის მიღწევისა.

2. თავს მხოლოდ იმით ვიმშვიდებ, რომ ქალთან თამაშში იმპერატორებიც დამარცხებულან....

**მეთორმეტი ღვაწა:**

**მან ჩიკაურდანიძე — გურამ ასათიანი**

1:0

**გურამ ასათიანი:**

ამ პარტიაში ჩემი და ჩემი მწვრთნელის (ლევან გურამის ძე ასათიანის, რომელიც თან მახლდა) მთავარი ამოცანა იყო, როგორმე მოგვეწრო როქის გაკეთება პარტიის დამოხამდე. სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა, მაგრამ ჩვენ მომავალშიც განვაგრძობთ მუშაობას ამ მიმართულებით.



ერთადერთი ხიამოვნება, რომელიც ჩვენ თამაშის დროს განვიცადეთ (სულ წესდებულად), ის იყო, რომ მსოფლიოს ჩემპიონი აშკარად დაიბნა. დაბნეულობა გამოწვეული იყო ჩვენს მიერ განხორციელებული დებიუტის უპრეცედენტობით, ასეთი რამ ჭადრაკის თეორიაში ჯერ არ აღწეულა.

ერთი სიტყვით, ეს დღე დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის.

**მიცანმბე დაფა:**

**მადი ჩიბურდანიძე — გივი ძნელაძე**

**0,5:0,5**

**გივი ძნელაძე:**

1. მეთხველი შეამჩნევს, ერთდროული ხეანის მონაწილე მწერლებიდან ჩემზე უკეთ უკვლამა პარაკობს, ეტყობა, მე მათზე კარგად ჭადრაკს ვთამაშობ.

ამაზე პარტიის შედეგიც მეტყუველებს — უაიში მსოფლიოს ჩემპიონთან! ეს მათამაც აღნიშნა, რითაც, ვენაცვალე, ძალიან გამახარა.

2. ახლა, რაც შეეხება „ცხენის“ თაობაზე ზოგიერთის ირონიას, იმაზე გიპასუხებთ: უკვლამ ვიცით, ჭადრაკში „მხედრით სვლა“ გრაფიკულად რთული მოძრაობაა, ალბათ ამან დააბნია ჩემი მეგობარი მწერლები...

სწავარიც, კაი ბიჭები არიან: უფალო შეუნდე, რამე თუ სცოდავენ...

მაშ ასე: ერთდროულ ხეანში ბრწყინვალე შედეგით 12,5:0,5 გაიმარჯვა ჭადრაკის დღოფალმა მაია ჩიბურდანიძემ!

უფრო ბრწყინვალე შედეგით 13:0 გაიმარჯვეს ქართველმა მწერლებმა! მათ გამარჯვების ქულები მოუტანა იმ გულწრფელმა აღიარებამ, რომ დღევანდელ მსოფლიოს მაიაზე უკეთესი მოჭადრაკე ქალი არა ჰყავს!



# ბ რ ძ ო ლ ა

მუხამედ ალი — ჯგ ურ ფრენიზერი

მიცვალაბუღბი წაწერილით იხილვინან

მისი ყოველი დანახვა თითქოს შოკში გაგდებს. ტელეკრანზე დანახვას კი არა, პირისპირ, უშუალოდ შეხვედრებს ვგულისხმობ. თუ კარგ ფორმაცია, მსოფლიოს უძლიეს სპორტსმენს ისიც ელის, რომ, სხვა უვალაფერთან ერთად, მამაკაცის სილამაზის იდეალად იქცეს ჩვენთვის, და მაშინ აუცოლებლად პროფესიონალთა უარგონზე მოგვიწევა ხაზბარი, ქალებს სწავტავს პაპრეზანტ. მამაკაცები თავის ქინძრავში, თითქოს მათ შეახსენებს, კაპიან თქვენი ფასიო. აღიმ სიტყვა რომ არ ამოიღოს ხაზგადგობრივ უარზე ზემოქმედების მოხსენებდა, იგი, მაინც, სიუვარულს მოხვედრდა ამ სიძულვილს დაიშახურებდა. იგი ხომ წამოიწარი უფლისწულია. ამზე შეტყუვლებს, თავისთავად, დუმილიც, რომელიც გარსავს ალის სხეულს, როცა მას ლაქლახი გაუღებს.

მაგრამ როცა იგი რითიმე დათრგუნულია, მისი ლაქლახი ტანი უვანფერი ხდება, ოღონდ რძემოსხილი ყავისფერი და მას მომწვანო, უღიმღამო, მოყამული დილის ნისლი ბურავს. ახეთ დროს იგი სწეული ჩანს. დაახლოებით ასეთი იყო იგი ბენსილვანიაში, იმის ტახზე, თავის ხაწრთნელ ბანაში, როცა იქ მივიდა, სექტემბრის იმ შუადღეს, კინსასაში გორჯ ფორმისთან დანიშნული ორთაბრძოლაში დე შვიდი კვირით ადრე.

სპარინგი მან, რბილად რომ ვთქვათ, უღიმღამოდ ჩაატარა. ეპარებოდა პარდაპირი დარტულები და შეტევბა, რომლებსაც სხვა დროს იოლად იბრუნებდა ალი ალის ოდნავად არ მგავდა მისი ვარჯიშისთვის თვლილი დევნება ბელოვინება იყო. რომელსაც კაცო წლები მან ილზე ერეკვა სხვა ვარჯიშებზე სპარინგისთვის არჩევენდნ პარტნიორება. რომლებსაც შეიძლოა მომავალ წეტქის მანერის მითი-სეს. დ. თუ დუღაც მუფინიდათ, კიდევ სხვა

ვინმეებსაც კირაობდნენ, ვინც მათ მგავდა, — უბრალოდ იმისთვის, რომ თავი შეექციათ და თავიანთი სიამოვნებისათვის წაემუშავებინათ. ამასვე შერბოდა ალი, ოღონდ — პირუტყუ. სონი ლისტონთან მეორე შეხვედრისათვის როცა ემზადებოდა, მას უვალაზე მეტად უყვარდა ძაღლის მოსინჯვა. ჭიმი ელისთან, რინგის ამ თავისებურ მხატვართან, რომელიც ოდნავად არ მგავდა სონის. რა თქმა უნდა, ალის ამ ბრძოლისათვის სხვა სპარინგ-პარტნიორებიც მყავდა. მახსენდება „ბომბარდიერი“ შელდონი. ბაგირს გადაკიდებულ ალის შელდონი მუცელში უხატუნებდა — ალი ასე აკუთბდა მუცელსა და ნეტებს ლისტონის მუშტებისათვის გასაძებნად. იგი იძულებული იყო ასე მოქცეულიყო, მაგრამ სიამოვნებას დებულობდა ელისის სპარინგ-პარტნიორობით, თითქოს მას მეტად აღარ სჭირდებოდა სონის უტილის შესწავლა, რაღაც თავად ასე გამჭრიახი და დაუყოლებელი გახლდათ.

ჩვეულებრივ, მომზადების პერიოდში მოკრივე ცდილობს თავის რეულექსებს სრული კონტროლი გაუწიოს; ხაშულო დონის მტოლელი ერთი-ორი კვირა ასე უავარჯუნებს ბელოვინურ სათბილამურთზე და უკვე იჩვენება, მართლა მაგარი ოსტატი ვარო. ალია საქმე სხვაგვარად იყო: რაც წლები გადაიდა, იგი სულ უფრო და უფრო ნაკლებად ზრუნავდა იმაზე, რომ სისწრაფე განეციოთარებინა — მისთვის მთავარი იყო დარტყმებისათვის გაქძლო. ნაწილობრივ, მისი ბელოვინება იმავი მდგომარეობდა, რომ უნარი მქონდა შეერსულებინა და თითქოს დაეჭურცავებინა ძალია მუშტებისა. რომლებიც თავში ხვდებოდა. ეს უნდა შეეძლოს ნებისმიერ მოკრივეს. თუნდაც ახალგაზრდას. რადგან იგი დაღბანს ვერ გაძლებს, თუკი დარტყმის დროს უკუვარდნა ა შეექმდება. მაგრამ ალი ახლა თითქოს ცდილობდა



თავის ნერვული სისტემა გაეწეა საანისოდ, რომ სხვებზე სწრაფად გამოიყვლიყო კლინიკური შერყევების შემდეგ.

შესაძლოა, ნებისმიერი ავადმყოფობა ცნობიერებასა და სხეულს შორის კავშირის გაწყვეტის, ამ კავშირის მოშლის შედეგი იყოს ისეთ ხანმოკლე სნეულებასთან შედარებით, როგორც ნოკაუტია, ეს უმეტესად ამბავია. გონს, ცნობას, უზრალად, არ ძალუძს ბრძანებით წინმართის სხეული. თავისი უქიდურესი ფორმულირება ამ თეორიამ მკაცრად დაამტკიცა მოსაზრებაში, კეს დამატოსი, რომელიც ფლოიდ პატრისონსა და ხოსე ტორესს ამხადებდა: მოკრევე, რომელიც ნამდვილად ისწრაფვის გამარჯვებისაკენ, ნოკაუტში არასოდეს მოხდება, თუკი მის თვითონ არ გამოეპარება დარტყმა,—ანთ მოკრივეს ზომ გონისა და სხეულის უტყველი გათიშვა არ ეშუაქრება. ეტკინება, მაგრამ გრძნობას არ დაჟარგავსო. და პირიქით, ხუთდარტყმიანი სერია, თუკი ხუთივე დარტყმა მიზანს მოხვდება, ნებისმიერ მოკრივეს გონს დაჟარგვინებს. აქ საქმე დარტყმების ძალაში კი არაა, არამედ ის, თვით ცენტრს შეეხება თუ არა ეს დარტყმები. უცაზდედ გადატვირთვა ამ ცენტრისა, საიდანაც მოედართება ბრძანება, იწვევს მსხვერპლის უტყველ რყევას, რასაც კომპარტულ მდგომარეობას ეძახიან.

მოდა, ალიმ თითქოს სრულყოფილ თეორიას — მან ისწავლა გაეძლო ყველაზე სწრაფად მიყვნილი დარტყმებისათვის და, შეიძლება ითქვას, ზედმოწვევით თანაბრად განაწილებინა ამ დარტყმების ძალა მთელ თავის სხეულზე, რომ ყველაზე უსაფრთხო ადგილები დაუზღვედნენ მათთვის, იდრალში კი იმის ესწრაფვოდა, რომ ხუთდარტყმიანი (ექვსიანიცა და შვიდიანიც) სერია დაუყოვნებლივ დაეცრო მთელი მისი სხეულის ყველა ნაწილით, — რაივე ხელითა და რაივე ფეხით, — რათა ტყვიელი ერთ ადგილზე არ კონცენტრირებულყო, ხოლო გონების სიცხადე შეეპარჩუნებინა. ერთ რამედ ღირს იმის ყურება, თუ როგორ ზღვდება ალი დარტყმებს. ბავარებს ვადაწოლალი ალი სუბტალდა ურტყამდა სპარინგ-პარტნიორს, თითქოს კატა და თავის კნუტს ეთამებოდა. შემდეგ ალი ნაღლა სწევდა ხელთათმანებს, პარტნიორი კი ცდილობდა, მისთვის თაწუნ ერტყა და ისინი ამ მანერს მრავალჯერ ვითარებაში იმეორებდნენ. თავდაცვის ხელოვნება განავარიშებაცაა იმ ტრაქტორის, რომელიც მოსაზრებს შენს ხელთათმანს მოღებულ დარტყმა მერტოქისა; და ალი სწავლობდა ანტო დარტყმების ისე გაქარწყლებას, რომ მერტოქისათვის საპასუხო დარტყმები შეეგებებინა და მკაცრად დასაჯა, იგი დღენიადე ზეწედა თავის ბუნებრივ მონაცემებს, მერტოქეს აქესზე აგებდა და მას დარტყმებს

იორდებდა, აქრობდა, ასუსტებდა, ექიფუნებდა მერში ექნია ხელი, მოთმინებისაგან დაეკრძალა, გაედრინებინა, ყველაფერი წყალში ჩეყარა, რაკი ალის მიქცევა-მოქცევის, მოძრაობების ვერაფერს უტრებდა — ალი ამისათვის თითქმის არ ხარჯავდა ენერჯის — იგი ისევ ისე ბავარებზე იყო ვადაწოლილი და ხელების ზანტო მოძრაობით იფარავდა თავ-პირს. ვარჯიშები ყოველთვის ედინიარის სცენარით იდგებოდა: ალი სულ უკიდურესად დაღლილი მსახიობის როლში იყო, მეთორმეტე რაუნდისათვის იგი ფეხზე ძლივს იდგა და უკვე ხელის აწევაც კი არ შეეძლო. ამგვარი ვარჯიშების გარეშე იგი ნოკაუტს ვერ გაეტიეოდა ფრენისთან ბრძოლის პირველსავე რაუნდში და, იმ ორთაბრძოლიდან მოკიდებული, ალი ყოველთვის უსუსტად სე ემზადებოდა. კუთხიდან მას უყვიროდნენ: „მამუღლაობას შეეშვიო!“ — მსჯეობი ათამდე თვლას იწებდნენ, რაკი ხედავდნენ, რომ ალი ბავარზე იყო და იყო ვადაკიდებული. რეპორტირებები წერდნენ, ძველი ალიდან არაფერი დარჩაო, სინამდვილეში კი იგი თავის ტაქტიკას სრულყოფდა.

მაგრამ იმ დღეს, ირმის ტბაზე, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ალის ვარჯიშებს არავითარი სახიერო შედეგი არ მოჰყოლია. პარტნიორი ალის პრიმიტიულ დარტყმებს აყენებდა. ის დარტყმები აღისათვის მოულოდნელი ჩანდა. ალი კი არ ზოწონებდა, აბათიური იყო. ისეთი პირი უჩანდა, რომ ალი უზრალად უტყვენოდ გახლდაო. რინგზე იგი იმ კაცს მკავდა, რომელიც ამაოდ ცდილობს ვნებთაღელვებას, რაკი ევალება ცოლს ეალერსოს, მაგრამ სხეულს სიკვდილივით არა და არ უნდა ეს ამბავი.

ერთი საათის შემდეგ, როცა მასთან უტრნალისტი შევიტევეს, ალი შედარებით უკეთ გამოიყურებოდა. თავის გასახდელ ოთახში პატარა დივანზე გაშლარათულიყო. სპარინგისაგან დაღლას ქერაც არ გეველო და კაცს მოიკრებნებოდა — ალი დამონძრობდა და მომხიბვლელება დაერგო; კაცმა რომ თქვას, ანლა ლამაზი აღარც იყო. საზე რამდენადმე დაუსივდა, რომ შეხედავდით, იფიქრებდით, რაც წლები გავა, თავი გაუსივდება და მოსას დაემსგავსებაო. ყველაზე უფრო საკვირველი მისი მოთმინოლობა იყო. ჩვეულებრივ, ვარჯიშის შემდეგ ალის ქაქინი უყვარდა, ფიზიკური მუშაობა, თითქოს, ალის ენერჯიას კედევ უფრო მეტ ცეპლს უნებებდა და მის ნამდვილ ვნებას — ლაპარაკის წყურვილს ადვილებდა. დღეს კი იგი ჩუქად იწეა პატარა დივანზე და სხვებს აძლევდა ლაპარაკის საშუალებას. ოთახში რამდენიმე შეაკნინანი იყო. თითქოს ალის კარის-



კაცები არიანო, რიგრიგობით უახლოვდებოდნენ მას, ურბში რაღაცას უჩრჩოლებდნენ და მერც ისევ სხვებთან დგებოდნენ. ზანგების რადიოხადგურის რეპორტიორს მანვითოფონი გამზადებული ეჭირა, ალბი ექნებ ჩემს კითხვებზე პასუხის გაცემა ისურვოსო, მაგრამ ალის ამტკრდა ეს არ სურდა.

ეტყობა, რინვმა ძალზე დაქანდა. მოფენით-ლობის განწყობილება ურჩუტებდა გასახდელში, ირგვლივ ყველაფერი პირქუში ჩანდა. კაცმა რომ თქვას, მოკრივეების საწვრთნელ ბანკებში ეს ჩვეულებრივი ამბავია. როცა დასაბუღლად ვარჯიშობენ, მოკრივეებს ისეთი ნაღველი იპყრობს, სხვებს რომ არ დასიზმრებია. ასეც უნდა იყოს. ნაღველი მოკრივეს ალწინანებს და ახელებს — თავისი ცხოვრების შეცვლის წყურვილით აღანთებს. ნაღველი ვა-მარჩვების რწმენას ამტკიცებს. ამიტომაც, ავეჯი ყოველთვის მქრქალი-ნაცრისფრად და ბაც-უახისფრად შეფერილი: თითქმის გონის-დაკარგვამდე ნათეოქვე სპარინგ-პარტნიორები კრიბაშეკრულნი, მოღუშულნი მარტოვდებიან და ეს, თითქოს, სპეციალურადაა გათვალისწინებული, რათა მოკრივე შემზადდეს იმ წამებისათვის, რაც მას ორთაბრძოლის საღამოს მოელოს. მაგრამ ალის ბანაკში, ჩვეულებრივ, სიმხნევე სუფედდა და ეს სხვას თუ არა, ალის მაინც ეწერა სახეზე. ალის უყვარდა იმის დემონსტრირება, რომ მას ორთაბრძოლის საღამოს მზადებაც სიამოვნებას ჰგვრიდა. სხვა დროს ასე იყო, მაგრამ ახლა ასე არ იყო. დღეს ალის საწვრთნელი ბანაკი უველა სხვა ბანაკს ჰგავდა. ორთაბრძოლა კრახის ხმამაღლა გამოუხატებელი წინათგარძობა ხდებდებოდა.

მოკრივე რაღაცით ჰგავს იმ კაცს, რომელმაც ზის კამერაში და სასაფარვეტითი რწმუნდება, რომ მთელი მისი სწრაფვა იქითყენ, რომ გონების კარნახით იმოქმედოს, ნელინად ანგრებს, შლის მის პიროვნებას. ადრე თუ გვიან, მოკრივე ხვდება, რომ წვრთნისათვის იგი ძალზე დიდ ხარკს იხდის — ეთხოვება უსიკაოს სტანდორობას. ერთფეროვნება არა მარტო ბოლოს უღებს მის ინდივიდუალობას, იგი კლავს პიროვნების სულს. გასაკვირი რაღაა, თუ ალიც აჯანყდა წვრთნის ამ ერთფეროვნების წინააღმდეგ, რაც მისი ცხოვრების დიდ ნაწილს ნთქავდა.

ვილაცამ ჰქითხა ალის, რას ფიქრობ იმ სანაძლეოებზე, რომლებსაც ხალხი სდებსო. ალი ჩქორღ დასმულმა ამ კითხვამ დაბნა: — ამ სანაძლეოებისა არა იცი რაო. მას აღუსნეს, სანაძლეოს სდებენ ვიწინახევარს ერთის წინააღმდეგ, რომ შენ წააგებო.

— ასეთ სანაძლეოს სდებენ? — კითხვითვე უპასუხა მან, ეტყობა, მართლა გაცოცხლებია. — რაო, ეგენი მართლა ფიქრობენ, რომ ფორმენი მომიგებს? — მთელი იმ დღის განმავ-

ლობაში პირველად მოცოცხლდა. — მიდით, მიდით, ბებებო, თქვენ ამისთანა სანაძლეობით ჩემქვითი ფულს იშვითო.

ალი ჩაერთო და არ გაჩერებულა, ცხარედ, გაცეცხლებით ლაპარაკობდა ფორმენზე.

— აბა, ეგენი ფიქრობენ, რომ ფორმენი მომერტევა? — ისე ყვიროდა, თითქოს იმ ვილაკების აზრს მისი წილი ქვეყნეიტრება თავდაყირა დაეუენებინოს. გაცოფდა: — ფორმენს მაგარს მუშტები აქვს, ესაა და ეს! იმას ხომ ჩემს სახემდე ხელი არც მოუწვდება! თავის სიცოცხლეში ერთი რაა, ერთი ნოკაუტიც არ ახსოვს. ფრეზირი ექვქერ დაავლა და მაინც ვერ მოუთავა ხელი. ახლა ხოსე რომანი გაიხსენეთ? ოთხჯერ წაიქცა და ამ ცინგლიანმა მაინც ვერ ჩააგლო ნოკაუტიც. ნორტონიც ოთხჯერ წაიქცა. აბა, ეგ საღაური დაატყუმებია? თქვენს ფორმენს ჭკობაღა შეუძლია, მეტი არაფერი. ეგ ფორმენი ჩემთვის ვინაა, არარაობაა, იმას ცაცია გინდ ჰქონია და გინდ არა. მე კი, საერითოდ, მხოლოდ ცაციასი მემშინა. სორ ბეისმა ცაციათი წაშაქცია, ნორტონმაც ცაციათი მომინგრია უბა, ფრეზერმაც ცაციათი წაშაქცია, ეგ თქვენი ფორმენი კი ისე ზოწინა და დონდლოა, მთელი წელი უნდა, სახესთან ხელი რომ მომიტანოს. ალი წამოხტა, ახლა უკვე მუშტებს უქმნედა შერს. — და თქვენ გგონიათ, რომ ამისთანა კაცს ჩემთან გამოვხვდებო? — ალი ყვიროდა და ჩვენს რეპორტიორს ცხვირწინ ხან მარჩვენა მუშტს უტრიალებდა, ხან — მარცხენას. მისი მუშტები რეპორტიორის თვალს სუთიოდ სანტიმეტრით თუ სცილდებოდა. — აი, დავანგრევ და ისე დავანგრევ, რომ კრუნის ისტორიას მსგავსი არაფერი ახსოვდეს! — ალი, ბოლოს და ბოლოს, გშხში შევიდა. — ჩემი ხედები იმ თქვენი ფორმენის ხედლებზე დოინახებვითი გრძელია. შგ ცოტა გგონიათ? ნახევარი დოუმც კი უპირატესობაა, დოუმხანევარი კი ბევრია, ძალიან ბევრია!

ყველამ იცის, რომ საწვრთნელი ბანაკი ექმნება ერთადერთი მიზნით, — უნდა შეიქმნას ერთი-ერთადერთი რამ — მოკრივის „მე“. ალის ბანაკში ამ პროდუქტს არ ქმნიდა მენეჯერი, რომელიც იქ სულაც არ იყო, ამ პროდუქტს არც მწვრთნელით და არც სპარინგ-პარტნიორები ქმნიდნენ, მით უფრო, არც აჭაურობის შავ-ნთქი ატმოსფერო არ ქმნიდა. მან თავად შექმნა თავისი თავი დაუშუაყებელი ნედლეულიდან. და როცა თავის სასარგებლო ქულებს ითვლდა, ისე გამოდიოდა, რომ ფორმენს არავითარი შანსი არ არჩებოდა. მაგრამ მას ახსენდებოდა ფორმენისა და კენ ნორტონის ორთაბრძოლა, რომელმაც ფორმენმა ორ რაუნდში დაუსვა წერტილი. იმ საღამოს

ნორმან მიილერი ბრძოლა



აღმი უფრანალობისთვის კომენტარი გაუკეთა ამ ორთახარძოლას. მის ზნაში დაძაბულობა, დაკომულობა იგრძნობოდა. ეს თითქოს სხვა ვიღაც იყო. აი, ტელევიზიით, ყოვლის უწინარეს, რა მოახსენა მან უფრანალობაზე: „...ფორმენს ჩემზე ძლიერი დარტყმა აქვს...“ შეხატლოა, იგი უბრალოდ, თავს იმართლებდა იმის გამო, რომ ორი დაძაბული და თანაბარი ბრძოლა ნაატარა ნორტონთან, მაგრამ თავის თავში რაღაცის დაუტრეხა, დათრგუნვა მას ამგვარი თავის მართლებებისთვისაც კი დასჭირდებოდა.

იმ დღემს კარაკასში მან თვალნათლივ დაინახა, რომ მის წინ მკვლელი იდგა. რინგზე იშვიათად თუ მოხვედრილან ფორმენისთანა ბორბლი ბიჭები. მეორე რაუნდში, როცა ნორტონი მეორედ მოხვდა ნოსდაუნში, ფორმენი დააცხრა მას. ნორტონი, სულ ცოტაც და, უნდა წაბეჭდულიყო. ფორმენმა ხუთდარტყმანა სერიით დააუფშმარა იგი — ასე ლომი ანაკუწებს თავის მსხვერპლს. შეესძლოა, ფორმენს არ შეეძლო შენი აორთქლება, მაგრამ შურისძიების ძალა კი შესწევდა. და ნორტონთან ბრძოლის იმ წუთში ალი, ალბათ, გულის ხაღრმემდე შეიარწუნა.

ალი მოკრივე სხვებსავით შეიძინა ვერ იცხოვრებს. მან არც უნდა წარმოიდგინოს, არც უნდა წარმოისახოს თუ რა დღე შეიძლება დააუყენოს მეტოქემ. სხვაგვარად, წარმოსახვა დაახებბრებს და გაუმეორებს, უსაზრისო კაცად აქცევს — ის ზომ რინგზე ისედაც სულ დაძაბული, გულისხურტავაციცხულია. აქ, ირმის ტაზე, მას ყოველგვარი შეისთვისის, საფრთხისთვის უნდა მიეფრთხილებინა და ალი ცეცხლს აკიდებდა; თავის არსებში ავბედიით თვითდაქრების გულისგამაწვერილებელ, უგუნურებაშივე მისულ ვნებას იღვრებდა. იგი კვლავ კარგავდა თავისი მომხიბვლელობის დიდ ნაწილს, გაუთავებლად ამტკიცებდა. არაჩვეულებრივი ვინმე ვარ და ჩემი მეტოქე უნიკო, წყალწადებული კაციაო.

ასე იყო თუ ისე, ეს თილისშორი შელოცვები წყლის ნაყუა, უცვლოდ რამ არ განლდათ. რაღაცნაირად, იდუმალი, გულში ჩამარბული ფორაქი ალის, როგორც მოკრივის, „შეხ“ გადაეცემოდა და ამით ალი ბრტყალებს იღვრებდა.

რეპორტიორები ყოველდღე ჩამოდიოდნენ და ჩამოდიოდნენ, ალი, თითქოს, ახლავა იგებნო. თუ ვინ რა ხანაძღვოს სდებდა მის წინააღმდეგ, ისეც და ისეც ძველ ლეიტებივს უკითხავდა. მათ, აღისევ და ისეც ცვირწინ, სუთი სანტიმეტრის დაცილებით, მუშტებს უტრიალებდა. რეპორტიორებს მაგნიტოფონზე რომ ჩაეწერათ, რასაც ალი მათ ეუბნებოდა, ფირი თითქმის ერთნაირი იქნებოდა. კვირიდან კვირამდე ლექსაქებდა იგი ერთსა და იმავეს. თათქმის უცვლილი სიტყვას. ამ საუბრების დროს კომპა-

რულ ხილვას, ჩვენებას, — ფორმენს, რომელიც ანგრევს ნორტონს, — იგი თვალს ადებდა, გვერდს უვლიდა. ერთ ინტერვიუს მეორე მოსდევდა, ერთ გამოთვლას — მეორე, მაგრამ, როგორც კი ამოტივტივდებოდა — „მაგარი მუსტიბი“ აქვს, მაგრამ მე ხომ ვერ მომიწვდებაო!“, ალის „მე“ მხარში იშვებოდა, იფურჩქნებოდა. შეის კვალი იწნებებოდა და ცხვებოდა აუტრებად, რომლებითაც ფსიქოლოგიურად მუარა, მტკიცე შენობა იგებოდა. რინგზე გატარებული წლების მანძილზე ალი ამგვარი აგურებისაგან ძლიერი კედლას აღმართვა შესძლო.

ბრეიდეტ მობუტუს რევიდეტია ნველდე-ში, კონგოს მანირზე: მობათქამებული თითხის სახლები, მათ შორის გაწოლილი გზები — სულ ათას აკრზე ცოტათი მეტი. სადაღაც, რდნავ მოშორებით, ამავე ტერიტორიაზეა ზოლარკი და ოლიმპიური საცურაო აუზი. შემოსახველში თავმოაწინედ დგას პაგოდა-ჩინელების ნახელები. სასერიო აღგილი კია ეს წველი! რევიდეტია — ორი მილი გზატკეცილიდან მდინარემდე, ერთთავად დამუშავებული მიწების სივრცე, და კიდევ — ორი მილი მდინარე კონგოს ვასწვრივ, რომელსაც სახელი შეუცვალეს, ზაირი დაარქვეს. უზარმაზარი მდინარეა, რომელიც აქ შთაბეჭდალგებას ვერ ახდენს: მღვრიე წყალს მოაქვს გაციანტის ბუჩქები, რომლებიც ფესვებიანად მოუვლეთა მდინარეს და ეს ნავიანი უნიტაზივით რომანტიკული კაშაა. სამხანაინი კატერი, კიდევ იატხის, კიდევ ბორბლიანი პატარა გემის მსგავსი რაღაც, მიმსუბიანა ნავთბადლომან. კატერს „პრევიდეტო მობუტუ“ ჰქვია. გვერდით დგას ამ კატერის მსგავსივე მცურავი მოსპიტალივით რაღაც — „მობუტუს დედა“. ყველაფერი სწორია. ალისა და ფორმენის ორთახარძოლის აფიშებზე წერია: „პრევიდეტო მობუტუს საჩუქარი ზაირელ ზალბს. ჭროვანი ხარკი შეაკანაინი აღმანინის სიღაღისადმი“. ზაირში მობუტუს სახელი რეკოლუციის იდეალს ისეა შემოგრაგულით, როგორც ვილის ეხვევა ზის ტანს. „ორი შეაკანაინის ბრძოლა შაკანაინათა ქვეყანაში, ორგანიზებული შეაკანაინების მიერ, რათა მას შთელმა ქვეყნიერებამ აედენოს თვალსერი. მობუტეზის ზეიმა“. ამას გვაუწყებს ერთ-ერთი ყვიოელ მწვანე აფშა, რომელიც გამომცემლობას დაუსტამბავს და წველიდან დედაქალაქში — კონსანსა ზინავალ შთელ ვაზრე გამოუფენია. ასეთი აფშები ინგლისურად და ფრანგულად ყოველი უემის ნაბაჭრე გვხვდება და მობუტეზის სფეროში დაწყებით განათლებას მანქანიდან გადმოსვდელივით, გზა-გზა ვღებულობთ. „ჩვენ თავისუფლება გვინდა. ჩვენ გვინდა, რომ პროგრესისაკენ მიმავალ გზაზე წინაღობები არ





შეგვიქმნან. ამ გზაზე კლდეებიც რომ აღმართონ, ჩვენ ამ კლდეების გულში გავლა და გზას განვავრცობთო“.

ჩვენს რეპორტიორს ისეთი შეგრძობა აქვს, რომ იგი უსიმბათიო ადგილებში მოხვდა გამოტეხილად უნდა ითქვას, რომ რეპორტიორს საბაგელ გუნებაა. გზად, ქაიროში, რომელიც საშინელი ვირუსი აიჭიდა, რის გამოც შავი დღე აღგას. აქ მხოლოდ მესაზე დღეა თანაც, დღეს უკან, ნიუ-იორკში ბრუნდება. იმით, რომ ორთაბრძოლა გადაიდო. ფორმები ვარჯიშის დროს დაშავდა. წარბი გუსხდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრძოლა ერთი თვით მაინცა გადადებული, თუმცა, კონკრეტულად არაფრის იუწყებინან. გაქანებულებაც და გაქანებულებაც, რაც მთავარია, ეს ახალი ამბავი რეპორტიორმა იმ დღეს გაიგო, როცა ზაირში ჩამოვიდა. იგულისხმება, რომ სასტუმროში მისი ნომრის ქაჯშანი გაუქმეს. ზაირის დელეგატულაში განთავსების ჩაგრინდეთ და უფროდ დარჩე, — ამაზე უარები რა იქნება. თითქმის მთელი დღე დასკირდა სასტუმროებში ხიზბილს, ვიდრე, რის ვაი-ვაგალით, ნომრის აწოვიდა „მემლინგში“, რომელმაც რეკლამაციის დროს გაათქვა სახელი. ათი წლის წინათ ამ სასტუმროს ზედა სართულები კორებსონდენტებს ეჭირათ, ქვევით, ვესტიბულში, ხალხი ერთმანეთს ზოცავდა. იატაკზე ხისხლის მდიანარები მოჩქეფდა. ახლა „მემლინგში“ — ტროპიკული ქალაქის საშუალო სასტუმროა. ზისუფავითა და სიმუხდროვით ცნობილი ვესტიბულში თითქმის გაუთანაბრდა ავტოვაგზაულებს, ხალხს, უკვე, პენსილვანიის შტატში, ისტონში, ხოლო პორტივები ისეთი ფრანგულით აძლოდნენ ახსნა-განმარტებებს, გეგონებოდათ ხელოვნური ყელი ჩაუდგამთო. თუმცა, უცხოელთან მათ ნებისმიერ პარსულზე ნაკლებს ქედმაღლურად როდი ეჭირათ თავს.

...წელეში ალი მოეწყო ზაირის ბანაკის მობირდაპირ ვილაში. სახლი მთავრობას ისეთი სტილის ავეჯით გაეწყო, როგორცაც მოსახლოდნელი იყო. აქ მოტელის ოთახებზე ორჭერ უფრო დიდი ოთახები იყო, მაგრამ აქაური უხალისო გარემო შესატყვის განწყობას ქმნიდა. მწვანე ველეგეტის ქსოვიდადგარულა გრძელი დივანები და სკამები, ნაცრისფერი-ფილანი იატაკი, ფორთოხლისფერი ბალიშები, მაკიდის მუქ-ყავისფერი ლაქი — აქაურობა მთელი მსოფლიოს სასტუმროების ნომრებივით იყო გაწყობილი — ასეთ ავეჯს ბითუმად მოვარჯენი „სოლიდურის კინს“ ეძახიან.

დღის ცხრა საათი იყო. ალის ჭერ ისეც იქნა, ახლა თითქმის უკეთ გამოუყურებოდა, ვიდრე ირმის ტბაზე. მაგრამ უწინდებურად შესამჩნევ იყო, რომ მთლად ბოლომდე არ გამოქანდრთლებულა. ყურნაღისტებს ხმა

გაჟარდა ალის სახლის ანლიზმა შეჭრის ხმა ნაკლებ უჩვენა, ამიტომაც აგი ასე მოთენხობდა და აძლენიული გახდა ახალ დეტაზე გადასულიყო. ისეც, გარეგნულადაც არ ჩანდა დიდი სასიკეთო ცვლილებები.

იმ დილას ალის გუნება ფორმების ტრამვის გაგებამაც წაუზღინა. ტელევიზიის კორესპონდენტმა ბილ ბრენივენიმ, რომელიც ფორმების ტრამვის ცნობის მიღებისთანავე ელაპარაკა ალის, თქვა:

„მთელი ამ ხნის განმავლობაში აგი ნამდვილი აღლევებით პირველად ახლა აღლვდა. ალი აღგილს ვერ პოულობდა: „ამაზე უარები ჭერ არაფერი მომხდარა. რა საბაგელი ამბავია: თქმის ახლობელი ნათესავი მომიყვია“. შესაძლოა, მოკვდა მისი სხეულის აღმავალი გამგებლობა, მისი საბრძოლო ფორმა, რის მიღწევასაც ასეთი ქაან-წყვეტით ესწრაფოდა“. საბრძოლო ფორმა ხომ კრივის ერთ-ერთი უპირველესი საიდუმლოა. ესაა სხეულისა და სულის ის იშვიათი მდგომარეობა, მხოლოდ რისი მეოხებითაც ძლებს მძიმე უნას მოკრავე თხოვრებტი რაუნდის მანძილზე ფიცარანაგზე, ძლებს და მიმოძრაობს მისთვის ზღვრული სიჩქარით. მხოლოდ ნებისყოფით ამახ ვერ შესძლებს. მაგრამ ალი მაინც ცდილობდა ამისთვის მიეღწია, ცდილობდა ვარჯიშში გატარებული მთელი თვეების მანძილზე.

ბედის ირონია ის გახლდათ, რომ ადრე ის ყოველთვის საბრძოლო ფორმის იყო. ლიბტონთან მიერ ბრძოლის წინ იმდენად დიდებულად იყო მომზადებული, რომ ეს ეგზონობადა ყოველ მის მოძრაობაში, ყველაფერში, რასაც კი აკეთებდა სავარჯიშო დარბაზში. სხეული მას ვერ დააღალატებდა. როცა თავის განწყობილებზე ლაპარაკობდა, ჩვენს წინ ქვემარტივად ბედნიერი ადამიანი იგდა. მაგრამ ეს ათი წლის წინანდელი ამბავია. მას შემდეგ კი, რაც ალის მსოფლიოს ჩემპიონის წოდება ჩამოართვეს ჯარში წასვლაზე უარის თქმის გამო, იგი ხამი წლის მანძილზე, რასაც გუნდავთ, იმას აკეთებდა, ოღონდ, კრივს არ ვარჯიშობდა; გამოდიოდა მიტინგებზე, მსახიობობდა ნიუ-იორკში, ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობდა, უქნარობდა. ურინგოდ ცხოვრება ძალიან მოეწონა. როცა დაბრუნდა, ვარჯიშო დაიწყო, მაგრამ უკვე იმაზე ფიქრობდა ნეტარებით, აი, ვარჯიშს მოვრჩები და რითიმ ვაგინაღისებ თავსო. ნორტონთან პირველად ბრძოლის დროს ალის ხელები სტილია, კორტონის ინექციებზეც აკეთებდა, მაგრამ ხალხეც მაინც წავიდა ხალხთაოდ. მეორე ხალხის მას ნორტონმა უბა მოუნერია. ამის შემდეგ ალიმ აიძულა თავი, რომ უფრო სერიოზუ-

ნორმან მიუიარო ბრძოლა



ლად ევარჩიშა, მაგრამ ვარჩიშებო იხვე არე თავ-ბედის წყველად მიაჩნდა. მხოლოდ ფრე-  
 ზერთან მერე შეხვედრის წინ ახლა, როცა  
 ფორმენტთან ბრძოლა ედრისა, აღიმ გამოამუღა-  
 ვნა მზადყოფნა იმისათვის, რომ გაეჭლო მძიმე  
 ჯაფის მტანჯველი ერთფეროვნებასათვის,  
 ჟარისოდაც ფორმაში ვერ ჩაღებო. რამდენი  
 ოფლი დაღვარა მან იმ თვეებში არმის ტბაზე!  
 არათითის ტკივილის გამო ხორცზეც კი თქვა  
 უარი და თვეზე გადვიდა. ხელეების საქმე  
 უკეთ და უკეთ წავადა. უკვე შეიქლო მძიმე  
 დატვირთვის მიღება. მაგრამ ახლა უხალისობა,  
 მოთენთილობა მოეძალა. ენერგია ეღივდა —  
 არადა, რა ჯაფა დააყენა თავს! როგორც ჩანს,  
 ფიციკური ძალის მსოფლიო კანონს ხისხლო  
 წყურთა და იგი ხორცის ჭამისზე გიბიძგებს.  
 აღიმ თვეში დაივიწყა, იხვე ხორცზე გადავი-  
 და, სხვა დეტერტი დაიწესა და ხისხლის საპირო  
 შექრიანობა აღიდგინა. და, ბოლოს და ბოლოს,  
 შესაძლოა, იგი უკვე მზად იყო რინგზე იმ  
 ბრძოლისთვის გასახელდელად, რომელიც მთე-  
 ლი მისი ცხოვრების ლოგიკის გამოცდად უნდა  
 ქცეულიყო. ამ ბრძოლის მთელი თვით გადავა-  
 ლება მას ამალუტაციასათვის უნდა განეცადა.  
 ეს იყო საშიში. ამ საფრთხის წინააღმდეგ ახა-  
 ბოხებლად მისა სხეულის ყოველი უჭრედი  
 მზად იყო.

როცა ფორმენს უყურებ, იგი სიცოცხლისე-  
 ული სიმძლავრის თავისებურად სრულქმნილ  
 ხორცშესხმად, ხატად გერქვება. „ინტერკონ-  
 ტინენტალის“ ექსტიზიულში იგი ოფტიდიან  
 შემოვიდა, მოქარგული კომპინენზონი და ტრ-  
 ლოს კურტაი ეცვა. ადამიანზე უფრო ადამიან-  
 ის ტანმდებულ ლომს ჰგავდა. მინარტს ჰგა-  
 ვდა, მაგრამ ეს მსხვერპლის მომწივებელი  
 ლომის მთვლემარება იყო. ფორმენის ლამაზი,  
 ფართო სახე (იგი ცოტათი წააგავდა კლარკ  
 გალიბლის კინონიდაბს, ოდონდ, შედარებით  
 მცირე ზომისას) არც სითბოს გამოხატავდა და  
 არც მტრულ სიცივეს; იგი უფრო ფრთხილი,  
 გაფაციცებულ-ყურადკვეთილი იყო, რაც  
 ყველა მოკრივეს ახასიათებს, რაც უნდა მთვლე-  
 მარე და მინარე არ უნდა ჩანდეს იგი; მასწო  
 იგარმობოდა ის ერთი, კაცმა რომ თქვას, ყვე-  
 ლა თვალაჩინო მებრძოლისთვის დაუახლოთე-  
 ბელი თვისება: თუ საჭიროა, თვალისდახმხა-  
 მების უმეტე დაიჭერს მკერდს ბუზს, თუ საჭი-  
 როა, რინგზე გახვლისთანავე გახედავს და შე-  
 უღვლომად განსაზღვრავს რა განწყობაზეა მისი  
 საღლაც შორს, ოცდამეთე რიგში მჭდომი  
 მგობობარი.

რამდენადაც ნორმანს ხშირად ლლატობდ-  
 ტპტკურთ აღლღ, იგი ჭიქურ მიდიოდა მიწ-  
 ისკენ. იგი ეს-ესა ჩამოფრინდა კინსასში  
 და წარმოადგინა არ ჰქონდა, რომ ფორმენთან  
 ექსტიზიულში მუსაიფე არ გამოვიდოდა, მოდა,

დაალო თავი და ხელგაწვილი მიადგა. ფორ-  
 მენტთან მამინვე მივარდა ბილ კალენსთან  
 მელსაც პრესასთან და პუბლიკასთან ჩემპიონის  
 ურთიერთობაზე პასუხისმგებლობა ჰქონდა და-  
 კისრებულთი. „ჩორჯ, ეს-ესა ჩამოვლდა“, —  
 უთხრა კალენმა მოკრივეს, როცა ნორმანი  
 წარუდგინა, ფორმენმა თავი დაუქნია, მოუ-  
 ლოდინლად ვაიძინა და სანდომიანად წაიხუმ-  
 რა რაღაც რინგისა და ლატარატურის ჩემპიონ-  
 ნებზე. უცნაური კია, მაგრამ რბილი, მშვიდი  
 ხმა აღმოაჩნდა, არა უბრალოდ სამხრეთულ,  
 არამედ ტიხასურ კილოზე ლაპარაკობდა. თვა-  
 ლებში სითბო ჩაუღვდა და კაცს შეიძლებოდა  
 ეცოქრა, რომ მის მოსწონდა თავისთავად ეს  
 იღვა — მწერლობა. მაღე დაახლო გოგებს, რომ  
 წინს ფორმენზე წერს და ამას მოჰყავს სან-  
 ტერესო ფრანც, რომელიც ადამიანს კვირის  
 ბოლომდე ეყოფოდა თავსამტრევედ. ფორმენ-  
 ზე ამ ფრანცზე ბევრი რამ თქვა. „მომიტვეო,  
 რომ მე თქვენზე ხელი არ ჩამოვარდეთო“, უთხრა  
 მან ნორმანს ისეთი ხმით, როგორაც დიდი  
 ხნის მანძილზე იყენებენ ფარული, იდუმალი  
 ძალის დასაშალად, — მაგრამ, თავად ხედავთ,  
 რომ ჭაბიდან ხელს არ ვიდებ“.

რასაკვირველია კაცს ხელემი ჭიბეში აქვს  
 და როგორღა ამოიღოს? ეს ხომ იგუვია, რომ  
 პოეტს, რომელმაც ეს წამია თავის სტრიქონს  
 ჩაავლო, ჩააცივდე — რანაირი ყავა მოგართ-  
 ვათ, ჩიიანი თუ ნაღებიაინო? მაგრამ  
 ყოველივე ამასთან ერთად ფორმენს ისე მია-  
 მიტად ეჭირა თავი, რომ მისი სიტყვები  
 უბეშობად არ მოეჩვენებოდა კაცს, პირიქით,  
 კეთილად განაწყობდა მისდამი, ის ხომ მარ-  
 თალს ამბობდა. მართლა საჭიროა ჭიბეში გე-  
 წყოს ხელეები. ეს მნიშვნელოვანი რამაა. ასევე  
 მნიშვნელოვანი რამაა შენსა და სხვებს შორის  
 დისტანციის შექმნა. ფორმენი დუმილათ გარე-  
 მოცული ცხოვრობდა. მცველებით გარშემორ-  
 ტყმულს — ისინი არავის უშვებდნენ მასთან  
 ხელის ჩამოსართმევად — შექმლო ვესტიბი-  
 ულში მდგარიყო ახობით ადამიანთან ერთად  
 და არ მიგარებოდა არავის. იგი მარტოული  
 იყო. სხვა ჩემპიონები თავიანთ კულტს ქმნიდ-  
 ნენ, ისეთს, რომლის დირსი სინამდვილეში არ  
 იყენენ. ისინი მომხიბველობის იარაღით გოჭ-  
 მედებდნენ. ფორმენი სიტყვაში მარტო  
 დაღვდა. ეს სიტყვაძვირობა, ეს მეტყველი  
 მღუმარება მას თავისთავში კეტავდა, გარედან  
 ჯავნავდა. ასეთი ხალხი ნორმანს უკეთე ოცდა-  
 ათი წელია არ ენება, შესაძლოა, შეცე. ყო-  
 ველ შემთხვევაში იმ შორეულ ზაფხულს აქით,  
 რომელიც მან ხანირად გაატარა შემოლოლა  
 საავადმყოფოში, მას არავინ შეხვედრია, ვი-  
 საც ამდენხანს გაუძნრევლად, გაუტოკებლად  
 შექმლო მდგარიყო, ჭიბიდან ხელი არ ამოეღო  
 და ის დაეჭირა თავისი შეუფალი მარტოაუ-  
 ლობის თავზე ჩამოწოლილი მღუმარების ცარ-



გვალი, საავადმყოფოში ნორმანი მამაგრებულს იყო „გაქვავებულს“ კატატონიკებზე. ისინი ხალხშიდან სადილაზედ ერთხელაც არ გატოვდებოდნენ. ერთმა მათგანმა, მუშტებმეურულმა, რამდენიმე თვე დაჟო ამგვარ პოზაში, შემდეგ კი უცაოდვედ დარტყმით უბა მოუხვრია შემოხვევით გავლილ სანიტარს. ექიმები ახალიღებულ თანამშრომლებს აუცილებლად აურთხილდებდნენ, ესენი ყველაზე საშიში პაციენტებია არიანო. ყოველ შემთხვევაში, ფაზიურად ესენი სხვებზე ძლიერნი იყვნენ. ეს იმდენად აშკარა იყო, რომ გაფრთხილება არც მიაჩნდათ საჭიროდ. ტუის ირემი თავისი სხეულათა და იერთი გეუბნებოთ: „შეგძლიათ დამოფოთო, მომავლათ, მგვრამ შემეცვლელს ვერ შიპოვით“, ხოლო გაშეშებული კატატონიკის პოზა სულ თვალწინ გადავთ და გაფრთხილებო: „შე საშიშლად ღონიერი ვარ, ოღონდ ადგლიდან არ უნდა დავძრავ“. მგვრამ, ალბათ, ფორმენს შემოლადა ვერავინ მიაჩნვდა. ეს მერხმეტად ზერბედე ვარაუდი იქნებოდა ამ უეზოხვევისთვის, როცა მძიმეწონსან ჩემპიონება სავიარო. ცოლა შემოლილი მოიძებნებოდა, ვინც შესძლება ისეთი დისციპლინის დაცვას, პროფესიული კრივი რომ მოითხოვს და, მაინც, მძიმეწონსანი ჩემპიონი იმ საყაროში ბინადრბს, სადაც ყველა პროპორციით თავმოყრილი. ალბათ, იგი ყველაზე საშიში შეუიარაღებელი მკვლელია. მას, უიარაღოს, ცარული ზელებით, შეუძლია სიცოცხლე მოუწყრაფოს ორმოცდაათი კაცს და მხოლოდ ამის შედეგ შეისვენებს. თუმცა, იქნებ, ასი კაციც ვაისტუმროს საიქიოს შეუხვედნებლად? ნაწილობრივ, სიყვარული, რომელსაც ალი ადგიძრავათ (ამ სიყვარულთან შედარებით ნაკლები მოწინება გრძნობდით მისი ძალისაღმდეგ), იმით ახსნებოდა, რომ, როცა მას უყურებდით, ხელმუდამ იმსჯავლებოდი იმ რწმენით, რომ ის არ დასახიჩრებს საშუალო მტოქებს, ის მხოლოდ მინიშალური ძალისხმევით მოიგერიებს შეტევას და ისე განაგრძობს ორთაბრძოლას. ფორმენი კი იმუქრებოდა — იმუქრებოდა ყოველთვის, ემუქრებოდა ყველას. არავითარ სისხლიან ორთაბრძოლებში. იგი უკან არ დაიხვედა. იგი ბოლო წერტილის დასამდე არ გაჩერდებოდა.

ონად იქცა. ფორმენს არც ერთი ბრძოლა წაუგია. იმ დღისთვის, როცა ფორმენი ჩემპიონი გახდა, მის ანვარიზზე იყო არანაკლებ ოცდასუთი ნოკაუტისა და, ჩვეულებრივ, ბრძოლა მისი აშკარა უპირატესობით მესამე რაუნდზედ მთავრდებოდა. ფანტასტიკური რამა? ათი ნოკაუტი პირველ რაუნდში, თერთმეტი მეორეში, თერთმეტი — მესამესა და მეოთხეში. უსიქოპატი რა შუაშია, იგი უფრო ფაზიური ძალის გენიაა, რამელოდი კატატონიკების ზეზნობით და საშუალებებით, მდუმარებით, გულიხსურის დაძაბვით, უძრავობით სარგებლობს, და, რაშიდნადაც, ალი სხვა ყალიბს, სხვა რანგის გენია გახლდათ, მონალოდელი იყო მოყოლოდელზე მოულოდელი ორთაბრძოლა — მალენიკურების განსხვავებულ, დაპირისპირებულ განსახიერებათა ორთაბრძოლა.

დაბს, ეს რელიგიური ომის მსგავსი რაღაც იქნება. და ეს ბელს აძლევს ალის. ვინ იესონება და გაბედავდა იმის მტაცებას, რომ ალის ამ რელიგიურ ომში უპირატესობა არ მქონდა, თუკი ეს ომი აფრიკაში იშლეოდა? ნორმანს, ამ ორთაბრძოლის ამბავი პირველად როცა გაიგონა, გაეღიმა და შავგანიანთა ავი თვალს, შეღოცვები და იღუმადი უსიქოლოგია გაახსენდა. „თუ ალი აფრიკაში ვერ გამარჯვებს, — თქვა ნორმანსა, — მაშინ იგი ვერახოდს ვერ ჩემმარჯვებს“. მგვრამ პარალოქსი ის იყო, რომ გენიონი ფორმენი, როცა თავისი თვლით ნახა, ალიზე უფრო შავი აღმოჩნდა. ალიში იყო წვეთი თეთრი სისხლისა, თანაც, ერთი წვეთი არა. მასში იყო რაღაც ისეთი, რითაც ალი მთლად თეთრი, მტისმეტად თეთრიც კი გენვენებოდათ — რაღაცით საღდაც, სამხრეთში, რომელიდაც სტუდენტური კლუბის პრეზიდენტ წარმოსადეგ სტუდენტს ჰგავდა. ზოგჯერ ალი იმ თეთრ მსახიობს ჰგავს, რომელსაც ზანგის როლი უნდა ეთამაშა და ზედმეტი გრემი წაისვა. ამიტომ იგი ნაკლებ დამაჩერებელი ჩანდა სტენაზე და ეს იყო ალის მოწინებების მრავალთაგან მხოლოდ ერთი წინააღმდეგობა, მგვრამ, აი, ფორმენი ნამდვილი იყო, მას ალიზე გაცილებით ადვილად მიიჩნევდით აფრიკელად. ფორმენი ღრმად შეუისხსობს როცა თავის მუშას. და ნამდვილი იყო მუშაც, ეგ შორეული ნითესავი მშენიერებისა, მუშა მძინვარებისა, რომელსაც მრავალი რთული იღუმადი კანონი აჭვს. მისი პირველი მოთხოვნა უდრტივებლობის შენარჩუნება იყო, და ფორმენი ვესტიბოლში მიაიჭებდა, როგორც ხორცშესხმა ამბოხებული მიცვალებულისა, რომელიც ყველაფერს ამჩნევს, მგვრამ თავისი მდუმარებით ცდილობს განირიღოს ვიღაცედაც ბინძური თაყვანისმცემლები, რომლებიც მისკენ მოწვევენ გამოწვეილი მორთოლდვარ ხე-

ნორმან მელიორი  
ბრძოლა

წურავ ყველაფერს, მთლიანად ასი პროცენტით. აი, ჩემი ერთადერთი პროგნოზი.

კონკრეტულად აქვთ სიტყვა „ნგოლო“, რაც გამოხატავს ძლიერებას, სიცოცხლის ძალას. იგი შეიძლება აგრეთვე ნიშნავდეს პიროვნებას, მდგომარეობას, ადამიანის სიმძლავრეს ან დაფარვას „მისს“. ალი, ექვსგარეშეა, გრძნობდა, რომ მის „ნგოლოს“ უფლებებზე უფლებდნენ, ან ჯეროვნად არ აფასებდნენ. უკვე ათი წელია პრესა არა და არ აღიარებს მის რეალურ მასშტაბს. „ნგოლოს“ თვალსაზრისით იგი არცერთ სხვა ამერიკელს ტოლს არ დაუდებდა, მაგრამ ალის ეს არ ყოფილა, მას მეტი უნდოდა. ყველაზე მძაფრ სულიერ ტკივილებს ის „ნგოლო“ კი არ ბედებს, რომელიც მომადლებული გაქვს, არამედ ის „ნგოლო“, რომელიც გაკლია. ამიტომ ალის ამ ბრძოლის წაგება არ შეეძლო. თუკი იგი დამარცხდება, გაუთვბო აივსება დაღუპული სპორტსმენის ეპიტაფიებით, ხოლო მიცვალებულებს „ნგოლო“ არ გააჩნიათ. მიცვალებულები წყურვილით იხოციენიანო, ამტკიცებს ერთი ძველადარაბული შეგონება. მიცვალებულებს არ გააჩნიათ „ნგოლო“, რომელსაც იმენ პალმის დეინის, ვისკის ან ლუდის პირველივე ყუღუბის მოსმისთანავე.

პრესასთან ალის ახლა მთელი ოცდაათი საათი ჰქონდა ურთიერთობა. ჯერ კიდევ არ ყოფილა მოკრივე, რომელსაც დაბეჭდილი სიტყვისაღმე ასეთი მაგიური მოწიწება განეცადოს. ალის ვილა, „სოლიდურობის კიბის“ განსახიერება, ღია იყო ტურნალისთან ბრძოლათვის, და შეუადლით, როცა ფორმენი წმელდენ „ინტერკონტინენტალისკენ“ მიემგზავრებოდა, ხოლო ალი თავის ოთახში, ფეხებგაქვიშული და გულხელდაკრეფილი, მორთბული იქნა დაბალ სავარძელში, ირგვლივ შემოსხდარი ტურნალისტები მას აურაცხელ კითხვას აყრიდნენ და ალიც პასუხობდა და პასუხობდა, თანაც, ასეთი საუბრების დროს რკინისებურ გამძლეობას ამჟღავნებდა. იგი უძლებდა დღეების სიგრძეზე გაწეულ სიტყვიერ მართონს და მისი საუბარი ისე უწინდებურად თვითდაჭერბული და ნათელი რჩებოდა, ანე რომ, მას ვერც ერთხელ ვერაინ ვერ მოაკვირია თითი, თუკი მას რომელიმე კითხვაზე საპასუხო არაფერი ჰქონდა, თავს იკატუნებდა, ვიოთმ შეკითხვა არც გაუგონია. ალის სმენის ეს სნობიზმი ნამდვილად შეფთა საკადრისი თვისება იყო.

რასაკვირველია, იგი უფრო კეთილად შევაინიანი კორესპონდენტებისაღმე იყო განწყობილი, რომლებსთვისაც მუშაობდათ ეს ინტერვიუები ჰუმანობად უზადლო სკოლა იყო. არცერთი სხვა სახელმძღვანელო წაწეი არ გამოიჩინდა მათ მიმართ ასეთ თავანჯიანობას — ალი საფუძვლიანად, დაწვრილებით იძლეოდა პასუხს მათ ყოველ კითხვაზე. ალი ლაპარაკობდა

მიკროფონში, რათა შესძლებოდათ ფირის გამოყენება რადიოში, ხოლო იმ რეპორტიორებზე სათვის, რომლებსაც მაგნიტოფონები ჰქონდათ, საუბრის ტემპს ანელებდა და არ ღიჯიანდებოდა, თუ მის სიტყვებს არ იწერდნენ. იგი ღიჯად, აღჩქარებლად ქსოვდა უსწარმაზარად დედაშიწის ხელა — ჯვალის ტომარას. ორთაბრძოლას. რომ მოიგებს, ალი მთელ ქვეყნიერებას იმ ტომარაში ჩაჩურთავს და ზურგზე მოიკიდებს.

სპარინგის შემდეგ, რომლის დროსაც რაი უილიამსმა იგი ნოკდაუსში გაგზავნა, ალის ხამოვნებდა იმ მოთებითლ შუადღეს რეპორტიორების თვალწინ გათამაშებინა თავისი საყვარელი სცენარი, რომლის მიხედვითაც ფორმენი ნაფოტებად იკუწებოდა.

— ეს ბრძოლა უბრალო წაგარებება იქნება ჩემთვის. იგი ფრეიერი არაა, თავს არ მომიშვერს იმისათვის, რომ მომწვიდეს. ეგ ფრეიერთან სად მოვა. ფორმენი განაზღა და გასალუქდა. კაპაია მაგის ფასი.

სემ კლარკმა, ახლავარდა წანგის წანგების საგენტოდა, რომელიც წანგების შესახებ ახალი ამბებით ამარაგებდა წანგების სადგურებს, კაკალ გულში მოარტყა — ალის ჰკითხა:

— წარმოიდგინე, რომ შენ ფორმენის მწვრთნელი ხარ, რა რჩევას მისცემი?

— მე ვეტყუდი: ნუ შეტირობ, წინ ნუ ხტები და ისე დაელოდე შენსას. თუშეცა, მე ამასაც ჩემს სასარგებლოდ გამოვიყენებდი. მე ყველაფერი შემიძლია. სად წავა, რომელ ხერხელში შეძრებია, სულერიდა, მუშისასავით უნდა იდგეს ცენტრში და მელოდოს, ვიდრე თავპირს არ დაფუწავა! — და სულმოუთქმელად გააგრძელა: — თუ მოგისმენია რანაირი მუსიკა მოდის მისგან? ეს მკადრის მუსიკაა. ფორმენი უკვე მუშიაა. მე კი, — გაიცინა ალიმ, — მე დავმარბავ მას. —

— თუ შეეცდები, რომ წარბში მოარტყა? — ჰკითხა სხვა წანგმა რეპორტიორმა.

— შეეცადე წარბის ირგვლივ ვურტყა, — მიუგო ალიმ და მისმა დაუშრეტელმა ფანტაზიამ ფრთა შეისხა, — ვეცდები ჰკუა ვასწავლო როგორც საპიროა და მინდა, რომ ეს ნამდვილი გამარჯვება იყოს. არ მინდა შემდეგ თქვან, რომ მე მას წარბი გავუხუთქე და ეს იყო და ეს. როცა მე მოვიგებ, როგორც ამბობენ, მატჩში ათ მილიონს შემოშთავაზებენ. — ალიმ თავს ძალა დაატანა კისის სათქმელად.

— რაა, მიიღებ და კიბის შეეშვები?

— ჯერ არ ვიცი. ახლა მე მხოლოდ მილიონ სამას ათასს ჩავიდებ ჯიბეში. ზუთი მილიონიდან ნახევარს მთავრობა წაიღებს, ნახევარი მილიონიც ხარკების დაფარვასა და მწვრთნელს დასჭირდება. რჩება მილიონ სამასი ათასი, ეს ჩემთვის ფული არაა. მომეცი დღეს ორასი მილიონი და ზეად კაპაია არ მიქნება. ჩვენ ვაშე-



ნებთ მოსპობას, შევანაინების მოსპობას ჩი-  
კაგაში. ორმოცდაათი მილიონი დაჯდება. ჩემი  
ფული ამისთანა საკმარებს ხმარდება. მე თუ  
მოვიგებ, სულ ვიპოვებურებ.

იგი ახლა პათოსი და ენერჯულია დაპარა-  
კობდა, როგორც დეპუტატი, რომელიც  
გრძნობს, რომ ამოკრძალებს მოსწონთ მისი  
სიტყვა. იგი უკვე ოქრომპრობდა, ორატორობ-  
და.

— მე თუ მოვიგებ, შავი კისინჯერი გავაღებ.  
ძალზე ღირსეული საქმეა. ოღონდ იღვებოთ კა-  
ცი. რაკა მე სადმე ჩავდივარ, სკოლებში უფ-  
ნა და მოხუცებთან შეხვედრებიც მეღის. მათ-  
თვის მე მხოლოდ მოკრძევი კი არა, ის ადამიანი  
ვარ, ვისაც მთელი მსოფლიო იცნობს.

აღისთვის ამგვარი ტირადები იგივე ჩანდა,  
რაც ფორმენისთვის მძიმე სპარინგ-მატიჩები  
იყო, თითქოს ალი თავისი ნებისყოფის კუნ-  
თებს მიეჭრებოდა მისი საფარგოებით  
იყენებდა. რა ხდებოდა, ვერ გაიგებდი. რაკ,  
იგი ისევე იმ დღისთვისვე პატარა ბავშვს ხომ არ  
დარჩა, რომელიც ქაქანებს და ქაქანებს, ქაქა-  
ნებს მთელი დღე და, ეშმაკმა იცის, იქნებ მთე-  
ლი ლამეც ქაქანებს, რათა ისტორიისაგან გაწე-  
პლილი, ისტორიის დინამო-მანქანისაგან ჩათ-  
რეული ბიჭუნას დაუოკებელი მღერვარება და-  
აოკოს? ანდა, იქნებ ახლოვდებოდა უქალღესი  
წერტილი პროცესისა, რომელიც მას აქცევდა  
XX საუკუნის უმთავრეს მოვლენად — წინას-  
წარმეტყველად. იქნებ ახლა აღის სიტყვებით  
ფერდა მისიხანება და მწუხარება წინასწარ-  
მეტყველისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ ძალუძ-  
და მოძლიერება, არ შეიძლო, არა, დარწმუნება  
მრევლისა? როგორ შევხვდებოდა კომენტატორე-  
ბი შავი კისინჯერის ამ სიტყვებს? ალბი იგრძ-  
ნო, რომ მათი სახეები ზოგიერთ დამანებებოდა  
და უფრო ამ ხალხს, არ აცაღა, ოინაზობას,  
მანქანობას მოჰყვა:

— მო, დადინარ ამ უცნობ ადგილებში, ზე-  
ხარ ამ ხალხის გვერდით, და სულ უნდა ჰქონ-  
და ჰამო. თქვენ ეს ადვილი გონიათ? ამერიკა-  
ში, ჩვეულებრივ, კოკტილი ვთავაზობენ. გასა-  
გებია, შემძლია უარს ვთქვა. მე ხომ სპორტ-  
სენი ვარ. აქ კი, აფრიკაში, უნდა ვქამო. უარს  
თუ ვიტყვი, სწყინთ. რასაკვირველია, ეს დიდი  
პატივია, რომ უყვანს ახე უყვარხარ, მაგრამ  
ჯოჯბითურად ძნელია ამის გაძლება.

მაგრამ აღის არ შეიძლო დიდხინით გადაეხ-  
ვია თავისი მისისაგან.

— ვერაინ, ვერაინ ვერ ხვდება, რას ვეს-  
წარაფვი, — თქვა მან, — ამერიკაში მოკრივეებს  
სეროზული თვლით არ უყურებენ. არ ესმით,  
რომ ჩემთვის კრივი საინისო საშუალებაა, რომ  
მივადწიო რაღაც ისეთს, რასაც სხვა გზით ვერ  
მიღწევ. ვიდრე მე ჩემპიონი ვარ, შემძლია  
დავიხარო მიწაში. — ბოლოს ხმადაბლა, თით-  
ქოს საიდუმლოს ამხელსო, დააყოლა. იმისათვის

კი არა, რომ რინჯე მოვხვედო დიდება, არა-  
მედ იმისათვის, რომ ბევრი რამ შეეცვალო ზრ-  
ქვეყნად.

ესაღი გახდა. საითკენ მიჰყავდა თავისი ბო-  
მალღი. მას სჭირდებოდა თუნდაც მხოლოდ და-  
ეშვათ ის აზრი, რომ ალი ნამდვილად ქვეთა-  
ვინმეა, და არა დამატებული ფრანგის ზედა-  
ხორა. უნდა ერწმუნათ, რომ მან უკვე შეაწა-  
და თავისი თავი მოახლოებული ქაოსის, ვულ-  
კანური ამოფრქვევების შეხახვედრად, რომ-  
ლიც ვარემოს მოწაფისი, მძროტი, ეკო-  
ლოგურია კატასტროფის ამ უახლოეს წლებში  
შეარყვეს მსოფლიოს.

ნორმანი შეაძრწუნა თავისმა აღმოჩენამ, —  
აღის ქადაგების ამ ზარზემურობას, შესაძლოა,  
ფესვები მიწის გაშლდვალ რკინაში ჰქონდეს გა-  
დგმული და თავისი უფუნურებით ალი სულაც  
არაა აუცილებელი უფუნური იყოს, — დიან,  
ნორმანი შეაძრწუნა ამან, ამიტომ ასე უთხრა  
აღის:

— მე შენ გაგიგებ.  
— მე სერიოზულად ვლაპარაკობდი, — უპა-  
სუხა აღიმ ნორმანს.

— ვიცი, ვიცი, — ნორმანი ახლა იმაზე ფიქ-  
რობდა, როგორი ზერკუფლისიხეუბური ძაღის-  
სმევით ვარჯიშობდა ფორმენი და რა ზილიან  
გულგრილობას ჰყავდა შემსჭავალელი ალი, —  
ოღონდ აუცილებლად მოიგებს ბრძოლა, — ნორ-  
მანი მიხვდა, რომ თვითონაც ქადაგად ვარდე-  
ბოდა. — მოიგე, თუ გინდა, რომ შენგან არ და-  
რჩეს მხოლოდ პროფესორი, რომელიც ტიბუ-  
ნაზე რაღაცას ახერხებს.

— მოვიგებ.  
— შესაძლოა, ახლა ისეთი ბრძოლის გადახდა  
მოგიხდება, როგორც ჯერ არ გადაგინდია. ფო-  
რმენი ჩინებული მეტროლოგი დადგა.

— ეგრეა, — თქვა აღიმ და ეს იყო მისი პირ-  
ველი სიტყვა, რომელსაც ფასი ედო ჩვენი ინ-  
ტერვიუერისათვის, — ეგრეა და მე ეს ვიცი, —  
და ოდნავ შესამჩნევი ავი, ბოროტი დიმილით  
დასძინა: ჯორჯი ბევრად ძლიერი გახდა.

ფორმენს ჰყავდა სპარინგ-პარტნიორი, სახე-  
ლად ელმო ჰენდერსონი, წინათ ტეხასის შტა-  
ტის ჩემპიონი მძიმე წონაში. ეს იყო მალაღი,  
მქლე ყმაწვილკაცი, რომელიც მოკრივეს ისევე  
ჰყავდა, როგორც ქვეყნად ქვეყანაში ფეხით  
ნათრევი, შიმშილიგანს გაძვალტყავებულო მოგ-  
წაურე იმეგანებოდა. ქრელა-ჭრელა ტანისაშოს-  
ში გამოწყობილი ელმო ჰენდერსონი, როცა  
იგი „ინტერნაციონალისტის“ ვებსბიულად  
ეწოში გადიოდა, აუზს წრეს უკლიდა და თან  
მალდა იხედებოდა, თითქოს იქ ხალაღე ჰორი-  
ზონტს ხაზს მიღწა რაღაცას ეძებსო, უეჭველად

ნორმან მიქლირი  
ბრძოლა

შუასაკუთრების მასხარას გაგახსენებდათ. იფიქრებდით, თავის თავზე მეტს ვერაფერს და ვერაფრის ამჩნევს და ხმას საერთოდ არ გაიღებოდა. ეს აშკარა სმენითი შეცდომა იყო, რადგან სინამდვილეში ელმო ჰენდერსონი სულ ლაპარაკობდა.

თითქოს მასში ხმაურობდა ფორმენის მიჩნეული ხმა და გასაგონადაც ხმაურობდა. ელმომ აიკვიატა ერთი ფრანკო-აფრიკული სიტყვა „ოი“ (ფრანგული სიტყვიდან „ვუაი“ — „მომისმინეთ“); როცა არ უნდა შეხვედროდით მას ვესტიბიულში ან წნელებაში, უოველივს რაღაც საფიქრალს ჰყავდა შეტყობილი, რასაც მხოლოდ მისი შინაგანი შერეა წვდებოდა. ხმა, რომელიც მას თავისი არსებიდან ეხმობა, შორიდან მოდიოდა. ამ ხმას მშვენიერად წყნარად გამოხატავდა ელმო ამ შორეული დინამო-მანქანის ვიბრაციის ტაქტის შესატყვისად ვიბრირებდა. „ოი“, უვიროდა იგი ყველას, ყვიროდა ყველგან, ყვიროდა წარმოუდგენლად ხმაველად, დრიალებდა. „ოი“ „ოი“ — ბოლოდა იგი ზუსტი ინტერვალით, რაც ათობით მეტ წამს აღწევდა, ყვიროდა გამყვიანი ხმით და ეს ხმა სადღის მაუწყებელი წარავითხსნოდა. დერდუნება და ლიტებში, „ინტერკონტინენტალთან“ ტაქსის გაჩერებაზე, აუზთან, ღია ტერასის ბუფეტში თუ ბარში მთელი დამე ჰენდერსონის ყვირილი ხან უკრის ძირში ჩაგებნობდა, ხან შორიდან გირდევდებოდა სიმულროვის; „ოი“! ჰენდერსონი ზოგჯერ უწინდებოდა, თითქოს სიგნალს ელოდებოდა და შემდეგ — ტრიპინობელებმა ისევ დაუტრიპინეს — პოლში ვაისმოდა ის გამყვიანი, დღუდუნა, ყვირილი: „ოი! ფორმენ ბომა იგი მომისმინეთ, ფორმენ მას დაანგრევს! იგი! ფორმენ ბომა იგი!“ და უოველთვის, როცა კი ელმო თავის რეიტატივს გააბამდა, იგრძნობოდა, თუ როგორ ბორკავდა ფორმენის სისხლი, როგორ ჩქეფდა იგი დღედაღამ რიტში იმ მშვიდვარებისა, რომელიც ეუფლებდა პალატაში მარტოღმართო დარჩენილ სულთს ავადმყოფს. ჰენდერსონი დაბორთობდა ბავშვებსა და მოხუცებს შორის, რომლებიც აფრაქელმა ბელადებმა, სამრეწველო კორპორაციის აგენტებთან ერთად, მორტეს აქ სილინძის, ალმახების, კობალტის მოსაკოვებლად; უოველი ბიჭვამი ცხოვრებისა, რომლის წიაღაც დაბოროლდებდა ჰენდერსონი, ერთვოდა მის ღმუხლს. სიმდიდრე და მშვიდვა-

რება, გულისწყრომა და უფიქრობა — ყველაფერი ეს ვიდრედა მის ხმაში და უოველთვის უმადრება თავისი საკუთარი ძალის დაკომპლუზას, მისი ყვირილისგან თითქოს ღიღები აწყდებოდა კაცს და თითქოს სპილოსხედა ტრიპინები იწყებდნენ ტრიპინს. „ოი! ფორმენ ბომა იგი!“ ფორმენი კი, იქვე, ჰენდერსონის ვერტიკალიდან თუ მისგან ას მერტის მოშორებით, ჰენდერსონის დახრწილი ხახის, ამ უკლის, ამ ყვირილის მეოხებით კიდევ უფრო მეტად მშვიდდებოდა. თითქოს მისი სპარინგ-პარტნიორი მისი გუშავი — დამის პატრულიყო, თითქოს ყველაფერი ეს მხოლოდ იმიტომ იყო გონიერული, რომ თავიდან ბოლომდე უგუნურება იყო.

„ოი! ფორმენ ბომა იგი!“ — ბოლოდა სართულ-სართულ მობოროტად ჰენდერსონი და ხანდახან, რაკი ირწმუნა, წინასწარმეტყველური შინაარსის ვარაიციას მივაგენიო, ამასაც ურთავდა: „ერთი, ორი, სამი, მოვიდა შენი აღსასრულის დღე, ალი!“ და სამ განახსულ თითს სწევდა ზევით. „ოი!“ — იღრიალა მან როგორცაც ბილი კაბლანის ზურგს უკან (მიეპარა), ბილი კაბლანისა, რომელიც ფორმენის პრესასთან ურთიერთობას განაგებდა და კაბლანაც ნაღვლიანად შეესმინა ელმოს: „ოი ვეი, ოი ვეი!“ ერთხელაც ელმომ სრული ფრაზა წარმოთქვა. მან მთელი ვესტიბიულის გასაგონად განაცხადა: „ჩვენ ამ თქვენს ალის თავისას მივაგებთ — „როლს-როისს“ როგორ აყენებენ ყალბზე, თუ გინახავთ? იგი! ფორმენ ბომა იგი!“

...უკრანლისტები ვარაუდობდნენ, რომ ბრბო ალის გამოსვლაზე ცას ჩამოაქცევდა, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა — უბრალოდ რამდენიმე წუთს უკრავდნენ ტაქსი. ფორმენს ორჯერ ნაკლები ტაქსით შეხვდნენ, რაც მანაც მოულოდნელი იყო — ეს შედარებისთვის მასალას იძლეოდა. ალი რვა ფუნტით იმაზე უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე შეჰპირდა გულშემატკივრებს, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მას გულშემატკივრებდა თავისი ძირითადი კოჩირის — ელვისებური რეაქციისა და რინეზე სწრაფი გადაადგილების გამოყენება. ისე კი, ალი თითქოს ფორმენის წონისა იყო (218 გ) ჯორჯი 220 ვირვანქას იწონდა. ფორმენი რინგის ცენტრს მიეღურებდა. მას არაფერი ეტყობოდა, ერთი ჩქამიცი კი არ უნდოდა გაეგონა.

თარგმანი ჯუშუბარ თითქარია

დასასრული იქნება





# სულსურული ცხოვრების ქ რ მ ნ ი ა

## ამერიკა

### პრეზიდენტის დედის პლანკები

„მამინეო სახლი ერთი ცარიელი, ყველაგან გამიწული, სევდის მომგვრელი ადგილია; არ მიყვარს იქ ყოფნა. ერთადერთი გართობა მეტრედიფონ ქალებთან ლაპარაკია. კაცპარომ თქვას, არც ვაშინგტონი შეგიტანავება, ვერ ვიტან ამ ქალაქს. ჭორჭობის შტატში ერთი ბატარა სახლი მიდგას ტბის სანაპიროზე, ძალიანა მუყავს, ვერ. რასა ვწერ? წერილებს, რა თქმა უნდა; ხელთ ვწერ — 80-ნი წერილამდე უყოველდღურად. ყველას ვუგზავნი პასუხს, ყველას ვუბრუნებ თხოვნას, აი, აქ ვწვივით, აი, იქაო... ხან უნივერსიტეტში ვარ, ხან ბანკეტზე, ხანაც ზემოზე. ერთი სიტყვით, ყველგან სასურველი სტუმარი ვარ. პოლიტიკაზე სალაპარაკოდ ვედარ მომიკლია. ისე კი, რაზე კინდათ, რომ არ გამოვთქვამ ჩემს აზრს. იმპროვიზაცია ჩემი სტიქია გახლავთ, — „ასე განუცხადა პარონის ყოველკორეულის „პარი-მარის“ კორესპონდენტს ამერიკის მეტროპოლიტან შტატების პრეზიდენტის დედამ ლილიან კარტერმა.

### ნიმსონის მემუარები

**შარბაზარი** სარკლამო კამპანის მიუხედავად ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ნიქსონის მემუარებს ფინანსური წარმატება არ ჰქონია. ამ წიგნის „ჩავარდნას“ გამოცემლები, უპირველეს ყოვლისა, იმით ხსნიან, რომ ავტორი არ არის პოპულარული, მეტყარები დიდტანიანია (1120 გვ.) და ძვირია (20 დოლარი ღირს,

რაც ამერიკაში ჩვეულებრივი ამბავია). თეთრი სახლის ყოფილმა ბინადარმა ავანსად უკვე ირი მილიონი დოლარი მიიღო ამაზე მეტი რაღა განდათ!

## გვიკვამ

### ტუტანამონის შურისძიება

როდესაც 1922 წელს არქეოლოგებმა გათხარეს ტუტანამონის აკლამა, იპოვეს თანხის ფილა, რომელზეც ეწერა: „გერავინ გადაურჩება იკადილს, ვინც დააროვეს ფარკონის სიმშვიდეს“. მისტიკოსებს ეს გაფრთხილება ხუმრობა სულაც არ ჰგონიათ და ტუტანამონის „შურისძიებას“ ნიაწერენ იმ ოცდაათიოდე კაციის სიკვდილს, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონდათ აკლამის გათხარასთან.

ბოლო ადგილზე ამ სიაში ინგლისის სამხედრო თვითმფრინავის პილოტი და ბორტინჟინერი არიან, ვინც ტუტანამონის აკლამის საგანძურა 1922 წელს ლონდონში ჩაატანეს. ორივეს გული გაუხვდა. ეკაპოხის არც სხვა წევრებს დადავლოებათ კარგი დღე: ერთმა ფეცი მოიტეხა, მეორეს სახლი დაეწვა, თვითმფრინავში მყოფი ერთადერთი ქალი მშიმედ დაავადდა და ქმარმა მიატოვა.

## პერუ

### ეს არ იყო პირამიდები

ნიმსონებში იმედაცურებული არიან: პერუში, მადრედე-ლიოსის დეპარტამენტის ჭუნჯელში ნაპოვნი გიგანტური პირამიდები ბუნებრივი კლდეწარმოსაქმნები აღმოჩნდა. ას-

ეთი დასკვნა გამოიტანეს იმ ექსპედიციის წევრებმა, რომედიც შარშან აგვისტოს მიწურულს ლეგენდარული ქალაქის პიტიტის მოსაძებნად დადაგებას.

ლეგენდა ამბობს, ეს ქალაქი პერუს ძველმა მცხოვრებლებმა შეაგულ ჭუნჯელში გააშენეს. პიტიტის აურაცხელ სინდერტზე მითქმა-მოთქმადილი ხანია აფორაქება ფათეპკების მოყვარულებს, მაგრამ ამ სინდერტის პოვნის ცდებში ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა.

ამ რამდენიმე წლის წინათ მადრედე-ლიოსის დეპარტამენტში, ბარაილის საზღვართან ახლოს პატირთან აღმოაჩინეს პირამიდის მსგავსი შემაღლებები, რომლებიც პიტიტის ნანგრევად მიიჩნეს. მხოლოდ ამასწინანდელმა ექსპედიციამ გააწარმოა ეს მოსაძებნა.

## საფრანგები

### „მონა ლიზას“ ერთბაღში პატი

ახა, როგორ არ უნდა შეგშურდეს იმ კაცისა, ვინც მთელი რვა წელიწადი გაატარა ჭოკონდას სიანლოვეს! რვა წლის განავლობაში ლეონ მეკუზა ჭოკონდას ერთგული საჭურველმეტყროველი და პატი გახლდათ. ჭოკონდას ყარაულს ლუკრას ლეონ მეკუზას მოვალეობას მხოლოდ ეს შეადგენდა, რომ მთელი დღე თვალი არ მოეშორებინა ლეონარდო და ვინჩის უყვავი ქვინილდისთვის.

რვა წლის მანძილზე მეკუზამ ფანდაულბეული ტილო, ალბათ, უკეთ შეიწავლა, ვი-



დრე თვით სპეციალისტებმა და ხელოვნებათმცოდნეებმა. მაგრამ მონა ლიზას ღიმილის საიდუმლოების ამოცნობა მეკუწუხამ მაინც ვერ შეძლო. პირიქით, მან კიდევ ერთი თავსატეხი გაურინა მნახვე-ლებს, როცა განაცხადა: „რამდენიმე წელიწადი ვაკვირდებოდი მონა ლიზას და შეეცდომილად შემიმძლია ვამტიკოვ, რომ იგი ყოველთვის როდი იღივება“.

ჯოკონდასთან გატარებული წლების განმავლობაში მეკუწუხამ სურათის თაობაზე ათასობით მნახველის ქება-დიდება მოისმინა და ათასობით სულიერ კითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა. რა გასაკვირველიც უნდა იყოს, ანჭარა ექსპურსანტები ყველაზე სწორად იმას ეკითხებოდნენ, რამდენი დოლარი, მარკა ან ვირვანქა სტერლიგი ეღირებოდა სურათი.

— ფასს მეკითხებით? — აღშფოთებით შერისიტყვებოდა მეკუწუხა, — ხაკუთარი სიცოცხლეც კი რა ღირს? განა რამდენად გაიმეტებდით?

და მართლაც ჯოკონდა რელიკვიად იქცა, ფასდაუდებელ

რელიკვიად აღზნათ, ამიტომ მიანჭრენ მას მისტიკურ თვისებებს. მაგალითად, იმასაც კი ამტკიცებენ, საქმარისია გენიალურ ტილოს ერთხელ შეერო, რომ სამუდამოდ გაგაბედნიეროს...  
 სხვათა შორის, ახლა არაშეუ-თუ შეხება, სურათის „ნატურალიზმი“ დანახვაც კი ერთთუ-ლებს თუ შეუძლიათ. ჰაერისა და ნესტისგან რომ დაცივან, ტალო დაფარულია საგანგებო თხელი მინით, ხოლო მძარცვე-ლებსა და ხულიგნებს რომ გადაურჩეს, ჯოკონდა დაცულია კიდევ ერთი სპეციალური ტექნიკით: სურათი საფარველით.

ღერონ მეკუწუხა ერთი იმ ბედნიერთაგანია, ვინც ტილოს მიჰპარებია: რამდენჯერმე ეპირა ხელში სურათი, როცა და-მცველ მინებზე მტვერს წმენ-დნენ. აი, ამიტომ ოცნებობდნენ ლუვრის ცრუმორწმუნე დასწავლიერებლები ლეონაინასთვის ხელი ჩამოერთმიათ. ეგებ ჯოკონდამ ჩვენც გვიწი-ლაღობო ცოტაოდენი ბედნიერება.

ახლა ღერონ მეკუწუხა პენსია-შია, მაგრამ ჯოკონდასთან გან-შორებას ვერა და ვერ შეე-

გუა. იგი ყოველ კვირას დადის ლუვრში თავის „შეფენიერებას“ ლნატონთან“ პაენანზე.

**საშემლი შვირწიარს**

შრინბ მხატვარს უან ლა-პორტს ჭერჭერობით არ გაუ-მარა: ლა და თავისი სურათე-ბი ლუვრში არ გამოუფენია; ისინი, აღზნათ, ვერც ვერა-სოდეს დაამშვენებენ საფრან-გეთის უდიდეს მუზეუმს და, საერთოდ, არც სხვა მუზეუ-მებს. საქმე ისაა, რომ ლაპო-რტის „ტილოების“ შენახვა მხოლოდ მაცივარში თუ შე-იძლება: სურათები სადნავით კი არ არის დასატული, არა-შედ სხვადასხვა საშაქარლამო კრემებით, წიწკით, სახვითა და მდოგვით... გარდა იმისა რომ კულინარული ფერწერის შედეგები იქმება, ისინი თა-ვისებურ სუნსაც გამოსცემენ. ავტორის აზრით, მისი „ნამუ-შევრები“ ყველაზე მეტ ტაბო-ბას მანამდე მოგანიჭებს, სა-ნამ არ დაუქარავთ მადის-აღმცერელი არომატი. სამწუ-ხაროდ, დღემდე ჭეროვნად ვერაყინ დაფასა მხატვარი-კულინარი, — აცრერთი მისი სურათი არ გაიყიდა.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს შიიღებს არა უმეტეს ერთი ხავეტორო თაბახისა.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ციხეების“ დამატება — 72-17-01, ხაკორე-ტორი — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 27. 11. 78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 1. 79 წ., ჟალალდის ზომა 70 X 108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საჯ. თაბახი 15.35. შეეკ. № 3177. უე 00617. ტირაჟი 39.000.

საქართველოს კვ-ცის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14  
 Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



№ 60 353.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236